

K  $\frac{8728}{4}$

იური სიბაგულიძე



საგზაო-დასავლეთ საქართველოს  
გოგონიგოგო

1 09804

საბჭოთავო გამომცემლობა  
გათუგო—1958

იური სიხარულიძე



სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს  
ტოპონიმიკა  
(აჭარის ასსრ)

წიგნი I



სახელმწიფო გამომცემლობა  
ბათუმი — 1958





Юрий Сихарулидзе



Топонимика  
Юго-западной Грузии  
(Аджарская АССР)

КНИГА I

J. M. Sicharulidse

К 4  
DIE TOPONIMIK DES WEST-SÜDLICHEN  
GEORGIENS  
(Adsharische ASSR)  
Erstes Buch

Государственное издательство  
Батуми—1958



## რ ე ლ ა ქ ო რ ი ს ა ზ ა ნ

ისტორიული გეოგრაფია ისტორიის დამხმარე სამეცნიერო დისციპლინაა. საზოგადოების მეცნიერული ისტორიის დამუშავებისათვის ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა, ამ დამხმარე სამეცნიერო დარგის მონაცემთა გათვალისწინებით ისევე აუცილებელია, როგორც ამ ქვეყნის არქეოლოგიის, ეთნოგრაფია-ფოლკლორის და სხვა დამხმარე დისციპლინების მონაცემებისა. ამიტომაცაა, რომ მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც ისტორიას, როგორც სამეცნიერო დარგს, განვითარების დიდი ტრადიცია აქვს, ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა მეცნიერ ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრშია.

შესაფერისი ადგილი უჭირავს ისტორიულ გეოგრაფიას საბჭოთა ისტორიოგრაფიაში.

ქართულ ისტორიოგრაფიას ამ მხრით სახელოვანი წარსული აქვს. გვიანფოდალური ხანის პირველი მეცნიერი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი ჩვენი ისტორიული გეოგრაფიის ფუძემდებელიცაა. მისი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ სწორედ ამ თვალსაზრისით დაწერილი კაპიტალური ნაშრომია.

ჩვენი წარსულის უდროობა-ძნელბედობის შედეგი იყო, რომ ვახუშტის გამგრძელებელი მეცნიერების ამ დარგში დიდხანს ჩვენში აღარავინ ჩანდა. მხოლოდ გვიან, ქართველი ბურჟუაზიული ერის შექმნის პირობებში ამაღლდა ქართული ისტორიოგრაფია იმ ხარისხზე, რომ ისტორიული გეოგრაფია მისი ორგანული ნაწილი შეიქნა. მარი ბროსე, დ. ბაქრაძე, ს. კაკაბაძე, ე. თაყაიშვილი, მ. ჯანაშვილი და არა ერთი სხვა, ის მეცნიერნი იყვნენ, რომელთაც გარკვეული ღვაწლი დასდეს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ შესწავლას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მიმართულებით აკად. ნ. მარი, რომელმაც მრავალრიცხოვან ცალკეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ დაკვირვებათა გვერდით ჩვენ დაგვიტოვა სანიმუშოდ შესრულებული ნაშრომები ამა თუ იმ მხარის ისტორიულ გეოგრაფიიდან, როგორცაა, მაგალითად, მისი „დღიური“, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას რომ აქვს წამძღვარებული, ან მისივე „**Ватум, Ардаган, Карс—исторический узел межнациональных отношений Кавказа**“ და სხვ.

მაგრამ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ფუძემდებლად ჩვენი ისტორიოგრაფიის ახალ ხანაში მაინც აკად. ი. ჯავახიშვილი უნდა ჩაითვალოს. განსხვავებით სხვა ამ დარგის მეცნიერთაგან ი. ჯავახიშვილმა სპეციალური ნაშრომი უძღვნა მთლიანი საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას და ეს შრომა მისივე „ქართველის ერის ისტორიას“ წინ წაუძღვარა.

ამრიგად, ვახუშტის მიერ წამოწყებული ტრადიცია აღდგა, რითაც ქართული ისტორიოგრაფია დაწინაურებულ კულტურულ ხალხთა ისტორიოგრაფიას გვერდში ამოუდგა.

ამ სახელოვანი ტრადიციის გაგრძელებაა ის, რომ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა ამოცანად დაიდვა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის მეცნიერული შესწავლა და ამ მიზნით სპეციალური განყოფილება შექმნა.

\* \* \*

ტოპონიმიკურ (ადგილთა სახელები) მასალას უპირველესად ენათმეცნიერების დარგი ტოპონიმია შეისწავლის, მაგრამ ტოპონიმიკური მონაცემები ისტორიისათვის (ისტორიული გეოგრაფიისათვის) ყოველად აუცილებელი პირველხარისხოვანი წყაროა. ამიტომ ამა თუ იმ ქვეყნის ადგილთა სახელების შეგროვება-შესწავლით ისტორია ასევე დაინტერესებულია.

ასპინძა და ფუნდუკი, ყელი და ჭვართა-ყელი, კიბე და მისაქციელი, კარი და კლდე-კარი, გარდათხრილი და ჩასავალი, მილიონი და ნებოძირი, ქარვასლის ხევი და ბარგი-ყარია, სათრეელი და სასვენია, ბაში და საბაეო, ზესტაფონი და კოწახურისფონი, ხიდისთავი და ხიდიკარი, ცხემლის ხიდი და ქუბურ-ხინჯი, ოხერხიდა და ხიდარი, ტინიხიდი და კასტირი ხიდი, გატეხილი ხიდი და ნახიდური, ყველა ეს და სხვა მრავალი ადგილთა სახელწოდებანი უტყუარი და ძვირფასი ჩვენებანია ძველი საქართველოს გზებისა, მათი მიმართულებისა თუ მშენებლობის შესასწავლად. ასეთივე მეტყველსა და უხვ ჩვენებებს შეიცავს ადგილთა სახელწოდებანი ჩვენს წინაპართა შრომა-მეურნეობისა, მშენებლობა-მოსახლობისა, ლხენა-გართობისა, ბრძოლისა, რელიგიისა და ცხოვრების სხვა მხარეთა შესახებ. მოკლედ, ადგილთა სახელები გადაშლილი წიგნია, რომელშიაც ჩვენს წინაპრებს თავისი თავგადასავალი ცხოვლად ჩაუწერიათ. აი ამ წარსული ცხოვრების აღსადგენ მეცნიერულ მასალად განიხილავს ისტორიული გეოგრაფია ამა თუ იმ ქვეყნის ადგილთა სახელებს (ტოპონიმიკას).

აქედან ცხადია, თუ რამდენად საჭირო და მნიშვნელოვანია ქვეყნის ტოპონიმიკური მასალის სრულად და მეცნიერულად შეგროვება და გამოცემა.

ამ საჭიროების გათვალისწინებით იყო, რომ ჩემს მოწაფეს, წინამდებარე წიგნის ავტორს, ამხ. ი. სიხარულიძეს ასეთი სამუშაოს წამოწყება ეურჩიე და შემდეგაც თვალყურს ვადევნებდი მის ამ თემაზე მუშაობას. ი. სიხარულიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სანაქებო და ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთათვის მისაბაძი საქმის მოყვარეობა, ენერგია და უნარი გამოიჩინა და მოკლე დროში აქარის დიდი ტოპონიმიკური მასალა შეაგროვა და, როგორც მისი შრომის შესავლიდან დანახავს მკითხველი, ეს მასალა მეცნიერული ღირებულებისაა. რა თქმა უნდა, სავარაუდებელია, რომ ი. სიხარულიძის ეს ნაშრომი არ ამოწურავს აქარის ტოპონიმიკას, მაგრამ აქ მოცემული მასალა იმ ოდენობისა (და ხარისხის) უსათუოდ არის, რომ მასზე დაყრდნობილი მკვლევარი გულდაჭერებული იყოს მის მიერ დადგენილი მეცნიერული სურათის სანდობაში.

წინამდებარე წიგნში აქარის მხოლოდ ერთი ნაწილია აღწერილი ტოპონიმიკურად. ამხ. ი. სიხარულიძეს თითქმის მზად აქვს მეორე ნაწილის ტოპონიმიკაც. აქარის ხელისუფალთა გულისხმიერი დამოკიდებულების წყალობით და ხელის შეწყობით ეს მეორე წიგნიც, იმედია, მალე დაიბეჭდება და ქართულ საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებას სრულად ექნება ხელთ ძვირფასი უტყუარი მასალა ამ მხარის წარსული ცხოვრების შესასწავლად.

აკად. ნ. ბიჩიშვილი

19. VIII. 1958 წ.

## შესავლის მაგივრად

ტოპონომასტიკა, ან მოკლედ ტოპონიმია გეოგრაფიულ ნომენკლატურას, ადგილთა სახელწოდებებს შეისწავლის.

ტოპონიმია ლექსიკოლოგიის შემადგენელი ნაწილი და ისტორიის ფრიად საყურადღებო დამხმარე დისციპლინაა.

ისტორიულ ასპექტში ტოპონიმია შეისწავლის გეოგრაფიულ სახელთა წარმომავლობას და მათ ცვალებადობას. ისტორიული ტოპონიმია უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილია ისტორიული გეოგრაფიისა.<sup>1</sup>

ტოპონიმია საყურადღებო მასალას გვაწვდის ამა თუ იმ ტერიტორიაზე ოდესმე მოსახლე ხალხთა ისტორიის შესასწავლად.

ადგილთა სახელწოდებებში შემონახულია ეთნონიმიაც, ე. ი. იმ ტომ-ნათესავთა სახელები, რომელთა სამკვიდრებელიც ყოფილა ოდესღაც ეს მიწა-წყალი; შემონახულია აგრეთვე ბევრი საზოგადო სახელი, რომელიც შემდეგ საკუთარ სახელად შერჩენია მდინარეს, ტყეს, მთას, საძოვარს, სახნავ-სათესსა და სხვ. ზშირად რიგი ასეთი სახელებისა ცოცხალი მეტყველების ლექსიკურ ფონდში აღარ გვხვდება, გამქრალია, ზოგჯერაც ფრიად შეცვლილი სახით არის მოღწეული, რომლის პირვანდელი ფორმის აღდგენისათვის სერიოზული ლინგვისტურ-ისტორიული ძიებაა საჭირო.<sup>2</sup>

ამგვარ სახელთა ეტიმოლოგია მეცნიერებისაგან დიდ სიფრთხილეს და წინდახედულობას მოითხოვს, რადგანაც იგი, როგორც სამართლიანად შენიშნავდა აკად. ს. ჯანაშია, „...ადვილად შეიძლება ზღვა შეცდომების წყაროდ იქცეს მეთოდოლოგიური სიმკაცრის ოდნავი შესუსტების პირობებში. გასაგებია, აგრეთვე, რომ ტოპონიმიაში ყველაზე დიდ სიფრთხილეს მკვლევარისაგან ინდივიდუალური მოვლენები მოითხოვს და ყველაზე საიმედო მისთვის ტოპოლოგიური ანალიზი რჩება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა გეოგრაფიული სახელების მორფოლოგია“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> С. В. Веселовский. Топонимика на службе у истории. «Исторические записки», 1945 г., кн. 17, стр. 24.

<sup>2</sup> გ. ახვლედიანი, აფხაზეთის ისტორიული ეპონიმის ზოგიერთი საკითხისათვის, „მნათობი“, 1957 წ., № 2, გვ. 107.

<sup>3</sup> ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტო საქართველოს ტოპონიმიაში, სსრკ მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის მოამბე, ტ. 1, № 8, 1940 წ., გვ. 623.

**ტოპონიმიკური  
კვლევა-ძიების  
ისტორიიდან**

ტოპონიმიკისადმი ინტერესს ისტორიკოსები უძველესი დროიდან იჩენდნენ, მაგრამ მას, როგორც ისტორიის დამხმარე დარგს, სერიოზული ყურადღება მხოლოდ რენესანსის ეპოქაში მიეჭა. პირველი ისტორიკოსი, რომელმაც ისტორიის საშენ მასალად

ადგილთა სახელების მომარჯვება სცადა, იყო ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის ერუდიტულ-ისტორიული სკოლის ცნობილი წარმომადგენელი გერმანელი ბეატუს რენანი (1482—1547 წწ.)<sup>1</sup>

რუსეთში ისტორიული გეოგრაფია (Положения мест) ისტორიას პირველად მკიდროდ დაუქავშირა დიდმა რუსმა ისტორიკოსმა ვასილ ნიციტას-ძე ტატიშჩევმა (1686—1750 წწ.)<sup>2</sup> ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ დარგის ფუძემდებელია სახელოვანი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი (1696—1770 წწ.), რომელიც თავისი დროის დიდი ისტორიკოს-გეოგრაფი და კარტოგრაფი იყო.

ვახუშტის კარტოგრაფიული ნამუშევრები ცნობილი იყო თავისი დროის რუსი და ევროპელი კარტოგრაფებისათვის და ფართოდაც იყენებდნენ მას. 1737 წელს ბატონიშვილის რუკებზე ფრანგულ ენაზე თარგმნა და გამოსცა გამოჩენილმა ევროპელმა გეოგრაფმა და ასტრონომმა დელილიმ.<sup>3</sup>

ნაშრომი, რომლითაც ვახუშტიმ საფუძველი ჩაუყარა ქართულ ისტორიულ გეოგრაფიას, ესაა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც მისი დიდი მემკვიდრეობის მარგალიტს წარმოადგენს და დღემდე რჩება საქართველოს ისტორიკოსის, გეოგრაფის და ზოგიერთი სხვა დარგის მკვლევართა სამაგიდო წიგნად.

ვახუშტის კარგად ჰქონდა შეცნობილი ისტორიული გეოგრაფიის ადგილი და მნიშვნელობა მეცნიერებაში და არც ცდებოდა, როდესაც „ადგილთა აღწერას“ (ისტორიული გეოგრაფია) ისტორიის („მატიანეს“) ორგანულ ნაწილად თვლიდა. „...ესე მატიანე, — წერდა ბატონიშვილი, — განიყოფების ოთხწილად: ადგილის აღწერად, ნათესავმეტყველებად, წლისმრიცხველობად და მოქმედების აღწერად, და ესეცა განიყოფების ორად — საეკლესიოდ და სამოქალაქოდ.“<sup>4</sup>

„ნათესავმეტყველება“ ეს უცხოური „გენეალოგიის“ ქართული შესატყვისია, ასევეა „წლისმრიცხველობაც“, რომელიც ევროპული „ქრონოლოგიის“ ქართული ექვივალენტია, „მოქმედების აღწერა“ ეს საკუთრივ ისტორიული ამბების გადმოცემას ნიშნავს, ხოლო „ადგილთა აღწერა“ ევროპულსავე „ტოპონიმიკას“ ეთანასწორება.

ვახუშტის მიხედვით „ადგილის აღწერა“, როგორც „მატიანეს“ შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი, ამავე „მატიანეს“ სრულყოფის საქმეს უნდა ემსახურებოდეს. ამის გამო არის, რომ მეცნიერი ბატონიშვილი თავის „აღწე-

1 Eduard Fcuerer, Geschichte der neueren Historiographie, München und Berlin, 1911 წ., გვ. 190-191.

2 В. Н. Татищев, Российская история, т. I, ч. I, стр. 542; П. Пекарский, Новые известия о В. Н. Татищеве, прилож. к IV тому ЗИАН, № 4, 1864 г., стр. 56-63.

3 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბილისი, 1941 წ., გვ. XVIII.

4 იქვე, გვ. 3.

რა სამეფოსა საქართველოსა“-ში მარტოოდენ გეოგრაფიული ხასიათის ცნობების მოტანით კი არ კმაყოფილდება, არამედ ეხება ისტორიულ ძეგლებსაც: ციხეებს, ტაძრებს, ხილებს, არხებს, სასახლეებს, რეებს, ურთავს ისტორიული ხასიათის ცნობებს, თუ ვის მიერ ან როდის იქნა აშენებული, დანგრეულ-შემუსრული ან განახლებულ-ადგენილი. აი, მაგალითად, არტანუჯი ვახუშტის ასე აქვს აღწერილი: „ამ ხილს ზეით (იგულისხმება ხვარამზეს ხიდი ქოროხზე, ი. ს.) მოერთვის ქოროხს მდინარე არტანუჯისა. ეს გამოსდის ქვაყრილის მთას, მოდის აღმოსავლეთიდან დასავლად. ამ წყალს მოერთვის ჩილოლამ, ქოროხს ზეით, სხვა წყალი არტანუჯისავე... ამ წყლის შესართავის ზეით, წინათქმულს წყალზედ, არს არტანუჯი, ქალაქი მცირე და ციხე მაგარი, კეთილშენი. ეს აღაშენა გორგასალ, შემდგომად შემუსრა ყრუმ, მერვე აღაშენა და განაახლა აშოტ კურაპალატმან, და ალაგო ციხესა შინა ეკლესია პეტრე-პავლესი... არს არტანუჯს ეკლესია გუნმათიანი, კეთილ-დიდ-შვენიერნაგები. ეს იყო მონასტერი და აწ არს უქმი. კვალად აქვე არტანუჯს აღაშენა გორგასლან მონასტერი მერისა, შინ დობისა და ახიზისა, ფრიად შვენიერნი, კვალად ქმნა ახიზს ქვაბნი კლდისა გამოკვეთილნი, ფრიად მაგარნი და შეუალნი“.<sup>1</sup>

ასეთნაირადვე არის დახასიათებული საქართველოს სხვა ციხე-ქალაქები და ისტორიული ადგილები.

მეცნიერი ბატონიშვილი თავისებურ ფილოლოგიურ კვლევა-ძიებასაც მიმართავდა. „აღწერა“-ში მრავალი გეოგრაფიული სახელის ახსნა-განმარტებაა მოცემული. საესებით სწორად აქვს აღნიშნული ვახუშტის, მაგალითად, რომ საქართველოს „ევროპელნი და ბერძენნი უხმობენ ჯორჯიანსა, და რუსნი გრუსსა, და მოჰმადიანნი გურჯსა მათითა ორფოლრაფიის გამო, არამედ იგივე გიორგიავე არს“.<sup>2</sup> ასევე მართებულად შენიშნავს ბატონიშვილი, რომ სახელი ყვირილა „მდინარემან ამან მოიგო სახელი... თვისის ჩქარისა და კლდესა ზედა დინებითა, ვინადგან ხმოვანებს შორ სასმენლად“<sup>3</sup> და სხვ. თუმცა ვახუშტის ეტიმოლოგიების დიდი ნაწილი მაინც ხელოვნური და თავისუფალია და არაფრით განსხვავდება ხალხური ეტიმოლოგიისაგან. ასეთია მაგ., ივერიის,<sup>4</sup> მანავიერის,<sup>5</sup> არაგვის,<sup>6</sup> არტანუჯის,<sup>7</sup> თუხარისის,<sup>8</sup> ლეჩხუმის,<sup>9</sup> რაჭის,<sup>10</sup> ოკრიბის,<sup>11</sup> გურიისა<sup>12</sup> და სხვა ვახუშტისეული ეტიმოლოგიები.

სხვანაირად არც იყო მოსალოდნელი. ასეთი თავისუფალი ეტიმოლოგიური ვარჯიში მარტოოდენ ვახუშტის როდი ახასიათებდა, იგი საერთოდ იყო დამახასიათებელი წინამეცნიერული ხანისთვის ამ დარგში გასული საუკუნის 40-იან

1 ვახუშტი, აღწერა... გვ. 137.

2 იქვე, გვ. 28-29.

3 იქვე, გვ. 151.

4 იქვე, გვ. 28.

5 იქვე, გვ. 38.

6 იქვე, გვ. 62.

7 იქვე, გვ. 121.

8 იქვე, გვ. 136.

9 იქვე, გვ. 148.

10 იქვე, გვ. 162.

11 იქვე, გვ. 164-165.

12 იქვე, გვ. 174.



წლებამდე, ვიდრე სიტყვის ახსნა და გააზრება მის მკაცრ მეცნიერულ ანალიზს დაეფუძნებოდა.

ვახუშტი ბაგრატიონმა ახალი ეტაპი შექმნა ქართულ ისტორიოგრაფიაში და დიდი მეცნიერული მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მაგრამ საქართველოს ძნელბედობამ ქართული ისტორიული აზრის განვითარება შეაფერხა. 1724 წელს მეფე ვახტანგ VI იძულებული იყო სამშობლოდან გადახვეწილიყო და მტერთაგან მიმძლავრებულს რუსეთისათვის შეეფარებინა თავი. ვახტანგს თან გაჰყვა საქართველოდან რჩეული ქართველი მოღვაწეები. ქართველებს რუსეთშიც არ შეუწყვეტიათ სამშობლოში დაწყებული სამეცნიერო მუშაობა და სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ, „მაგრამ მათი ეს მოღვაწეობა,—როგორც მართებულად შენიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი, — იმ დროის საქართველოს მეტად მცირედა რგებდა. სამშობლოში მათი ნამუშავევი ერთობ მცირედ მოდიოდა და ოსმალთა-ყიზილბაშობის პირობებში აქ ის ვერც სათანადო გამოძახილს პოულობდა. და, რაც უმთავრესი იყო, ორი თაობის სიგრძეზე ინტენსიური მუშაობის შედეგად შექმნილი ქართული კულტურის კერა უმემკვიდრეოდ გადასაშენებლად იყო განწირული: საქართველოს ნიადაგს მოწყვეტილი მოსკოვის ქართველთა კოლონია კულტურულ მოღვაწეთა ახალ თაობას ვერ ქმნიდა.“<sup>1</sup>

ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება-დაწინაურებას დიდად შეუწყობელი 1845 წელს ქართველოლოგიის კათედრის დაარსებამ პეტერბურგის უნივერსიტეტში. ეს სასახელო საქმე აკად. მ. ბროსეს სახელს უკავშირდება. მ. ბროსეს წვლილი ქართველთმცოდნეობის განვითარებაში დიდია, მას ყურადღების გარეშე არც საქართველოს ისტორიული გეოგრაფია რჩებოდა. ამავე რიგის საკითხებს გულმოდგინედ სწავლობდნენ საქართველოში მომუშავე ისტორიკოსები: დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი, ექვთ. თაყაიშვილი და სხვ.

ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა აკად. ნ. მარი. იმ მრავალრიცხოვან ნაშრომებში, რომლებშიც ნ. მარი გეოგრაფიულ სახელთა ანალიზს მიმართავს ამა თუ იმ ისტორიული საკითხის გადაწყვეტისას, მრავალი სანიმუშო ღრმამეცნიერული მაგალითის მითითება შეიძლება.

ტოპონიმიკურ მონაცემებზე დაკვირვებამ მარი იმ მართებულ დასკვნამდე მიიყვანა, რომ აჭარა-გურია და იმერეთი ერთ დროს მეგრულ-ჭანურ ენაზე მოლაპარაკე ქართველური ტომებით იყო დასახლებული.

მაგრამ, ყველგან და ყოველთვის როდი ავითარებდა მარი ასეთ სწორ შეხედულებებს. მის ნაშრომებში საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკის არაერთი საკითხია გადაწყვეტილი მცდარად. ქართველთმცოდნეობა-

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1944 წ., ნაკვ. 1, გვ. 184.

ში დღეს უკვე ნ. მარის ასეთი შეცდომები მრავლადაა აღნიშნული და მეცნიერულად გასწორებული.

ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის საქმეს განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდო მეცნიერ ბატონი-შვილის დიდი ტრადიციების სახელოვანმა გამგრძელებელმა ქართულ ისტორიოგრაფიაში აკად. ივ. ჯავახიშვილმა. ივ. ჯავახიშვილს კარგად ესმოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიული გეოგრაფიის რიგიანი შესწავლის აუცილებლობა საქართველოს ისტორიის ნათელი წარმოდგენისა და გაგებისათვის. „ვისაც ჰსურს მომხდარი ამბების მნიშვნელობა და ქართველთა ცხოვრების განვითარების მიმდინარეობა ნათლად წარმოიდგინოს, მას ჯერ საქართველოს იმდროინდელი გეოგრაფია შესწავლილი უნდა ჰქონდეს“—ო—წერდა სახელოვანი ისტორიკოსი და სავესებით სამართლიანდაც.<sup>1</sup> მართალია საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესახებ ისტორიკოსს იმ დროს ხელთ ჰქონდა ვახუშტი ბაგრატიონის დიდებული წიგნი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და ზოგიერთ ქართველოლოგთა ცალკეული გამოკვლევები, მაგრამ ეს საქმეს მაინც არ შეელოდა და ივ. ჯავახიშვილიც საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შემდგომი სერიოზული დამუშავების აუცილებლობის წინაშე იდგა. იგი მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული გატაცებით შეუდგა საქმეს. წლების მანძილზე ამ დარგში ავტორის დაუღალავი მუშაობის შედეგად შეიქმნა „საქართველოს საისტორიო გეოგრაფია VII-XII სს.“, რომელიც 1914 წელს დაიბეჭდა „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნში, „საქართველოს საზღვრები“ და „საქართველოს ისტორიული რუკა.“

პირველი ნაშრომი, რომლის შეტანაც მკვლევარს ქართველი ერის ისტორიის შესავლის პირველ წიგნში ჰქონდა გამოზნული, ორი ნაწილისაგან შედგება. აქედან პირველი ნაწილი ძველ ქართულ გეოგრაფიულ ტერმინებს იხილავს, ხოლო მეორე — საკუთრივ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს. ნაშრომის პირველ ნაწილში ავტორს ისტორიულ ასპექტში აქვს შესწავლილი „სოფელი“, „ქვეყანა“, „დაბა“, „აგარა“, „ქარი“, „მთა“, „ბარი“, „თხემი“, „ქედი“ და მრავალი სხვა გეოგრაფიული ტერმინი.

მეორე ნაწილში კი, რომელიც რამდენიმე პარაგრაფისაგან შედგება, თანმიმდევრულად განიხილება რიგი საკითხებისა: საქართველოს მთები, ზღვები, ტბები და მდინარეები; მესამე პარაგრაფში, რომელიც ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის“ ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს, ეროვნული და უცხოური წყაროების ცნობათა საფუძველზე გარკვეულია საქართველოს ცალკეული „ქვეყნების“, ლიხთ აქეთისა, ლიხთ იქეთისა და მესხეთის მხარეთა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, დადგენილია თითოეული

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბილისი, 1948 წ., გვ. 1.

ქართული „ქვეყნის“ საზღვრები და ისტორიული გავრცობა-შემცირების არეები.

ავტორის მხედველობიდან არც საქართველოს ძველი გზები რჩება და, დასასარულ, ქართული ისტორიოგრაფიის ამ ხარვეზსაც მნიშვნელოვნად ავსებს.

1919 წელს დაიბეჭდა საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში ივ. ჯავახიშვილის მეორე საყურადღებო გამოკვლევა „საქართველოს საზღვრები“, რომელშიც მეცნიერული საბუთიანობით არის ნაჩვენები, თუ ისტორიულად სად გადიოდა ჩვენი ქვეყნის ესა თუ ის საზღვრის ხაზი.

საზღვრების მიმოხილვას მკვლევარი ჩრდილო-დასავლეთიდან იწყებს. საქართველოს საზღვრის ხაზი ამ კუთხეში, ისტორიულად, აწინდელთან შედარებით, „ძალიან ჩრდილოეთით მდებარეობდა, სახელდობრ, იმ ადგილას, სადაც კავკასიონის მთავარი ქედი იწყებოდა“.<sup>1</sup> (მროველით: „სადა წარსწუთების წუერი კავკასისა“).<sup>2</sup>

წყაროების კრიტიკული ანალიზით ივ. ჯავახიშვილი მართებულად აღადგენს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვრის ხაზს, რომელიც მდ. ბზიზის (ძველი კაბოეტის წყალი), აუზის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მდებარე ქედს გასდევდა.<sup>3</sup>

ჩრდილოეთის საზღვარი კავკასიონის მთავარი უღელტეხილით მიემართებოდა, რომელიც დარიალის ხეობასთან უფრო ჩრდილოეთით იყო გადაწეული და ქედის იქეთა მხარეზე გადადიოდა.<sup>4</sup>

საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთის უკიდურესი თემი ჰერეთი იყო. ამ კუთხის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი, რომელიც დაღისტნის მთებზე გადადიოდა, ამავე დროს საქართველოს სახელმწიფო საზღვარიც იყო. საქართველოს აღმოსავლეთი საზღვრის გარკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გიშის წყალის ადგილმდებარეობის დადგენის საკითხს. ივ. ჯავახიშვილი ძველი ქართული წყაროების გიშის წყალს აიგივებს რუსული რუკების მდ. კიშთან, და მართებულადაც: ვახუშტი გიშს ალაზნის შემდინარედ თვლიდა, რუსული რუკებით კი ეს მდინარე ალაზნის შენაკად აგრიჩაის ერთვის. საქართველოს ამ სასაზღვრო მდინარის სახელი, აგრიჩაი, გვიანი ხანისაა, ძველად კი იგი, როგორც სამართლიანად მიუთითებს ივ. ჯავახიშვილი, იმ ადგილიდან მოკიდებული, სადაც აწინდელი გიში (კიში) ერთვის, გიშის წყლის სახელით ყოფილა ცნობილი.<sup>5</sup> ამ გარემოების გათვალისწინება ნათელს ჰყენს საქართველოს საზღვრის ხაზს ამ მხარეზე.

ისტორიული სამართლიანობითაა დადგენილი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთი საზღვარი. განსაკუთრებით ვრცლად განიხილავს ავტორი ამ უკანასკნელს, რომელიც ისტორიულად მეტისმეტი ცვალებადობით ხასიათდებოდა. ასევე ითქმის საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვრის

1 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, ტფილისი, 1919 წ., გვ. 4.

2 ქართლის ცხოვრება, ს. უახიშვილის რედ., თბილისი, 1955 წ., გვ. 5.

3 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 5.

4 იქვე, გვ. 9.

5 იქვე, გვ. 11.

შესახებაც. ზემო ქართლი, ანუ როგორც მომეტებულად უწოდებდნენ მესხეთი, რომელიც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს მოიცავდა, მრავალსხედასხვა სახელწოდების თემს აერთიანებდა. მათ შორის სანაპირო თემებს შეადგენდნენ: ჭავჭავთ-აბოცი, არტაან-კოლა, კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთუმ-ისპირი. კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთით შავი ზღვისპირა მხარე ჭანეთი იყო.<sup>1</sup>

ისტორიული გეოგრაფიის საკითხებთან ერთად ავტორს განხილული აქვს მესხეთის მხარეთა ეთნიკური შემადგენლობისა და პოლიტიკური ისტორიის საკითხები.

ისტორიულ გეოგრაფიაში ი. ჭავჭავაძის ხანგრძლივი კვლევის გვირგვინია საქართველოს ისტორიული რუკა, რომელიც 1923 წელს დაიბეჭდა. ისტორიული გეოგრაფიის ეს ძვირფასი განძი, როგორც ასეთი რუკის შედგენის პირველი ცდა ჩვენში ცხადია, დაზღვეული ვერ იქნებოდა ნაკლოვანებათაგან (მასზე მართლაც შეინიშნება ზოგიერთი ხარვეზი), მაგრამ ძირითადად იგი საქმის საფუძვლიანი ცოდნით არის შესრულებული, დიდი ღირსებები გააჩნია და დღემდე ინარჩუნებს მეცნიერულ ღირებულებას.

ივ. ჭავჭავაძის ყურადღებით ეკიდებოდა, აგრეთვე, ისტორიულ ტოპონიმოკასაც. სახელოვან ისტორიკოსს გეოგრაფიულ სახელებზე დაყრდნობით საქართველოს უძველესი ისტორიის არა ერთი საკითხი აქვს გაშუქებული. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი, 1913 წელს გამოცემული „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნის შესავალი და „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“. ეს უკანასკნელი 30-იან წლებშია შესრულებული.

ძველ საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში რიგი საგულისხმო მოსაზრებები აქვს გამოთქმული პროფ. ს. კაკაბაძეს. ნაშრომში — „ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები“, რომელიც 1924 წელს გამოქვეყნდა „საისტორიო მოამბის“ პირველ წიგნში, ავტორი ვრცლად მიმოიხილავს იბერიისა და კოლხეთის ტერიტორიული მოცულობის, მათი ოლქობრივი შედგენილობისა და ტოპონიმის საკითხებს. ამავე რიგის საკითხებზეა მსჯელობა აგრეთვე ს. კაკაბაძის იმავე წელს დაბეჭდილ გამოკვლევაში „საისტორიო ძიებანი“. ასევე ითქმის ნაშრომზე „ძიებანი ქართველთა IV-VII ს. ისტორიის შესახებ“,<sup>2</sup> რომელშიც მკვლევარს ეგრისის პოლიტიკური გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი აქვს განხილული.

\* საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის სადავო-საცილობელ საკითხებს ეხება ს. კაკაბაძე რეცენზიაში, რომელიც ივ. ჭავჭავაძის ისტორიული რუკის შესახებ დაიბეჭდა 1924 წელს „საისტორიო მოამბის“ პირველ წიგნში (გვ. 293—297) და ივ. ჭავჭავაძის პასუხის პასუხში.<sup>3</sup>

1 იქვე, გვ. 35.

2 „საისტორიო კრებული“, წიგნი II, თბილისი, 1928 წ., გვ. 1 — 59.

3 „საისტორიო მოამბე“, წიგნი II, თბილისი, 1925 წ., გვ. 265 — 268.

„მდ. ჰიბერის“ ლიახვ-გვერდისძირთან გაიგივებას მიუძღვნა ავტორმა ნარკვევი „საქართველოს უძველეს ტოპონიმიკიდან“, რომელიც დაიბეჭდა 1925 წ. „საისტორიო მოამბის“ მეორე წიგნში, (გვ. 1—3).

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკის საკითხებს გულმოდგინედ ამუშავებდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი აკად. ს. ჯანაშია.

ს. ჯანაშიას შრომებში, როგორცაა „უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ“,<sup>1</sup> „კავკასიელი ეთნარქ-ეპონიმების ანტიკური სქემა“,<sup>2</sup> „იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში“,<sup>3</sup> „პარიადრი, სკიდისი, მოსხური მთები“,<sup>4</sup> „აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის“<sup>5</sup> და ბევრ სხვაში იბერიის უძველესი პოლიტიკური გეოგრაფიის მრავალი საკითხია გამუქებული.

სახელოვან მეცნიერს ყურადღების გარეშე არც კოლხეთის ისტორიული გეოგრაფია რჩებოდა. ამ პრობლემისადმი მიძღვნილი მისი გამოკვლევა „კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან“, რომლის მხოლოდ ერთი ნაწილი — „ფასილი“ არის დაბეჭდილი.<sup>6</sup>

ისტორიული გეოგრაფიის მკვლევარმა არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღებით არ მოეკიდოს ტოპონიმიკას და ს. ჯანაშიაც ენერგიულად სწავლობდა ჩვენი ქვეყნის ადგილთა სახელებს. ასე მაგ., დას. საქართველოს ტოპონიმიკაში ჩრდილო-კავკასიური წარმოშობის ადგილთა სახელების გამოვლინებას მიეძღვნა მისი ნაშრომი „ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში“ (გამოქვეყნდა 1940 წელს). გარდა ამისა ნაშრომში „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“,<sup>7</sup> და ზოგიერთ სხვაშიც, ს. ჯანაშიას რთული ისტორიული მოვლენების გასაშუქებლად მრავალი გეოგრაფიული სახელი აქვს მოშველებული და ღრმად გაანალიზებული.

ს. ჯანაშია დაუცხრომლად იბრძოდა ისტორიის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი — „Об одном примере искажения исторической правды“,<sup>8</sup> ამ შრომაში გაცამტვერებულია ნ. ტოკარსკის წიგნის „ძველი სომხეთის არქიტექტურა“ — (რედაქტორი ი. ორბელი) ტენდენციურ-ცრუმეცნიერული შეხედულებანი სამხრეთ საქართველოს ხელოვნების ძეგლთა, ისტორიის, პოლიტიკური გეოგრაფიისა და სხვა საკითხებში.

1 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბილისი, 1952 წ., გვ. 21 — 101.

2 იქვე, გვ. 238 — 248.

3 იქვე, გვ. 249 — 259.

4 იქვე, გვ. 261 — 270.

5 იქვე, გვ. 282 — 305.

6 იქვე, გვ. 271 — 281.

7 სრულ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, № 8, 1940 წ., გვ. 623 — 627.

8 Вопросы истории, 1947 г., № 5.

ტოპონიმისა და ისტორიული გეოგრაფიის დარგში საყურადღებო გამოკვლევების ავტორია აკად. ნ. ბერძენიშვილი. 1941 წელს ნ. ბერძენიშვილმა თ. ლომოურთან ერთად გამოსცა ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, წიგნს უძღვის ნ. ბერძენიშვილის შესავალი წერილი, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება; პირველი ნაწილი ვახუშტის ბიოგრაფიასა და საისტორიო გეოგრაფიაში მის ღვაწლს გვიხასიათებს, ხოლო მეორე — მისი ხელნაწერის აღწერილობისადმი მიძღვნილი. რედაქციამ დიდი მუშაობა გასწია ვახუშტის გეოგრაფიული მემკვიდრეობის საფუძვლიანი შესწავლის ხაზით; გულმოდგინედ შეაჯერა ვახუშტის ავტოგრაფი მისი გეოგრაფიის სხვა მრავალ ხელნაწერებს, მეცნიერულად დაადგინა ნაშრომის ტექსტი და უცილობლად დაასაბუთა ყველა მის ხელნაწერთა ერთი დედნიდან მომდინარეობის აზრი.

მუშაობის პროცესში დაისახა მეტად საინტერესო კულტურულ-ისტორიული ხასიათის საკითხი: „ვახუშტის გეოგრაფიის ისტორია“, რომელიც კიდევ დაამუშავა თ. ლომოურმა.

განსაკუთრებული გულისყურით ეკიდება ნ. ბერძენიშვილი საქართველოს ისტორიულ ტოპონიმის. 1950 წელს დაიბეჭდა მისი საყურადღებო ნაშრომი „ძველი თბილისის ტოპონიმებიდან“, რომელშიც დადგენილია გეოგრაფიულ სახელ „აგარანის“ ადგილმდებარეობა და ამ პუნქტთან დაკავშირებული შეფოთალური ხანის საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები.

ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევით XII-XIII საუკუნეებში თბილისის სამხრეთ-დასავლეთით მიმდგამი სოფლები შინდისი, ტაბახმელა და კოჯორი იწოდებოდნენ საერთო სახელით — „აგარანი“, სადაც საზაფხულო რეზიდენციები ჰქონდათ საქართველოს მეფესა და ქართველ დიდებულებს. ნაშრომში შესანიშნავად არის გარკვეული ისტორიული გეოგრაფია ფეოდალთა იმ ცნობილი აჯანყებისა, რომელიც 1178 წელს მეფე გიორგი III-ის წინააღმდეგ მოეწყო დემნა ბატონიშვილის მეთაურობით.

გეოგრაფიულ ტერმინ „საზურგე“-ს ადგილსამყოფელის გარკვევას მიეძღვნა ნ. ბერძენიშვილის ნაშრომი „ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში“.<sup>1</sup>

იმ მრავალ საინტერესო ნაშრომათგან, რომელიც ნ. ბერძენიშვილს საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში აქვს შესრულებული, ჯერ მხოლოდ მცირე ნაწილია გამოქვეყნებული, ბევრი მათგანი დღე-დღეზე ელის გამოქვეყნებას, მათ შორის, განსაკუთრებით საყურადღებოა „ძველი საქართველოს გზები“.

ონომასტიკურ მასალას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული მეცნიერების იმ უბანზე, რომელიც ჩვენგან ათასწლეულებით არის დაშორებული, და სადაც წერილობითი წყაროების სიმცირეს განვიციდით. ად-

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. X — B, ტფ., 1940 წ., გვ. 17 — 22.



გილთა სახელებს დიდ ყურადღებას აქცევს საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი პროფ. გ. მელიქიშვილი.

ტოპონიმიკური მონაცემები წარმოადგენს, მაგალითად, ავტორის მთავარ წყაროს, მეორე ათასწლეულის დასასრულისა და პირველი ათასწლეულის დამდეგის სამხრეთ-ამიერკავკასიის მოსახლეობის ენობრივი მიკუთვნილობის გამოსარკვევად. ენობრივი კუთვნილების დადგენას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური ვინაობის გასაგებად, ვინაიდან ენა, როგორც ცნობილია, წარმოადგენს იმ უმთავრეს ნიშანს, რომელიც ყველაზე უკეთ ავლენს ხალხის ეთნიკურ სახეს.

ონომასტიკური მასალების მეცნიერული ანალიზი საშუალებას აძლევს გ. მელიქიშვილს დაასკვნას, რომ აღებულ ხანაში დიალექტის სამეფოს მოსახლეობა, ისე როგორც სამხრეთ ამიერკავკასიის სხვა ოლქების მცხოვრებლები, ეთნიკურად ახლო იდგნენ ხური-ურარტულ ტომებთან, მეტიც: აღნიშნული ტერიტორიის ცენტრალური და აღმოსავლეთის რაიონების (აირარატის ოლქი, სევანის ტბის რაიონი) განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს ურარტულ ტომებთან, ხოლო დასავლეთის რაიონებში (ყარს-ერზრუმის რაიონი, ყარასუს (ეფფრათი) ზემო წელი და სხვ.) სჭარბობს ხურიტული ელემენტები.<sup>1</sup>

სატომო სახელებსა და ტოპონიმიკურ მონაცემებზე დაყრდნობით აშუქებს გ. მელიქიშვილი ლულუბიელების, ქაშქების და რიგ სხვა ძველდამოსავლურ ხალხთა ეთნიკური ვინაობისა და ისტორიის მრავალ საკითხს.<sup>2</sup>

ონომასტიკონი ფართოდ არის გამოყენებული აგრეთვე გ. მელიქიშვილის ცნობილ შრომაში „ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის ძველდამოსავლური მასალები“, რომელმაც ავტორს ისტორიის მეცნიერების დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და ლენინური პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება მოუპოვა.

თანამედროვე საბჭოთა ორიენტალისტიკის ამ შესანიშნავი გამოკვლევის პირველ ნაწილში, — „ნაირი-ურარტუ“ (1954 წელს გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით), დიდი ადგილი ეთმობა ნაირ-ურარტუს ქვეყნებისა და მასში შემავალ სამხრეთ-ამიერკავკასიის ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკის საკითხებს,

ადგილთა სახელებსა და საერთოდ ონომასტიკონს ყურადღებით ეკიდება და ვრცლადაც განიხილავს ცნობილი ქართველოლოგი პ. ინგოროყვა თავის ნაშრომში „გიორგი მერჩულე“, რომელიც 1949 — 1951 წლებში პერიოდულად იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე, ხოლო 1954 წელს ცალკე წიგნად გამოიცა.

1 გ. მელიქიშვილი, უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, „მომომხილველი“, ტ. II, თბილისი, 1951 წ., გვ. 203 — 230.

2 გ. მელიქიშვილი, ლულუბის ხალხი და ზამფას ქვეყანა, „მომომხილველი“, ტ. III, თბილისი, 1953 წ., გვ. 169 — 191; მისივე, ქაშქების ხალხის ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, იქვე, გვ. 193 — 205.

ზოგი ჩვენი ავტორიტეტული სპეციალისტი უარყოფით შეფასებებს ადგილას ადგილთა სახელების ინგოროყვასეულ ასსნა-განმარტებებს, და ეს ცალკეულ შემთხვევებში არც თუ უსაფუძვლო ჩანს. „გიორგი მერჩულა“-ში მართლაც გვხვდება გეოგრაფიულ სახელთა ზოგიერთი არასწორი და ნაკლებ სარწმუნო ეტიმოლოგიური ანალიზი, მაგრამ მისი ძირითადი ნაწილის მეცნიერული ღირებულება ეჭვს არ იწვევს.

ისტორიულ ტოპონიმიკას ავტორი განიხილავს თავისი შრომის მეოთხე თავის („დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო „აფხაზეთის სამეფო“ და ცნობები მის შესახებ გიორგი მერჩულის ძეგლში“) პირველ ქვეთავში („აფხაზეთის მხარეთა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში“, გვ. 119 — 189); აქ მოცემულ „სპეციალურ ექსკურსში“ სათაურით: „აფხაზეთის მხარეთა გეოგრაფიული სახელწოდებანი და მათი კავშირი ქართულ ენობრივ სამყაროსთან“ (გვ. 146 — 189), გაანალიზებულია 136 გეოგრაფიული სახელწოდება.

პ. ინგოროყვა გადაჭრით უარყოფს ჩრდილო-კავკასიური (ჩერქეზულ-ადიღური) ელემენტის არსებობას აფხაზეთისა და საერთოდ დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში და ამტკიცებს, რომ „ყველა ეს სახელწოდებანი... ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის“-ო (გვ. 146). აღნიშნულ ტერიტორიაზე იგი ვერ პოულობს „ვერც ერთ სახელწოდებას, რომელიც იხსნებოდეს ჩერქეზული ჯგუფის ენით“ (იქვე).

ასეთი მტკიცება მართებული არ არის. ჩრდილო-კავკასიური ტიპის სახელწოდებანი აფხაზეთში თითქმის ფეხის ყოველ გადადგმაზე გვხვდება, შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც საკმარისად ვხვდებით ამგვარ ადგილთა სახელებს დას. საქართველოს სხვა რაიონების, განსაკუთრებით გურიის, ტოპონიმიაში. ჩერქეზულ-ადიღური ელემენტის არსებობა დას. საქართველოს ტოპონიმიაში კი, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა აკად. ს. ჯანაშია, „აქ ჩერქეზული მოსახლეობის ოდინდელი ნაკვალევია“.<sup>1</sup>

„მერჩულეს“ ავტორი ვრცლად განიხილავს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს, რომელიც ამჟამად ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს და შუქს ჰფენს ბურჟუაზისტულ თუ მცდარად გაშუქებულ მრავალ საკითხს.

ნაშრომის მეხუთე თავში „მესხეთის (შემო-ქართლის) მხარეები და ცნობები მის შესახებ გიორგი მერჩულის ძეგლში“ (გვ. 296 — 399) განხილულია შემო-ქართლის ქვეყნების — კლარჯეთის, შავშეთის, ტაოს, სპერის, ნიგალის, არტანის, ჯავახეთის, სამცხის, აჭარის და სხვათა ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკის არა ერთი საკითხი.

მომდევნო თავში (გვ. 400 და შემდ.) პ. ინგოროყვა კრიტიკის ქარცეცხლ-

1 ს. ჯანაშია, ჩერქეზულ (ადიღური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიაში, გვ. 626.



ში ატარებს საქართველოს სამხრეთი მხარეების ისტორიისა და ისტორიულ-გეოგრაფიის საკითხებში მეცნიერული კვლევების დამმარტებელთა (სენ. მარტენი, ჰ. კიპერტი, ჰ. ჰილბერტი, ნ. ტოკარსკი, ნ. მიხანკოვა და სხვ.) და უცხოურ თუ ძველ ქართულ წყაროთა ცნობების მომარტებითა და მკაცრი კრიტიკულ-მეცნიერული ანალიზით აღადგენს ისტორიულ სინამდვილეს.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს ცალკეულ მხარეთა ტოპონიმიკაზე არსებობს კიდევ რამდენიმე გამოკვლევა, რომელთაგან აღსანიშნავია პროფ. ს. ჯიქიას ნაშრომი „სამცხე-საათაბაგოს ტოპონიმიკისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი“, რომელიც „მზვარე“, „ჩრდილი“, „ჩილიდრის“ ვარკვევას ისახავს მიზნად.<sup>1</sup> ლეჩხუმის გეოგრაფიულ ნომენკლატურაზე საყურადღებო მოსაზრებებს შეიცავს პროფ. მ. ჩიქოვანის „ლეჩხუმური კილო და ტოპონიმიკა“, რომლის ერთი ნაწილი „ტოპონიმიკური ლექსიკონი“ 1939 წელს დაიბეჭდა<sup>2</sup> ხოლო მეორე — „ტოპონიმიკური სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით“<sup>3</sup> — 1949 წელს.

ჩვენი დედაქალაქის ისტორიული გეოგრაფიის ერთ-ერთი საინტერესო პუნქტის — „სოლდებლის“ (იხსენიება ძველ არაბულ წყაროებში) ადგილმდებარეობას არკვევს მ. ლორთქიფანიძის წერილი „ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან“.<sup>4</sup>

აფხაზეთის ტოპონიმიკისა და ეთნონიმიკის საკითხებს ეხება ხ. ბლაჟბა წერილში «Некоторые вопросы этнонимии и топонимии Абхазии», რომელიც პ. ინგოროყვას „გიორგი მერჩულეს“ გამო დაიბეჭდა 1956 წელს.<sup>5</sup> ამავე რიგისაა ზ. ანჩაბაძის სტატია «Вопросы истории Абхазии в книге П. Ингорквэ «Георгий Мерчуле» Грузинский писатель X века»<sup>6</sup> ქ. ლომთათიძის — „აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხების შესახებ“<sup>7</sup> და გ. ახვლედიანის — „აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის“.<sup>8</sup>

1 ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები (ქვემოთ შემოკლებით — თსუ შრომები), ტ. XLI, 1950 წ., გვ. 185 — 195.

2 თსუ შრომები, ტ. IX, 1939 წ., გვ. 135 — 155.

3 ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, გვ. 233 — 242.

ეს სტრუქტურები აწუთბილი იყო, როცა გამოქვეყნდა მ. ალაიძის „ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი“. წერილი დაბეჭდილია ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედინსტიტუტის შრომების XVIII ტომში (ქუთაისი, 1958 წ.). ამავე ინსტიტუტის შრომების XVII ტომში მ. ალაიძემ დაბეჭდა „ქვემო-რაჭული ტოპონიმიკური ლექსიკონი“, რომელსაც ერთვის ამბროლაურის რაიონის სოფლებისა და გვარების სია.

4 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბილისი, 1954 წ., გვ. 159 — 165.

5 დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 27, სოხუმი, 1956 წ., გვ. 279 — 303.

6 იქვე, გვ. 261 — 278.

7 მნათობი, № 12, 1956 წ., გვ. 132 — 139.

8 მნათობი, № 2, 1957 წ., გვ. 107 — 114.

წალკა-თრიალეთის ტოპონიმის ეხება პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი წარკვევაში — „წალკა-თრიალეთის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმის შესწავლისათვის“, დაიბეჭდა 1934 წელს.<sup>1</sup>

ქლუხორის რამდენიმე ტოპონიმურ სახელს განიხილავს გრ. ზარდალი-შვილი წერილში „ქლუხორის რაიონის ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელთა დადგენისათვის“.<sup>2</sup>

ქვემო მაკაბელის გეოგრაფიულ სახელთა წარმოებას არკვევს და ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე, ა. მსხალაძის შრომა „მაკაბელის ხეობის ტოპონიმისათვის“<sup>3</sup> და სხვ.

როგორც ვხედავთ, ქართულ ტოპონიმის საკმაო ტრადიცია აქვს და დღესაც ჩვენში გაცხოველებული მეცნიერული მუშაობა მიმდინარეობს ამ დარგშიც. ამას ადასტურებს ის, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილის ინიციატივით 1957 წ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ისტორიული გეოგრაფიის განყოფილება, რომელშიც მ მეცნიერმუშაყია გაერთიანებული. მაგრამ ეს რიცხვი მაინც ცოტაა; გასაკეთებელი და სამუშაო ამ დარგში იმდენად დიდი და სერიოზულია, რომ მკვლევართა მრავალრიცხოვან კოლექტივს მოითხოვს.<sup>4</sup>

ტოპონიმის სწრაფი განვითარებისათვის ოდნავადაც არ არის საკმარისი რუკის მონაცემები ან „კანტი-კუნტად შეგროვილი მასალები. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიულ სახელწოდებათა თანმიმდევრობითა და დაწვრილებით შეკრება. 1945 წელს ამაზე სამართლიანად მიუთითებდა ცნობილი საბჭოთა ტოპონიმისტი ს. ბ. ვესელოვსკი.

„...უნდა აღინიშნოს, — წერდა იგი, — რომ სასურველია ტოპონიმურ მასალების უშუალო შეკრება ადგილების თანმიყოლებით შესწავლისა და ადგილობრივ მცხოვრებთა გამოკითხვის გზით. მხოლოდ ამ გზით შეიძლება იქნას შეკრებილი დიდი რაოდენობით სხვადასხვა პატარა მდინარეების, ხეუბნებისა და სხვათა სახელწოდება, რომლებიც არ მოხვედრილან და შეიძლება არც მოხვდნენ არც ერთ რუკაზე, არც სოფლების სიგეში. ასეთი ადგილობრივი სახელწოდებები დროთა ვითარებაში წაიშლება ხოლმე მოსახლეობის მეხსიერებაში მსგავსად ფოლკლორის ნაყოფისა და საჭიროა ვიჩქაროთ მათი შეკრება, ვინაიდან გაივლის, ალბათ, 40-50 წელი და არ დარჩება ხალხური შემოქმედების ამ ნაყოფის კვალიც კი. არქეოლოგიური და ფოლკლორული ექსპედი-

1 კრებული „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, თბილისი, 1934 წ., გვ. 27 — 44.

2 თსუ შრომები, ტ. 36, თბილისი, 1949 წ., გვ. 144 — 150.

3 რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, ტ. I, 1954 წ., გვ. 17 — 29.

4 მკვლევართა მრავალრიცხოვანი და კვალიფიციური კადრები მუშაობენ ტოპონიმის საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში, კერძოდ, ინგლისში, სადაც 1923 წელს ჩამოყალიბდა ადგილთა სახელების შემსწავლელი საზოგადოება პროფ. ალან მეუერის ხელმძღვანელობით; ამ გარემოებამ დიდი სტიმული მისცა ისტორიის ამ ღირსშესანიშნავი დარგის განვითარებას ინგლისში. (R. E. Zachrisson, Five years of English placename study (1922-1927), „Englische studien“, B. 6 2, Leipzig, 1928 (28) 64).

საზოგადოების წევრებმა დიდი მუშაობა გასწიეს ტოპონიმურ მასალების შესაკრებად; ამ საქმეში განსაკუთრებით ენთუზიაზში გამოავლინა ე. ბ. გვერძმა, რომელმაც უამრავი მასალა შეაგროვა სამხრეთ დევონშირში, კორნუელში და მიდლესექსში და გამოსცა კრება (იქვე, გვ. 101).

ინგლისის ტოპონიმის შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვით პროფესორებს: მეუერს, სტენტონს, სეფილდის, ფორსტერს, და მრავალ სხვას. (იქვე, 64-103).

ციების მსგავსად, განსაკუთრებით სასურველია ექსპედიციების მოწყობა სსრკავშირის ცალკეულ ხალხთა ტერიტორიაზე, სადაც ადგილობრივ სახელწოდებებს სწრაფად სცვლის ახალი სახელწოდებები.<sup>1</sup>

სასეებით სწორად მიუთითებს ავტორი ტოპონიმიკური მასალების შეკრება-შეგროვების გზებსა და ამ საქმის დაჩქარებით შესრულების აუცილებლობაზე. მაგრამ იმაში კი ვერ დავეთანხმებით მას, რომ თითქოს ჩვენი დღეს ადგილთა ძველი სახელწოდებანი სრული გაქრობის საფრთხის წინაშე იდგეს. მართალია, ჩვენი ეპოქის სიახლე სწრაფად პოულობს ასახვას ტოპონიმიკაში, მაგრამ ძველი ნომენკლატურა ადვილად როდი სთმობს პოზიციას და ახლის პარალელურად დიდხანს განაგრძობს არსებობას, რაც ტოპონიმიკის „კონსერვატიული“ ბუნებით აიხსნება. ტოპონიმიკურ სახელწოდებათა ძირითადი თავისებურებაც სწორედ არის „... მათი სიმყარე და სიცოცხლისუნარიანობა, რის გამოც ისინი წარმოადგენენ უძველეს ძეგლებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ჩავწვდეთ კაცობრიობის ისტორიის, კულტურისა და ენის სიღრმეში.“<sup>2</sup>

გეოგრაფიულ სახელწოდებათა შეკრების საქმეს რომ დროულად უნდა მიხედვა, ეს უდავოა. ამას მოითხოვს არა მარტო ძველ გეოგრაფიულ სახელწოდებათა დაკარგვა-გაქრობის საშიშროება, არამედ უპირველეს ყოვლისა თვით ტოპონიმიკური კვლევა-ძიებისა და ისტორიული მეცნიერების განვითარების ინტერესები. სამწუხაროდ, დღემდე ტოპონიმიკურად საქართველოს არც ერთი კუთხე არ არის აღწერილი და შესწავლილი. ცალკეულ სახელწოდებათა შესახებ არსებული გამოკვლევები საქმეს ვერ შევლის. მთავარია პირველ რიგში საფუძვლიანად იქნას აღწერილი ადგილთა სახელწოდებებით მდიდარი ჩვენი ქვეყანა და შემდეგ დაუყოვნებლივ გამოიყენოს ეს მასალები, რათა საშუალება მიეცეს სათანადო დარგების სპეციალისტებს გაეცნონ მას და სათანადოთავე გააანალიზონ იგი.

უდიდესი დაკორდებული ყამირი არის გადაშლილი ისტორიკოსების წინაშე, რომლის გატეხა-დამუშავება დიდად შეუწყობს ხელს ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის დაწინაურებას და სინათლის სხივს მოჰყვანს საქართველოს ისტორიის დღემდე ბურუსით მოცულ მრავალ საინტერესო საკითხს. ამ საქმეში აქტიურად უნდა ჩაებან ჩვენი ახალგაზრდა ისტორიკოსები.

მართალია, ადვილი როდია საქართველოს ურიცხვი სოფლების შემოვლა და ტოპონიმიკური აღწერა, მაგრამ როცა ისტორიოგრაფიის წინსვლა-განვითარების ინტერესები მოითხოვს ამას, იგი უნდა აუცილებლად გაკეთდეს.

**სამხრეთ-დასავლეთ  
საქართველოს  
ისტორიული  
გეოგრაფიული**

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ის ნაწილი, რომელიც ამჟამინდელ საქართველოს საზღვრებშია და აჭარის ასსრ-ში შედის, რამდენიმე ძველი ქართული თემისა თუ მისი ნაწილისაგან შედგება. ესენია: საკუთრივ ისტორიული აჭარა (აჭარისწყლის ხეობა), შავშეთის ნაწილი (ქვემო-

1 ს. მ. ვესელოვსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

2 БСЭ, второе издание, 42, стр. 663.

შაჭახელი), ნიგალის ნაწილი (მირვეთიდან — კირნათ-მარადიდან), აფსარ-გონიის თემი (თხილნარისა და გონიის სასოფლო საბჭოები), ჭანეთის მცირე ნაწილი (მსქიბულალ-ტიბაშიდან კვარიათამდე) და ქვემო-გურია (მდინარეებს ჩოლოქსა და ჭოროხს შორის მდებარე მიწა-წყალი), უკანასკნელის გარდა, რომლის ტოპონიმის წარმოდგენა მეტისმეტი სიდიდის გამო წინამდებარე წიგნში ვეღარ მოხერხდა, ჩვენ აქ ყველა სხვა ჩამოთვლილი ძველი ქართული ოლქების ისტორიულ გეოგრაფიას დაეხასიათებთ მოკლედ, ხოლო ბათუმის რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილისა და ქობულეთის რაიონის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე მსჯელობა გვექნება მეორე წიგნში.

დავიწყეთ ისტორიული აჭარით.

### აჭარა

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის დიდებული მკვლევარი ვახუშტი ბაგრატიონი აჭარას ასე შემოსაზღვრავდა:

„... მზღერის (მას) აღმოსავლით მთა აჭარასა და ზარზმას შორისი; და გარდაეალს მას ზედა გზა სამცხეს; სამხრით მთა აჭარასა და ლიგანის-ხეცს შორისი; დასავლით მდინარე ჭოროხი; ჩდილოთ მთა გურიასა და აჭარას შორისი“.<sup>1</sup>

რამდენადმე განსხვავებული ცნობა მოეპოვება XI საუკუნის ქართველ ისტორიკოსს ლეონტი მროველს, რომლის მიხედვით აჭარა ვრცელდებოდა „ნოსტის თავიდან ზღუამდის“ (შავი ზღვა. ი. ს.)<sup>2</sup>

ხსენებული ისტორიკოსის თხზულებიდან ირკვევა, რომ „ნოსტი“ მდინარეა. ოძრხის საერისთავოში წარმოებული ბრძოლების აღწერისას მროველი ამბობს: „უფროსი ბრძოლა... იყუის მდინარესა ზედა, რომელსა ჰქუიან ნოსტი“.<sup>3</sup>

სამწუხაროდ, ნოსტის ადგილსამყოფელის დადგენა არ ხერხდება, რადგან ეს მდინარე არც 5-ვერსიან რუკაზე და არც სხვა წყაროში იხსენიება.<sup>4</sup>

აჭარის დასავლეთის საზღვრად მროველი შავ ზღვას დებს; შესაძლებელია ამ მხარის ერისთავის საგამგეოს ერთ ღროს მართლაც ასეთი განვრცობა ჰქონოდა დასავლეთით, მაგრამ აჭარა ისტორიულად აჭარისწყლის ხეობას აღნიშნავდა და დასავლეთით იქამდე მიდიოდა, სადამდეც ეს ხეობა ვრცელდებოდა. ხერთვისის და კიბე ამ მხარეს აჭარის უკიდურეს სოფლებს წარმოადგენდნენ.

გვიანი ბრინჯაოს ხანაში ისტორიული აჭარის მიწა-წყალი პენიოხთა მსხვილი გაერთიანების ფარგლებში შედიოდა. ამ გაერთიანებას ბოლო მოუღეს კოლხთა ტომებმა. კოლხების მიერ შექმნილმა ეთნიკურ-პოლიტიკურმა გაერთიანებამ, რომელიც ურარტულ წყაროებში „ეულხას“<sup>5</sup> სახელით იხსენება, მალე დიდ წარმატებებს მიაღწია.

1 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941 წ., გვ. 134.

2 ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა, თბილისი, 1942 წ., გვ. 17.

3 იქვე გვ. 29.

4 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბილისი, 1948 წ., გვ. 57.

5 სახელწოდება „ეულხა“ „კოლხა“ წარმოსდგება გეოგრაფიული სახელისაგან „კოლა“, ზური-ურარტული სატომო სახელების მანქარობები „ხა“ ელემენტის დართვით (გ. მე-ლიქიშვილი, ურარტუ, თბილისი, 1951 წ., გვ. 142).



„კულხას“ სამხრეთით უშუალოდ ეკვროდა დიაუხ-დაიენის სამეფო, რომელიც XII-IX ს.ს. (ძვ. წ. ა.) ნაირი-ურარტუს ვრცელ ტერიტორიაზე ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა. ახლანდელი არზრუმისა და ყარა-სუს (დას. ევფრატი) სათავეიდან მოკიდებული ეს სახელმწიფო შორს ჩრდილოეთით განივრცობოდა და თავის ფარგლებში მოიცავდა ისტორიული კოლხეთის მიწა-წყლის გარკვეულ ნაწილს.<sup>1</sup>

დიაუხის გაერთიანება VIII საუკუნის შუახანებში დაეცა. ამით ისარგებლა „კულხამ“ და დიაუხის ჩრდილოეთ პროვინციებს დაეპატრონა.

VIII საუკუნეში კულხას დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდა ურარტუს წინააღმდეგ. განსაკუთრებით სარდურ II-ის (760 — 730 წ.წ.) დროს, მაგრამ შემდეგ ურარტუ თანდათან დასუსტდა, რამაც ხელი შეუწყო კულხას კიდევ უფრო გაძლიერებას.

კულხა — კოლხეთის<sup>2</sup> ძლიერების ხანაში მის ფარგლებში ერთიანდებოდა შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე მდებარე ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ლუონტი მროველის ცნობების მიხედვით აჰარა უძველეს დროში ეთნარქ ქართლოსის უფროსი შვილის მცხეთოსის სამფლობელოში<sup>3</sup> შედიოდა, შემდეგ კი ეს თემი უკანასკნელის საშუალო ვაეის ოძრხოსის წილხდომილ ქვეყანაში<sup>4</sup> ერთიანდებოდა. უფრო მოგვიანებით ფარნავაზ მეფემ (IV-III საუკუნეების მიჯნა ძვ. წ.) ამ მიწა-წყალზე ოძრხის საერისთავო ჩამოაყალიბა, რომელშიც სამცხესთან ერთად აჰარაც შედიოდა. ლ. მროველის სიტყვით თავის მიერ განწესებულ რვა ერისთავთაგან ფარნავაზმა „ერთი გაგზავნა ოძრხის ერისთავად, და მისცა ტასისკარიდგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავიდგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჰარა.“<sup>5</sup>

რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეეფერება ცნობა აჰარის თავიდანვე აღმოსავლურ ქართული გაერთიანების ფარგლებში არსებობის შესახებ. ეტყობა, მროველი გვიანდელ ანალოგიებზე აგებს თავის მსჯელობას. აჰარა იბერიის შემადგენლობაში საგულისხმებელია არა უადრეს II ს-სა (ძვ. წ.), როდესაც იბერია მნიშვნელოვნად აფართოებს თავის სამფლობელოს დაცემის გზაზე შემდგარი კოლხეთის სამეფოს ხარჯზე და ქოროხის აუზს ეუფლება.

აკად. ს. ჯანაშიას გამოკვლევით „სტრაბონის (თუ მისი სათანადო წყაროს) დროს იბერიის ტერიტორია ქოროხის ხეობაში გადადიოდა.“<sup>6</sup>

1 გ. მელიქიშვილი, უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, „მიომხილველი“, ტ. II, თბილისი, 1951 წ., გვ. 209.

2 კოლხეთს პირველად იხსენიებს VIII ს. (ჩვ. ერამდე) ბერძენი ეპიკოსი ევმელოსი (აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, ავ. ურუშაძის წინასიტყვაობით და განმარტებებით, თბილისი, 1948 წ., გვ. 224, შენიშვნა 1). მანამდე კი დასავლეთ საქართველოს ძველი ბერძენი მწერლები „აია“-ს უწოდებდნენ. (ს. ყუხუიშვილი, „გიორგი მერჩულის“ გარშემო, „მნათობი“, № 2, 1957 წ., გვ. 120).

3 მცხეთოსის სამფლობელო მოიცავდა მიწა-წყალს „ტფილისითგან და არაგვითგან დასავლეთ ვიდრე ზღუამდე სპერისა“ (ქართლის ცხოვრება, ანასუელი ნუსხა, გვ. 5).

4 ოძრხოსის სამფლობელო ვრცელდებოდა „ტასის-კარიოთგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 6).

5 იქვე, გვ. 17.

6 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 256. (ხაზი ჩვენია ო. ს.).

პლინიუსის (23-79 წწ.) ცნობით: „140 ათას ნაბიჯზე ტრაპეზუნტადან არის მდინარე აფსარი, რომლის შესართავთან იმავე სახელის მქონე ციხე-სიმაგრეა. ამ ადგილებში მთებს გადაღმა იბერიიაა.“<sup>1</sup>

მდ. აფსარი ქოროხია, ხოლო მის შესართავთან არსებული ციხე-ქალაქი აფსარ-გონია. ის მთები კი, რომლის გადაღმაც იბერიიაა, ავად. ს. ჯანაშიას სიტყვით, სტრაბონისეული მოსხური მთებია.<sup>2</sup> მოსხური მთები კი იგივე ჭანეთის მთებია, პონტოს მთაგრეხილის აღმოსავლეთი ნაწილი.<sup>3</sup>

აქვე ქოროხთან იწყება გურია-აჭარის ქედი, რომლის გადაღმაც აჭარაა. ამრიგად, პლინიუსის მოტანილი ცნობის საფუძველზე შესაძლებელი ხდება აჭარის მიჩნევა იბერიის შემადგენლობაში. ამავე ცნობაზე დაყრდნობით პროფ. ს. კაკაბაძე წერს: „შევეთი, სამცხე და, რრგორც ჩანს, აჭარის ერთი ნაწილი მაინც ამ დროს უკვე იბერიად ითვლებოდა.“<sup>4</sup> სამცხე და აჭარა II საუკუნეშიც იბერიის ფარგლებშია.<sup>5</sup>

იბერიის შემადგენლობაშია აჭარა ანანია შირაქელის (VII ს.) გეოგრაფიის მიხედვითაც.<sup>6</sup>

VIII საუკუნის მეორე ნახევარში აჭარა ადარნესე (ნესრე პირველის ძის) ბაგრატიონის სამფლობელოში გაერთიანდა. „მატიანე ქართლისაჲ“-ს გადმოცემით ხსენებულმა მმართველმა „იყვალა... ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭარისა, ნიგალისა, ასისფორისა, არტანისა და ქუემოსა ტაოსა... და წარვიდა ადარნესე კლარჯეთად, და მოკუდა მუნ.“<sup>7</sup>

აქედან ირკვევა, რომ მესხთა ქვეყნების ცენტრი იყო კლარჯეთი, სადაც რეზიდენცია ჰქონდა ამ მხარის მფლობელს ადარნესე ბაგრატიონს.

IX საუკუნის დამდეგს ქართლიდან ტაო-კლარჯეთში გადმოდის და ახალ „ქართლის სამეფოს“ უყრის საფუძველს აშოტ ბაგრატიონი. ეს სამეფო ვრცელ მიწა-წყალს მოიცავდა, მის ფარგლებში ერთიანდებოდა აჭარაც.

IX საუკუნის 80-იანი წლებიდან აჭარა შედიოდა შავშეთ-არტანის საერისთავთ-საერისთავოში.

ამ სამფლობელოს პირველი მმართველი იყო ერისთავთ-ერისთავი გურგენ პირველი კურაპალატი (გარდ. 891 წ.).

გურგენის შემდეგ შავშეთში მთავრობს ჯერ მისი უფროსი შვილი ადარნესე, ხოლო 896 წლიდან — აშოტი, კუხად წოდებული.

აშოტ კუხი გარდაიცვალა 918 წელს. მას მემკვიდრე არ დარჩენია. აშო-

1 პლინიუსი, Naturalis Historia VI, § 12. Вестник древней истории, т. II, 1949 г., стр. 234 (ქვემოთ შემოკლებით—ВДИ).

2 ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 256.

3 იქვე, აგრეთვე, მისი, პირიადრი, სკიდისი, მოსხური მთები, „შრომები“, II, გვ. 261—270.

4 ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, „საისტორიო მოამბე“, წიგნი I, თბილისი, 1924 წ., გვ. 33.

5 იქვე, გვ. 36.

6 ამ წყაროს ცნობით იბერიაში შემდეგი ოლქებია: კლარჯეთი, არტანი, შავშეთი, ჯავახეთი, სამცხე, აჭარა, და სხვ.

(Армянская география, изд. К. П. Патканов, СПб, 1877, стр. 83).

7 ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა, გვ. 161-162.

ტის შემდეგ შავშეთში „ხელმწიფობდა“ მისი ძმისწული გურგენი (918-941 წწ.).<sup>1</sup>

კონსტანტინე პორფიროგენეტის (912-959) ცნობით იბერიის კურაპალატს<sup>2</sup> ოთხი ერისთავი ექვემდებარებოდა. მათ შორის ვერიასახის, კარნატაის, ყუელისა და აჰარის.<sup>3</sup> პირველი ორი საერისთავოს ადგილის დადგენა არ ხერხდება. ა. რამბო პირველს დამახინჯებულ ბერციხედ (იმერეთში), ან ბერშოეთად (ქართლში) თვლიდა, მეორის შესახებ კი ვარაუდობდა შეიძლება დამახინჯებული ქართული იყოსო.<sup>4</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი უარყოფდა რამბოს მოსაზრებას და ფიქრობდა, რომ, რადგან ჯავახეთი (ყუელის ციხე) და აჰარა მესხეთის ქვეყნებია, ამიტომ „ვერიასახი“ და „კარნატაისიცი“ მესხეთისავე სხვა თემების (შავშეთის, ტაოს, ან კოლას) ციხეთა დამახინჯებული სახელები იქნებაო.<sup>5</sup>

მოტანილი ცნობის მიხედვით X საუკუნის პირველ ნახევარში აჰარა ცალკე საერისთავო იყო, მისი ერისთავი იბერიის კურაპალატს ემორჩილებოდა.

საყურადღებოა ისიც, რომ ბიზანტიის კეისარი აფხაზეთის მფლობელს „ექსუსზიასტეს“ ტიტულით იხსენიებს, ხოლო აჰარისა და სხვათა მმართველებს „არხონტებს“ უწოდებს.

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით „ექსუსზიასტი“ ღირსებით „არხონტ“-ზე მაღლა იდგა.<sup>6</sup>

XI საუკუნიდან აჰარას, მესხეთის სხვა თემებთან (არტანუჯი, შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე) ერთად მართავს გაერთიანებული საქართველოს მეფის მიერ დანიშნული მოხელე აბუსერისძეთა ფეოდალური საგვარეულოდან. აბუსერისძეთა უძველეს წარმომადგენელს—არტანუჯის ციხის მქონებელ იოანეს იხსენიებს „მატიანე ქართლისაჲ“ XI საუკუნის 20-იანი წლების დასასრულის ამბების აღწერილობაში.<sup>7</sup>

XI საუკუნის დამდეგამდის. არტანუჯი „კლარჯთა მეფეების“ ხელში იყო. ბაგრატ მესამე კი, სუმბატ დავითისძის გადმოცემით, „კლარჯნი ხელმწიფენი“ სუმბატი და გურგენი მოტყუებით შეიპყრო და „აიღებუნა ქვეყანანი და ციხენი.“<sup>8</sup> „კლარჯთა ხელმწიფენი“ თმოგვის ციხეში იყვნენ გამოკეტილნი 1011 წლამდე, ვიდრე დაიხოცებოდნენ.<sup>9</sup> ამათი შვილებიდან ზოგიერთნი ბიზანტიაში გაიქცნენ და ბასილ კეისარს შეეხიზნენ, ხოლო „რომელ დაშთეს ამათ ქვეყანასა, მოისრნეს ყოველნი სიკუდილითა პატიმრობასა შინა.“<sup>10</sup>

1 ისტორიკოსები კარგად ახასიათებენ გურგენ ერისთავთ-ერისთავს. სუმბატის ცნობით გურგენმა „უმეტესნი სიმხენნი და ბრძოლანი ქმნა ყოველთა მამათა მისთასა და დამორჩილნა ყოველნი ვარემოსნი“ (ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. I, თბილისი, 1955 წ., გვ. 380). გ. მერჩულეს სიტყვით გურგენი იყო „დიდი... ხელმწიფე ფრიადთა ნათესავთა“ (ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, პ. ინგოროყვას გამოც., თბილისი, 1949 წ., გვ. 72).

2 აკად. ივ. ჯავახიშვილი იბერიის კურაპალატის ქვეშ პირველ ქართველთა მეფეს აღარ-ნესე II-ეს (888 — 923 წწ.) გულისხმობს. ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 111.

3 გეორგიკა, IV, ნაკვ. II, თბილისი, 1952 წ., გვ. 291.

4 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 111.

5 იქვე.

6 იქვე, გვ. 107.

7 ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა, გვ. 183.

8 სუმბატი, ცხოვრება და უწყება ბაგრატოვანთა, ექვ. თაყაიშვილის გამოც., თბილისი, 1949 წ., გვ. 68.

9 იქვე.

10 იქვე.

ამ ღონისძიების გატარების შემდეგ ბაგრატ III „კლარჯთა ხელმწიფეთა“ სამფლობელოს მმართველად თავისი ერთგული მოხელე დაუდგენია და მისთვის ჩაუბარებია არტანუჯი და კლარჯეთი.

დოც. ლ. მუსხელიშვილის აზრით არტანუჯის ჩაბარება იოანე აბუსერისძისადმი რამდენადმე მოგვიანებით მომხდარა, ამავე დროს მის ხელში უნდა გადასულიყო შავშეთის ერისთავობაც.<sup>1</sup> XI საუკუნის 20-იან წლებში შავშეთის ერისთავობა ჩანჩახ ფალელს სუქერია.

1028 წელს ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე საქართველოს მეფის წინააღმდეგ გზავნის ლაშქარს ნიკიტა პარაკიმენონის საარდლობით, რომელმაც „მოვლო და მოაოხრა ქუეყანანი იგი, რომელნი პირველ მოეოხრნეს ბასილი მეფესა, და უმეტესცა“.<sup>2</sup> მტერი თრიალეთს მოვიდა და კლდეკარის ციხეს შემოადგა. ლიპარიტ IV-ის ხელმძღვანელობით ქართველებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ბიზანტიელებს. „რამესა იხილა პარაკიმენონჴმან, რომელ ვერას ავნებდეს, შეიქცა გარე“.<sup>3</sup> მტრის მხარეზე გადავიდა მესხეთის აზნაურთა ნაწილი. „და განდგეს კულად აზნაურნი, და მისცნეს ციხენი, ჩანჩახამან, ერისთავმან შავშეთისამან, მისცა ციხე წეფეთისა, და თვით წარვიდეს იგინი საბერძნეთს“<sup>4</sup> — ამბობს სუმბატი.

ოდნავ განსხვავებული ცნობა აქვს დაცული „მატიანე ქართლისაჲ“-ს, სადაც ნათქვამია: „მასვე ეამსა წარვიდა ჩანჩახი ფალელი საბერძნეთს, მისცა ციხე და მიერთო ბერძნეთა.“<sup>5</sup>

ჩანჩახ ფალელის ღალატის შემდეგ შავშეთის ერისთავობა მეფეს რომელიმე ერთგული აზნაურისათვის უნდა ჩაეზარებინა. ლ. მუსხელიშვილის ვარაუდით „აღბათ ამ დროს ჩაჴბარდა იოანე აბუსერისძეს... არტანუჯიცა და შავშეთის საერისთავოც. გარდა ამისა, მას, უეჭველია, აჴარაც ექირა“.<sup>6</sup>

იმავე წყაროში 40-იანი წლების ამბების მოთხრობაში მოხსენებულია „აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა და ციხის ჯურისა“,<sup>7</sup> რომელიც ლიპარიტ კლდეკარის ერისთავმა გამოიტყუა ანისიდან და შეიპყრო.<sup>8</sup> ბაგრატ IV-ის ერთგულებისათვის. აქვე შეიპყრო მან მეფისავე ერთგულები იოანე ერისთავი და ივანე დადიანი.<sup>9</sup> ეს აბუსერი ხსენებული იოანეს-ძე უნდა იყოს.<sup>10</sup>

ბაგრატ მეფე ძლიერ შეაშფოთა ლიპარიტის მოქმედებამ. იგი მოეხსნა თბილისს და ჯავახეთისაკენ გაემართა, მაგრამ მაწყვერელის ღალატმა აიძულა ბრძოლას მორიდებოდა და უკან დაბრუნდა. კლდეკარის პატრონმა მეფეს მისივე ნახევარძმა დიმიტრი დაუპირისპირა და დიდძალი ლაშქარი შემოიყარა. მდგომარეობა გამწვავდა. ლიპარიტს მეფისადმი მიძევლად მიცემული შვილის

1 აბუსერისძე ტბელი, ლ. მუსხელიშვილის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1941 წ., გვ. 18.

2 სუმბატი, გვ. 72.

3 ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა, გვ. 182.

4 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 385.

5 ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა, გვ. 182.

6 აბუსერისძე ტბელი, შესავალი, გვ. 18.

7 ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა, გვ. 187.

8 იქვე.

9 იქვე.

10 აბუსერისძე ტბელი, შესავალი, გვ. 18.

ბედი აფიქრებდა. ასეთ ვითარებაში ურჩი ფეოდალის მძევალს მეფისაგან კარგი დღე არ დაადგებოდა. ამიტომ, ლიპარიტმა „ითხოვა იგი (შვილი მისი ივანე. ი. ს.) ბაგრატიისაგან, ნაცულად გაუშუა აბუსერის თავის ციხითა მშუი-დობით“.<sup>1</sup> მაგრამ აბუსერს ბედი მაინც არ წყალობდა. სასირეთის ჭალის თავს გამართულ ბრძოლაში იგი ისევ ჩაუვარდა ხელში კლდეკარის ერისთავს.<sup>2</sup>

სასირეთის ბრძოლის შემდეგ ბაგრატ მეფის მომხრე მესხეთის ფეოდალები სულა კალმახელი და გრიგოლ არტანუჯელი (აბუსერისძე) გამოვიდნენ ლიპარიტის წინააღმდეგ. მათვე „შეიწუივნეს სხუანიცა აზნაურნი მესხნი“.<sup>3</sup>

ბრძოლად ამდგარმა მესხმა აზნაურებმა იხმეს მეფეც. ბაგრატ IV-მაც არ დააყოვნა, გამოემართა ლაშქრით, გადმოიარა რკინისჯვარი და მომხრეებს არყის ციხესთან შეუერთდა;<sup>4</sup> მაგრამ ყურზე არც ლიპარიტს ეძინა. მან ყველაფერი ეს კარგად იცოდა, ამიტომ, იგი მოულოდნელად დაეცა მოწინააღმდეგეებს არყის ციხესთან და დაამარცხა ისინი.

გრიგოლ აბუსერისძე ტყვედ ჩავარდნილთა შორის იყო. მას „სთხოვეს არტანუჯი სიკუდილისა ქადებითა, და მისცა“.<sup>5</sup> ამრიგად, არტანუჯი ლიპარიტის ხელში გადავიდა. ლიპარიტის შეპყრობის შემდეგ (1057 წ.) მეფეს არტანუჯი თავისთვის აუღია, ხოლო ციხისჯვარი და ოძრხე ურჩი ყმის შემპყრობი სულა კალმახელისათვის მიუცია.

ასე გამოეცალა ხელიდან აბუსერისძეებს თავიანთი სამფლობელოს ეს მნიშვნელოვანი ტერიტორიები. შემდეგში მათ შავშეთიც დაუკარგავთ და XII საუკუნის მიწურულისათვის თავიანთი ვრცელი სამფლობელოდან აჭარა-ლაშერჩენიათ მხოლოდ. ამას მოწმობს აბუსერისძე ტბელის თხზულება „სასწაულნი წმიდისა... გიორგისნი“. მიუხედავად ამისა, აბუსერისძეები მაინც ერისთავთ-ერისთავებად იწოდებიან, რაც, თქმა არ უნდა, „გადმონაშთილ არის ამ საგვარეულოს ოდინდელი ხანმოკლე დიდებისა“.<sup>6</sup>

XIII საუკუნის 60-იან წლებში აჭარას მესხეთის მფლობელი დაეუფლა.<sup>7</sup> აკად. თ. უსპენსკის მტკიცებით XIV საუკუნის მეორე ნახევარში აჭარა მესხეთის სხვა თემებთან (შავშეთი, კლარჯეთი) ერთად თითქოს ტრაპიზონის საკეისროს ფარგლებში შედიოდა. აკად. ივ. ჯავახიშვილი „ტრაპიზუნდის ქრონიკის“ ცნობებზე დაყრდნობით უარყოფს უსპენსკის დებულებას და მაკრიალის აქეთ მდებარე მიწებს საცხებით სწორად აქცევს იმდროინდელი საქართველოს საზღვრებში.<sup>8</sup> რაც შეეხება აჭარას, იგი ამ დროს, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით „გურიელის სახელისუფლოს ეკუთვნოდა“.<sup>9</sup> ეტყობა მესხეთის ათაბაგი ისევ

1 ქართლის ცხოვრება, გვ. 187.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 188.

4 იქვე.

5 იქვე.

6 აბუსერისძე ტბელი, შესავალი, გვ. 20.

7 ქართლის ცხოვრება, მარიაამისეული ნუსხა, ექვ. თაყაიშვილის რედ., თბილისი, 1906 წ., გვ. 758.

8 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბილისი, 1949 წ., გვ. 283.

9 იქვე, გვ. 284.

მაღე დაუფლებია აქარას. XV საუკუნის პირველ ნახევარში აქარა და ქანეთი საათაბაგოს ფარგლებშია, 60-იან წლებში კი ყვარყვარე ათაბაგი (გარდ. 1466 წ.) ამ ოლქებს აძლევს კახაბერ გურიელს (გარდ. 1483 წ.) იმ დახმარების სანუფქოდ, რომელიც გურიელმა აღმოუჩინა მას მესხეთის ურჩ ფეოდალებთან ბრძოლაში.<sup>1</sup>

1511 წელს მუხეაბუკ ათაბაგმა (1502-1516 წწ.) ისევ წაართვა გურიელს აქარა და ქანეთი.<sup>2</sup> გურიელმა ამათი დაბრუნება მოახერხა მურჯახეთის ბრძოლის (1535 წ.) შემდეგ. მაგრამ ახლა გურიის მთავარს ათაბაგზე გაცილებით ძლიერი მეტოქე გაუჩნდა ოსმალეთის სახით, რომელმაც მალე მისტაცა ქანეთი და გონია და არა ერთხელ აუოხრა ბათუმში და აქარა, თუმცა აქ ფეხის მტკიცედ მოკიდება დიდხანს მაინც ვერ შესძლო.

XVI საუკუნის 90-იან წლებში ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგო დაიპყრო, აქარა ერთხანს კიდევ რჩებოდა გურიელის საგამგეოში; XVII საუკუნის დამდეგს გურიის სამთავრო ვეღარ უმკლავდება ოსმალთა მოძალებას და კარგავს აქარას.

მიტაცებული აქარა თურქებმა სანჯაყად აქციეს და ჩილდირის (ახალციხის) ეიალეთში შეიტანეს.<sup>3</sup> ჩილდირის ეიალეთის შემადგენლობაში დარჩა აქარა ახალციხის შემოერთებამდე (1829 წ.). ამის შემდეგ იგი ტრაპიზონის ეიალეთს შეუერთეს. ლაზისტანის სანჯაყი 11 კაზისაგან შედგებოდა. მათგან ორი კაზა საკუთრივ აქარაზე მოდიოდა.<sup>4</sup> ერთი იყო ქვემო აქარის კაზა, რომელსაც თურქები „აქარა სუფლას“ უწოდებდნენ, ხოლო მეორე—ზემო აქარა ანუ ზეგანი, რომელიც „აქარა ალიას“ სახელით იყო ცნობილი.

თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლების შემდეგ აქარა ბათუმის ოკრუგში შევიდა. 1883 წელს ბათუმისა და ართვინის ოკრუგებმა ბათუმის ოლქი შეადგინეს, რომელიც შემდეგ ხან ქუთაისის გუბერნიასთან იყო შეერთებული, ხან კიდევ ამავე ტიპის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ-კი საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით იგი აქარის ასსრ-დ ჩამოყალიბდა.

### მ ა ზ ა ხ ე ლ ი

მაჯახელი ანუ ძველი მიქიხიანი, როგორც შავშეთის შემადგენელი ნაწილი, მოხსენებულა სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სამრევლოების აღწერილობაში. „...დახატულას ზედათი, — ნათქვამია მასში, — ანაკერტს აქეთი სულა შავშეთი მიქიხიანი (ი) თ ბატონის კათალიკოზის“ ყოფილა.<sup>5</sup>

ვახუშტი ბაგრატიონს თავის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში მიქიხიანი არც კი აქვს ნახსენები, მაგრამ, რადგან სახელოვან მეცნიერს შავშეთის

1 ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., 1913 წ., გვ. 235.

2 იქვე, გვ. 241.

3 აინი ალი, „რისალე“, 1609 წ., M. Belin, Du regime des fiefs militaire dans l'islamisme, et principalement en Turquie, „Jornal asiatique“, t. XV, Mars-Avil, Paris, 1870, p. 279.

4 Д. Баградзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб, 1878 г., стр. 22. (ქვემოთ შემოკლებით — АПГА).

5 Д. Баградзе, АПГА, стр. 81.





დასავლეთის საზღვრად „მთა შავშეთისა, შავშეთსა და ქოროხსშორისი“ (გვ. 136) აქვს დანახელებული, ცხადია მაჭახელს შავშეთის ფარგლებში გულისხმობს. აკად. ივ. ჯავახიშვილს ბუნდოვნად ეჩვენებოდა ვახუშტის ეს ცნობა,<sup>1</sup> მაგრამ აქ ზედმიწევნით სწორად არის განსაზღვრული შავშეთის დასავლეთი საზღვარი, რომელიც მართლაც ქოროხის ხეობასა და შავშეთის გამყოფ მთების ზოლს გასდევს მაჭახლისპირ-გვარას გაყოლებით.

არ იყო სწორი აკად. ივ. ჯავახიშვილი, როდესაც შავშეთის დასავლეთის საზღვრად ქოროხს დებდა.<sup>2</sup> ასევე ითქმის პ. ინგოროყვას შესახებაც, რომელიც დასავლეთით შავშეთს შეცდომით ავრცელებს ქოროხამდე.<sup>3</sup> აღნიშნული მთების დასავლეთით მდებარე მიწა-წყალი, როგორც ეს ნაჩვენები იქნება ქვემოთ, ეკუთვნოდა ისტორიულ ნივალს და არა შავშეთს.

უძველეს დროს მაჭახელი შავშეთთან ერთად კოლხეთის სამეფოს ფარგლებში შედიოდა. კოლხეთის დაცემისა და იბერიის ძლიერების ხანაში, როდესაც იბერია კოლხეთის სამეფოს მნიშვნელოვან ნაწილს ეუფლება და ქოროხის აუზში მტკიცდება, შავშეთი მაჭახლით მის შემადგენლობაში არის სავარაუდებელი.

ადრეფეოდალურ ხანაში ეს მხარე ჯერ კლარჯეთის საერისთავოს ფარგლებში ჩანს, ხოლო შემდეგ — ახალი „ქართლის სამეფოს“ შემადგენლობაში. მოგვიანებით იგი შავშეთ-არტაანის საერისთავო-საერისთავოში ერთიანდება. გაერთიანების ხანიდან-კი — ერისთავთ-ერისთავ აბუსერისძეთა საგამგეოშია. XI საუკუნის მეორე ნახევრიდან აბუსერისძეთა სამფლობელო მნიშვნელოვან შემეცირებას განიცდის. XII საუკუნეში, როგორც ჩანს, ისინი შავშეთსაც კარგავენ, აღნიშნული საუკუნის მიწურულში შავშეთი კლარჯეთთან ერთად ერისთავთ-ერისთავ გუზან აბულასანისძის განსაგებელს წარმოადგენს.<sup>4</sup>

გვიანფეოდალურ ხანაში შავშეთი სამცხე-საათაბაგოს შემადგენელი ნაწილი იყო. XVI საუკუნის შუა წლებში შავშეთი არტანუჯთან ერთად დაიპყროს მალაქთმა.<sup>5</sup>

ოსმალთა ბატონობის ხანაში მაჭახელი ლაზისტანის საფაშოს ერთ-ერთი კაზა იყო.<sup>6</sup>

1878 წელს შავშეთ-მაჭახელი გამოხსნილი იქნა თურქთა კლანჭებისაგან, მაგრამ 1918-1921 წლებში მტერმა ისევ მოახერხა მისი ოკუპირება და მთელი შავშეთი მაჭახლის ზემო ნაწილით დაისაკუთრა. საქართველოს ფარგლებში არსებული მაჭახლის ხეობის ქვემო ნაწილი თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით ბათუმის რაიონში შედის.

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბილისი, 1948 წ., გვ. 58.

2 იქვე.

3 მის შივრ შედგენილი „მესხეთის მხარე“ (გიორგი შერატლე, გვ. 301).

4 ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

5 ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, 1854 წ., გვ. 243, თ. ქორღანია, ქრონიკები, ტ. II,

გვ. 396.

6 Д. Бакрадзе, АПГА, стр. 22.

## ნ ი მ ა ლ ი

საისტორიო წყაროებში ნიგალი ბევრი სხვადასხვა ფორმით არის ცნობილი. სუმბატ დავითისძე თავის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“-ში ამ მთებს „ხევი ნიგალისა“-ს უწოდებს, მათიანე ქართლისაჲ—„ნიგალს“, ვახუშტი ბაგრატიონი — „ლიგანის ხეობას“, თურქულსა და გვიანდელ რუსულ და ქართულ წყაროებში იგი „ლივანა“-დ იწოდება.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ნიგალი ანუ, როგორც თვითონ ამბობს ლიგანი, ეწოდებოდა ქოროხის ხეობის ქვემო წელს ართვინის სანახებიდან მოკიდებული ერგეს საზღვრამდე.<sup>1</sup> უფრო ზუსტია ამ შემთხვევაში დ. ბაქრაძე, რომელიც ნიგალის საზღვრად ერგეს ნაცვლად ქოროხისა და აქარისწყლის შესაყარს ასახელებს.<sup>2</sup> სწორედ ესაა ნიგალ-ლიგანის ბუნებრივი საზღვარი ჩრდილო-დასავლეთით, ამას იგი ვეღარ სცილდებოდა და ერგესაც აღარ ეკროდა.

უძველეს დროს ნიგალის მიწა-წყალი, ისე როგორც მისი მეზობელი მხარეები, კოლხეთის ფარგლებში ერთიანდებოდა, ხოლო შემდეგ — იმერისაში.

ადრეფეოდალურ ხანაში ქართული წყაროები ნიგალს კლარჯეთის საერისთავოს ფარგლებში წარმოგვიდგენდნენ,<sup>3</sup> ხოლო სომხური გეოგრაფია მას „ეგრის“<sup>4</sup> შემადგენელ ნაწილად ასახელებს.<sup>5</sup>

საქართველოს ფეოდალური გაერთიანების წინ ნიგალი ტაო-კლარჯეთის სამთავროს შემადგენლობაში იყო, გვიანფეოდალურ ხანაში კი სამცხე-საათაბაგოს ფარგლებში. 1549 წელს ნიგალს ოსმალები დაეუფლნენ. ამის შესახებ ოსმალო ისტორიკოსის იბრაჰიმ ფეჩევის (1574 — 1650 წწ.) „ისტორია“-ში („თარიხი“) ნათქვამია: „955 წელი (ქრისტ. 1549 წ. ო. ს.). ამ ხანებში საქართველოს ქაფარები აჯანყებასა და არეულობას აწყობდნენ და როდესაც... ფადი-შაჰმა გაიგო მათი არასასიამოვნო საქციელის შესახებ, (საქართველოში გასაგზავნად დაინიშნა მეორე ვეზირი... აჰმედ-ფაშა, არზრუმის, ყარაშანის, ზულყადირლისა და სივასის ბეგლარ-ბეგებთან, სანჯაყ-ბეგებთან და აენიჩერის ქეთხუდასთან ერთად; რამდენიმე ათასი აენიჩრისა და ლურებას ბოლუქის ალათა თანხლებით“.<sup>6</sup> ოსმალოები „შაბანის (თვის) პირველ დღეს (აგვისტოს

1 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 136.

2 Д. Бахрадзе, АПГА, стр. 39.

3 პ. ინგოროყვა, ვიორგი მერჩულე, გვ. 440.

4 აკად. ივ. ჯავახიშვილს „ეგრი“ კლარჯეთის გვერდით მდებარე ოლქად მიაჩნდა და მას „ნიგალისაჲთ... კლარჯეთის საზღვრებში“ გულისხმობდა (ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 59).

საქართველოს ისტორიულ რუკაზეც, რომელიც ივ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოიცა, ეგრი, როგორც ოლქი, ლოკალიზებულია ქოროხის შესართავში, სომხური წყაროს „ეგრის“ ამგვარი გაგება და ლოკალიზება მართებული არ არის. ეს ეგრი, როგორც ჩანს, დასავლეთი საქართველოს ერთი რომელიმე პატარა ოლქის სახელი კი არ არის, არამედ ლიხთიმერის საერთო სახელწოდება. ადრეფეოდალურ ხანაში — ეგრისი, სამართლიანად შენიშნავდა ს. კაკაბაძე აღნიშნული რუკის რეცენზიაში, რომ „ეგრი აქ პირდაპირ უნდა ნიშნავდეს იმავე ანონიმის ეგერს ანუ კოლხიდას“; („საისტორიო მოამბე“, წიგნი I, თბილისი, 1924 წ., გვ. 296). ასეთივე აზრს გამოთქვამს პ. ინგოროყვა (ვ. მერჩულე, გვ. 449, შენიშვნა).

5 Армянская география, стр. 35.

6 ს. ჭიჭია, იბრაჰიმ ფეჩევი საქართველოს შესახებ, ენიმკის მოამბე, ტ. V-VI, თბილისი, 1940 წ., გვ. 372.

25 ა. ს.). გაუდგნენ გზას. პირველად დიდი ბრძოლით დაპყრობილ იქნა თორთუმის ციხე.<sup>1</sup> ამის შემდეგ მტრებმა მრავალი ციხე-სიმაგრე იგდეს ხელთ. „დივან-ად<sup>2</sup> წოდებულ რაიონში შესევის შემდეგ ურიცხვი შავარდნის თვალეზიანი და კაკაბივით მოგოგმანე ყმაწვილები და ქალწულები მუსლიმან გმირთა ხელში ჩაიკვიდა.“<sup>3</sup> ამას გარდა თურქებმა კიდევ სხვა რამდენიმე ციხის აღებაც მოახერხეს „და დად-ელის რაიონი თავისი დასახლებული სოფლებით ოსმალეთის სახელმწიფოს შეუერთდა. ხსენებულ რაიონში მდებარე ციხეებიდან თხუთმეტი ციხე იქნა დატოვებული. დანარჩენი მიწასთან გაასწორეს.“<sup>4</sup> ყველა ეს დაპყრობილი ადგილები „თორთუმი და თალხისი და ახჩა-ყალა (და) დივანას ხეობა ერთ სანჯაყად გამოცხადდა და ერთ-ერთ ემირს ებოძა.“<sup>5</sup> შემოერთების წინ ლივანა ლაზისტანის სანჯაყის კაზა იყო.<sup>6</sup> განთავისუფლების შემდეგ იგი ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში განაწილდა. მენშევიკთა მმართველობის პერიოდში ართვინის მხარის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ თურქეთის ფარგლებში მოექცა.

ამჟამად საქართველოს საზღვრებშია და ბათუმის რაიონში ერთიანდება ნიგალ-ლივანის მხოლოდ მცირე ნაწილი კირნათ-მარადიდიდან მოკიდებული აჭარისწყლის შესართავამდე. ცდება პ. ინგოროყვა, როცა წერს, რომ თითქოს „ეს მხარე — ნიგალი — ამჟამად მთლიანად თურქეთის ფარგლებშია მოქცეული.“<sup>7</sup>

## გ ო ნ ი ა

საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურაში გონიის სახელით ცნობილია მცირე ქალაქი, ციხე-სიმაგრე და ძველი ქართული თემი ჭოროხის სამხრეთ სანაპიროზე.

„და ბათუმის პირისპირს, ჭოროხის სამხრეთის კიდეზე, — ამბობს ვახუშტი, — არს გონია, მცირე ქალაქი და ციხე.“<sup>8</sup> ცოტა ქვემოთ კი, როდესაც დიდებული მეცნიერი, შავი ზღვის ჭოროხის სანაპირო რაიონებს ახასიათებს, წერს: „და ბათუმს, გონიას და ერგეს (არს) ნარინჯი, თურინჯი, ლიმო, ზეთისხილი, ბროწეული მრავალი“<sup>9</sup>.

ამჟარაა, რომ ვახუშტის გეოგრაფიის ეს ადგილები ნათლად ადასტურებენ ზემოხსენებული თეზისის სისწორეს. ასევე მცირე ქალაქად, ციხედ და თემად არის გაგებული გონია ფ. ი. უსპენსკის საყურადღებო გამოკვლევაში „ძველი ციხე ჭოროხის შესართავთან“.<sup>10</sup>

გონიაზე მომუშავე მეკვლევრების უმეტესობა დღემდე მხოლოდ ციხე-ქალაქით იჩენდა დაინტერესებას და სრულიად უყურადღებოდ რჩებოდა გო-

1 ს. ჭიქია, იბრაჰიმ ფეჩევი საქართველოს შესახებ, ვენიკის, მოამბე, V-VI, თბილისი, 1940 წ., გვ. 372.

2 აკად. ნ. ბერძენიშვილის მართებული მოსაზრებით ლივანა უნდა იყოს ლივანას დამახინჯებული ფორმა. ამჟვე აზრს იზიარებს დოც. ს. ჭიქიაც (იქვე, გვ. 373, შენიშვნა I).

3 იქვე, გვ. 372.

4 იქვე, გვ. 372-373.

5 იქვე.

6 Д. Бакрадзе, АПГА, стр. 22.

7 პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 300.

8 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 176.

9 იქვე.

10 Ф. И. Успенский, Старинная крепость на устье Чороха. «Известия Академии наук», № 2, 1917 г.

ნიის, როგორც თემის საკითხი. გონია რომ დეოდალური საქართველოს ინსტიტუტით იმეორე იყო, როგორც ნიგალი, აქარა, შავშეთი და სხვა, ამას ადასტურებს სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სამრევლოების ნუსხა, სადაც ანჩელის სამწყსოს შემოსაზღვრისას აღნიშნულია: „ანჩელის სამწყსო (ყოფილა), სამწყსალს აქეთი ხანძთას და ოპიზის შუა დახატულა, იმას ქვემოთი ნიგალის ხევი, გაღმა და გამოღმართი გონიას საზღვრამდინა“.<sup>1</sup>

როგორც ირკვევა, ნიგალის ხევი დასავლეთით ესაზღვრებოდა გონიას. მაშასადამე, ნიგალის დასავლეთი საზღვარი გონიის აღმოსავლეთი საზღვარი იყო. გონია და ნიგალი მთების ბუნებრივი ზღუდეებით იყო გაყოფილი. ამ მთებიდან იგი ზღვამდე ვრცელდებოდა. აქარა-გურიისაგან გონიას მდ. კოროხი გამოჰყოფდა. სამხრეთით მას ეკვროდა ქანეთი.

მაგრამ ძველიდანვე, რა თქმა უნდა, ეს ასე არ ყოფილა. ადრე ეს ტერიტორია ქანთა სამეკიდრებელს წარმოადგენდა და ქანეთ-ლაზეთის შემადგენლობაში შედიოდა. პ. ინგოროყვას მიხედვით ქანეთი კოროხამდე ვრცელდებოდა VI-II—X საუკუნეებშიც.<sup>2</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილს ამავე პერიოდში აქ უფრო შავშეთის ნაწილი ეგულებოდა, მაგრამ ამის დასადაგენად აუცილებელი საბუთების უქონლობას უჩიოდა. „კოროხს გაღმა ზღვამდე შავშეთსვე ეკუთვნოდა, თუ არა, ამის გამოსარკვევად ჯერ-ჯერობით გარკვეული ცნობები არ მოგვეპოვება“, რის გამოც „დასავლეთით შავშეთი შავ ზღვას აღწევდა, თუ არა, არა ჩანს“-ო, — წერდა ივ. ჯავახიშვილი.<sup>3</sup>

გონია რომ შავშეთს კუთვნიებოდა ამის დამადასტურებელ ცნობებს მკვლევარი ვერ იპოვის, ვინაიდან იგი ადრე ქანეთ-ლაზეთის შემადგენელი ნაწილი იყო, გვიან კი ცალკე თემი.

მკვლევართა უმეტესობა გონიას აფსართან აიგივებს. როგორც ჩანს, თავდაპირველად აფსაროსი მხოლოდ მდინარის აღსანიშნავად იხმარებოდა, ხოლო შემდეგ გავრცელდა ციხე-ქალაქსა და მის მიდამოებზე. პირველი მნიშვნელობით იხსენიებს მას ფსევდო-სკილაქს კარიანდელი (ძვ. წ. IV ს.). კოროხს გულისხმობს, უეჭველად, სკილაქსის „აფსაროს-პოტამოს“, როგორც ამას მართებულად შენიშნავდა აკად. ს. ჯანაშია.<sup>4</sup> უფრო მოგვიანო ხანის რომელიმე მწერალი პლინიუს უფროსი (23 — 79 წწ.) ამ სახელწოდების მდინარის შესართავში იხსენიებს უკვე ომონიმურ ციხე-სიმაგრეს.<sup>5</sup>

მომდევნო ხანის ბერძენ ავტორს არიანეს კი — აფსარის სახელით მოხსენებული აქვს მდინარე, ციხე-ქალაქიც და მხარეც.<sup>6</sup>

აფსარი სამხრეთი კოლხეთის ნაწილია. სამხრეთი კოლხეთი სამ მხარედ იყოფოდა. ეს მხარეებია; 1. კერასუნტ-ფარნაკიის (მხარე), 2. ტრაპიზონის მხარე და 3. რიზეს მხარე (ლაზეთი).<sup>7</sup> ამ უკანასკნელის ნაწილი იყო აფსარის (გვი-

<sup>1</sup> Д. Бақрадзе, АПГА, стр. 81. (ხაზი ჩვენია ი. ს.)

<sup>2</sup> პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 301.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

<sup>4</sup> ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბილისი, 1952 წ., გვ. 271.

<sup>5</sup> პლინიუსი, ნატურალის ჰისტორია, VI § 12. B. II, T. II, 1949, стр. 288.

<sup>6</sup> არიანე, პერიპლუსი; B. II, T. I, 1948, стр. 267.

<sup>7</sup> პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 202.

ანდელი გონია) სანაპირო ოლქი. შემდეგ იგი, როგორც ჩანს, გამოყოფილა ლაზეთ-ჭანეთს და ცალკე, დამოუკიდებელი ოლქი წარმოუქმნია. ამიტომ არის, რომ ვახუშტი ჭანეთის აღწერას კოროხიდან კი არ იწყებს, არამედ გონიის საზღვრიდან.<sup>1</sup> გვიანფეოდალურ ხანაში ძველ აფსარს (გონიის სახელწოდებით) რიზეს მხარეს რკინის პალოს აქეთურ ნაწილთან ერთად ხან სამცხე-საათაბაგოს და ხან კიდევ საგურიელოს შემადგენლობაში ვხვდავთ. 1547 წელს გურიის სამთავროს თურქებმა მოსტაცეს გონია. თურქთა მფლობელობის დროს გონია კახას წარმოადგენდა. მიტაცებიდან 331 წლის თავზე გონია კვლავ დაუბრუნდა დედასამშობლოს და ბათუმის ოკრუგში შევიდა. ამჟამად ეს კუთხე ბათუმის რაიონში ერთიანდება.

### ჭ ა ნ ე თ ი

ვახუშტი ბაგრატიონი ჭანეთს ასე აღწერს:  
 „... ბაიბურდისა და ფორჩხის სამხრით, ჭანეთის მთას იქით, არს ჭ ა ნ ე თ ი, და აწ უწოდებენ ლაზს ა ე ე. არს ესე შავი ზღვის კიდის წადენებით, გონიიდან ტრაპიზონის საზღვრამდე“.<sup>2</sup>

ვახუშტის აქ ჭანეთ-ლაზეთი იმ საზღვრებით აქვს მოცემული, რომლითაც იგი გვიანფეოდალურ ხანაში იყო წარმოდგენილი. ძველად კი, როგორც ირკვევა, ამ სახელწოდებით ბევრად უფრო ვრცელი მიწა-წყალი, მთელი სამხრეთი კოლხეთის ზღვის სანაპირო ზოლი აღინიშნებოდა. „სრულიადი ჭანეთის“ სახელით იხსენიება კოროხ-თერმიდონს შუა არსებული ტერიტორია სელჯუკიან თურქთა ოფიციალურ მატთანში — „სელჯუკ-ნამე“.<sup>3</sup>

ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა რიზეს მხარე, რომელშიაც შედიოდა სოფ. სარფი; პ. ინგოროყვას გამოკვლევით, აქ მცხოვრები ქართველი ტომების სახელებისა მიხედვით ანტიკურ ხანაში ეს მხარე მაკრონთა-სანთა და პენიოხთა ქვეყნის სახელით იყო ცნობილი.<sup>4</sup> უფრო მოგვიანებით, ადრეულ საშუალო საუკუნეებიდან, როდესაც იგი იბერიის საზღვრებში შედიოდა და იბერიისავე ოლქთან — კლარჯეთთან იყო დაკავშირებული, ეწოდებოდა ზღვისპირა კლარჯეთი, ხოლო ლაზეთის (ეგრისის) სამეფოში შესვლის შემდეგ იწოდა ლაზიად.<sup>5</sup>

ანტიკური ხანიდან მოკიდებული ამ მხარის ისტორიის მთავარი ეტაპები ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ჩვენი ერის პირველ საუკუნემდე რიზეს მხარე კოლხეთის ნაწილს წარმოადგენდა.

მეორე საუკუნის დამდეგს რიზეს მხარის ჩრდილოეთი სექტორი, კოროხიდან ვიდრე ბიწეს (ვიწეს) ნავსადგურამდე შევიდა იბერიის შემადგენლობაში, ხოლო მის დანარჩენ მიწა-წყალზე ჩამოყალიბდა ცალკე ქართული პოლიტიკური ერთეული — მაკრონთა (მაკრონ-სანთა) და პენიოხთა სა-

1 ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

2 იქვე.

3 პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 204, შენიშვნა 1.

4 იქვე, გვ. 202.

5 იქვე, გვ. 203, 205, 207, 209, 210.

მეთო (იგივე სანეთი — სანიგეთი, ანუ სოსანეთი — სოსანეთი ნიგეთი).

მომდევნო ხანაში (III-IV სს.) ამ სამფლობელოს ტერიტორია გაფართოვებულა და მისი ჩრდილოეთის საზღვრის ხაზს მდ. ქოროხამდე მიუღწევია.<sup>1</sup>

V-VI საუკუნეებში ეს მხარე ერთგვარ ბუფერულ ზონას წარმოადგენდა ლაზეთის სამეფოსა და ბიზანტიას შორის, ეს ბუფერული სანეთი ამ დროს ეკლესიურად ლაზეთთან ყოფილა დაკავშირებული.

VI საუკუნის უკანასკნელ მესამედში რიზეს მხარე იბერიის შემადგენლობაში შესულა, ხოლო VII საუკუნის 30-იან წლებში მას ბიზანტია დაეუფლა<sup>2</sup>, მაგრამ ამ უკანასკნელის უშუალო მფლობელობაში ეს მხარე დიდხანს არ დარჩენილა. VIII საუკუნეში მას ვხედავთ ეგრისის სამეფოს ნანგრევებზე აღმოცენებული დასავლურ-ქართული ფეოდალური სამეფოს — აფხაზეთის ფარგლებში.<sup>3</sup> რიზეს მხარის სამხრეთის ნაწილს აფხაზეთის სამეფო ბიზანტიის მოძალების გამო ჯერ კიდევ IX საუკუნის მეორე მეოთხედში კარგავს, ხოლო ჩრდილო სექტორს — მოგვიანებით, X საუკუნის პირველ ნახევარში.<sup>4</sup> ამავე საუკუნის მეორე ნახევარში რიზეს მხარეს კვლავ იბრუნებენ ქართველები, მაგრამ იგი ამიერიდან შედის არა აფხაზეთის სამეფოს, არამედ ტაო-კლარჯეთის შემადგენლობაში.

მართალია, XI საუკუნის 20-იან წლებში ბიზანტიამ ისევ ჩამოგლიჯა ჩვენს ქვეყანას რიზეს მხარის ერთი ნაწილი, მაგრამ მისი ჩრდილოეთის სექტორი (ხოფის აქეთი) მაინც საქართველოს ფარგლებში რჩებოდა. 1073-1074 წლებში ქართველებმა შესძლეს რიზეს მიტაცებული ნაწილის დაბრუნება და საზღვრის ხაზი უფრო სამხრეთით გადასწიეს. ეს მდგომარეობა უცვლელი დარჩა XII საუკუნის მიწურულამდე, როდესაც ბიზანტიელებს კვლავ მოუქცევიათ თავისი პოლიტიკური გავლენის სფეროში ეს მხარე, მაგრამ ძლიერ მცირე ხნით. XIII საუკუნის დამდეგს ქართველებმა გამანადგურებელი დარტყმა აგემეს მოწინააღმდეგეს და, როგორც ამბობს თამარის ისტორიკოსი, „წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიშონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, არაკლია, და ყოველნი ადგილნი ფებლალონიისა და პონტოსანი“.<sup>5</sup> თამარ მეფემ ამ მიწა-წყალზე საქართველოს ვასალური სახელმწიფო — ტრაპიზონის სამეფო ჩამოაყალიბა, რომელმაც იარსება 1461 წლამდე (ამ დროს იგი თურქებმა დაიპყრეს).

რაც შეეხება რიზეს მხარეს, XIII საუკუნის 80-იან წლებამდე, პ. ინგოროყვას მტკიცებით, სარგებლობდა განსაკუთრებული სტატუსით და ტრაპიზონის სამეფოსა და საქართველოს საერთო სამფლობელოს (კორკონდიუმს) წარმოადგენდა.<sup>6</sup> 1282 წელს კი იგი დავით ნარინს დაუპყრია.<sup>7</sup>

1 იქვე, გვ. 205.

2 იქვე, გვ. 206.

3 იქვე, გვ. 208, 215, 226.

4 იქვე, გვ. 274.

5 ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, თბილისი, 1944 წ., გვ. 31.

6 პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 284 და სხვ.

7 მ. პანარეტი, ტრაპეზუნდის ქრონიკა, აღ. ხახანაშვილის გამოც., 1905 წ., გვ. 2.



XIII საუკუნის მიწურულიდან XV საუკუნის 60-იან წლებამდე ესაზღვრებოდა რე მესხეთის შემადგენლობაშია, 1463 — 1511 წლებში — საგურელოში, 1511 — 1535 წლებში კვლავ — საათაბაგოში, 1535 — 1547 წლებში ისევ საგურელოში. 1547 წელს მას თურქები დაეპატრონენ. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად საქართველოს შემოუერთდა ქანეთის ერთი ნაწილი, მაგრამ მენშევიკთა დიქტატურის პერიოდში თურქებმა ისევ მოახერხეს მისი მოტაცება და საქართველოს საზღვრებში დარჩა მხოლოდ სოფ. სარფის ნახევარი.

**ტოპონიმიკურ სახელთა წარმოშობა** გეოგრაფიულ სახელთა შედგენილობა და მათი წარმოება არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივ სახელთა შედგენილობისა და წარმოებისაგან. პირველშიც, ისე როგორც მეორეში, სახელები იშლება ფუძედ და აფიქსებად. სახელის ძირითადი საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი ნაწილია ფუძე, რომელიც შეიძლება იყოს მარტივი, ნაწარმოები და რთული.

ფუძისაგან სახელი იწარმოება აფიქსების დართვით. ამის მიხედვით ტოპონიმიკურ სახელთა წარმოების რამდენიმე სახე გვაქვს: პრეფიქსური, სუფიქსური და პრეფიქს-სუფიქსური.

ადგილთა სახელების მართებული ანალიზისათვის, უპირველეს ყოვლისა, მათი სწორი დაშლაა საჭირო. სახელის დაშლა ფუძისაგან აფიქსების გარჩევა-გამოყოფას ნიშნავს. ზოგიერთ შემთხვევაში ამის გაკეთება ადვილად ხერხდება, ზოგჯერ კი არა. და მეცნიერული სიტუაციის ოდნავი მოდუნების ვითარებაში შესაძლებელია აფიქსი ფუძის ნაწილად იქნას მიჩნეული, ანდა პირიქით, ფუძისტიყვის ნაწილი აფიქსად გამოვაცხადოთ. ასე იშობა შეცდომა.

ასეთივე მდგომარეობაში ადვილად შეიძლება აღმოჩნდეს მკვლევარი მკვლევარი, როდესაც გეოგრაფიულ სახელწოდებას სახეცვლილება აქვს განვლილი და დაშორებულია თავის პირვანდელ სახეს. ასეთი სახელის ფუძეში ჩადებული აზრის გასარკვევად აუცილებელია მისი იმ ფორმით აღდგენა, როგორც მას ჰქონდა თავდაპირველად. ამ საქმის წარმატებით განხორციელება დიდად არის დამოკიდებული მეცნიერის გონებამახვილობასა, განსწავლულობასა და გამოცდილებაზე.

აქარის ასსრ ტოპონიმიკურ სახელებში (წინამდებარე წიგნში წარმოდგენილი მასალების მიხედვით) აფიქსები ძირითადად ორგვარი წარმოშობისაა: 1. საკუთრივ ქართული და 2. ზანური (მეგრულ-ქანური).

ადგილთა სახელების წარმოება აქარაში უმთავრესად სუფიქსური ხასიათისაა. ამიტომ, პირველ რიგშიც ამგვარი წარმოების სახელებს შევხებით. დაეიწყოთ საკუთრივ ქართული სუფიქსური წარმოებით.

ა: კირმაკიდ-ა, ორბაგ-ა, ზუნდაგ-ა, ზეგარდ-ა, ქეციმერ-ა, ყანაგრძელ-ა, მტირალ-ა, კურდღელ-ა, წინაველა, ნაყიდა, რუხმელ-ა, უკანტეხილ-ა, წამოდრეკილ-ა, წიაპ-ა, ფარებ-ა, ხელმყარალ-ა, ცხენიზრუგ-ა, ქედ-ა, ფშნილ-ა, შვეილ-ა, ქაჩალ-ა, მოხვეილ-ა, დარგულ-ა, შოლტ-ა, ქანგ-ა, ობოლ-ა, გიდელ-ა, და სხვ.

ავ: ფირცხელ-ავ-ი, გვენადირ-ავ-ი, ფელიკ-ავ-ი, ნასელ-ავ-ი, ნაქერ-ავ-ი, გაბრელ-ავ-ი, მეგრელ-ავ-ი, ქრელ-ავ-ი.

არ: ეწნ-არ-ა, ცხემლ-არ-ა.

გვხვდება არ სუფიქსის დისიმილირებული ფორმა ალ ფორმანტით წარმოები სახელებიც. კურცხალ-ა, ცხემლალ-ა.

ხშირად არაა სუფიქსებს ენაცვლება ნარ-ნალი: ცხემ-ნარი, ლეკ-ნარი, წიფ-ნარი, წაბ-ნარი, არყ-ნალი, ბარდ-ნალი, ხორგ-ნალი, სურ-ნალი, ძმერხ-ნალი.

ახ: ქანჭ-ახ-ი, კარწ-ახ-ი, (ამის ორეულია ეხ: ქერ-ეხ-ი, ჭეწ-ეხ-ი):

ებ: კალე-ებ-ი, ბაგ-ებ-ი, ლოდე-ებ-ი, კაპნ-ებ-ი, მინდრ-ებ-ი, ლარ-ებ-ი, წყარე-ებ-ი, ბარ-ებ-ი, ჭეჭე-ებ-ი, ვან-ებ-ი, სურსტყნ-ებ-ი; გვარებისაგან წარმომდგარი გეოგრაფიული სახელები: გუჩმანძე-ებ-ი, საითაძე-ებ-ი, ჩოხარაძე-ებ-ი, ბათაძე-ებ-ი, ტაქიძე-ებ-ი და სხვ.

ევ: ფერდელ-ევი, გამანათლ-ევი.

ეთ: კორომხ-ეთ-ი, ბაზალ-ეთ-ი, გობრონ-ეთ-ი, მოფრინ-ეთ-ი, ლაკლაკ-ეთ-ი, ტომაშ-ეთ-ი, არაკ-ეთ-ი, ჩიქუნ-ეთ-ი.

ეულ: ნიგაზ-ეული, პრასინ-ეული, იან-ეული, ინძრ-ეული, ვარან-ეული.

ვან: (ოვან) სურ-(ო)ვან-ა, სხულ-(ო)ვან-ი, კერკეტ-(ო)ვან-ა, კურდ-(ო)ვან-ა, ფარცხ-(ო)ვან-ა, ვერხ-(ო)ვან-ა, ჭილ-(ო)ვან-ა, ლელ-(ო)ვან-ი.

თა: ჯვართა, ბრინ-თა, ბელელ-თა, წყარო-თა, ხერხენ-თა, ქვაბ-თა, განაყოფ-თა, ქორ-თა, კალთ-თა.

იან: თხილი-იანი, ჭალ-იანი, კაკლ-იანი, ქოლ-იანი, კაქ-იანი, თავ-იანი, ფხავს-იანი, ლარ-იანი, ქარჩხ-იანი.

ივრ: ეან-ივრი, ვაჩ-ივრი, ქან-ივრი.

მა: ჯერ-მა, ფაჩხ-მა.

ო: დანდალ-ო, ხულ-ო, ბახმარ-ო, ჩიდილ-ო, ბაკ-ო, თავ-ო, ჩხრიალ-ო.

ობ: ფიქლ-ობ-ი, წითლ-ობ-ი, ვაშლ-ობ-ი, თეთრ-ობ-ი.

ობა: ქედ-ობა, ყელ-ობა, სერ-ობა, ვანაურ-ობა.

ომ-უმ: ლორჯ-ომ-ი, ბეშ-უმ-ი.

ურ-ულ: კიკიტ-ური, ქედლ-ური, ბაცელ-ური, გვარამ-ული, ყავარდ-ული, პატრიკ-ული, თერძ-ული, ტორიკ-ული, ნიქაბერ-ული.

აქარის ტომონიმიკაში ძლიერ გავრცელებულია აგრეთვე ქართული პრეფიქს-სუფიქსური წარმოება.

ა-ა: ა-ქარ-ა.

ნა-ავ: ნა-ბელლ-ავ-ი, ნა-საფენ-ავ-ი, ნა-წითელ-ავ-ი, ნა-ქერ-ავ-ი, ნა-ხნ-ავ-ი, ნა-კირტ-ავ-ი.

ნა-არ: ნა-გომ-არი, ნა-ლომ-არი, ნა-ფეტე-არი, ნა-ჭევე-არი.

ნა-ვარ: ნა-ქოხ-ვარ-ი, ნა-დიკ-ვარ-ი, ნა-ციხ-ვარ-ი.

ნა-ვალ: ნა-ბურ-ვალ-ი, ნა-ქერ-ვალ-ი, ნა-კარ-ვალ-ი.

ნა-ვებ: ნა-ვენახ-ებ-ი, ნა-ჭევე-ებ-ი, ნა-ნალი-ებ-ი, ნა-შევე-ებ-ი, ამის სახესვაობაა:

ნა-ეგ: ნა-დარბაზ-ევი, ნა-სახლ-ევი. ნა-მარნ-ევი, ნა-მინდრ-ევი, ნა-წურბლ-ევი, ნა-ხულ-ევი.

ნა-ჟრ: ნა-ტბე-ჟრა.

ნა-ურებ: ნა-ჯაეახ-ურებ-ი.

ნა-ა: სა-ბრაგუნ-ა.

ნა-ათ: სა-ქორიათ-ი, სა-კარქალ-ათ-ი.

ნა-არ-ა: სა-წუმმ-არ-ა.

ნა-ია: სა-ჩხიკე-ია, სა-ჭინკ-ია, სა-ჩორჩხ-ია, სა-წუმმ-ია, სა-ნისლ-ია, სა-ჯინჭრ-იან, სა-ძმეხლ-ია, სა-ქონდრ-ია, სა-ლორ-ია.

ნა-ე: სა-მგლ-ე, სა-მარილ-ე, სა-რახ-ე, სა-ტალახ-ე, სა-სეინტრ-ე, სა-თიბ-ე, სა-ქორ-ე, სა-თიხ-ე, სა-კანაფ-ე, სა-ქიკარტ-ე, სა-მელ-ე.

ნა-ეთ: სა-მოლ-ეთ-ი, სა-ფუტკრ-ეთ-ი.

ნა-ო: სა-ციკარათ-ო (საცისკარაძო?), სა-მსმელ-ო, სა-დავ-ო, სა-მჭედლო-ო, სა-ბერიძ-ო, სა-ნავარდ-ო, სა-სადილ-ო, სა-ვარდებ-ო, სა-კორკოტ-ო, სა-მაყვლო-ო, სა-ჯაყელო-ო, სა-პარასკე-ო, სა-კრეფ-ო.

ნა-ურ: სა-ციხ-ური, სა-ჭინკ-ური.

ნა-ურო: სა-ჯიხ-ურო.

ყველაზე ნაკლებად გვხვდება პრეფიქსური წარმოების ადგილთა სახელები. პრეფიქსებისაგან, რომელიც ტოპონიმიკურ სახელებს აწარმოებს, აქარაში გვხვდებით მხოლოდ „ნა“-ს და „სა“-ს.

ნა: ნა-შენი, ნა-გუთნი, ნა-ფლატი, ნა-კაფი.

სა: სა-ხვეტი, სა-ფენი, სა-სვენი, სა-რეკი.

აქარის ტოპონიმიკაში გვხვდება ზანური (მეგრულქანურ) წარმოების სახელებიც:

ზანური მაწარმოებლებიდან აქ უფრო არის გავრცელებული **ო**, **იშ** და **ათ**. პრეფიქსური წარმოება:

**ო**: (შეესიტყვება ქართულ სა პრეფიქსს): **ო-ღროკა**, **ო-ჯინკალა**, **ო-ჯინჯო**. სუფიქსური წარმოება:

**ათ**: ქართული **ეთ** სუფიქსის შესატყვისი: **ა-ხულ-ათ-ი**, **ფაწალ-ათ-ი**, **ბოყვ-ათ-ი**, **სხალ-ათ-ი**, **მანდრ-ათ-ი**, **ლედვ-ათ-ი**, **დობილ-ათ-ი**, **ვალ-ათ-ი**, **მუხლ-ათ-ი**.

**იშ**: **ჯინ-იშ-ი**, **ქყან-იშ-ი**, **კომპ-იშ-ი**, **ქვაბ-იშ-ი**.

უცხოური მაწარმოებლებიდან გვხვდება მხოლოდ თურქული „ლიქ“<sup>2</sup> „ლულ“-ის სახით და ისიც იშვიათად და მხოლოდ შემოსულ სიტყვებში, ჩაი-(რ)-ლულ-ი (სათიბი), მეზე(რ)-ლულ-ი (სასაფლაო) და სხვ.

ტოპონიმიკურ სახელებში გვხვდება როგორც ერთფუძიანი, ასევე, ორფუძიანი და უფრო იშვიათად სამფუძიანი სახელებიც.

1 ს. ელენტი, გურული კილო, თბილისი, 1936 წ., გვ. 28.

2 Lik (lik, luk, luk) აფიქსი თურქულში ზედსართავი სახელიდან აწარმოებს არსებით სახელს, ხოლო არსებითი სახელიდან კონკრეტულ სახელს, როგორც არსებითს, ისე ზედსართავს. მაგ: güzel ლამაზი, güzelik სილამაზე; tas ქვა, taslik ქვიანი ადგილი და სხვა. (Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, Москва, 1945 г., стр. 702).

ერთფუძიან სახელთაგან, რომლებიც ყოველგვარი აფიქსების გარეშე აწარმოებენ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, უფრო გავრცელებულია: კაპანი, ქედი, მინდორი, ჭალა, გომი, უყვი, კორდი, ვაკე, ყელი და სხვ.

ხშირია ორფუძიანი სახელები: წისქვილიკარი, კაპნითავი, საქორბოლო, ჩანჩხალილე, ხიდითავი, კილდიქეშა, აბანოფერდი, ქედლიქედი ბალგვერდი, დობირვაკე, ცივწყალი, დაბაძველი, სკურდიდი, ტაბახმელა და სხვ.

სამფუძიანი სახელებიდან, რომლებიც შედარებით ნაკლებია აჭარის ტოპონიმიაში, გვხვდება: პაწაჭალ-გვერდი, ბტყელკილდიქეში, დათვიდეღე-წვერი, ცხემნარიკილდითავი და ა. შ.

გამონაკლისის სახით გვხვდება ოთხფუძიანი სახელებიც, მაგალითად, გამბულკილდითავილეღე (ლეღე და სათიბი ვერნებში, ხულოს რაიონი).

### ტოპონიმიკა

#### სახელთა

#### წარმავლობისათვის

აჭარის ასსრ ადგილთა სახელების უმთავრესი ნაწილი საყოფიერ ქართული წარმოშობისაა (სართის გამოკლებით, სადაც გაბატონებული მდგომარეობა ქანურ სახელებს უჭირავს), ქართველური ენებიდან მომდინარე ტოპონიმიკური სახელებიდან ხშირად გვხვდება ზანური (მეგრულ-ქანური).

აი ზოგი მათგანი:

დავიწყით ქედის რაიონით: „ტობატრი“ (სათესი საფარიძეებში), „ჩხუში“ (სათესი დობოძეებში), „ოჯინკალა“ (სათესი ზუნდაგაში), „ქვანორი“ (ტყე და სათესი აგარაში), „ოჯინში“ (სოფლის უბანი კოლოტაურში), „ოჯინლა“ (საძოვარი ცხმენაში), „ქობლები“ (ქობალი?, საძოვარი ზენდიღში), „ოტოფნარა“ (ჩაის ფართობი ქედაში, იგივე სახელი გვხვდება კუჭაულაშიც). „ოჯინჯო“ (ჩაის ფართობი იმავე სოფელში), „ოჩია“ (სათესი კაკაბაძეებში), „სუჯუნეთი“ (სათესი შევაბურში), „ნაოჩევი“ (სათესი იქვე), „ნაჯარგველვი“ (საძოვარი ვარჯანისში), „ქყანიში“ (ვენახი მოსიაშვილებში) და სხვ.

**შუახვეის რაიონი.** „დუდი“ (სათესი და ბუჩქნარი ცივაძეებში), „ოჩე“ (სათიბი და ტყე ხაბელაშვილებში), „ნაჯიხურევი“ (სასვენი ადგილი იმავე სოფელში), „დუდები“ (საძოვარი ბრილში), „ოხოორიქეთი“ (სათესი ცინარეთში), „ოხოორთი“ (ვენახის ფართობი სამოლეთში), „ოხოორიქეთი“ სათესი იმავე სოფელში), „ნაჩამურები“ (სათესი ალოქოშვილებში), „ნაახორავი“ (სათიბი ზედაუბანში).

**ხულოს რაიონი.** „ოხოორათი“ (სათიბი კურცხლებში), „ოჩია“ (სათესი გორგაძეებში), „ოქივარათი“ (ტყე და სათესი საციხურში), „ოჩინე“ (სათესი და ტყე ნაშონასტრევიში), „ოქივარა“ (სათიბი და სათესი ბოძაურში).

**ბათუმის რაიონი.** „ოჯაბურა“ (სათესი ქედქედსა და კირნათში). „ნაუჩივარი“ (სათესი ქედქედსა და გვარაში), „ქენჭეხი“ (სათესი ქანივრში), „ოტკობენია“ (მირვეთში), „ქონჭყო“ (სასვენი ადგილი კობალეთში), „ქვაბიში“ (საძოვარი ფანჩვეთში), „ლრემში“ (მთა), „ონჩომეთი“ (სათესი ლომანაკეთში), „კომპიში“ (ტყე იქვე). ინტოფო (სათესი სიმონეთში), „ჩხანაფურა“ (ტყე იმავე სოფელში) და სხვ.

აქარაში გვხვდება არაბულ-თურქულ-სპარსული წარმოშობის ადგილთა სახელებიც, რომლებიც ტოპონიმიაში გზას იკაფავდნენ ოსმალთა ბატონობის პერიოდში, თუმცა ასეთ სახელთა წილი ამ მხარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ფრიად მცირე და უმნიშვნელოა.<sup>1</sup>

გვხვდება რამდენიმე რუსული სახელწოდებაც. მაგ., „კაზიონი“ (სათესი ფართობი აქუცაში, ქედის რაიონი), „კარლიკაია“ (სპილენძის საბადო გუნდაურში, იგივე რაიონი), „რაკატკა“ (სათესი ფართობი ოლლაურში, ბათუმის რაიონი) და სხვ.

სწრაფი ტემპით იკვლევს გზას ტოპონიმიაში ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ამსახველი სახელწოდებანიც. ასეთია, მაგალითად, „პირველი მაისი“ (სასოფლო საბჭო ქედის რაიონში), „ოქტომბერი“ (სასოფლო საბჭოები ქედისა და ხულოს რაიონებში), „განთიადი“ (სოფლის უბანი გონიის სასოფლო საბჭოში) და სხვ.

ტოპონიმია სიანტერესო ცნობებს იძლევა ხალხის მეურნეობა-საქმიანობის შესახებ. ადგილთა სახელებში სარკესავით მოჩანს მიწათმოქმედება, მევენახეობა-მელენეობა, მესაქონლეობა და სხვა დარგები. „ნაქვეარი“, „ნაქერვალი“, „ნალომეარი“, „ნაპურვალი“, და მრავალი სხვა, მიგვითითებს იმაზე, თუ რა და რა კულტურები მოჰყავდათ წინათ აქარის მკვიდრთ. თესდნენ, აგრეთვე, კანაფს, სელს და სხვა კულტურებს. „ნაკანაფვარი“, („საკანაფე“ ან „ნაკანაფევი“), „ნასელვარი“, რომელიც ხშირად გვხვდება ადგილთა სახელებში, სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ წინათ ეს კულტურები იყო გავრცელებული აქარაში. კანაფსა და სელს სამოსელის დასამზადებლად იყენებდნენ. ასე მაგ., „ბამბანარეე კანაფისაგან ტილოს საცვლებსა ქსოვდნენ“.<sup>2</sup>

თურქული რეგიმის დამყარებამდე აქარა განვითარებული მელენეობა-მევენახეობის მხარე იყო, სადაც ქართული ვაზის მრავალი ჯიში ხარობდა: ბუდეშური, ბურძგლა, ბუტკურა, ბროლა, მათენაური, მეკრენჩხი, ჩხავერი. ცხენისძიძე, ჭოდი, ხარითვლა, ხოფათური, ჯანიში და სხვა.

თურქთა ბატონობის შეუბნელ ხანაში უყიდურესად დაეცა და განადგურდა ამ მხარის სოფლის მეურნეობის ეს სიამაყე და დოვლათი. „დაგვრჩენია მხოლოდ აღენიშნოთ ის სამწუხარო ფაქტი, — წერდა თ. სახოკია, — რომ მაჰმადის სჯულს ქრისტიანობასთან ერთად მეურნეობის ამ საპატიო დარგისათვისაც ამოუკვეთინებია ფეხი აქარიდან. თითქმის ყველა სოფელში დარჩენილი უზარმაზარი ქვევრები (შიგ ასი წლის ჩარჩენილი ღვინოც კი უნახავთ) იმას-ღა მხოწმობს, რომ მელენეობას აქ ოდესღაც საპატიო ადგილი სჭერია და ცხოვრების ერთ სახსართაგანს შეადგენდა“.<sup>3</sup>

თურქთა მძლავრობამ და ისლამმა ვენახი „ნავენახვარად“ აქცია, ხოლო მარანი „ნამარნეად“. ასევე შევიდა ეს სახელები ტოპონიმიაში.

1 ასეთებია: ყალე (ყახე), ყულე (სახლი), ჯამე (სამლოცველო), დარე (გზა), სირთი (სერი, ქედი), დერე (ზევი), ქილისე (საყდარი) და სხვ. ასეთი შემოსული სახელები, რომლებიც ქართულის კვალობაზეა გაფიქრებული, გვხვდება როგორც ცალკე, ისე კომპოზიტებში. ამ უკანასკნელში მსახლერელს ან საზღერულს, ჩვეულებრივ, ქართული წარმოშობის სახელი წარმოადგენს: ყალიძირი, ჯამიღლე, ყულიკარი, ქალიდარე, მერისირთი და ა. შ.

2 თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბილისი, 1930 წ., გვ. 178.

3 იქვე, გვ. 174.

მზოლად საბჭოთა პერიოდში აღორძინდა აჭარაში დიდი ხნის განმავლობაში მივიწყებული მევენახეობა და ძველ ნავენახარზე კვლავ ქართულმა ვაზმა ჩაიგრიხა რქა. აჭარის მთიანი რაიონების სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში მევენახეობა-მეღვინეობის ხვედრითი წონა დღითიდღე მნიშვნელოვანი ხდება.

თურქთა ბატონობის დრომდე ამ მხარის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მელორეობასაც, მაგრამ ისლამის გავრცელების შემდეგ მეცხოველეობის ეს დარგი სრულიად მოისპო და ღორის ხსოვნა მზოლად ტოპონიმეიკას შემორჩა. ღორი აჭარაში მრავალი ადგილის სახელს უკავშირდება. ასეთია მაგ., „სალორეთი“ (სოფ. ქედის რაიონში), „ლორიყბათი“ (ტყე და სათესი იმავე სოფელში), „ლორეჭეთი“ (სათიბი და სათესი სოფ. ჭალაში (შუახევი), „სალორია“ (საძოვარი სოფ. გარეტყეში (ქედა) და სათიბი სოფ. ბაკოში (ხულო), „ლორტყე“ (სოფ. დანდალოში (ქედა), „ლორიყბა“ (სათესი გოგინაურში (შუახევი), „ლორვაკე“ (სათესი) ნიგაზეულში (შუახევი), „ლორინათხარი“, (ჩაის ფართობი სოფ. კიბეში (ბათუმში) და სათესი სოფ. პაპოშვილებში (შუახევი) და სხვ.

საბჭოთა ეპოქაში, როდესაც საფუძველი გამოეცალა ისლამს, შესაძლებელი გახდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის — ამ ყველაზე უფრო მალე-მზარდი და პროდუქტიული დარგის დანერგვა-განვითარება აჭარაში.

აჭარის ტოპონიმეიკაში გარკვეული ადგილი უჭირავს რელიგიური წარმოშობის სახელებსაც. თავისი არსებობის მანძილზე ამ მხარის მოსახლეობამ რამდენიმე რელიგია შეიცვალა. კერძოთაყვანისცემა ქრისტიანობამ შეცვალა, ხოლო თურქთა ბატონობის პერიოდში, ქრისტიანობა ისლამმა, აჭარის ტოპონიმეიკაში ყველაზე უფრო არის დამკვიდრებული ქრისტიანული სახელოდებანი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქრისტიანობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს აჭარაში, მაშინ ეს გასაგები გახდება. ქრისტიანობა აჭარაში განუხრელად ბატონობდა XVII საუკუნემდე, ხოლო შემდეგ ისლამის გვერდით განაგრძობდა არსებობას XIX საუკუნის დამდეგამდე. ცხადია, ეს გარემოება ტოპონიმეიკაშიც უნდა ასახულიყო, და ასეც იქნა.

ქრისტიანულ რელიგიური სახელებიდან აჭარაში ყველაზე უფრო გავრცელებულია „ჯვარი“.<sup>1</sup> „ჯვარის“ სახელოდებას ატარებს სოფლის უბანი ბარათაულში (შუახევი) და სათესი ფართობები სოფ. განახლებასა, ბათაქეებსა და ოქრუაშვილებში (ხულო).

<sup>1</sup> ჯვარის ემბლემა უძველესი დროიდან მომდინარეობს. სხვადასხვა ეპოქებსა და ხალხებში ჯვარის სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა. ჯვარი გამოიყენა და თავის სამსახურში ჩააყენა ქრისტიანობამაც. „ჯვარი, ისევე, როგორც ხატი, იყო გარკვეული ხარკი მმართველი წრეებისა იმ ფსიქო-იდერლოგიის მიმართ, რომლითაც ფართო მასები შეპყრობილი იყვნენ. ეს იყო ხარკი ძველი კერძოთაყვანისმცემლური განწყობილების სასარგებლოდ, რომელიც უაღრესად ძლიერი იყო ხალხში, ქრისტიანობამ ბევრი რამ მიიღო ძველი და ცდილობდა ძველ გუდაში თავისი ახალი ღვინო ჩაესხა, მაგრამ ცხადია, ამ გზით თვით სითხესაც გარკვეულად მკვლე-



ჯვარივე გამოიყოფა კომპოზიტებში: „ჯვარქედი“ (სოფლის უბანი, ლოტაურში და სათესი ფართობი ცხმორისში (ქედა) და სოფელი სასოფლო საბჭოში (ხულო), „ჯვარიყანა“ (სათესი ფართობი ფურტიოსა (შუახევი) და ვანაძეებში (ხულო).

„ფაჩიჯვარი“ (სათესი სოფ. ნენიაში (შუახევი), „ქვაბიჯვარი“ (მთა სოფ. საციხურში (ხულო), და სხვ.

გვხვდება აგრეთვე რიგი სხვა ქრისტიანული სახელწოდებანიც: „ფერის-ცვალება“ (ბუჩქნარი სოფ. გულებში (ქედა), „კვირიაწმინდა“ (სათესი შუა-სოფელი (შუახევი), „ამაღლება“ (სათესი სოფ. ძმაგულაში (ხულო), „ელია-წმინდა“ (სათესი სოფ. ოქტომბერში და სათესი შავაძეებში (ხულო), „თარ-ანგელო“ (მთავარანგელოზი) სათესი და საძოვარი სოფ. წაბლანაში (ხულო), „თარანგელოყელი“ (ტყე სოფ. გობრონეთში (ქედა), „თავარანგელო“ (ტყე სინდიეთში (ბათუმის რაიონი), „ხუცივაკე“ (სათესი სოფ. დავლაძეებში (ხულო), „ხატიმამული“ (სოფლის უბანი აგარაში), სათბი და ტყე საფარიძეებში (ქედა) და ა. შ.

აქარის მიტაცების შემდეგ თურქმა დამპყრობლებმა გაანადგურეს და დაანგრეს ამ მხარის მკვიდრთა მამაპაპური ქრისტიანული სამლოცველოები. შესანიშნავი ქართული ხუროთმოძღვრების სტილით ნაგები ქრისტიანული საყდრები ნასაყდრალებად იქცნენ. „ნასაყდრალი“, „ნაქილისვარი“, „ნამონასტრევი“, — ასე შემორჩა ეს სახელები აქარის ტოპონიმიკას.

დაპყრობის შემდეგ თურქები აქარაში ავრცელებენ ისლამს. ამისათვის ისინი ყოველგვარ საშუალებებს მიმართავენ (ეკონომიური იძულება, ფიზიკური ძალდატანება და სხვ.). ისლამი თავდაპირველად საზოგადოების მაღალ ფენებში იკაფავდა გზას, ხოლო გლეხობა დიდხანს გმირულად იცავდა მამაპაპურ ქრისტიანულ სარწმუნოებას. საზოგადოების დაბალ ფენებში ისლამს ღრმად ფეხი XIX საუკუნის დამდეგს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოკიდებული. ისლამის ბატონობის მოკლე დროით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ტოპონიმოკაში ისლამისტური რელიგია სათანადოთ ვერ აისახა. იმ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც ჩვენ აღვწერეთ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა გვაქვს, როდესაც მუსლიმანურ რელიგიასთან დაკავშირებული სახელები გვხვდება. აქედანაც უმეტესი მათგანი მუსლიმანთა სამლოცველო „ჯამე“-სთან არის დაკავშირებული. ასეთებია: „ჯამექვეშა“, (სოფ. უბანი დარჩიძეებში (შუახევი), ბალი ოქტომბერში (ხულო), საძოვარი სკურდიდში (ბათუმი) და სხვ. „ჯამიქალა“ (სათესი თხილევანაში (ხულო), და ზოგიერთი სხვ.

ბოლა იერი და ფერი“ (ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, თბილისი, 1949., გვ. 235-236).

ქრისტიანობის ხანაში ჯვარი დიდ გავრცელებას აღწევს. პირველ ხანებში ჯვარი სამლოცველოს მაგივრობას ასრულებდა. შემდეგ კი მის ადგილს იკავებს ტაძარი (ე. თოფურია, ქვაჯვარანი საქართველოში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. IV, თბილისი, 1942 წ., გვ. 63).

ტოპონიმია მრავალ სხვა საინტერესო ცნობას შეიცავს, მაგრამ ყველა მათ შესახებ ჩვენ აქ ვერ ვისაუბრებთ; ზოგიერთ მათგანზე ნათქვამი იქნება შენიშვნებში, ხოლო ბევრი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს და მეცნიერების სათანადო დარგების წარმომადგენელთა მსჯელობის საგნად უნდა იქცეს. ახლა რამდენიმე სიტყვა მასალების შეკრების მეთოდისა და ხასიათის შესახებ.

აქარის ასსრ ტოპონიმოლოგიურ აღწერილობას, რომლის ერთი ნაწილიც აქ არის წარმოდგენილი, ჩვენ შევეუდექით აკად. ნ. ბერძენიშვილის რჩევით 1953 წლის ზაფხულში.

პირველი სოფელი, რომელიც იმავე წლის აგვისტოში აღვწერეთ, იყო კიბე (აქარისწყლის სასოფლო საბჭო, ბათუმის რაიონი). ისტორიული აქარის ამ პირველ სოფელს მოჰყვა კაპნისთავის, ხერთვისის, მალაკონის და აქარისწყლის ხეობის სხვა სოფლების თანმიმდევრული აღწერა.

ტოპონიმოლოგიურ აღწერილობას ზამთრის გარდა წელიწადის ყველა სხვა დროს ვაწარმოებდით, განსაკუთრებით კი ზაფხულში. აქარისწყლის ხეობის აღწერას ორ წელზე მეტი მოვუხდით. 1955 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დავასრულეთ იგი და 1956 წლის გაზაფხულზე მაქაბელში გადავედით, იქედან ნიგალში, შემდეგ კი გონიაში და სარფში. ამავე წლის სექტემბერში უკვე კოროხს გამოვლა მხარის აღწერას შევეუდექით და ასე თანდათანობით მთელი ისტორიული ქვემო გურიაც შემოვიარეთ.

აღწერილობას ვაწარმოებდით თანამედროვე სასოფლო საბჭოების მიხედვით, მაგრამ ისტორიულ საფუძველზე.

თითოეული სასოფლო საბჭო რამდენიმე სოფლისაგან შედგება, ხოლო სოფელი კი თავის მხრივ მრავალ უბანს აერთიანებს. აქარის მთიანი მხარე სოფლებისა და უბნების დიდი სიმრავლით ხასიათდება.

თავდაპირველად ჩვენ სოფლის ტოპონიმოლოგიაში უბნებს არ გამოვეყოფდით, უფრო გვიან კი უბნების მიხედვით აღწერა ვამჯობინეთ.

აღწერილის სისრულისა და სიზუსტისათვის არც ენერგია დაგვიზოგავს, არც დრო და არც ცოდნა-გამოცდილება.

ამა თუ იმ სოფლის ან უბნის აღწერის დასრულების შემდეგ რამდენჯერმე წავუკითხავდით ხოლმე მთხრობელებს ჩამოთვლილ ადგილთა სახელებს და დაეინებით ვთხოვდი კარგად მოეფიქრათ კიდევ ხომ არ რჩებოდა ჩაუწერავი მათ სოფლებში რომელიმე ადგილის სახელწოდება. ერთის ან ორის მონათხრობს არ ვკვრდებოდით და აღწერილობას სხვებთანაც ვამოწმებდით. ხშირად ეს პირები ვერაფერს უმატებდნენ უკვე ჩამოთვლილს და გვიდასტურებდნენ აღწერილის სისრულე-სიზუსტეს, ხოლო ზოგჯერ ბევრსაც უმატებდნენ და მნიშვნელოვნადაც აზუსტებდნენ ჩვენს მონაცემებს. როგორც ცნო-

ბილია, ყოველ ორ ჰა ადგილს თავისი სახელი აქვს. ჩვენ თუმცა ვცდილობდით, რაც შეიძლება, დაწვრილებით აგვეწერა ყველა ეს სახელწოდებები, მაგრამ ზოგიერთი უდავოდ გამოგვრჩებოდა.

განსაკუთრებული ყურადღებით ვეკიდებოდით ტოპონიმიკურ სახელთა ზუსტად ჩაწერასაც, რადგან თუ სახელწოდება სწორად არ ჩაიწერა, მაშინ მისი ახსნა-ეტიმოლოგიაც ვერ იქნება მართებული.

პირველად ჩვენ მხოლოდ წმინდა აღწერილობითი ხასიათის მუშაობა გვქონდა გათვალისწინებული, მაგრამ შემდეგ მიზანშეწონილად ვცანით შენიშვნა-განმარტებათა დართვაც, თუმცა ყველა მათგანის სრულად წარმოდგენა აქ ვეღარ მოხერხდა.

მკაცრად ვიცავდით ტოპონიმიკური აღწერილობის ყველა წესს, მაგრამ ხარვეზ-ნაკლოვანებანი, ექვს გარეშეა, გვექნება. დაინტერესებულ პირთა ყოველ საქმიან შენიშვნას ამ სტრიქონების ავტორი მადლობის გრძნობით მიიღებს.

ტოპონიმიკური აღწერილობა

Վ Յ Վ Կ Վ

# ქვემო აზარა

## აზარისწყლის<sup>1</sup> სასოფლო საბჭო

კ ი ბ ე<sup>2</sup>ოფე<sup>13</sup>**ქეციქეთი<sup>3</sup>**

სირთი (სოფ. კუთხე)  
 ზალგვერდი (სათესი, ტყე)  
 ჩირდილი<sup>4</sup> (ტყე, სათესი)  
 ლაფრანა (სათესი)  
 უყვი (სათესი)  
 ჭორიფები (ბალი)  
 ნაჯარგვლევი<sup>5</sup> (ტყე)  
 ნასაფხლევი (ტყე)  
 ხოტოლაჭრი (სათესი)  
 ნაფლატი<sup>6</sup> (ჩაი)  
 ბრანჯატი (სათესი)  
 შუაღლე<sup>7</sup> (ღელე)  
 ნამყვარი (სათესი)  
 კაპანი<sup>8</sup> (სათესი)  
 ნაფაცხვარი (სათესი)  
 ნალომვარი (სათესი)  
 ახორა (სათესი)  
 კირმაკილა (სათესი)  
 ჩოხარაძეები (სოფ. უბანი)  
 ნაბელავე<sup>9</sup> (სათესი)  
 ატმანა (სათესი)  
 სათიხარი (სათესი)  
 ქოშვი<sup>10</sup> (სათესი)  
 საითაძეები (ს. უბანი)  
 ნაგვერდატი (სათესი)  
 საჭინკია<sup>11</sup> (ღელე)  
 აგარისწყალი<sup>12</sup> (ღელე)  
 მინდორი (საძოვარი)

**ღერე**

ვარანდიყული (სათესი)  
 ნახუნდრევი (ტყე)  
 ღმაღლე (სათესი)  
 დებეჭური (სათესი)

**გუჩმანიძეები**

საკაიმაღლე (ღელე)  
 სამძიარი (სათესი)  
 წისქვილიკარი (სათესი)  
 ჭამეჭვეში (ჩაი)

ქელი (ჩაი)  
 ბეგავრა (ბალი)  
 ხორგნალი (სათესი)  
 ნაქილისვარი (სათესი)  
 საცივი (სათესი)  
 ყანაგძელა (ბუჩქნარი)  
 თხილიანი (ბუჩქნარი)  
 ლორინათხარი (ჩაი)  
 კიკიტური (ჩაი)  
 სამგლე (ჩაი)  
 ბარდნალი (ტყე)  
 წიფნარი (ტყე)  
 ტალახნარა (ტყე)

**აპარისწყალი**

დავლატრა (ჩაი)  
 საცრეთა (სათესი, ბუჩქნარი)  
 ნასახლევი (ჩაი, ბუჩქნარი)  
 შესართავიყანა (სათესი)  
 ეკლიასუკან (სათესი)  
 ნალაშქრევი (სათესი)

**კაპნითავი****კაპნითავი**

სამზიარი (სათესი)  
 ნიგზნარი (სათესი)  
 დუდღნარი (სათესი)  
 ქეციმერა (სათესი)  
 საქორიბოლო (სათესი)  
 ნასაფენავი (სათესი)  
 დობირო<sup>14</sup> (სათესი)  
 ნაბაკვარი (სათესი)  
 ნახუნდრევი (სათესი)  
 საწუმპია (სათესი)  
 ჭალა<sup>15</sup> (სათესი)  
 სამგლე (ჩაი)  
 ყანაგძელა (ტყე)  
 ბაძგარვაკე (სათესი, ტყე)  
 სარცხელი (სათესი, ტყე)  
 ხატიტყე (ტყე)



საკოტორო (სათესი, ტყე)  
 მაგველეთა (ტყე)  
 ნაჭერვალი (ბუჩქნარი)  
 ხუმბრიძირი (სათესი)  
 წყავყურძნიძირი (სათესი)  
 მელყურძნარი (სათესი)  
 კოაძირი<sup>16</sup> (სათესი)  
 ნაყულევი (სათესი)  
 ბოსტანა (ტყე)  
 ფერდელევი (სათესი, ტყე)  
 ნაბელლავი (ტყე)  
 ჩანჩხალიღელე (ღელე)  
 გობელი (სათესი)

#### ცისკარაძეები

თხმელნარა (სათესი, ტყე)  
 ჩხვენარა (სათესი)  
 საისრე (სათესი, ტყე)  
 უყვი (სათესი, ტყე)  
 შუაჭალა (სათესი)  
 სახვეტი (სათესი, ტყე)  
 ჯუჯუხეთა (საძოვარი)  
 ზევათიღელე (ღელე)  
 საციკარათო (სათესი)  
 წისქვილკარი (სათესი)  
 კაპანბახჩა (სათესი)  
 ნაჭვავები (სათესი)  
 ნთარგმნევი (სათესი, ტყე)  
 ჩხერითავი (ტყე)  
 ნაჯამეარი (სათესი)  
 კილდიძირი (სათესი, ტყე)  
 ჩიდილა (ტყე)

#### ბერაძეები

მამიაშვილები (ჩაი)  
 საჯიხურო (სათესი)  
 საყდარი (ბალი)  
 ბალგვერდი (სათესი)  
 სასენი (სათესი)  
 ხადავლატრი (სათესი)  
 ბარჯიკალო (სათესი)  
 გორაშლი (სათესი, ტყე)

საკავია (ტყე)  
 საბერაძო (ტყე)  
 სირთიყანა (სათესი, ტყე)  
 ნამეხვარი (სათესი, ტყე)  
 ჩიდილა (ტყე)  
 მოზალო (ტყე)

#### ევგენიძეები

წრუბლიმინდორი (სათესი)  
 ოროკი<sup>17</sup> (ჩაი)  
 სამჩხიკვია (სათესი)  
 ნაფაროწყარო (ბუჩქნარი)  
 ცხეკერეთაძ (სათესი)  
 ყუზიხანა<sup>18</sup> (საძოვარი)  
 ნამქედვარა (ბუჩქნარი)  
 წყაენაბირი (ბუჩქნარი)  
 ევგენიძეებიღელე (ღელე)

#### ხეიტვიისი<sup>19</sup>

##### ძირიბოლო

ჯუჯუხეთა (ბუჩქნარი)  
 დობირვაკე (სათესი)  
 ნასელვარი (ბუჩქნარი)  
 თერნალა (საძოვარი)  
 წისქვილიკარი (ბუჩქნარი)  
 სათიხე<sup>20</sup> (სათესი)  
 სამარილე (სათესი)  
 ოროკი (ბუჩქნარი)

##### ქვედობანი

წინწალიკატრი (ჩაი)  
 კაპანი (სათესი)  
 ჩუროლმული (სათესი, ტყე)  
 წითლობი (ჩაი, სათესი)  
 ზექეთი (სათესი, ტყე)  
 ნაგმირევი (ტყე)  
 გადაგადმო (სათესი, ტყე)  
 ნაჩადირვალი (ტყე)  
 სამზიარი (სათესი)

##### ზედობანი

ბასილეთური (სათესი)  
 საყდარა (სათესი)  
 ზებელტრი (ჩაი)

ჯაყიბახჩა (ჩაი)  
კვეტელაჭრი (სათესი)  
იქეთსოფელი (სათესი, ჩაი)  
ზეგარდა (ბუჩქნარი)  
ყელოფი (სათესი)  
წყაერთა (სათესი, ტყე)  
გუგულეთური (ტყე)

### მალაკონი

#### ქვედა მალაკონი

ყურძნალათი (სათესი)  
ყვირალი (სათესი)  
უსტიკალო (ჩაი)  
გომი <sup>22</sup> (სათესი)  
ზეგარდაჲ (სათესი)  
ზრუგიეთი (სათესი)  
როხყანა (სათესი)  
მერიბოლო (სათესი)  
ლოკატრი (სათესი)

ზედა მალაკონი  
ფირცხალავი (სათესი)  
ჯამალური (სათესი)  
დობირო (სათესი)  
ცივწყარო (წყარო)  
საყდარი (ბუჩქნარი)  
გუგულეთური (სათესი)  
ქედლიქედი (სათესი, სამოვარი)  
საწნახელა (სათესი)  
სახნავთავა (ღელე)  
ნაფაცხვარი (სათესი)  
ურთხნალა (სათესი)  
ონავირა (სამოვარი)  
რუთავი (სამოვარი)  
მარანი<sup>23</sup> (სამოვარი)  
ნამნარითავი (სათესი)  
ზაქარევი (ტყე)  
**ნ ი გ ე ლ ი****აზარისწყლის სასოფლო საზოგადოება****მ ი რ ვ ი თ ი**

ჭოროხი<sup>1</sup> (მდინარე)  
 ხანიკარი (სათესი)  
 ვაკე (სათესი)  
 წიფნარი (ტყე)  
 ოჯალი (ტყე)  
 ბაღნარი (ბაღი)  
 ცივწყალი (სათესი, ტყე)  
 ძიგურეთი (სათესი)  
 კუმლული (სათესი)  
 ხამიყანა (სათესი)  
 საძიგლიკარი (სათესი)  
 საისეთი (სათესი)  
 გობილელე (ლელე)  
 ოტკობეჩია (ტყე)  
 ქანიმილელე (ლელე)  
 მუთუნაიშვილები (სათესი)  
 თხილნარი (სათესი)

დიდილელე<sup>2</sup> (ლელე)  
 სასვენია (ტყე)

**მახახალივირი**

დედალუყვათი (ჩაი)  
 ნაეთავი (საძოვარი)  
 მორევითავი (სათესი)  
 ქვედამაჭახალივირი (ს. უბანი)  
 ქვაკიბე (სათესი)  
 ჩიდილა (სათესი)  
 ნასახლევი (საძოვარი)  
 ლომავრი (საძოვარი)  
 ნაშენი (სათესი)  
 ცივწყალი (სათესი)  
 ზედავაკე (ტყე)  
 ზექეთი (ტყე, სათესი)  
 შუშხნარა (სათესი, ტყე)  
 გომი (ტყე, სათესი)

**ქირნათის სასოფლო საზოგადოება****მ მ ა რ ა**

ყალიძირი (ტყე)  
 ყალე<sup>1</sup> (ნაციხვარი)  
 სეემია (სათესი)  
 გოგოლიქედი (სათესი)  
 სხვანა (სათესი)  
 დარანი (ჩაი)

ბენდელიკალო (სათესი)  
 ნაფლატა (ტყე)  
 ჩიმაგატრი (სათესი)  
 ყარალიადგწილი (სათესი)  
 საჭიკარტე (სათესი)  
 ნოჩვარი (ტყე)

**კირნათი**

**ნაკირნათევი**

- ბლესინი (საძოვარი)
- მილმაყანა (საძოვარი)
- ქებაშუანი (ს. უბანი).
- ფაცხიკარი (სათესი)
- ულელტეხილი (სათესი)
- ხამიყანა (სათესი)
- ვაკე (სათესი)
- ნალობიევი (სათესი)
- ფოშტიღელე (ღელე)
- ნაგომავი (ს. უბანი)
- გაჭრილიქედი (ბუჩქნარი)
- ყორნალი (სათესი)
- ვაკესეეშია (სათესი)
- მელყურძენა (ვენახი)
- ბერისარჩობი (ტყე)
- გვარიქედი (სათესი)
- სამგლიათი (ტყე)

**შუშანეთი**

- გვარიქედი (სათესი)
- კოთქედი (სათესი)
- ეკლესიგვერდი (სათესი)
- მუსლულიკარი (სათესი)
- ქიბაკურიღელე (ღელე)
- ხუნდურათი (სათესი)
- მანანათი (სათესი)
- ფოტური (ჩაი)
- ხორხა (ჩაი)
- აბანვა (ჩაი, სათესი)
- სამელია (სათესი)
- ნაჭილისვარი (მარანი)
- სასულთობო (სათესი)
- წითელათური (ტყე)
- წვერსიქეთი (სათესი)
- ყორნალა (სათესი)
- კაპანათი (ტყე)
- ვაციქედი (სათესი)
- გოგუეზიკალო (სათესი)

**კირნათი**

- სანიწყალი (ღელე)
- წაბლნარი (ბუჩქნარი)
- საქორია (ს. უბანი)
- ლემტიეთი (სათესი)
- მეფისწყარო (წყარო)
- უსტიქედი (ს. უბანი)
- ატობანა (სათესი)
- ნასახლუვი (სათესი)
- დობრიო (სათესი)
- ბამბათი (ს. უბანი)
- საფერიანი (სათესი)
- ნაჭიშკრევი (სათესი)
- ჭანიყვაი (სათესი)
- სამკოდია (სათესი)
- ნაბელლავი (სათესი)
- სახვავი (სათესი)
- პლაკნარა (სათესი)
- ჭურთა (ბორცვი)
- ოჯვაბურა (სათესი)
- ონაგირა (ქედი)
- ზეგანი (ტყე)
- ხეროლომა (ტყე)

**კობალეთი**

- ტურიბუღე (სათესი, ბუჩქნარი)
- ბესანახლუვი (სათესი)
- ფურუნკიკარი (სათესი)
- საფანელა (სათესი)
- დარღალა (სათესი)
- ჯინჭარაჭლი (ს. უბანი)
- ქოთანავი (სათესი)
- მელავი (სათესი, სათიბი)
- საჭინკია (ტყე)
- ქეციმერა (სათესი, ტყე)
- საძიგველაქედი (სათესი)
- ტურავი (სათესი)
- ქონჭყო (სასვენი ადგილი)
- ნაშენი (სათესი)
- ჩირდილა (სათესი)
- მამულითავი (სათესი)
- ნადარბაზევი (სათესი)
- შავყანა (ტყე, სათესი)

თავარანგელო (ტყე, სათესი)  
 კილიძიძი (სათესი)  
 აკვანთა (სათესი)  
 ნაბოსლავი (სათესი)  
 ცხენიზორცა (ტყე)  
 კუხმუნჯა (ტყე)  
 ვირიზრუგა (ტყე)  
 ნაეკლესევი (ბუჩქნარი)  
 კვერეზია (ბუჩქნარი)  
 თოდორავი (სათესი)  
 უყვი (ტყე)  
 ყორნალა (ტყე)  
 ნაახვევი (მთა, ტყე)  
 ბოლოწრილა (ტყე)  
 ბარდნალა (ტყე)  
 კერკეტევი (მთა)

## ოღლაუში

### თოთიჭრი

ოღლავევაკე (სათესი)  
 ნაციხვარი (სათესი, ტყე)  
 საძიგველაქედი (ტყე)  
 ჩირდილა (სათესი)  
 ეკალატრი (ბუჩქნარი)  
 ნასახეთი (ბაღი)  
 თავგუბე (წყარო)  
 ლაფრანა (სათესი, ბუჩქნარი)  
 კალოპირი (საძოვარი)  
 იორდანევი (ბუჩქნარი, სათესი)  
 გეგზეთი (სათესი)  
 ნალომვარი (ბაღი)  
 ვირიზრუგა (სათესი, ტყე)

### ბურკენავი

მკედლივი (სათესი)  
 ჯამეკარი (საძოვარი)  
 რაკატკა (სათესი)  
 ჩირდილა (სათესი, ბუჩქნარი)

### ზეგანი

მოლიბეგიაკარი (სათესი, საძოვარი)  
 ქვაბტყელი (სათესი)  
 ჭიბატრი (საძოვარი)

საყდარი (სათესი)  
 ნაფაცხევი (სათესი)  
 ხარლი (საძოვარი)  
 ხუცური (ბაღი)  
 მუხნართავი (სათესი)  
 წყავიძირი (სათესი)  
 რუთავი (სათესი)  
 ხამიყანა (სათესი)  
 დიდქედი (სათესი)  
 დაბლავაკე (ტყე)  
 მაღლავაკე (ტყე)  
 გომთხევი (ტყე)

## ძველა მარადილი

### ფანჩვეთი

საყდარი (სათესი)  
 ქვაბიში (საძოვარი)  
 ცივიწყალი (საძოვარი)  
 საზღვარო (სათესი)  
 კვირიკეთი (საძოვარი)  
 ტყემლიძირი (სათესი)

### ბრევეთი

ქეციქეთი (სათესი)  
 ბაღნარი (სათესი)  
 ლესპარა (სათესი)  
 კაპანი (სათესი)  
 ქვაპურგი (ტყე)  
 ყორნალა (საძოვარი)  
 ნორმევი (ტყე)  
 ღრემში (ტყე)  
 შეფათანბაში (მთა)

### ლომანაკეთი

ქვაბლაკია (საძოვარი)  
 შაყყანა (საძოვარი)  
 ქურიპირი ქედი (სათესი)  
 ქუშალა (სათესი)  
 ჯამიკარი (სოფლის ცენტრი)  
 ნაოჯღვარი (ჩაი)  
 ლოლემი (ჩაი)  
 წისქვილიკარი (ჩაი)

სკელე<sup>3</sup> (სათესი)  
 ონჩომეთი (სათესი)

**სახახლეო**

ორბეთი (სათესი)  
 კალავეთი (სათესი)  
 გამტკიცული (სათესი)

**ძაბლავეთი**

წისქვილიკარი (საძოვარი)  
 ოკუხულეთი (სათესი)  
 ეწერი (სათესი)  
 საჩქეთი (საძოვარი)  
 საისალეთი (ტყე)  
 ტყედიდი (სათესი)  
 ბელლიკარი (საძოვარი)  
 ბუმბულიკარი (საძოვარი)  
 კაზანჯი (ტყე)  
 დიდმანიძე (საძოვარი)  
 ორპირი (საძოვარი)  
 გეფინერი (ტყე)  
 კორნალი (სათესი)  
 ვაშლიძირი (სათესი)  
 მოზენია (სათესი)  
 ჭოდნარა (სათესი)

გეზენი (საძოვარი)  
 კომპიში (ტყე)  
 სარავეთი (სათესი)

**ქუთურეთი**

საქალიმეთი (სათესი)  
 ნაგერვაძე (სათესი)  
 ლომგურეთი (სათესი)  
 გელიარჩვეთი (სათესი)  
 კორითავი (ტყე)  
 ოთხზიარი (სათესი)  
 თოდრეთი (სათესი)  
 ტურიფოქვი (სათესი)  
 ნიგზნარა (სათესი)  
 დიბეყანა (სათესი)  
 ლონკროფეთი (სათესი)  
 ჭიბაკური (ტყე)  
 საითაძირი (სათესი)  
 სხალკეხიანი (სათესი)  
 ცარა (ტყე)  
 დავისაყენი (ტყე)  
 ტყემლიძირი (სათესი)  
 ქვითავი (ტყე)  
 ღრემშიღელე (ღელე)  
 ინჯინარი (მთა)  
 ქვაძგი (სათესი)

**გ მ ნ ი უ**

**თხილნარის სასოფლო საგზო**

**ს ი მ ო ნ ე თ ი**

საისეთი (ბუჩქნარი, საძოვარი)  
 ქეციქეთი (ბუჩქნარი)  
 ყოლიძირი (საძოვარი)  
 ონტოფო (სათესი)  
 ცარა (საძოვარი)  
 სიმონეთივაკე (სათესი)  
 ნეფეკოპიანი (საძოვარი)  
 კორტოზი (ბუჩქნარი)  
 გძელყანა (საძოვარი)  
 ნაფაცხვარი (ჩაი)  
 ნასელავი (ჩაი)

სამძიარი (ჩაი)  
 პარუნყყანა (ტყე)  
 ყადიოლიბაღჩა (ჩაი)  
 ჭამიკარი (სოფლის ცენტრი)  
 ცკიტური (ჩაი)  
 ქვათეთრა (ტყე, სათესი)  
 ჭიბაკური (საძოვარი)  
 გეზენი (საძოვარი)  
 ქილისე (ტყე)  
 ჩხანაფურა (ტყე)  
 გოჩი (ტყე)  
 სხალიძირი (ტყე)



საჩიქეთი (ბუჩქნარი)  
საქალიმე (საძოვარი)  
თოფისაიალა (ტყე)  
უყვი (ტყე)

## მ ა ხ ო

### მახო

კიკიკალი (ჩაი)  
ყავეკარი<sup>1</sup> (სათესი)  
მახოსწყალი (ღელე)  
ჯამიკარი (ციტრუსები)  
დობრიყანა (საძოვარი)  
მინდორყანა (ჩაი)  
ნასახლევი (ჩაი)  
ბარდნალა (ჩაი)  
კილიეთი (ჩაი, სათესი)  
საპური (ჩაი)  
გოჩი (ჩაი)  
ჩხავნარა (ჩაი)

### ზენაქეთი

ყავეკარი (ბუჩქნარი)  
ჩარხიწყალი (ტყე)  
კალაში (სათესი)  
ბარდნალა (ტყე, ჩაი)  
აჩიქბარდი (ტყე)  
ჩათალდერე (ტყე)  
ინჯინარი (ტყე)

### ღავითაძეობი

ყურტყუა (ტყე)  
მინდორყანა (სათესი)  
ჯამბაზოლიტყე (ტყე, ციტრუსები)  
საძიგლიკარი<sup>2</sup> (ჩაი)  
ზოროსკანად (საძოვარი)  
მეჭელე (ციტრუსები)  
ლანგათი (ჩაი)  
სანაფოტე (ციტრუსები)

## ა მ ა რ ა

ტურინაკვეთი (ჩაი)  
ვაშნარი (ჩაი)  
კაკლნარი (ჩაი)  
ლელენარი (ციტრუსები)

მერჯანჩავეში (ბუჩქნარი)  
ყადირამინდორი (ბუჩქნარი)  
ზინდანი (ტყე)  
ნაბელლარი (ბუჩქნარი)  
რეფიკამინდორი (საძოვარი)

## თხილნარი

ქვედა თხილნარი  
ლანგათი (სათესი, საძოვარი)  
გვერდამი (საძოვარი)  
ბოროსოჯაქლული (ჩაი)  
ზაიქეთი (სათესი, საძოვარი)

### ზედა თხილნარი

გუშეგი (ჩაი)  
წითელიმიწა (ჩაი)  
უწყუბი (ჩაი)  
მინდორი (ჩაი)  
ფარდულიბახჩა (ჩაი)  
დიდითლიანი (ჩაი)  
პაწათლიანი (ჩაი)  
ბახჩიბოლო (სათესი)  
აღმასაქუთარი (ციტრუსები)  
ბოშტეფე (საძოვარი)  
ხერხიმინდორი (საძოვარი)  
დიდგულევი (ჩაი, ტყე)  
კომონაჰარი (ტყე)  
ახო (საძოვარი)  
თხმელნარი (საძოვარი)  
ანწნარი (საძოვარი)  
ფანჩვეთი (საძოვარი, ტყე)  
ნაკაფი (ჩაი)  
ჩაფაყანა (სათესი)  
შუაახო (ჩაი)  
ლომიახო (ჩაი)  
ქვედაყანა (საძოვარი)  
ბოლოდუზი (საძოვარი)

## ო მ გ ო ლ ო

ადა (საძოვარი)  
ნაქილისვარი (ბუჩქნარი)  
პიტასირთი (ჩაი)  
ყავევიდერე (ღელე)  
ნაციხვარი (სათესი)

ფარჩები (სათესი)  
 ჩევირმე (სათესი)  
 მიკლიკური (ციტრუსები)  
 ჩიფთიქვა (ციტრუსები)  
 ტალახნარი (ბამბუკი)  
 ბეშლარიკარი (ციტრუსები)  
 ნაბელღავი (ჩაი)  
 ხოჯაჭრი (ჩაი)

**მუკავანთი**

ფილაგეთეფე (ტყე)  
 ბოლოყო (ღელე)  
 თხმელნარი (ბუჩქნარი)  
 ბილკორდი (საძოვარი)  
 ღომიყანა (ბუჩქნარი)  
 ზინდანი (ტყე)  
 მალღაყანა (საძოვარი)  
 მინდორი (საძოვარი)  
 გძელყანა (საძოვარი)  
 ნაღომვარი (ბუჩქნარი)  
 ქილისე (ბუჩქნარი)  
 კენჭნარი (ბუჩქნარი)  
 დიდიმინდორი (ტუნგო)  
 თიხნარი (საძოვარი)  
 ქაზიმფაცხა (ბუჩქნარი)  
 ჰაჯიაყანა (ტყე)

გალმევაკე (ჩაი)  
 კოკიწყალი (ღელე)  
 ფელუდიბი (ჩაი)

**ჭ ა რ ნ ა ლ ი**

**გალმა კარნალი**

მინდორი (საძოვარი)  
 ქურთლული (ჩაი)  
 ჯამისერი (ჩაი)  
 ტყემლისერი (ჩაი)  
 შალვაძე (ჩაი)  
 ყარაშარვალი (ტყე, ჩაი)  
 ყუზიხანა (ციტრუსები)  
 სინეგდერე (ღელე)

**გამოღმა კარნალი**

ქადაგიძეები (სათესი)  
 ქილისეკარი (ციტრუსები)  
 დიბეგდუზი (საძოვარი)  
 ჩარჩახანი (ღელე, ტყე)  
 არღუჯსირთი (ტყე)  
 აბანოწყალი (ტყე, ღელე)  
 ძურწა (ტყე)  
 ხორსონისირთი (ტყე)  
 მადენდერე (ღელე)

**გონიის სასოფლო საბჭო**

**ახალი სოფელი**

**ახალსოფელი**

სხლები (ჩაი)  
 ბიტონიკი (ჩაი)  
 ხოფშოშიტყე (ტყე)  
 ჩერქეზლული (საძოვარი)  
 ყიზილთოფრადი (სათესი)  
 დომუზადა (სათესი)  
 ხეხილნარი (ჩაი)  
 აეთემიღელე (ღელე)

**განთიადი<sup>1</sup>**

ასლიბადი<sup>2</sup> (ციტრუსები)  
 კახიძეებისახლიგვერდა (ციტრუსები)

**ავგია**

ცივიწყარო (ტყე)  
 კილაძიმინდორი (ჩაი)  
 ზვარეღებისირთი (ჩაი)  
 დიასამიძინასახლევი (ჩაი)

**გონიო**

ქუჩუკქოროხი<sup>3</sup> (მდინარე)  
 ტაბახანა (ციტრუსები)  
 ციხე<sup>4</sup> (ციხე)  
 ოლუმბაში (ს. კუთხე)  
 იმამსუფ (სერი)  
 ჰევად<sup>5</sup> (ს. კუთხე)  
 ქერეჩხანა (ს. კუთხე)  
 ჩერქეზლული (ჩაი)

ბუჯალი<sup>6</sup> (ს. კუთხე)  
 ადა (სათესი)  
 გიოლბაში (საძოვარი)  
 თეფეალთი (სათესი)

### კვარიათი

კვარიათიღელე (ღელე)  
 დაღლისირთი (ჩაი)

## ჭ ა ნ ე თ ი

### ხ ა რ უ ი<sup>1</sup>

ქვაკამარა (ბუჩქნარი)  
 მანდრათი (ციტრუსები)  
 დემირკაფი (კლდე)  
 სქინდონა (ჩაი, ციტრუსები)  
 ბარდიშლალი<sup>2</sup> (ჩაი)  
 კალენდე(რ)ე<sup>3</sup> (ჩაი)  
 ცხემურლული<sup>4</sup> (ჩაი)  
 ხეშვილული<sup>5</sup> (ციტრუსი, საძოვარი)  
 დერემენდერესი<sup>6</sup> (ჩაი)  
 ქილისე (საყდარი)  
 მალაროლიფაცხა (ჩაი)  
 ოკანდელე (ციტრუსები)  
 მაისა (ციტრუსები)  
 ცარა (ჩაი)  
 აბანოშუკა(რ)ი (წყარო)  
 ქილისესირთი (ბუჩქნარი)  
 ქვაქაქი (ციტრუსები)  
 მონტრაცა<sup>7</sup> (ციტრუსები)  
 კერკეტაში<sup>8</sup> (ციტრუსები)  
 ოჯალანე<sup>9</sup> (ციტრუსები)  
 ქვადიდი (ქვარნალი)  
 ობურბე<sup>10</sup> (ციტრუსები)  
 ზეითინლული<sup>11</sup> (ციტრუსები)  
 ქაუმხაზი<sup>12</sup>

რაკანი (ციტრუსები)  
 მეწკანკი (ციტრუსები)  
 მაჯგინი (ციტრუსები)  
 დიდიოჯალი (ციტრუსები)  
 ლურბელა (ციტრუსები)  
 ფუჯონჯერე<sup>13</sup> (საძოვარი)  
 ბურჭულიმეჭაელი<sup>14</sup> (ტყე)  
 თხირეფუნა<sup>15</sup> (საძოვარი)  
 ქვანჩამურე<sup>16</sup> (საძოვარი)  
 გენიალონი<sup>17</sup> (საძოვარი)  
 ქუროთოჯალი (ციტრუსები)  
 კაკლიშყონა<sup>18</sup> (საძოვარი)  
 ჰიტოჯალი<sup>19</sup> (ციტრუსები)  
 ნომექთებენი<sup>20</sup> (ციტრუსები)  
 მეზარლული (სასაფლაო)  
 მსკიბუკალა<sup>21</sup> (ციტრუსები)  
 მსქიბულალი<sup>22</sup> (ღელე)  
 ჩელეგები (ციტრუსები)  
 ტიბაში<sup>23</sup> (ღელე)  
 ნოლა<sup>24</sup> (სოფლის ცენტრი)  
 ლალდიდი (სათესი)  
 ყონამგერი<sup>25</sup> (სათესი)  
 ლავრა (სათესი)  
 პაპათი (სათესი)  
 მცხულეფუნა<sup>26</sup> (სათესი).



Յ Ծ Ե Ո Յ 3 Ե Ծ Յ Ո

## ა ბ ა რ ა

## აქარისწყლის სასოფლო საბჭო

1. აქარისწყალი ეთნოგრაფიული აქარის მთავარი მდინარეა; ამავე სახელით იწოდება აგრეთვე მშვენიერი დაბა აქარისწყლის შესართავში. ეს დაბა რევოლუციამდე შესართავის სახელით იყო ცნობილი და რამდენიმე ფიქრულ სახლს ითვლიდა, დღეს კი ქვეითარის საართულებიანი სახლებით არის დამშვენებული.

აქარისწყალი არ არის ამ მდინარის სახელწოდების თავდაპირველი ფორმა, ძველად იგი მხოლოდ აქარად იწოდებოდა. შემდეგ კი ეს სახელი მზარეზეც გავრცელდა და ამ მდინარის ხეობაში მდებარე მიწა-წყლის აღმნიშვნელ გეოგრაფიულ ტერმინად იქცა.

სახელწოდება აქარა-ს მნიშვნელობისა და წარმოშობის საკითხი კარგახანია დგას სამეცნიერო ლიტერატურაში.

მ. ჭანაშვილი, რომელიც ამ საკითხს შეეხო 1894 წელს, აქარას უკავშირებდა სიტყვა „ჰა“-ს, რომელსაც წყაროს, მდინარის და საკუთრივ ჰეს განმარტებას აძლევდა: ჰა-რი-ა-ჰა-რი — აქარა (მ. ჭანაშვილი, აფხაზეთი და აფხაზეთები, ზეიორგო, წიგნი XVI, ტფ., 1894 წ., გვ. 2-3. რუს. ენაზე).

აქარის ამგვარი დაკავშირება მართებული არ არის. არც ამ სახელწოდების ნ. აღონციელი ეტიმოლოგიაა სწორი. აქარა არ არის „ეგერ“, „ეგერია“-ს სახეშეცვლილი ფორმა, როგორც ეს ნ. აღონცის მიაჩნდა (ნ. აღონცი, სომხეთი იუსტინიანეს ეპოქაში, მოსკოვი, 1908 წ., გვ. 26. რუს. ენაზე).

ამავე საკითხს გაკვრით შეეხო აკად. ს. ჭანაშვილი 1940 წელს დაბეჭდილ შრომაში „ჩრტყე-ზულა (ადილეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიაში“ და იგი „აჰ-ი“-საგან (სოფელია გურიაში, აქარა-გურისის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე შეფენილი) ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელწოდებად მიიჩნია. „მდ. აქუყას სათავეებთან, — წერდა იგი, — ჩვენ ვხვდებით სახელწოდება აჰ-ს (სოფელია, ზემო და ქვემო); აქედან არის ნაწარმოები აჰ-არა-ც, რომელმაც სახელწოდება მისცა ამ მთების სისტემას — აქარის ქედი — და თვით ოლქსაც“ (სსრკ მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის მოამბე, ტ. 1, № 8, თბ., 1940 წ., გვ. 625). სამწუხაროდ სახელოვან მეცნიერს ამ მოსაზრებისათვის სათანადო ახსნა-განმარტება და დასაბუთება არ მიუცია. ეტყობა „აქარა“-ს გავრცელების არესა და მნიშვნელობის საკითხის შეუსწავლელობის ვითარებაში, იგი ამ მიმართულებით სიტყვის გაგრძელებას ერიდებოდა.

უძისა და აქარის დაკავშირება სწორია, ეს სახელწოდებები წარმოშობის თვალსაზრისით მართლაც უკავშირდებიან ერთმანეთს და საერთო ფუძიდან ამოდიან, მაგრამ უკანასკნელი რომ პირველისაგან იყოს ნაწარმოები მართებული არ ჩანს.

ასევე იოჭმის აქარის პ. ინგოროყვასეულ ეტიმოლოგიაზეც, რომლის მიხედვით აქარა წარმოდგება ეთნიკური სახელწოდებისაგან „ჰანი“. „...სატომო სახელიდან „ჰანი“, — წერს პ. ინგოროყვა, — ჩვენ გვაქვს გეოგრაფიული სახელწოდებანი:

ა) ჰან-ეთი და

ბ) ა-ჰან-რა, რომლის სახენაცელი ფორმაა: ა-ჰარა“. (გვ. 138).

ამ უკანასკნელში ავტორი გამოყოფს თავიღურ ნაწილსაც „ა“, რომელსაც „სა“ პრეფიქსის შესატყვისად თვლის, და ფუძეს „ჰან“. პრეფიქს „ა“-ს შესახებ ინგოროყვა ამბობს: „ეს თავიღური გრამატიკული ნაწილაკი „ა“ (როგორც, მაგალითად, გეოგრაფიულ სახელში „ა-ჰარა“), და მისი ვარიანტული სახეობა „ე“ (როგორც, მაგალითად, გეოგრაფიულ სახელში „ე-გარ-ისი“), თავისი მნიშვნელობით უდრის გრამატიკულ ნაწილსაც „სა“ (მაგალითად, გეოგრაფიულ სახელში „სა-მცხე-“)“. (იქვე).

ამ შეფარდებათა სისწორის ნათელსაყოფად მას მოაქვს შემდეგი მაგალითები: „ა-დგილი“, — რომელიც მისი მტკიცებით, — იგივეა რაც „სა-დგილი“, „ა-ბანი — იგივეა, რაც „სა-ბანი“ და სხვანი, ამინარადღე ა-ჰან-რა იგივეა, რაც „სა-ჰან-რა, სა-ჰანო, — დასკვნის მკვლევარი. (გვ. 139).

ა ხმოვნის პრეფიქსად მიჩნევა ამ სახელში მართებულია, მაგრამ ფუძეში სატომო სახელ ჰ-ან-ის აღდგენა და რა სუფიქსის გამოყოფა სწორი არ არის.

ამ სახელწოდებების შესახებ რამდენიმე ხალხური ვერსიაც არსებობს.

ერთი მათგანის მიხედვით აქარა ანუ აჯარა თითქოს თურქულიდან მომდინარე სახელწოდებაა და „აჯა მემლექეთს“ — მშვიერ ქვეყანას ნიშნავს. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ მოხალისე ეტიმოლოგი თვის არ იწუხებს ამ სახელწოდების დასლზე, მასში აფიქსებისა და ფუძემდებლის გამოყოფაზე, რომლის გარეშეც შეუძლებელია სახელწოდების რაიმე საფუძლისამო ახსნაზე ლაპარაკი, მას არც ის აფიქრებს, რომ აქარა, როგორც გეოგრაფიული სახელი, არსებობდა ჯერ კიდევ იმ ძველ დროში (იხსენიემა VII ს. ძველში), როდესაც თურქოსმალები არა თუ საქართველოსთან არ იყვნენ დამუხობლებული, არამედ საერთოდ არც კი ჩანდნენ ისტორიის არენაზე. მაგრამ ეს ეტიმოლოგია თუ აქ მაინც მოვიხსენიეთ, ეს არა იმიტომ, რომ მას რაიმე ღირებულება ჰქონდეს ამ სახელის მეცნიერული ახსნისათვის, არამედ იმიტომ, რომ მასში შესანიშნავად არის გააზრებული ოსმალთა მფლობელობის პერიოდის აქარის მძიმე ეკონომიური ყოფა, მისი ვალატაყება და მშვიერ ქვეყანად ქცევა. მართლაცდა მიტაცების შემდეგ აქარის მკვიდრნი მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში მოექცნენ, დაეცა სოფლის მეურნეობა, ხელისნობა, აღებ-მიცემობა, ვალატაყდა ხალხი, დამშვიდა ქვეყანა, რამაც საფუძველი მისცა მრავალ ავებლობა განცდილ ამ კუთხის ქართველს თავისი სამშობლო მიწის სახელი იმ თურქ დამპყრობელთა ენისათვის დაეკავშირებინა, რომლებმაც აქარალებს სიმშვილი, სიკვდილი, ძარცვა, ტანჯვა და სხვა მრავალი უბედურება მოუტანეს.

მეორეხარის სახლური ეტიმოლოგია აქარას ეპყრობას უკავშირებს და ასეთი სახელწოდების წარმოშობას ამ კუთხის მკვიდრთა ვაჭრული მიდრეკილებით ხსნის. „აქარული დღესაც ამბობენ, — წერდა ზ. კივინიძე, — რომ ძველად აქარას ვაჭარ ერქვათ, რადგანაც აქარული გამოიხენილი ვაჭრები ყოფილან და ამათ შავი ზღვით ბევრი რამ ნაწარმოები გაქონდათ შავი ზღვის იქითა ქვეყნებში“ (ზ. კივინიძე, ოსმალის საქართველო ანუ აღწერა კლარჯეთისა, გვ. 6).

აქარის ვაჭარადან-მომდინარეობის აზრი, რომლის სისწორეში, როგორც ჩანს ზ. კივინიძეს ეჭვი არ ეპყრებოდა, ავებულია ამ სიტყვების მარტოოდენ გარეგნულ მსგავსებაზე და არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან.

აქარა ა-ა სუფიქსურ-პრეფიქსური წარმოების სახელია. მისი ძირეული მასალაა კ. ამავე ძირის სახელებია კ-ან-ეთი (წარმოსდგება სატომო სახელისაგან კ-ან-ი), კ-ალ-ა, კ-ალან-გარი და სხვ. ყველა მათგანში კ წყალს უკავშირდება. აქარაც ბირველად ჩანს მდინარისათვის, ხოლო მიჩქმეული და მეორადია ოლქისათვის.

2. „კიბე — აღსავალი ხარისხი“ — განმარტავს სახელოვანი ლექსიკოგრაფი საბა ორბელიანი (ქართული ლექსიკონი, სრფ. ი. ყიფშიძისა და პრაფ. ა. შანიძის რედ., თბილისი, 1928 წ., გვ. 186) და მიუთითებს ნახე აღსავალი“-ო. აღსავლის ქვეშ კი ნათქვამია: „კიბე არს წულილის ხით დანადლოვანი აღსავალი“ (იქვე, გვ. 26).

„კიბე“-საგან არა ერთი სოფლისა თუ ადგილის სახელია ნაწარმოები, ასე მაგ, სოფ. მაჭახლისპირში (აქარისწყლის სასოფლო საბჭო) არის ადგილი „ქვაკიბე“, ამავე სახელწოდებას ეხებებით ბადუყვეთში (აქარის აღმართის „სასოფლო საბჭო“, ზედაჯოლოსა, (ხელეჩაუურის სასოფლო საბჭო) და სხვაგან. ქუთაისის რაიონში ერთ-ერთ სოფელს ეწოდება „კიბულა“. სიტყვა კიბე გამოყოფა აგრეთვე, მეგრული წარმოების გეოგრაფიულ სახელწოდებებში: „ტკაჯა“ („ტკაე“ მეგრულად კიბეს ნიშნავს), „ტკაჯარელი“ და სხვ. (პ. ინგოროყვა, გიორგი მერაქელი, თბილისი, 1954 წ., გვ. 172).

3. ქვეტქეთი და კომპლქისი ც-დ ქვევის შედეგად (ფორიკატოზიცია) მიღებული ფორმაა „ქედსიქეთი“-სა. ასეთივე გზით არის მიღებული ქვეტიმერა (ქედსიმერა) და სხვ.

4. „ჩირღილი“, „ჩირღილა“, „ჩიღილა“ ძლიერ ხშირად გვხვდება აქარის ტოპონიმიკაში. ასე იწოდება ადგილი, რომელსაც შზე ნაკლებ, ან სრულიად არ უდგება. „ჩრღილი... სადა შვის შუქი არა დგეს“ (საბა, ქართული ლექსიკონი, გვ. 411, ჩრღილის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ს. ჭიჭია, სამცხე-საათაბაგოს ტოპონიმიკისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგადი საკითხი, თსუ, ტ. 41, 1950 წ., გვ. 185-შმდ.);

5. სახელწოდება „ნაჭარველევი“ ამ ადგილს მიუღია ჯარველისაგან, რომელიც აქ ოდესღაც მდგარა. ჯარველი („ჯა“ მეგრულად ხეს ნიშნავს) ხის მორებისაგან ავებულ სახლს

ეწოდება. „ჭარგავლი სახლი“ აქარაში „ფერდას“ (ყოშლა) ზონაშია გავრცელებული (გა. შიშინაძე, ხეცურული სახლი „სენე“, ანალები, თბილისი, 1947 წ., გვ. 155).

6. ნაფლატს აქარაში ჩამოშვავებულ ადგილს უწოდებენ. „ფლატე-მიწა ჩამონგრეული“ (საბა, ქართ. ლექსიკონი, გვ. 356).

7. „ღელღელ ითქმის ხევი მცირე“ (საბა, ქართ. ლექსიკონი, გვ. 377), ხევის მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას აქარაშიც.

8. კაპანი — დამრეცი, ციკაბო ადგილი. საბას ეს სიტყვა „ქვა-ლოკ“-ად აქვს განმარტებული (გვ. 161). კაპანი-სავან აქარაში არაერთი ადგილისა თუ სოფლის სახელია ნაწარმოები. ასე მაგ. კაპნისთავი (სოფელი აქარისწყლის სასოფლო საბუქოში), კაპანდობი (ხელვაჩაურის სასოფლო საბუქოში) და სხვ.

9. ნაბელღავი ნაავ პრეფიქს-სუფიქსური წარმოების სახელწოდებაა სიტყვისაგან ბელღი. ბელღს აქარაში სასიზინდეს უწოდებენ. „პელღი — ფქელისა და ხეარბლის დამარხავი: უმცროსს ეწოდება ხალამბარი და მის უმცროსს ჭიროლა“ (საბა, ქართ. ლექსიკონი, გვ. 39).

10. ქოშვი ანუ კოშვი არის „წურბილი და შაღალი ციხე“ (საბა, ქართ. ლექსიკონი, გვ. 175). კოშვი არაბულ-სპარსული სიტყვაა. ქართულში მკვიდრდება IX საუკუნიდან (ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. I, თბილისი, 1946 წ., გვ. 43).

11. ხალხის ცრუ რწმენა ჰინკას ბოროტი სულების ოჯახს მიეკუთვნება. საბა ორბელიანს „პაერის-მცველის“ ქვეშ ნათქვამი აქვს: „პაერის მცველნი ესენი არიან ეშმაკნი... მათგან არს საოცრებათა ჩვენება, დღეუთება, ღამე კაცთა მრავალ-სახედ ჩვენება, სახლთა და ცხენთა დაუფლდება, ქვათა სროლა, ნაკლულის ქურბლის აღსება და ევეეთიარნი. მსოფლიონი ქაჯად და ჰიშმაქად სახელსდებენ, ხოლო მოაპმადიანნი ჰურის, ფერის და ყიდმანად იტყვიან და ანგელოზად ესვენ“ (გვ. 472). საინტერესოა აღინშნოს, რომ ფერ-ყიდმანებუ აქარაში ანგელოზებად კი არ ითვლებიან, როგორც ეს ისლამისტური თვალსაზრისით იყო მოსალოდნელი, არამედ ბოროტ სულებად, როგორც ეს ქრისტიანებშია.

12. ამ კომპოზიტიკში განმარტებას საჭიროებს სიტყვა „ავარა“. ეს სიტყვა წინათ რამდენიმე მნიშვნელობით იხმარებოდა. იგი ნიშნავდა „საზაფხულო საღებურს“. (საბა, ლექსიკონი, გვ. 4) და იყო აგრეთვე, „ადგილი საყანური, გინა საყენახე, გინა დაბა“ (იქვე). აქარის ტოპონიმიაში ავარა ხშირად გვხვდება. ამ სახელით იწოდება როგორც სახნავ-სათესი ადგილები, ისე სოფლებიც. ავარას რაობა შესწავლილი აქვს ავად. ნ. ბერძენიშვილს. მისი სიტყვით „ავარა, როგორც მოუღენა, ჩვეულებრივ ამა თუ იმ დაბას განეკუთვნებოდა: ერთ დაბას შეიძლებოდა რამდენიმე ავარა ჰქონოდა“ (ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიაქიდან, მიმოხილველი, II, თბილისი, 1950 წ., გვ. 49).

13. ოფეს აქარაში გუბე წყალს ეძახიან. „ოფო — მცირე საგუნბარი წყალთა“. — ამბობს საბა (ლექსიკონი, გვ. 265).

14. ტერმინი დობირო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ვარიანტული ფორმებით იხმარება. აქარაში ცნობილია „დობირო“, გურიაში „დობირო“ და „დობირა“, სამეგრელოში „დობერა“. ერ. ნავაშიძის მტკიცებით დობირო ნიადაგის თვისების ამონიშნველი სიტყვაა და ეწოდება ნაშომპალას ნაშით შეფერადებულ მეჭ-მოჭაბლის-ფერო მიწას, აკად. ივ. ჯავახიშვილი არ იზიარებდა ამგვარ შეხედულებას და ფიქრობდა, რომ ეს ტერმინი უფრო ნიადაგის სამეურნეო დანიშნულებით გამოხატული სიტყვაა, ვიდრე მისი თვისებისა (ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი II, თბილისი, 1935 წ., გვ. 132). სახელოვანი მეცნიერი ყურადღებას აქცევდა მაღლარი ვაზის „დობილოს“ სახელით ცნობილ ჭიშს და შესაძლებლად მიანიჭდა მისი „დობერასთან“ გაიგივება. „მათ პირველი მარცვლი „დო“ ერთნაირი აქვთ, დანარჩენი კი „ბირა“ და „ბილო“ ოღნავ განსხვავებულია. მაგრამ საფიქრებელია, რომ მათ შორისაც მხოლოდ ბგერითი განსხვავება უნდა არსებობდეს. წარმოშობილობით-კი ორივე ერთნი უნდა იყვნენ“, — ვარაუდობდა განსვენებული მეცნიერი (იქვე, გვ. 131). ამ მოსაზრებას ადასტურებს ჩვენთვის საინტერესო ტერმინის აქარასა და გურიაში შემონახული ვარიანტი „დობირო“. „ბილო“ და „ბიროს“ იგივეობა („ლ“-ის „რ“-ად ქცევის საფუძველზე). ეპქს

ალარ იწვევს. (დაწერილებით ამაზე იხ. არნ. ჩიქობავა, ერთი ძველი საერთო იბერიულ-კასპური ფუძის შესახებ მევენახეობის ტერმინში, იბერიულ-კასპური ენათმეცნიერება, ტ. VI, თბილისი, 1954 წ., გვ. 41-50).

15. საბა ორბელიანის მიხედვით „ჰალა“ არის „წყლის-პირი ნოყიერი“ (ლექსიკონი, გვ. 444). აქარაში ეს სიტყვა უმთავრესად „სათობის“ სინონიმად გვხვდება. აქ „ჰალა“-ს უწოდებენ სათობს, სადაც არ უნდა მდებარეობდეს იგი. ვინდ მდინარის პირას და ვინდ სადმე სხვაგან. „ჰალას“ სხვა მნიშვნელობაც აქვს. აკად. ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევით „ჰალა“ ძველ საქართველოში დასახლებულ პუნქტს (დაბას, ქალაქს) ახლდა. ის, როგორც ნაწილი, იმ კომპლექსურ ტერიტორიულ ერთეულში შედიოდა, რომელიც განეითარებული მიწის მეურნეობის ქვეყანაში (როგორც საქართველო იყო) დაბას სამეურნეო თვალსაზრისით ქმნიდა. (ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმოლოგია, მიმოხილველი, II, თბილისი, 1950 წ., გვ. 50).

16. კოძმირი ანუ რკოსპირი. „რკო-ერკო, მუხა“ (საბა, ლექსიკონი, გვ. 281).

17. როგორც ძველ საქართველოში ხელოვნური ტერასებიანი ნიჟადაგის აღმნიშვნელი ტერმინი იყო (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135-136). „როგოც — მიწა ბაქან-ბაქანად მოეკებული“. (საბა, გვ. 264).

18. „ყუზიხანა“ ნიშნავს საბატყენს.

19. ხერთვისი ეწოდება სოფელს აჭარისწყალ-ქორხის შესაყართან, ამავე სახელწოდებით ცნობილია აგრეთვე სოფელი მაჭახლის ხეობაში, იქ, სადაც მინდოეთისწყალი მაჭახელს ჩაერთვის. ხერთვისის სახელსავე ატარებს, აგრეთვე, ადგილი სოფელ ვარტყეში (მეჩრისის სასოფლო საბჭო — ქედის რაიონი) ურთხელის დელისა და დიდდელის შესაყარში. ეს სახელწოდება ხშირად გვხვდება აჭარის ასის ფარგლებს გარეთაც. მაგ., ჯავახეთში და სხვაგან.

საბას განმარტებით ხერთვისი არის „ზღუათა და წყალთ საშუალი ადგილი ხმელი, კენძელი, ჰალაი“ (გვ. 454). საბაზე დაყრდნობით დ. ჩუბინაშვილი თავის ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონის 1840 წლის გამოცემაში ხერთვისს კენძულად განმარტავდა (გვ. 676), ხოლო უკანასკნელ გამოცემაში ხერთვისის ქართულ შესატყვისებად მიითთვებოდა ჰალაი და კენძელი, ხოლო რუსულში „перешок, озеро“ აკად. ავ. შანიძის მტკიცებით ხერთვისის საბასელი განმარტების კენძულად გაგება მართებული არ არის, რადგანაც „...ასეთი გაგება იქნებოდა დღევანდელ ცნებათა გადატანა ძველს დროში და ჩვენი შეხედულებების მოხვევა საბას თავზე. თუმცა ახალ ქართულში განსხვავებული გვაქვს კენძული და ნახევარ-კენძული, მაგრამ ძველს ქართულში ასეთი დიფერენციაცია არ უნდა ყოფილიყო და ერთი და იგივე სიტყვა, ხერთვისი, იქნებოდა იგი კენძული. თუ ჰალაი — უნდა გამოყენებულიყო, როგორც კენძული, ისე ნახევარ-კენძულის აღსანიშნავად“. (ავ. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, ტ. II, 1922-1923 წწ., გვ. 265) და ეს მართოდენ ქართულის დამახასიათებელი არ არის; ასეთისავე მოვლენას ადგილი ჰქონდა სხვა ენებშიც. მაგ. არაბულში.

თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად აკად. ავ. შანიძეს უხვი მასალები მოაქვს ძველ წყაროებიდან (იქვე, გვ. 266-271) და დაასკვნის: „ძველი ტექსტების მოწმობით, მამასღამე, ხერთვისის აღნიშნავდა როგორც დღევანდელ კენძულს, ისე ნახევარ-კენძულსაც, რომელთა დიფერენციაცია მაშინ არც არსებობდა. მიუხედავად ამისა მაინც უნდა ვთქვათ, რომ ხერთვისი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ნახევარ-კენძული. და არა კენძული, თანაც ისეთი ნახევარ-კენძული, რომელიც ორი მდინარის შეერთებით (ანდა მდინარის ზღვასთან შეერთებით) არის წარმომდგარი. ამას ის ვარემოებაც გვაფიქრებინებს, რომ საზოგადო სახელი ხერთვისის საყუთარ სახელად იქცა ქართულში და გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ამოყო თვით“. (იქვე, გვ. 271).

გეოგრაფიული სახელწოდება ხერთვისი წარმოდგება ზმნისაგან „ერთვის“. ამაზე ჯერ კიდევ ი. როსტომაშვილი მიუთითებდა. მისი აზრით ხერთვისი ორი სიტყვისაგან მიღებული სახელია: ეს სიტყვებია: არსებითი სახელი „ხევი“ და ზმნა „ერთვის“ (იქვე, გვ. 273, სქოლიო). აღნიშნული „ზმნის“ ეტიმოლოგიური კავშირი ხერთვისთან მართებულია, ხოლო

ამ სახელწოდების თავიადურ „ხ“-ანის ხევედ გაგება მცდარია. ბერთვისის „ხ“-ანი ხევის ნაშთი კი არ არის, არამედ მესამე პირის ობიექტური ნაწილაკია. „ბერთვისი“, — წერს აკად. ა. შანიძე, — რომელიც თავდაპირველად უნდა ყოფილიყო წყლებს შიშის შესაყართან მდებარე ადგილი, შემდეგ ორ წყალს შუა მდებარე ადგილი, აქედან მერმე ნახევარ-კუნძული და უკანასკნელი კუნძული, საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ზმნის ფორმა მესამე სუბიექტ-ობიექტური პირისა აწმყოს მოთხრობითში მხოლოდით რიცხვში: „ბერთვისი“ — აი ამ ფორმის დღევანდელი შესატყვისია „ბერთვისი“, რომელიც ენებითია თავისი წარმოებით და რომელსაც დამატება აქვს მიცემითში: „ბერთვისი მას“. დღევანდელი „ბერთვისი“ ისტორიულად „ბერთვისი“ ფორმისაგან არის წარმოშობილი, როგორც ამას თანხმონიანი ზმნების უღლებების ნორმები გვიჩვენებს. „ბერთვისი“-თან შედარებით „ბერთვისი“ დიალექტური ფორმაა მხოლოდ: „პავ“ („ბერთვისი“) > ბერთვისი და „ხანი“ (ბერთვისი) მესამე პირის ობიექტური ნაწილაკებია და ერთი მეორის ბგერნიაცვალნი“ (გვ. 275).

20. ამ ადგილას თიხის ჭურჭლის გასაყეთებლად საჭირო მიწა ითხრება და ამიტომ ექაბიან სათიხეს.

21. ამ კომპოზიციის საზღვრული კონი (resp. რკონი) ნარიანი მრავლობითის წარმოების სახელია. ავარის ტომონიშიკაში ამგვარი წარმოების სახელები ძლიერ მცირე რაოდენობით არის შეონახული. აკად. ა. შანიძის სიტყვით „საყურადღებოა, რომ ასეთ სახელებში მრავლობითის გაგება შეიძლება გაქრეს და სიტყვა ისე იბრუნოს, როგორც მხოლოდითი ფორმა. ამის მაგალითია „რკონი“ — ასეთ გამოთქმაში „რკონისა ლევისმშობელი“ (აკ. შანიძე, ევ“ კილოს კვალი საქართველის გეოგრაფიულ სახელებში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. I, № 8, 1941 წ., გვ. 761).

22. გომი საქონლის საღვინო ეწოდებოდა. ეს სიტყვა და მისგან ნაწარმოები სახელები მრავლად გვხვდება ავარსა, გურისა და საქართველოს სხვა კუთხეებში. გომი, ნა-გომ-არი (ავარაში), გომი, გომის მთა, ნა-გომ-არი (გურიაში), დაბლა გომი (იმერეთში) და სხვა. სიტყვა „გომს“ შეეერთება „პარეხი“ (= ფარეხს). „პარეხი“ ეწოდებოდა მთის გამოქვაბულებს, რომელიც საქონლის საღვინოდ იყო გამოყენებული (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 442).

23. მარანი ლევის დაყენება-შენახვისა და ამისათვის საჭირო მოწყობილობათვის განკუთვნილ ნაგებობას წარმოადგენდა. „მარანი — საღვინო სახლი“ — განმარტავს საბა ორბელიანი (ლექსიკ., გვ. 195).

ტერმინი მარანი ჩვენს ძველ წყაროებში თავდაპირველად იხსენიება ერთ-ერთ სვანურ ხელნაწერებში, რომელსაც ისტორიკოსი თედო ეორდანი VIII-IX საუკუნეებით ათარიღებს. (ნ. თოფურია, ქართული მარანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბილისი, 1955 წ., გვ. 131). შემდეგ კი იგი ჭრავთ ისტორიულ დოკუმენტში გვხვდება.

მარანი, რომლის ფუძეშიც სიტყვა „მარ“ გამოიყოფა, ძველი და ფრიალ საინტერესო ტერმინი ჩანს. როგორც ირკვევა „მარი“ ჭურჭლის სახელია. იგი წყაროებშიც გვხვდება და თანამედროვე ქართულის ზოგიერთ სიტყვაშიც შემოინახა თავი.

იმასთან დაეყვინებით, რომ ქართული ოთხთავის ორ ვარიანტში „მარ“ საწინახელთან არის გაიგივებული, ეთნოგრაფი მ. გეგეშიძე, წერს: „საყოთხის ამ მიმართულებით შემდგომი კვლევა უნდა დაუკავშირდეს მარის როგორც ხის თავდაპირველი მომცრო და გულამოდებულ ჭურჭლის დადგენას... ასეთი ადრინდელი ჭურჭელი უნდა ყოფილიყო მომდგენო ხანებში მეღვინეობაში გამოყენებული“ (იქვე. გვ. 132).

მაგრამ „მარი“ რომ ამასთანავე, თიხის ღილ ჭურჭელსაც ეწოდებოდა, რომელშიც მიცვლებულსაც მარხავდნენ, დადასტურებული აქვს აკად. ნ. ბერძენიშვილს. (იქვე).

ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამას დადასტურებს ტერმინი სამარეც, რომელიც „მარ“ ფუძის საუ პრეფიქს-სუფიქსური წარმოებით არის მიღებული. სამარე, მამსადაც ის ადგილია, სადაც იმარხება მარი, რომელშიც მიცვლებული ასვენია, ხოლო მარანი კი ისეთ ადგილს ეწოდება, სადაც ასეთივე ჭურჭლებია (მარხვია) დაფლული ღვინის შესანახად.

ამრიგად, მარი, როგორც ჩანს, ხისაც შეიძლება ყოფილიყო და თიხისაც. პირველი მათგანი, ალბათ, ლევის დაყენების პროცესში და მისი დაფლავი შენახვისათვისაც გამოიყენებოდა, ხოლო მერე ძირითადად მიწაში დასამარხავად იყო გამოხნული. თიხის ჭურჭლის უპირატესობა ამ მხრით ყველასათვის ნათელია. ტერმინი მარანიც, უპირველეს ყოვლისა, ასეთ თიხის მარებს უკავშირდება სწორედ.





რაც შეეხება „ან“ სუფიქსს, რომელიც „ამარ“ ფუძეს აწარმოებს, მას რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა; მათგან პირველი და მთავარი იყო კრებითობა-მრავლობის გამოხატვა. ამას თვლიდა კოდეც აკად. ს. ჭანაშია ამ სუფიქსის პირვანდელ და უძველეს ფუნქციად (ს. ჭანაშია, თხზალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937 წ., გვ. 211).

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მარნისავე მნიშვნელობით, როგორც ირკვევა, იმ-მარებოდა ქურისპირი. ეს გარემოება აპარაშიც დასტურდება. ამ მხარის ტოპონიმიაში მარან-ნამარნევის გვერდით რამდენჯერმე გვხვდება „პურიბირი“.

მარანის წარმოშობა იმ ხანაშია სავარაუდებელი, როდესაც ეზნის ნაყოფის მომხმარებელი ტომები მისი გამოყენების თავდაპირველი ფორმიდან (ყურძენი, ქიშმიში) გადავიდნენ ყურძნის დადუღებული წველის (ღვინის) სახით მოხმარებაზე, ცდება ი. აღმაია. როდესაც წერს, რომ თითქოს მარანის ჩასახვა-განვითარება „...დაკავშირებულია უშუალოდ ადამიანის დაბინადრების ხანასთან“ (ქართული ხალხური ხეროთმოძღვრება (აპარა), თბილისი, 1956 წ., გვ. 65. ხაზი ჩვენი. ი. ს.).

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება, რომლის ნიადაგზედ ყალიბდება მარანი, არ წარმოადგენს ადამიანის ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის თანდამხედურ და მასთან უშუალო დაკავშირებულ მოვლენას. ღვინის ძველსძველ მომხმარებელ ქართველ ტომთა წინაპარი ეთნოკური კოლექტივის ბინადრობაზე გადასვლა, რომელსაც ადგილი აქვს ახალი ქვის ხანაში, აღინიშნა მიწათმოქმედების განვითარებით, რაც დღისღებულ გვარის ბატონობის ადრეულ პერიოდში პრიმიტიული მეტოსტენობის სახით არის წარმოდგენილი, მევენახეობა, და მით უფრო მეღვინეობა, გაცილებით უფრო გვიან იხსება. მას შემდეგ, რაც ადამიანმა ღვინის დაყენების საიდუმლოება შეიციან, მის შესანახადაც უნდა ეზრუნა და ამ გზით მივიდა კოდეც მარანთან.

როგორც საბა ორბელიანის განმარტებიდან ჩანს, მარნისათვის ძველ საქართველოში სპეციალური ნაგებობა არსებულა; მარანი შეიძლებოდა ყოფილიყო აგრეთვე იმ სახლის სისტემაში, რომელსაც „სახლი სრული ყოელისა ფერთა“ ეწოდებოდა; გარდა ამისა მარანი ჩვეულებრივ სახლშიც ჰქონდათ, მაგრამ „ეს ისეთი მარანი-კი არ იყო, სადაც მთელი წლის ღვინის მარაგს ინახავდნენ, არამედ პატარა მარანი, რომელშიც ყოველდღიური, სანიადაგოდ სახმარებელი ღვინო ჰქონდათ ხოლმე“. (ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1946 წ., გვ. 22.)

თურქთა ბატონობის ხანაში მევენახეობა-მეღვინეობის საქმის მოსპობასთან ერთად მოიშალა და ნანგრევებად იქცა მარანიც. ძველი ქართული მარნის ნანგრევები აპარაში მრავალ ადგილას არის ცნობილი; (სხალთის ტაძართან, მაჭახელში, ხიჩხათის ციხეკალაქში და სხვა). უძველესი ქართული მარნის შესასწავლად აპარაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სხალთის ტაძართან შემონახული მარნის ნაშთები, რომლის შესახებ თ. სახოკია წერდა: „ტაძარამდე ასიოდ ნაბიჯის მანძილზე, გზის პირას, ძველი შენობაა ქვითაქრისა, ანუ სხალთის ტაძრის თაბუნის მარანი, მიწაში ჩამარხული უზარმაზარი ქვევრებით. საკვირველია, ამდენ ათხრებას და მუსერას როგორ-ღა გადაჩრა თითქმის ხელუხლებლად ეს ქვევრები, ნაშთი ძველი ქართული კულტურისა. ეტყობა, სხალთის არე-მარეში ძველად დიდძალი ღვინო მოდიოდა, რომ მის შესანახად ასეთი ქვევრები სჭირდებოდათ“ (თ. სახოკია, მოგზ., გვ. 234).

სხალთის ტაძრის მარნის კომპლექსიდან შედარებით უკეთ არის შემონახული ღვინის შესანახი განყოფილება, სხვა ნაგებობანი-კი უღარესად დაზიანებული სახითაა მოღწეულა, რაც მათი დანიშნულების გარკვევის საშუალებას არ იძლევა.

საბჭოთა პერიოდში დიდი ყურადღება მიექცა აპარაში მევენახეობის აღდგენა-განვითარების საქმეს და დიდადაც დაწინაურდა სოფლის მეურნეობის ეს ძვირფასი დარგი აპარის მთიან რაიონებში.



აქარის მეორე საცხოვრებელ ზონაში შეეენახეობის ეგზომ დაწინაურებამ, როგორც მართებულად შენიშნავს ი. ადამია „დაჩქარა საცხოვრებელი სახლის სისტემიდან ბოსლების ცალკე გამოყოფის საკითხი და მის ადგილზე მარნის მოწყობის ტრადიციამ საცხოვრებელი სახლის სისტემაში თავისი ტიპური სახე აღადგინა“ (დასახ. ნაშრომი, გვ. 67).

### მახუნციეთის სასოფლო საბჭო

1. ვაყუფი შესლიმანური ეკლესიის მიწას ეწოდება. ჯამეს ყოფილი მიწების ზოგიერთ ნაყვეთს აქარაში ვაყუფხანას ან ვაყუფის სახელი შემორჩა.

2. „მერია“ წარმოსდგება სიტყვისაგან „მერე“. „მერე“, „მერია“, „მერიისი“ აქარაში ძლიერ გავრცელებული სახელებია. საბა ორბელიანის განმარტებით „მერე მეედანი, სწორი ვაყე“ არის (ლექსიკონი, გვ. 207). თუმცა ყოველი ვაყე ადგილი მერე არ ყოფილა, აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით მერე „მხოლოდ წყლის სანაპიროზე მდებარე“ ადგილს ეწოდებოდა (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127). რა თქმა უნდა ხეობებით დაღარულ აქარაში „მერე“, „მერიას“ გარდა მდინარეთა სანაპირო ზოლის აღსანიშნავად (თვისებისა და მიხედვით) სხვა სახელწოდებანიც არსებობდა. ასე მაგ., ქალა, ხიჯაური და სხვ.

3. ამ ადგილას გამოდის მინერალური წყალი, რომელსაც მოსახლეობა სამყურნალოდ იყენებს. ასეთი აბანოები აქარაში არა ერთ ადგილას გვხვდება.

4. უფრო სწორად რაკიქედი (რკო — მუხა).

5. ბზუბზუ ფუტეგაორკეაბული წარმოების სახელია. ეს სახელწოდება ერთადერთია აქარაში. იგივე „ბზუ“ სიტყვა დატულია გურიის ერთ-ერთ სოფლის სახელში დვაბზუ. აკად. ნ. მარის მტკიცებით, რომელსაც იზიარებდა აკად. ივ. ჯავახიშვილიც, „დვაბზუ“ იმგვარადვე ნაწარმოები სახელია, როგორც „ტუფსე“. როგორც ჩანს, მარი დვაბზუს დოაბზუს სახელნაცვალ ფორმად მიიჩნევდა, რომელშიაც თავსართ „დო“-სა და ფუტესიტყვა „აბზუს“ გამოყოფდა, ასე ჰყოფდა იგი „ტუ“ „აფსე“-საც. ამ „დო“-სა და „ტუ“-ს მარი და აგრეთვე ჯავახიშვილი ადგილის აღმნიშვნელ მეგრულ თავსართებად თვლიდნენ, ხოლო „აბზუ“ და „აფსე“-ს აფხაზთა ეროვნების უძველეს აღმნიშვნელ ტერმინად — „აფსეა“—კითხულობდნენ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1913 წ., გვ. 66-67).

6. აწჰესთან, აქარის წყალზე, მოღწეულია ძველი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლი — თლიანი ხიდი, რომლის აშენებას ხალხი თამარ მეფეს მიაწერს.

### პირველი მაისის სასოფლო საბჭო

1. სალორეთის ციხე სამეციეირო ლიტერატურაში მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს გახდა ცნობილი, როდესაც ხ. ახვლედიანმა თავის ნაშრომში „ნარკვევი აქარის ისტორიიდან“, რომელიც 1944 წელს დაიბეჭდა, რამდენიმე სტრიქონი უძღვნა მის აღწერილობას. „ეს ციხე, რომელიც საზღვრავს სალორეთსა და ზედა მახუნციეთს, — წერს ხ. ახვლედიანი, — 200-300 მეტრის სიმაღლე წოწოლა მთაზე არის აშენებული. ამ მთის წვეროს ფართობი არ აღემატება 200 კვ. მეტრს. საერთოდ ეს ციხე ბუნებრივად კარგად არის დაცული.“

ციხე შემოვლბებულია ერთმეტრიანი სისქის ქვითყირის კედლით. მთის წვეროს დასავლეთ კედლურში აღმართულია კოშკი. თვით კოშკი ფუტე-კედლის გაგრძელებას წარმოადგენს. კოშკის ფორმა მოგავს ელიპსს და პატარა ფართობისაა. თვით კოშკი ამოკსებულია მიწით“

(გვ. 143-145). ამის მეტი არაფერი დაწერილა საღორეთის ციხეზე. არც მისი აგების დროა გამორკვეული და არც ამშენებლის ვინაობა. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ციხეს, ისე როგორც თითქმის ყველა ძველ ნაშთს, თამარ მეფის გაცემებულად, თელის და მისი დროით ათარიღებს, მაგრამ ეს საერთოდ ცნობილი ხალხური ტრადიცია ჩვენთვის საინტერესო ციხის შესახებ არაფერს იძლევა; ბევრს ვეცადეთ იქნებ სხვა რაიმე გაღმოცემა მოგვეპოვა მახლობელ სოფლებში, მაგრამ საუბრაღლებს ვერაფერს მივაგენით.

2. ციხასულა ეწოდება ადგილს საღორეთისა და ავარის წყლის შესაყართან. ჩვენს კიბეებზე, თუ რატომ იწოდება ეს ადგილი ციხასულად, ან ციხასულოდ, როგორც მეორენაირადაც ამბობენ, ადგილობრივ გავეიშარტეს: აქ ზამთარ-ზაფხულ განსაყოფებელი სიცივე იცის მდამ და სახელიც ციხასულაც აქედან შეერქვაო. ისტორიკოს ღიმ. ბაქრაძეს, რომელმაც 1873 წელს იმოგზაურა აქარაში, ეს სახელწოდება „ციხა-სროლას“ „Холодный выстрел“ ფორმით აქვს მოტანილი. (არქ. მოგზ., გვ. 43). მაგრამ როგორც ჩანს, არც სიცივის მდემივობასა და არც ცივად სროლას ამ სახელწოდებასთან საერთო არაფერი აქვს, არამედ იგი, როგორც ადგილობრივ გამოკითხვამ დაგვარწმუნა, ამ ადგილის ოღინდელი მფლობელის გეარისაგან — ცივაძე — მფლობელობა-კეთენილების აღმნიშვნელი სუფიქსის — სოულის დართვით მიღებული სახელია. ცივაძისოული, ცივასევა, (სოელი აქარაში ამ ფორმით იხმარება), ცივასულა, ასეთია ამ სახელწოდების განუღალი გზა. ამ ძველს ცივაძისეულ მიდამოში, მალაღს კლდეზე, ფრიად სტრატეგიულ ადგილას, შემონახულია ციხის ნაშთი, რომელიც ღიმ. ბაქრაძეს ასე აქვს აღწერილი:

«Цива-срoла стoит у слияния Сагоретис-цхали и Агарис-цхали, на гранитном, от-дельно возвышающемся утесе. Она построена из рваного камня на извести и лежит в развалинах, удержавших лишь две стены, которые от времени продырявлены и чуть держатся. Доступа к ней нет, хотя мальчики иногда из любопытства карабкаются по выступам скал на ее узенькую площадку. Я примкнул к багажу вблизи незначительной строгой башни у подошвы Цива-срoла». (АПГА, стр. 46).

3. ჭანჭხათის წყალზე მოღწეულია ძველი საინტერესო ხიდი, რომელსაც მოსახლეობა „მიწიხილს“ უწოდებს და თამარის ხანისად მიიჩნევს. ყურადღებას იპყრობს სახელწოდება ჭანჭხათიც, რომელშიც გამოიყოფა სიტყვა „ჭანჭხა“. ეს სიტყვა არცთუ ისე იშვიათია აქარის ტოპონიმიაში. ამავე სახელითაა ცნობილი სოფელ ზენდიდში, მავალითად, სათესი ადგილი, ორცკაში — ღლეღ და სხვა. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით ეს სახელწოდება წარმომდგარი უნდა იყოს სიტყვისაგან „ჭანჭი“, რაც ნოტიო, კაობიან ადგილს ნიშნავს (ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1913 წ., გვ. 48).

4. ბეთლემი საბას განმარტებით უცხო სიტყვაა და ნიშნავს: „სახლი ცხოვრებისა, ვინა სიწმიდისა“ (ლექსიკონი, გვ. 38).

5. მეორენაირადაც ეძახიან დერე ზონხას.

6. ლოლოს თხმელას უწოდებენ. ლოდნარი — თხმელნარი.

7. „ცარა“ ნიადავის თვისების აღმნიშვნელი ტერმინია. აქარის ტოპონიმიაში ეს სახელწოდება რამდენჯერმე გვხვდება. „ცარეს“ ფორმით იგი გურიაშიც არის შემონახული. ერმ. ნაკაშიძის გამოკვლევით „ცარე“ და „ოროკი“ თიხნარ ნიადავს აღნიშნავს და ერთმანეთისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ პირველს ნოტიო თიხნარს უწოდებენ, ხოლო მეორეს მშრალს (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II, გვ. 135).

8. დასალი — საფარი ტყე. აქარაში თითქმის ყველა სოფელს აქვს ასეთი ნაყარალი, რადგან იგი იფარავს სოფელს მოსალოდნელი ზევისაგან.

### ქედის სასოფლო საბჭო

1. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით XVIII საუკუნის პირველ ნახევარში „მცირე ქალაქის მზავსი დაბა“ ყოფილა (აღწერა, გვ. 134).

თურქთა ბატონობის ხანაში ქვედა ჭვეში აქარის საჯაზო ცენტრი იყო. ქედას, როგორც დღეს, ისე წინათაც ორ ნაწილად ჰყოფდა გიემაგი აქარისწყალი. დაბის მოავარ ნაწილს მდინარის მარცხენა მხარე წარმოადგენდა, სადაც განლაგებული იყო სამმართველო, ჯამესამლოცველო და ბაზარი 20-30-ოდ დღუნით. ყოველ პარასკევს აქ ეწყობოდა ბაზრობა. პარასკეობა-ჭუმობაზე ქედაში თავს იყრიდნენ თითქმის ჭვემო აქარის ყველა სოფლიდან. ცნო-

ბილი ქართული მწერალი და ეთნოგრაფი თედო სახოკია, რომელმაც ქედა ინახულა წელს, ასე ავარიწერს აქაურ ბაზარს: „ორბირად ჩამწერივებული პატარა, კოლოფების მსგავსი ოციოდ ხის დუქანი, რომლებშიც თავი კედს ძლევს მოიქნევს. აქ არის საფართლო, სამკედლო, საწერილმანო, სამიტიტო და სხვა“. (თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბილისი, 1950 წ., გვ. 242).

მდინარის მარჯვენა მხარე—კი წარმოდგენილი იყო ოთხიოდე ხის დუქნით, სასოფლო სასტუმრო-ქსენონის ორსართულიანი ქვითიკრის შენობით და სხვა რამდენიმე კერძო სახლით. დამის ვალმა-გამოდმა ნაწილებს ერთმანეთს აკავშირებდა ხის ხიდი, რომელსაც აქაირისწყლის ბობოქრობასთან ბრძოლის უნარი არ შესწევდა და ხშირად ხდებოდა წყალდიდობის შესხერპლო.

აქაირისწყლის თავებდობას ზღვარი დაედო მხოლოდ ჩვეს ეპოქაში. 1924-1925 წლებში მისი მარჯვენა და მარცხენა ნაწილები ერთმანეთს დაუკავშირდა ურყევი რკინა-ბეტონის დიდებული ხილით. საბჭოთა პერიოდში სრულიად შეიცვალა სახე ქედამ; აიღო ქვითიკრის მრავალსართულიანი შენობები, გაშენებულ იქნა ბალები, მოიკირწყლა ქუჩები და სხვ.

2. ძენწმანი მთლებულია ძენწმანისაგან წ, მ ბგერების სუბსტიტუციით. აღნიშნულ ბგერის შენაყელება ამ სახელწოდებაში სონორი ბგერების ნ, მ თავმოყრამ გამოიწვია.

ეჩწწმანის თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო ძენწოვანი. დისიმილაციის ცნობილი წესის მიხედვით ამ სახელწოდებიდან ოვ ამოვარდა და მისი ადგილი მ-ანმა დაიკავა. სონორი თანხმოვანთა თავმოყრის შედეგად კი მეტათეზისი განვითარდა და წ და ნ ბგერების აღვიგადანაცვლებამ ძენწმანი მოგვცა.

ძენწმანი ტირიფის ერთ-ერთი სახეობაა. ძენწა—მტარადა ტირიფი (ა. მაცაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1949 წ., გვ. 105). თანამედროვე ქართულში ეს მცენარე ა სუფიქსით იწარმოება და ძენწა-დ იწოდება, ძველად კი ძენწინ-ს ფორმით იხმარებოდა. „ძენწი არს კაცთა დანერგული, წვრილფურცლოვანი“ (საბა, ლექსიკონი, გვ. 333, ნ. ტირიფი).

### ზვარეს სასოფლო საბჭო

1. კვამტა ტა ფორმანტი ნაწარმოებია სახელია. ბოლოკიდური „ტა“, „ტა“-ს ვარიანტული ფორმა. „ტა“-„ტა“ ფორმანტი მომეტებულად ვვართა დაბოლოებებსა და სახელებში გვხვდება. პ. ინგოროყვას გამოკვლევით „ძველად ფორმანტს „ტი“-ს ფართო გაერკელება ჰქონია: ბოლოკიდური „ტი“-„ტა“ შეიძლებოდა ყველა სახელს დამატებოდა, რითაც სახელს საადერსო-ცნინობით მნიშვნელობა ეძლეოდა“. (პ. ინგოროყვა, ვიორგი მერჩულე, გვ. 97). იგივე ტა სუფიქსი გამოიყოფა „ღურტა“-შიც (სოფელია ხულოს რაიონში).

2. სახელწოდება ტბა-ეთ-ა-ს ფუძეში ქანური „ტიბა“ (ტბა) მომანს, ხოლო „ეთ“ გეოგრაფიულ სახელთა მწარმოებელი სუფიქსია.

3. დუბე ან მის ვარიანტულ დუბებს აქარაში დაბლობ, ჩავარდნილ ადგილს უწოდებენ. „დუბე—დაბლობი ადგილი“,—განმარტავს საბა (ლექსიკონი, გვ. 120). ამავე აზრს ანეთარებს პოეტი-აქადემიკოსი გ. ლეონიძე წერილში „ჩვენი დედაქალაქის წარსულიდან“ (ლიტერატურული გაზეთი, № 4, 1957 წ., გვ. 3. „დუბე“, „დიდუბე“).

დუბე ძველი ქართული სიტყვაა, რომლისგანაც არა ერთი სახელია ნაწარმოები. ასეთია, მაგალითად, დიდუბე, დუბელა და სხვ.

4. ნავანები ნა-ვებ პრეფიქს-სუფიქსური წარმოების სახელია, რომლის ფუძეში სიტყვა ვანი გამოიყოფა.

სადაური სიტყვაა ან რას ნიშნავს ვანი?

ეს სიტყვა ბევრს ნათარგმნ, თუ ორიგინალურ ქართულ ძეგლებში გვხვდება. სახლის მნიშვნელობით ვანი ორგზის არის მოხსენებული ქართული სიტყვაჯამული მწერლობის უძველეს თხზულებაში — „შეშანიკის წამება“.

დატუსაღებული შეშანიკის მთლად ნავის შემდეგ გამოვიდა და „წარვედ სწრაფად ვანად (ე. ი. სახლად — ი. ხ.) ჩემდა“-ო; — ამბობს ერთგან წამების ავტორი იაკობ ხუციანი.

„ეპისკოპოსი იგი სახლისაი მის პიტიახშისაი... არა მუნ იყო, არამედ კაცისა ვისამე.. ვანად მისრულ იყო.. და მეცა, ზუცესი დელოფლისა შეშანიკისი თანავკყევანი, ეპისკოპოსისა მას“-ო ნათქვამი აქვს ცურტაველს მეორე ადგილას.



ამრიგად, როგორც მოტანილი ამონაწერებიდან დასტურდება V საუკუნეში, დამის ეწინარეს ხანაშიც, ვანი საქართველოში სახლს, ბინას აღნიშნავდა. აყად. ივ. ჭავჭავაძის გამოკვლევით ამ ტერმინის „ცოცხალი არსებობისა და გავრცელების ხანა უკვე შექცეულ და მეშვიდე საუკუნეებს აღარ სცილდება“ (მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბილისი, 1946 წ., გვ. 9). ამიერიდან მის ადგილს იჭერს სახლი, რომელიც ამაზე ადრეც იყო ცნობილი ქართულში, მაგრამ იგი იმ დროს გაცილებით უფრო ფართო და ზოგადი მნიშვნელობით იხმარებოდა, ვიდრე დღეს, სახლი ძველ დროში ეწოდებოდა არა მარტო საცხოვრებელ ნაგებობას, არამედ ამ შენობაში მცხოვრებ კოლექტივს, მთელ საგვარეულოს. „სახლი (ქანურ-მეგრული ოზორი“, სვანური „ლახორ“ ანუ „ლაღორი“) — წერს აყად. ს. ჭანაშია, — არის გარკვეული საზოგადოებრივი ერთობა, რომელიც დასახლებულ სამეურნეო ფაქტისა (მეზოსტრუქცია) და წინა პერიოდთან მიღებულ ტრადიციების ნიადაგზე მატრიარქალური წესის მიხედვით ეწყობა“. (ს. ჭანაშია, საქართველო აღმოსავლეთი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, 1949 წ., გვ. 131). ეთნოგრაფიული ერთი თუ ვიტყვით „სახლი“ ეს არის „დიდი ოჯახი“ — ისეთი ერთობა აღამინებისა, რომელიც ერთს პერ ქვეშს, ერთ ბინაში ცხოვრობს. ამიტომ გახდა შესაძლებელი რომ „სახლი“ აღამინათა საცხოვრებელ შენობასაც დაერქვა და დღეს ხომ ეს ტერმინი უპირატესად სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარება“ (იქვე, გვ. 132).

სახლის ჩამოყალიბება ქართველ ტომთა წინაპარ ეთნიკური კოლექტივების ბინადარ ცხოვრებასა და მიწათმოქმედებაზე გადასვლის თანმხლებური და ამ ტეხილის სოციალური შესატყვისი მოვლენაა. აყად. ს. ჭანაშიას სიტყვით „პირველყოფილი სახლი“ პრიმიტიული კომუნის პრინციპებს ემყარებოდა“ და „...წარმოადგენდა მიწაზე მქდომს მატრიარქალურ კომუნს, რომელიც, თავის ზრდის გარკვეულ საფეხურამდე, ერთს პერ ქვეშაც ცხოვრობდა“ (იქვე).

ამ მატრიარქალური სახლის სათავეში ქალი, „ღიასახლისი“ იღვა... სახლის შეიღები ანუ სახლის წევრები სოციალურად თანასწორი იყვნენ, რაც მათ ეკონომიურ ერთობას ეფუძნებოდა. ერთ პერქვეშ ცხოვრება სწორედ ამ ეკონომიური ერთობის ერთ-ერთი მომენტი იყო. ვარდა ამისა, სახლი, გარკვეულ დროში, კოპერირებულ სამეურნეო საქმიანობასაც ეწეოდა მიწის ნაკვეთის საერთო მფლობელობის საფუძველზე. მოგვიანებით, კლასობრივი საზოგადოების პერიოდში, „სახლი“ შეიღებოდა ხმარებელიყო როგორც მიწის გარკვეული ნაჭერის, გლეხური მეურნეობის საფუძველის (მერმინდელი „ფუძე“) აღსანიშნავად, ისე ფეოდალური საზოგადოების ძირითად ერთეულის, სენიორიის (თავისებური ხასიათის ეკონომიური ერთობა) აღსანიშნავადაც (იქვე).

ამრიგად, სახლმა თანდათან შეიცვალა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, იქცა საცხოვრებელი ნაგებობის აღმნიშვნელად, ხოლო ვანი ხმარებიდან გაქრა, მაგრამ ვანი უკვალოდ მაინც არ დაიკარგა, ამ სიტყვამ თავი შემოინახა გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. აქარაში ამ სახელით ცნობილია სოფელი შუახევის რაიონში (პართაელის სასოფლო საბჭო), ნა-ვან-ვე-ი ეწოდება აგრეთვე სოფელს მაქაბლის ხეობაში (აქარის აღმართის სასოფლო საბჭო, ბათუმის რაიონი). ვანი და მისგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები მრავლად გვხვდება აქარის გარეთაც, საქართველოს სხვა კუთხეებსა და ამიერკავკასიის ტოპონიმოკაში. ასე მაგ., ამავე სახელით იწოდებიან სოფლები ჩოხატაურის რაიონში, (ვანი, დიდ ვანი), რაიონი იმერეთში, ვანისაგანვე წარმოსდგება, აგრეთვე, სახელწოდება იმერეთის ცნობილი სოფლის სა-ვან-ე-სი, სადაც გაძიქებული იყო და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა აკაკიმ. ვანისავე სახელით არის ცნობილი ტბა სამხრეთ ამიერკავკასიაში, იგივე სიტყვა გამოიყოფა სომხეთის დედაქალაქ ერევანის სახელშიც.

ისმება კითხვა — არის თუ არა ვანი ძირეული ქართული სიტყვა, და თუ არ არის, რომელი ენიდან აქვს იგი ნასესხები და შეთვისებული ქართულს? უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ვანი ქართულს გარდა სომხური ენის ლექსიკურ ფონდშიც გვხვდება და იგი დაუტყავს სპარსულსაც. მაგრამ ვანი რომ არც სომხური და არც სპარსული სიტყვა არ უნდა იყოს ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ სპარსულთა და სომხეთთა ისტორიულ

სარბიელზე გამოჩენამდე ვანის სახელით იწოდებოდა ამიერკავკასიის უძველესი სახელმწიფოს ურარტუის ერთ-ერთი ქალაქი ტუშა. ეს გარემოება, როგორც სამართლიანად შენიშნავდა აკად. ივ. ჭავჭავაძე, „ერთდღიანი სივხიზღეს გვიყარნახებს და ჯერ კიდევ გამოსარკვევია, რანაირი ეტიმოლოგიაა შესაძლებელი, წამოყენებული იყოს ამ სიტყვისათვის“. (ივ. ჭავჭავაძის შრომა, დსახ. ნაშრ., გვ. 9).

5. ზესოფელი ანუ ზემოსოფელი.

6. ზეარე სამზიურ ადგილს ეწოდება. „ზეარე — ადგილა მზის მღვი“ (საბა, ლექსიკონი, გვ. 210).

7. ტიბაყელი ანუ ტბისყელი.

### ცხმორისის სასოფლო საბჭო

1. ახო ახლად გატეხილ ყამირს, დაკორდებულ მიწას ეწოდება. „ახო — საყანური გაყადული (განაყადი)“ — ამბობს საბა (ლექსიკონი, გვ. 30). ახო და მისგან ნაწარმოები სახელეუბო ხშირია აჰარის ტოპონიმიაში.

2. ცხმორისი კომპოზიტური წარმოების ისეთი სახელია, როგორც მერისი, ვარჯანისი, წონიარისი და სხვ. ამ სახელწოდებათა პირველი ნაწილი (მსაზღვრელი) ნათესაობით ბრუნეა-შია მოცემული, ხოლო მეორე სიტყვა (სასაზღვრო) სახელობითი. როგორც, მაგალითად, აჰარისწყალი, ნახშირისგორი და სხვ. დროთა განმავლობაში კომპოზიტის მეორე შემადგენელი ნაწილი დაიკარგა, ხოლო ნათესაობითი ბრუნეთი გამოხატულმა აღიქმებოდა წონინატის „ი“ დაბოლოებულ შეითვისა. (ვ. თოდუბა, გეოგრაფიულ სახელთა „თა“ სუფიქსისათვის ქართულში, ჩვენი მეცნიერება, № 11-12, თბილისი, 1924 წ., გვ. 8).

ჩვენი ცნობილ ძველ ქართულ წყაროებში ცხმორისი პირველად იხსენიება XIII საუკუნის შერის ახესერისძე ტბელის თხზულებაში „სასაქაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი“, რომელშიც ნათქვამია: „დაბასა ერთსა, რომელსა ეწოდებოდა ცხმორისი, მუნ მყოფნი ვინმე კაცი წარვიდეს ნაპირსა წარმართთასა მოსარეწულად რაღსმე, ღონედ სიგლახისა თვისისა. და მუნ მყოფთა გარდაეკიდეს აგარიანი და ტყუე იქმნეს, ხოლო შინაგანსა სპარსეთსა შინა წარსმულთა, გულისხმაყვეს დღესასწაული წმიდისა გიორგისი, დიდისა მოწამისაჲ. ერთმან გულსმოდგინებით იმარხა და მეორე მცირედ ურწმუნო იქმნა, დაღაცათ ევედრებოდა მის თანად იგიცა. მეყსეულად მოვიდა წმიდაჲ მოწამე, აღიტანა ორნიც, და რომელმან უმეტესი აიუენა საჩუქრთაჲ, მეყსა შინა დასუა კარსა ეღესისისა ცხმორისსა, სადა არს ტაძარი სახელსა ზედა მისსა... ხოლო მეორე, ურწმუნო ქმნისათვის... დასუა საზღვარსა ქრისტიანეთასა და წარმართთასა, და ძლითა სლვით მოიწია წინაშე წმიდისა მოწამისა... დაბასა ცხმორისსა. იყო ესე სასაქაული უწინარეს ამის საკვირველისა (ცხმორისის წმ. გიორგის ტაძარი. ა. ს.) აღმენებისა“ (ახესერისძე ტბელი, ბოლკა-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და ახესერისძეთა საგვარეულო მატინაჲ, ლ. მუსხელიშვილის გამოც., თბ., 1941 წ., გვ. 64).

როგორც ვხედავთ, ორი ცხმორისელი გლეხი „მოსარეწულად“ ანუ საშოვარზე წასულა საზღვრისპირა რაიონში. ცხმორისელთა პროფესიის შესახებ წყაროში არაფერია ნათქვამი, მაგრამ ისინი, უთუოდ, ხელოსნები უნდა ყოფილიყვნენ. აქარლები ძველთაგანვე განთქმული იყვნენ როგორც ქეთხოზრობით, ისე ხის მუშაობითაც. ამას აპირებდა აჰარის სამეურნეო-ეკონომიური მდგომარეობა. მთავორიანი აჰარა ოდითვე მჭირი მხარე იყო. მამაბაბური თოხით და კავით ამ ყუთხის მკვიდრნი თუმცა ენერგიულად ჩიჩნიდნენ მიწას, მაგრამ, ამით თავს ვერ ირჩენდნენ. ამიტომ იძულებული იყვნენ „ღონედ სიგლახისა თვისისა“ გარე სამუშაოზე წასულიყვნენ და ამ გზით მოგზაუგბინათ სარჩო, დაეუბრებინათ ოქახი. გარე სეზონურ სამუშაოზე სიარული, ანუ, როგორც იმ დროს იტყოდნენ, „მოსარეწულად“ წასვლა, ძლიერ გავრცელებული ყოფილა ძველ აჰარაში. გაპირებებით თავმოებრებული აჰარის მცხოვრებლები რაიმეს „მოირეწვის“ მიზნით უცხოეთში დაჰარგის საფრთხესაც არ ბუებოდნენ და მერ წილად ტყეობას „მოირეწდნენ“ ხოლმე. ასე მოსვლიათ ჩვენს ცხმორისელებსაც. ისინი შეუპყრიათ მამაბაბიანებს და შუაგულ სპარსეთში მიუყვანიათ. აქ მათ სამშობლო ქვეყნიდან საბოლოო დაჰარგვა, გამაჰმადიანება და გადაგვარება ელოდათ წმიდა გიორგის რომ არ ესხნა ისინი. მამაბაბიანურ ოკეანეთში ცურავდნენ ტყუე ცხმორისელები, როცა გიორგი მთავარმოწამის დღეობა დამდგარა. ქრისტიანული ეკლესია ამ მთა-

ვარმოწამის სახელობის ორ დღეს (23 აპრილი, 10 ნოემბერი) უქმობდა წელიწადში. ერთ-ცხმორისელთაგანი წმინდა გიორგის დღესასწაულს დიდი გულმოდგინებით შეეგებებოდა და მხურვალედაც ულოცავს, ხოლო მეორეს მაინცდამაინც დიდი გულმოდგინება ვერ გამოეჩენია და ურწმუნოება დასტკობია. ეს გარემოება თითქოს შეუმჩნეველი არ დარჩენია გიორგი მთავარმოწამეს. იგი მაშინვე ტყვე ცხმორისელებთან გაჩენილა, ორივენი პაერში აუტაცნია და საშობლოსაკენ გამოუქროლებია. მორწმუნე ცხმორისელი თავის საშობლო სოფელში მიუყვანია იმ დროს, როცა მისი თანასოფლელები დღესასწაულზე იყვნენ შეკრებილი, ხოლო მეორე იმით დაუსჯია, რომ საქართველოს ფარგლებში შემოსვლისთანავე ძირს დაესვაშს და ფეხით სიარულისათვის გაუწირაჲს. როგორც იყო, დიდი ხნის შემდეგ ამ უკანასკნელსაც მოუღწევია ცხმორისამდე.

აბუსერისძე ტბელი ფართოდ განათლებული და წმიდა გიორგის შესახებ არსებულ წყაროებში (ქართული, ბერძნული) კარგად ჩახედული მწერალი ჩანს. პროფ. შ. ჩიქოვანის მტკაცებით ტბელის თხზულებაში „ბორღალეთ“-ის მოხსენება იმის მარევენებელია, რომ ავტორს ხელთ ჰქონდა ისეთი წყარო, რომელშიც ბელგართა ტყვეობიდან კაპუცის დახსნის მსგავსი სასწაული ყოფილა მოთხრობილი (მ. ჩიქოვანი, აბუსერისძე ტბელის თხზულებების ფოლკლორული წყაროები, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, № 7. 1944 წ. გვ. 756). ამგვარი რამ მართლაც არის აღწერილი ერთ-ერთ ბერძნულ წყაროში. არც საქართველო ყოფილა ღარიბი გიორგი მთავარმოწამის სასწაულმრძემდებლათა ამსახველი ლიტერატურით. ერთ ასეთ ძველში ტყვის ბორჯომიდან გამოსხნის ამბავია მოთხრობილი (იქვე).

ცხმორისის წმინდა გიორგის ტაძარი თურქთა ბატონობის ხანაში დაუნგრევიათ, მისი ხსენება ჩვენამდე ამ სოფლის ტოპონიმიკაში შემოგერჩა. ნასაყდრი — ასე უწოდებენ ცხმორისელები იმ ადგილს, სადაც წინათ ეკლესია მდგარა, დღეს იქ კოლმურწინების სათიბია და გარდა სახელისა არაერთი სხვა ნაშთი მოღწეული არ არის.

შ. ბარამულა ღომის ერთ-ერთი ჯიშია, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული გერმანამეგრელოში. ეტყობა მას ძველად აქარაშიც სთესდნენ.

### დანდალოს სასოფლო საბჭო

1. დანდალო „ო“ სფეიქსით ნაწარმოები სახელია, ისე როგორც ჩანსხალო და სხვა, იგი უნდა წარმოსდგებოდეს სიტყვისაგან „დანდალი“. ამ ტერმინს ქართულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ერთი მათგანია „დანდალი-კიბის თუ ურმის სახიდარი“. (საბა, ლექსიკონი, გვ. 88), საბადან ამოდის და ჩუბინაშვილიც. „დანდალი, დანდალი-კიბის საფეხური“ — განმარტავს იგი. შ. ნიკაძის აზრით სახელწოდება დანდალო ამ სოფლის გეოგრაფიული მდებარეობიდან წარმოსდგება, მას „საფეხურებრივ შემადლებული ტერასისებური მდებარეობა აქვს“ (შ. ნიკაძე, ზემოქართლის თავისებურებანი, ბათუმი, 1957 წ., გვ. 141).

ძველ ქართულ საისტორიო ძეგლებში დანდალო თავდაპირველად იხსენიება სამცხე-საათაბაგოს მღვდელთმთავართა სამრევლოების აღწერილობაში. „მტბევარის სამწყსო დახატულას ზედათი ანაკერის აქეთ სულა შავშეთი მიჰიხიანთ ბატონის კათალიკონის (ყოფილა), იმ ქვეყნის ეპისკოპოსის იასაულის ინი ყოფილა, აქარა დანდალოს ზეთ მას ჰქონია, დანდალოს ქვემოთი აქარა ქუთათლის სამწყსო ყოფილა“ (დ. ბაქაძე, არქ. მოგზ., გვ. 81). მოგვიანებით ასეთი დაქვემდებარება გაუქმებიათ. ვახუშტის ცნობით მთელი აქარა, დანდალოს ზემოთიცა და ქვემოთიც, ანჩელს ექვემდებარებოდა. (იქვე, გვ. 86).

დანდალო ცნობილია თავისი შესანიშნავი ქვის თალიანი ხილით, რომელიც XII საუკუნეშია აგებული. ეს ხილი, რომელიც ცხენისაანთ და ქვეითი მგზავრებისათვის ყოფილა განკუთვნილი, დაახლოებით 20-მეტრიანი მაღლი, ლაღი დამრეცი კამარით ფარავს აქარისწყლის დინების ყველაზე უფრო ენწრო ფრთას. ხიდის სიმაღლე წყლის ზედაპირიდან კამარის ბოლომდე 14 მეტრამდეა. ხიდის ბურჯებიცა და კამარა ამ მოწინებულა კირდულაბით ადგილობრივი კირ-ქვისაგან. ხიდის სიგანე 3,3 მეტრია, თებანდის სისქე 0,8 მეტრია, კამარის ქუსლისა — 1,10 მეტრი. კამარის ისარი 4,0 მეტრია. ცენტრში ხიდი აწეულია და ქმნის წყალგამყოფს. ხიდის ორივე ბურჯი კლდეზეა. ხიდს აქვს ქვით ნაშენი მოჯირბი 0,5X0,5 მეტრი. მაღის სიდიდის გამო აქ მძლავრი ქარგილები გამოუყენებიათ, ქარგილების არა ერთი რიგია, როგორც ბესლეთის ხიდზე, არამედ ორი რიგი (ორი იარუსი).



დასავლეთიდან დანდალოს ხიდი ასეთი ხედი აქვს: მარცხნივ ხიდის მარჯვენა ნაპირს ბურჯი. ბურჯში ქარგილების ორი წყება ფოსოებია. თითო წყებაში სამ-სამი ფოსოა. ნათელი ხდება ქარგილების კონსტრუქციაც. ზემო ნაწილში მოთავსებული იყო სამი პორიზონტალური ძელი, თითოეული არანაკლებ 21 მეტრისა. ძელები დგარებსა და ირიბანებში იკავებდნენ ძელნაგებს კამარის მოხაზულობის მიხედვით... ქარგილების მთელ ამ სისტემას იკავებდა დგარებზე მოთავსებული სამი პორიზონტალური ძელის ქვედა რიგი. გარდა დგარებისა აქ შეიძლება ყოფილიყო ირიბანები და საბელები, ვინაიდან ძელების (ფოსოების) რიგებს შორის ვერტიკალურად მანძილი უდრის დაახლოებით 2 მეტრს, ფოსოს ზომია 0,35X0,45 მ. (რ. შვეენიერაძე, საშენებლო საქმე ძველ საქართველოში, თბილისი, 1952 წ., გვ. 126—128. რუსულ ენაზე).

2. ამ სოფლის თავში საღ კლდეზე მოღწეულია ციხის ნაშთი. მოსახლეობა მას „თამარ მეფის ყალეს“ ეძახის, ციხის უკან მიწოდრია, რომელსაც „ყალიყავს“ უწოდებენ.

3. ეს ღელე აპარისწყლის მარცხენა შენაკადია და ითვლება ზემო და ქვემო აპარის გამყოფად აპარისწყლის მარცხენა მხარეზე. ამ მდინარის შესართავში შემონახულია ციხის ნანგრევები.

4. გოგაყლდე, დანდალოს ხიდიდან ერთი კილომეტრითაა დაშორებული; იგი ითვლება ზემო და ქვემო აპარის გამყოფად აპარისწყლის მარჯვენა მხარეზე.

### ქვანის სასოფლო საბჭო

1. ტაყიძეებში „იუხეველა“ წოდებულ ადგილას არსებობს ციხის ნანგრევები.

2. ქვეოს აპარაში კამარის, კონკრეტული ადგილს ეძახიან.

3. სახელწოდებაში „ახალდაბა“ განმარტებას მოითხოვს მეორე სიტყვა „დაბა“. ამ სიტყვას ქართულში ყოველთვის ის მნიშვნელობა როდი ჰქონდა, რაც დღეს აქვს. ავად. ივ. ჯავახიშვილის აზრით დაბას „თავდაპირველად დამუშავებული მიწისა და ნახნაის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა“ (ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი, 1928 წ., გვ. 140). „დაბ“ სვანურში დღესაც ხელს ნიშნავს (იქვე). შემდეგში თანდათან ფართოვდება ამ სიტყვის მნიშვნელობაც და იგი სოფლის აღმნიშვნელ ტერმინად იქცევა. „უძველეს ხანაში, — წერს ი. ჯავახიშვილი, — სოფლის მერმინდელი და თანამედროვე მნიშვნელობის შესატყვისად ტერმინი „დაბა“ იხმარებოდა, რომლის პირველადი ფორმა „დაბანი“ უნდა ყოფილიყო“ (იქვე). მოგვიანებით დაბამ მცირე ქალაქის მნიშვნელობა მიიღო. „დაბა — მომცრო ქალაქი მოზღღდელი“ (საბა, ლექსიკონი, გვ. 82). იგივე მნიშვნელობა აქვს ამ ტერმინს დღესაც. ახალდაბა ჩვენს სახელწოდებაში ახალსოფელს ნიშნავს, ამის საპირამპროა დაბაძველი (შუაბევის სასოფლო საბჭოში)

4. მალნარა იგივეა, რაც მალნარი. „მალნარი, — ამბობს საბა, — არს მთათა შინა ტევრალი შამბანი“ (ლექსიკონი, გვ. 199).

### წყლისაყრის სასოფლო საბჭო

1. კარხხალსაც გემნაბამ მთად მიიჩნევენ.

2. ხალხური გადმოცემით სახელწოდება ეანიერო თითქოს წარმოსდგება სიტყვისაგან ვამი (ხოლერა). ოდესღაც ამ მიწამ და მომსერელ სენს ამოუვდია ეს სოფელი, მრავალი დამიანი უმსხვერპლია, გადარჩენილან მხოლოდ ზოგიერთები, რომლებსაც ვახიზნა მოუწერიათ. ეს ამბავი მოგვიტობრა ქვანის ხეობის უხუცესმა კლმურენემ ხასან იზილის-ქე ლომინაძემ, რომელიც ამ საუკუნენახევრის წინათ დაბადებულა ეანიეროში, დღეს კი ნავომარში ცხოვრობს. ნავომარი ეანიეროდან საკმაოდ მოშორებული პატარა სოფელია, რომლის დასახლებაც ხასან იზილის-ქის ცნობით, ეამობიდან იწყება. ჩვენ რომ აქ გამოვიხიზნეთ გაუვალი ტყე იყო, რომელიც დათვის, მგლის და ველური ტახის საბუდარს წარმოადგენდაო. ხასანმა თავისი დაბადების თარიღი არ იცის, მაგრამ „ლანდათ ახსოვს“, ეამობა, როდესაც მისი ოჯახი ეანიეროდან ნავომარს „გადმოხარგულა“. ეანიერ-ეამობის კავშირი რამდენად სარწმუნოა ამბავ ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ გადმოცემა მაინც საინტერესოა, რადგან გვამცნობს, რომ ცნობილი 1812 წლის ეამი, რომელიც ოსმალეთის გზით გავრცელდა დასავლეთ საქართველოში და მუსრი გაავლო მოსახლეობას, ქვანის ხეობაშიც ყოფილა. შემოქმედის ეამ-გულა-



ნის ისტორიული მინაწერი ამ ეპოქის შესახებ გვაუწყებს: „ჩაიბ (1812) წელსა დიდი შიმშილი იყო და შემდეგ ეამი გამოჩნდა იმავე წელშიდ“-ო (დ. ბაქრაძე, არქ. მოგზ., გვ. 154). ეს ეამი ჰქონდა მხედველობაში ხ. ლომინაძეს, როდესაც ეანიერის ამოწყვეტის ამბავს მოგვიხსრობდა. ბევრის მომსწრე და მსახველ-მსცოვანი და გაამრჯე ხასან ლომინაძე აქარაში ყარგად ცნობილი და დაფასებული კაცი; მან მედგრად გამოატარა საუკუნენახევარი და ეს მით უფრო საოცარი და საკვირველია, რომ მისი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი სწორედ თურქთა ბატონობისა და რევოლუციამდელ ხანაზე მოდის, როდესაც უარესად მძიმე და დუხშირი იყო გლეხი კაცის ცხოვრება. „ერთნახევარი საუკუნეა აქ ცხოვრობს ხასან იშლისძე ლომინაძე, — წერდა შუახვევის რაიონული გაზეთი „დროშა“ 1955 წლის 14 ივლისს, — ბევრი რამ ახსოვს მას; ცხოვრების მეტი ხანი მძიმე ყოფაში გაუტარებია, მაგრამ ბედნიერმა აწმყომ ძალა შეჰმატა, ენერჯია გაუორკეცა, ქაბუჯური სული შეუნარჩუნა, იქნებ გვონათ, ადვილი იყოს მისი ნახვა, თითქოს ყოველთვის სახლში იჯდეს? პირიქით, ჩვენ რომ მივედიო, იგი ყანაში იყო, ნელ-ნელა სიძინდს თოხნიდა!“ ეს მართლაც გასაოცარი ჯანღონის მოხუცი, როცა ჩვენ ვინახულებთ. იმავე 1955 წლის ავგისტოში, ცოტა შეუძლოდ გრძნობდა თავს, გული მაწუხებდსო მითხრა, მაგრამ მაინც დიდხანს არ გამოუფუშვივარ და ბევრი საინტერესო ეპიზოდებიც მომითხრო წარსული ცხოვრებიდან.

3. ამ სოფლის ტერიტორიაზე სამი წყალი (ინჟინერეთის წყალი, ნაღვარევის წყალი და წყალშავა) იყრის თავს და ეტყობა სოფელსაც აქედან მიუღია სახელწოდება წყლისაყარი.

4. გადმოცემით ეს სოფელი ძველად სულ ერთი გვარის ხალხით ინჟინერებლებით ყოფილა დასახლებული; ოსმალ მამაღლიანთა მძლავრობის ხანაში კი ქრისტიანობაზე მტკიცედ მდგარ ინჟინრელებს დაუტოვებიათ თავისი ძველისძველი სამკვიდრებელი და გურიანში „გაბარგულან“..

5. „ნაღვარევი — ხმელი ხევი“ (საბა, ლექსიკონი, გვ. 253).

6. შუშნაც გემნაბამ კლდედ აქეთ მიჩნეული.

## შუახვევის სასოფლო საბჭო

1. კლდისუბანი ახალი სახელია, ამ სოფლის ძველი ქართული სახელწოდება უცნობია, ზოლო თურქობის ხანაში ყარაბაში ერქვა.

2. ალბათ, ნამარნევი.

3. ოქრობილარის ყალბოინი მდებარეობს ჩირუხისა და ღომასწყლების შესაყარაში, საქმაროდ მაღალ კლდოვან ბორცვზე. მოლწეულია ციხის ჩრდილო აღმოსავლეთის კედელი, რომლის სიმაღლე შედარებით უკეთ დატულ ადგილას შეიდ მებრამდე აღწევს; კედლებში დატანებულია სათოფრები.

სამწუხაროდ ვერც წერილობით წყაროებსა და ვერც მოსახლეობაში რაიმე ცნობა ან გადმოცემა ამ ციხის შესახებ ვერ მოვიპოვეთ გარდა იმისა, რომ თამარ მეფის აშენებულ ამ ციხეში ოსმალები აქარაში ბატონობის დროს შეუტოვარ ქართულ მამულიწვილებს თავს კვეთადენენ, რის გამოც ეწოდა კვიცი ყალბოინი-ო, ყალბ თურქულად ციხეს ნიშნავს, ბოინი კი კისერსო. ასეთნაირადვე ყოფს ამ სახელწოდებას ხ. ახვლედიანი წიგნში „ნარკვევი აჭარის ისტორიიდან“ (გვ. 145), მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, თუ რატომ იწოდდა ასეთი სახელით ეს ციხე. ეტყობა, აღნიშნული გადმოცემა ცნობილი არ ყოფილა მისთვის, თორემ გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას მისდამი. ეს საკითხი მით უფრო საინტერესოა, რომ ამგვარ სახელწოდებას ატარებს მართის ხეობის მეორე საყურადღებო ციხეც სოფ. დარჩიძეებში.

საბა ორბელიანის განმარტებით კისერი არის „ქელი და ყელი“ (ლექსიკონი, გვ. 171). ლექსიკოგრაფს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს ადამიანის კისერი. ჰედიც და ყელი ანატომიური ცნებებია, მაგრამ იგივე სიტყვები გეოგრაფიულ ტერმინებსაც წარმოადგენენ. ჩვენის აზრით კისერი ყალბოინის სახელწოდებაში გეოგრაფიული მნიშვნელობით უნდა იყოს წარმოდგენილი, თუ აქ ნამდვილად ეს სიტყვა გამოიყოფა. ასეთი სახელწოდება ამ ციხეს შეიძლებაოდა თავისი გეოგრაფიული, ჰედურ-ყელური მდებარეობის გამო მიეღო; თურქული ყალბოინი ქართული ციხეყლის შესატყვისია.

ეს სახელწოდება ხშირია აჭარის ტოპონიმიკაში. ასე იწოდება, მაგალითად, ვდგინდოვნი სოფელ ჩანჩხალოში (ამავე სასოფლო საბჭოში) და ბევრ სხვა ადგილასაც.

ეს ნაშრომი ჩამოყალიბებული იყო წარმოებაში, როდესაც გამოქვეყნდა შ. რუსიძის ნარკვევი — „დარჩიძეებისა და შუაბევის ციხე-სიმაგრეები“ (აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ბათუმი, 1957 წ., გვ. 21-69). ნაშრომი ინტერესმოყვარული არ არის. ავტორი კომპლექსური ექსპედიციების მასალებზე დაყრდნობით მიმოიხილავს მართის ხეობის მატრიალურ კულტურის ძეგლებს, რომელთა შორის უმთავრესია დარჩიძეებისა და ოქროპლატურის ყალბოინები, იძლევა მათ აღწერილობას, იშველიებს თქმულება-გადმოცემებსა და ზოგიერთი საგულისხმო დაკვირვებას მოეპოვება.

ნარკვევი ხარვეზ-ნაყოფანებებისაგანაც არ არის თავისუფალი. ასე მაგ., ოქროპლატურის ყალბოინის შ. რუსიძე შუაბევის ციხე-სიმაგრეს უწოდებს და „საგუშაგო ციხე-სიმაგრეების ჭგუფს“ აყოფენებს (გვ.65), თუმცა არაფრის დასტურდება, რომ ეს მართლაც ასეთი დანიშნულების ციხე ყოფილიყო. საკითხავია, ეს ციხე თუ საგუშაგო იყო მხოლოდ, რომელი მის უკან მდებარე სიმაგრე იყო საბრძოლო?

ავტორი მართის ხეობის ყალბოინებს XI-XIII საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებს და მათ აბუსერისძეთა აშენებულად მიიჩნევს (გვ. 65), მაგრამ არავითარი სამოსოლ აუცილებელი საბუთი არ გააჩნია. მართალია, ამას კატეგორიულად კი არ აცხადებს, არამედ ვარაუდობს, მაგრამ პოპოტუნასაც ვარკვეული საფუძველი სჭირდება.

4. გადმოცემით, ძველად აქ თოფის წამალს ამზადებდნენ (ნაყდნენ) და ტყესაც სახელწოდება აქედან მიიღო.

### დღვანის სასოფლო საბჭო

1. „ქაშოეთი — ხორცის დარღვევა წყალუბებით“ — წერს საბა (ლექსიკონი, გვ. 365). ძველი სამკურნალო თხზულება „წიგნი სააქიმოჲ“ ამ სენს იმ უყურნებელ დააუადებათა შორის ათავსებს, რომლებიც შთამომავლობით მომდინარეობენ.

პროფ. ი. აბულაძის სიტყვით „ქაშოეთი“, „ქაშოვეთი“, „ქაშოეთი“, — მეტად ავი სწეზაა, ავთვისებიანი ანუ უყურნებელი სენია. ესაა იგივე ჭუზამი ანუ „ქაშოეთელა“, „ქაშოეთი“. შეშლვტ იგივე ავტორი ასე განმარტავს ამ სენს: „1. კეთრი, ავი და უყურნებელი სენი, 2. ტვინის მემკვიდრეობითი დაავადება; ქაშოეთის სალოკი — გულის ავადმყოფობა“ (გ. ლეონიძე, ჩვენი დედაქალაქის წარსულიდან (ქაშოეთი), ლიტერატურული გაზეთი № 4, 1957 წ., გვ. 4).

პროფ. ს. მაკალათია „ქაშოეთს“ მითრას კულტს უკავშირებს. ასეთი სენით შუპყრობილთა განკურნებას ხალხი ოდესღაც მითრას ევედრებოდაო (ს. მაკალათია, ჭუგე-მისერონის კულტი ძველ საქართველოში, გვ. 37), ხოლო ქრისტიანობის ხანაში მითრას ადგილი წმიდა გიორგიმ დაიკრა და მას შესთხოვდნენ შველას (იქვე).

ჯანბიძეების ქაშეთს ვარდა ამ სახელით საქართველოში რამოდენიმე ტაძარი, ადგილი და სოფელია ცნობილი. ქაშეთი ტაძარია თბილისში და სოფ. ბაბანეთში (ჯალმა კახეთი), სოფელია ხაშურის რაიონში, ამავე სახელით იწოდება ადგილი ჯალმა კახეთში, მალრანისა და მატანის მიდამოებში (გ. ლეონიძე, დსახს. წერილი, გვ. 4).

ავადმყოფობა „ქაშეთს“ უკავშირებს გ. ლეონიძე საქართველოს ტოპონიმიკაში შემონახულ „ქაშეთს“, კერძოდ, თბილისის ქაშეთის, სადაც მისი სიტყვით, უძველეს დროში „კეთროვანთა და განრღვეულთა თავშესაფარი იყო“ (გვ. 3).

2. ამ სერზე მოღწეულია ძველი ნაგებობის ნაშთი, რომელსაც მოსახლეობა ნაქილისვარს უწოდებს.

3. დღვანი „ან“ სუფიქსით ნაწარმოები სახელია და არა „ნი“ ფორმანტით, როგორც ამას პ. ინგოროყვა ამტკიცებს. (გ. მერჩულე, გვ. 169). „ან“ სუფიქსით არა ერთი ქართული სატომო და ტოპონიმიკური სახელია ნაწარმოები. (მაგ., ზ-ანი, კ-ანი, სე-ანი და სხვ).

ქართველურ ენებში ფართოდ ვაპრეცელებულ „ან“ ნაწილას ს. ჭანაშვიას გამოკვლევით რამდენიმე მნიშვნელობა აქვს და აღმნიშვნელია: „ა) კრებულობისა, მრავლობისა, კორ-



პორაიული, ბ) თვისების ქონებისა (კითხვაზე: რიანი?), გ) წარმოშობა-სადაერობისა (დ) ტოპონიმიკური, ე) სიტყვით-წარმოებითი, კერძოდ, კინოზოთისა“ (ს. ჭანაშია, თუბალ-თბალი, ტიბარენი, იბერი, ენოქის მოამბე, 1937 წ., ტ. I, გვ. 210).

ღრმამეცნიერული კვლევის შედეგად ს. ჭანაშია მიღის დასკვნამდე, „რომ განვითარების გარკვეულ საფეხებზე, ეს ფორმა საერთოდ ქართველური ფორმა იყო სატომო სახელთა წარმოებისათვის“ (იქვე, გვ. 220).

დღევანის წარმომავლობის შესახებ ადგილობრივ ასეთი გადმოცემა ჩვეიწერეთ: თურქთა გაბატონებამდე აჭარაში ეს სოფელი მკიდროდ ყოფილა დასახლებული, მაგრამ მამაპაატრი ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისა და გამაჰმადიანებაზე სასტიკი წინააღმდეგობის გამო მისი მცხოვრებლები თურქებს სულ გაუვლეთათ, ხოლო სოფელი გადაუბუგავთ. ასე უკაც-რიელი ყოფილა იგი კარგა ხანს, ვიდრე ბოლოს იქ დასახლებულა მაჰახლის სოფელ საფუტრეთიდან გამოქცეული სამი ძმა ფუტყარაძე, უფროსი ძმის რიღვანის ინიციატივით. ძმები თავდაპირველად დასახლებულან იმ ადგილას, რომელიც „საფუტყარას“ სახელითაა ცნობილი. ასე უწოდებოდათ ძმებს თავიანთი საშობლო სოფელის მოსაგონებლად ახალი საცხოვრებელი ადგილისათვის. ამ სამი ძმა ფუტყარაძის ნაშვირად მიიჩნევენ თავს ამ სოფლის ფუტყარაძენი, რომელნიც დღეს ასამდე კომლს შეადგენენ. სახელწოდება დღევანი სოფელს კი თითქმის შერჩენია უფროსი ძმა ფუტყარაძის სახელის — რიღვანის — მიხედვით, რომელსაც დღესაც ხალხით იგონებენ. დღევანის ეტიმოლოგიისათვის ამ გადმოცემის ღირსა-ფასი ჩვენთვის ნათელია, მაგრამ მისი მოტანა მინც საჭიროდ ვცანით, რადგან მასში სინამდვილეთ არის მოცემული ის დიდი და შეუდრეკელი ბრძოლა, რომელსაც ამ კუთხის მამაცი პატრიოტი მოსახლეობა ეწეოდა თურქი დამპყრობლებისა და ქვეყნის ისლამიზაციის წინააღმდეგ.

### ოლადაურის სასოფლო საბჭო

1. ამ სოფელს მეორენიარად კორეკს უწოდებენ.
2. ნაქელირე — ნაქერლის რე.

### შუბნის სასოფლო საბჭო

1. შუბანი — შუა უბანი.
2. ღემურყაფი (თურქ.) რკინის კარი, მდებარეობს შავშეთიდან აჭარაში მარითის ხეობით მომავალ გზაზე.
3. ამ მთაზე მოღწეულია ქვაკაცათა ნაშთები.
4. დარჩიძეების ყალაბოინი აგებულია მაღალ კლდეზე ჩირუხისწყლის მარჯვენა მხარეზე. გაღვივით მოზღუდული ადგილის ფართობი 145 კვ მეტრს უდრის. ციხის სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში რვაოდე მეტრის სიგრძეზე მოღწეულია კედელი, რომლის სიმაღლე გარედან 12 მეტრამდე აღწევს, ხოლო სისქე 1,18 მეტრს. ეტყობა ეს კედელი ნაშთია იმ რამდენიმე სართულთა შერჩენის (ალბათ კოშკი), რომელიც ერთ დროს ამ კუთხეში მდგარა. ციხის შიგნით სხვა ნაგებობათა კვალი ამჟამად წარბოცილია. გარდა ერთი ხელოვნური ორბოსი (ყუბა), რომლის დიამეტრი 1,18 მეტრს უდრის, სიმაღლე — 1,5 მეტრს. მცხოვანმა პირებმა ადგილზე გაგვიმარტეს: „ამაში თურმე კაცებს ყრიდნო“. ამ ციხის აშენებაზეც ის საყოველთაოდ ცნობილი ლეგენდაა შემონახული, რაც თითქმის საქართველოს ყველა კუთხეში და ყოველ ციხე-სიმაგრეზე, ან ეკლესია-მონასტერზე.

ნუ იტყვი, თურმე, თამარ მეფის ჭარს ამოუზიდავს ამ ციხის საშენი ქვები ჩირუხის წყლიდან; რაც შეეხება კირს, იგი კიხისავე მახლობლად, ამჟამად „ქველი კირს“ სახელწოდებით ცნობილ ადგილას დაუწევავთ. აქ დამწვარი კირით არაერთი ციხე-სიმაგრე და ეკლესია აუშენებიათ აჭარაში, — გვითხრეს მოხუცებმა, აქედან ჯორებით ნახიდი კირით არის აშენებული სხალის ტაძარიც.

ამ ციხეს ძველად დიდი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რადგან იგი იმ გზაზე ილა, რომელიც აჭარისწყლის ხეობაში გაშავალ მდინარეს მარითის ხეობით შავშეთთან, კლარჯეთთან და სამხრეთ საქართველოს სხვა ოლქებთან აკავშირებდა. ამ გზაზე, რომელიც შუახეში იწყებოდა, ორი „ყალაბოინი“ იყო ერთი

ჩირუხისა და ლომას წყლების შესაყარში, ხოლო მეორე დარჩიძებში. აქედან იგი გუზღლი-  
ეთის, ლელოვანის, დემურყაფის ვაელით გადადიოდა შავშეთში; სოფელ ყვირილაში ეს გზა  
ზრად ტოტდებოდა: ერთი შტო სოფელ ჭნალის, ციხისძირის, ტბეთისა და სათლელის ვაელით  
არტანუჯს ჩადიოდა, ხოლო მეორე სოფელ ციხითი არტანახსაყენ მიემართებოდა. ამ გზაზე  
ძველად რომ ცხოველი მისეღა-მოსვლა უნდა არსებებულიყო, ამის უტყუარი მოწმობაა სწო-  
რედ დარჩიძეების საყრადღებო და სერობული შესწავლის ღირსი ციხე.

5. მოღწეულია ნაეყვსარის ნაშთი.

6. დღეს ენტიჭვალს არაიენ ცხოვრობს, გასული საუკუნის მიწურულს-კი იქ სოფელი  
ყოფილა, რომელშიც გაუქვია თ. სახოკიას თავისი მოგზაურობის ღროს აქარაში. მწერალსა  
და ეთნოგრაფს მოტანილი აქვს ამ სოფლის სახელწოდების შესახებ ხალხში შემონახული  
თქმულება, რომლის შინაარსი ასეთია: ერთხელ, რთვლის ღროს თერმე, ჯერ კიდევ თურქ-  
თა მიერ აქარის დაპყრობამდე, როცა ამ სოფლის მცხოვრები თავდგომიენი ყურძნის სა-  
კრეფად წასულან შუაბეცს, სადაც მათ ზერება ჰქონდათ, ღრო უხელთია მტერს, თავს დასხ-  
მია სოფელს და ნახარა წაუხსამს. მტრის შემოსევის ძლიერ აღელვებია სოფლად დარჩენი-  
ლი ავადმყოფი ქალი. რომელიც უმალ სარეცელიდან წამოჭრილა, სერზე შემდგარა და  
შუაბეცს წასულთათვის ხმის მიწვდენის მიზნით მთელი შეძლებით დაუყვირია, ხმაც მიუწე-  
დენია, მაგრამ თვითონ ამ ნიადაგზე სამონლა დასწევულებულა, დაკუტებულა. აქედან მიუღია  
თითქოს სოფელსაც სახელწოდება „ეტიჭვარი“ (თ. სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 212). ამ  
კომპოზიტის სახოკიასელი ფორმა „ეტიჭვარი“ ორი სიტყვის — „ეტიჩა“ და „ჭვარის“ შე-  
ერთების შედეგად არის მიღებული. „ეტიჩა“ აქარაში დაგრდომილსა და საყარ ადამიანს  
უწოდებენ, „ეტი“ სხვათა ენაა, საყარი ჰქვიან (საბა ორბელიანი, ქართუ-  
ლი ლექსიკონი, გვ. 180). რაც შეეხება მეორე სიტყვას „ვარი“ იგი ამ შემთხვევაში სპეცია-  
ლურ განმარტებას არ საჭიროებს, კუტმა თავისიანებს, თავის ჯარს მოუხმო — ასეთია გად-  
მოცემის აზრი. ეს სახელწოდება ჩვენ „ენტიჭვალის“ ფორმით ჩაიწერეთ. ენტი ვარიან-  
ტელი ფორმაა ეტიჩა, ხოლო ჯვალ „რ“-ის „ლ“-თან დამსგავსებითაა მიღებული ჯვარისაგან.

### სხალთის სასოფლო საბჭო

1. ეს სასოფლო საბჭო წინათ ძამლეთის სახელით იყო ცნობილი, ამჟამად სხალთას  
უწოდებენ.

თუ საქმე სახელის შერქმევაში იყო, უფრო სწორი იქნებოდა სხალთა დერქვათ ყინჩაუ-  
რის სასოფლო საბჭოსათვის, სადაც მდებარეობს სხალთის დიდებული ტაძარი. სახელწოდება  
ძამლეთის სხალთით შეცვლა კი ჩვენის აზრით არაფრით არის გამართლებული.

### ყინჩაურის სასოფლო საბჭო

2. ეკლესიას სხალთის ცნობილ ტაძარს უწოდებენ. ეს ტაძარი მდებარეობს სოფ. ყინჩა-  
ურში, სოფლას ცენტრიდან ასიოდ მეტრის დაცილებით, ხიხაძრისაყენ მიმავალი გზატყე-  
ცილის ქვეშ მოვსებულ ადგილას. ვალავნით მოზღუდულ მოედანზე ამაყად დგას ხარანობში  
ჩასმული სხალთის მთავარი ტაძარი — ძველი ქართული ხუროთმოძღვრების უშესანიშნავე-  
სა ძველი აქარაში. მოღწეულია აგრეთვე მეორე ტაძრის ნაშთებიც.

სხალთის მთავარი ტაძარი დიდი ზომის დარბაზული ნაგებობაა, რომელსაც სამხრეთის  
და დასავლეთის მხრიდან მიდგმული ჰქონია კარიბჭეები. ამჟამად ერთი მათგანის მხო-  
ლოდღა თაღიანი შესასვლელია შემონახული, მეორე კი კარგა ხანია დანგრეულა. ამას  
გარდა ტაძარს ჩრდილოეთიდან ჰქონია მინაშენი, რასაც მისი კედლების ნაშთები მოწ-  
მობს. ძველი ჩვენამდე ფრიად დაზიანებული სახით არის მოღწეული: კედლების უდიდეს  
ნაწილს ჩამოცილები აქვს საბირე ქვა, მძიმე დაზიანების დადი აზის ჩრდილოეთისა და აღ-  
მოსავლეთის ფსადებს, არც შიგნითა მოპირკეთებული კედლები შემონახულა დაზიანე-  
ბის გარეშე, განსაკუთრებით აყლია ქვები კედლების ქვედა ნაწილში, აღდგენითი სამუშაო-  
ების დაწყებამდე ტაძარს სახურავი არ ჰქონდა.



მაგრამ ტაძრის ისტორიაში ეს როლია პირველი შეკეთება, ეტყობა, ასეთი შეკეთება მას არაერთხელ განუტედა წარსულშიც. „შეკეთების აჟარა კვალი ეტყობა, — როგორც სამართლიანად შენიშნავს რ. მეფისაშვილი, — დასავლეთის ფასადს. მისი მთელი ჩრდილო ნახევარი ხელშეორედ არის მოპირკეთებული დაუდევრად ნაწყობი წერილი კვადრებით. შუა და მარცხენა სარკმელთა ხერხებიც ფასადზე ამ რემონტის დროს ხელშეორედ უნდა იყოს გამოყვანილი, ამვე დროისაა ფრონტონის ჩრდილოეთი ქანობის კარნისის ფილებიც“ (რ. მეფისაშვილი, სხალთის ხუროთმოძღვრული ძეგლი, „ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჟარაში“, ბათუმი, 1955 წ., გვ. 85).

სხალთის ტაძრის დათარიღება მრავალ მკვლევარს უტედა, მაგრამ ეს საკითხი დღემდე მაინც დადგენილი არ არის. ისტორიკოსი დ. ბაქრაძე მას XI-XII საუკუნეების ძეგლად თვლიდა (არქ. მოგზ., გვ. 57). ამვე მოსაზრებას იზიარებდა გერმანელი მკვლევარი თ. კლუგე (T. Kluge, Versuch einer systematischen Darstellung der altgeorgischen (grusinischen) Kirchenbauten, Berlin, 1918, 13-14).

მართალია, სხალთა შუაფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრული ძეგლია, მაგრამ ბაქრაძის მიერ მითითებული ჩარჩოები ზოგადია და მოითხოვს შემდგომ დაკონკრეტებას. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგა აკად. ნ. სევეროვმა, რომელმაც სხალთა XI საუკუნით დაათარიღა. (ნ. სევეროვი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, მოსკოვი, 1947 წ., გვ. 192, რუს. ენაზე) თუმცა სამამისოდ აუცილებელი დასაბუთება არ მოუტია.

ამ უანასყენელ დროს სხალთის ტაძრის ახლებური დათარიღება სცადა რ. მეფისაშვილმა. „ძეგლის ვაზომვა-გამოკვლევამ, რომელიც პირველად 1939 წელს ჩაატარეთ და 1944 წელს ადგილზე დამატებითი მასალის შეგროვებით შევაკეთე, — აღნიშნავს მკვლევარი, — საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ სხალთის ტაძარი ეკუთვნის XIII საუკუნის შუა წლებს, ხოლო სამხრეთის კარიბჭე ცოტა მოგვიანებით არის მიშენებული“. (რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 86).

რ. მეფისაშვილი თუმცა ტაძრის შინაგანი სივრცისა და ფასადების დეკორატიული მორთულობის თავისებურებათა შესანიშნავ ანალიზზე აგებს თავის დათარიღებას, მაგრამ ამ ძეგლის აშენების საკითხი ამით გადაჭრილად მაინც ვერ ჩაითვლება.

„...XIII საუკუნეში... სოფელი სხალთა, საფიქრებელია, — წერს რ. მეფისაშვილი, — შედიოდა ერისთავ აბუსერისძეთა სამფლობელოში“. (გვ. 103) და ეს სიმართლეა. არა თუ ეს სოფელი, არამედ მთელი აჟარა ამ დროს აბუსერისძეთა სამფლობელოს წარმოადგენდა, და მისი აშენებაც სწორედ აბუსერისძეთა ერისთავობის პერიოდშია საქმეებელი, როგორც ამას სამართლიანად ითვალისწინებს ჩვენი მკვლევარი, მაგრამ ძნელი სარწმუნოა, რომ აბუსერისძეებს მოეხერხებინათ ასეთი ტაძრის აგება XIII საუკუნის შუა ხანებში. როდესაც ისინი ძლიერ დასუსტებული ჩანან და მათი ერისთავობა აჟარაში აგონიის პრეტენსია. თვითონ ავტორიც მიუთითებს, რომ „XIII საუკუნის ნახევარში აბუსერისძეები არ წარმოდგენდნენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფოში“ (გვ. 103).

ნარკვევი მთავრდება ასე: „ჩვენ შევქელით დაგვედგინა, რომ სხალთის ტაძარი თავისი სტილისტიკური თავისებურებით წინ უსწრებს სარგის ჭაყელისა და ბექა ჭაყელის მიერ სამცხეში აგებულ ძეგლებს, ამის გამო შეგვიძლიან ვივარაუდოთ, რომ სხალთის ტაძარი აგებული იყო უფრო ადრე, ვიდრე ეს ტერიტორია სამცხის ათბაგების ხელში გადავიდოდა“ (იქვე). ავტორი საესებო მართალია, როცა ასეთ დასკვნას აკეთებს, ამ ტაძრის არქიტექტურული სტილის თავისებურებანი უდავოდ მოწმობს მის სიძველეს ჭაყელთა ხანის ძეგლებთან შედარებით და მართლაც სხალთის ტაძრის აშენება უნდა მომხდარიყო XIII საუკუნის 60-იან წლებამდე, როდესაც აჟარა ჭაყელთა ხელში გადადის, მაგრამ არა აბუსერისძეთა სისუსტისა და დაყენების ხანაში, XIII საუკუნის შუა წლებში, არამედ იმ დროს, როდესაც აბუსერისძენი ჯერ კიდევ ძლიერები იყვნენ. ჩვენი აზრით, სხალთის ტაძარი აშენებული უნდა იყოს არა უკვიანეს XII საუკუნის მეორე ნახევრისა.

როგორც ცნობილია, ამ დროისათვის აბუსერისძეებს დაყარული აქვთ თავიანთი წინან-

დელი ვრცელი სამფლობელოს დიდი ნაწილი და მხოლოდ-ღა აჭარას ინარჩუნებენ. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივად, მათ უნდა ეზრუნათ აჭარაში ერთი ისეთი დიდებული ტაძრის ასაშენებლად, რომლის მშენებლის მათ წინანდელ სამფლობელოში შეგუთსა და არტანუჯი რამდენიმე იყო, ხოლო აჭარაში სულ არა. ამ გზით რომ წარებმართა ავტორს თავისი კვლევა საკითხის გადაწყვეტასაც, ვფიქრობ, შესძლებდა. XII საუკუნის მეორე ნახევრით ამ ტაძრის დათარიღება ისტორიული თვალსაზრისით გამართლებული ჩანს და მას გადაელახავ წინანდმდგომებს არც ძველის ხუროთმოძღვრული თავისებურებანი უწყევს, პირიქით, ბევრი ისეთი მომენტი, რომელზედაც რ. მეფისაშვილი მიუთითებს, საერთო დამახასიათებელია XII ს. მეორე-ნახევრისა და XIII ს. პირველი ნახევრის ქართული სატაძრო არქიტექტურისათვის. ასე მაგ., ტაძრის გრძივი კედლების თაღედის აღნაგობის ის თავისებურებანი, რომელსაც მკვლევარი აღნიშნავს, მხოლოდ XIII საუკუნის შუახანების რაიმე განსაკუთრებულ დამახასიათებელს კი არ წარმოადგენს, არამედ წინა საუკუნეების ქართულ არქიტექტურასაც ახასიათებს და ხანგრძლივი ტრადიციის ჩანს. ამას ვერც მეფისაშვილი უარყოფს, „სხალთის ტაძრის თაღედი, — აღნიშნავს იგი, — თავისი ზოგადი ფორმებით IX-X საუკუნეთა ძეგლების თაღედს უახლოვდება, მაგრამ, როგორც ზემოთ იყო ჩანებები, იგი ანიჭებს სიგრძეს სულ სხვა მხატვრულ თვისებებს. მშვიდი და ფართო სივრცეში ჩართულ პლასტრებს თაღებთან ერთად, თავისი მასივური ფორმების მიუხედავად, არა აქვს შერჩენილი აღნაგობის სიმკვეთრე, თაღების შეღრმავება სივრცის დანაწევრების შთაბეჭდილებას ვერ აღწევს. თაღედი მხოლოდ კედლებს ანაწევრებს და ამით იგი კარგავს ძირითად მთარეანიზებულ როლს სივრცისათვის“ (გვ. 96). მართალია, სხალთის ტაძრის თაღედის IX-X საუკუნეების ქართული სატაძრო თაღედთან მსგავსება მხოლოდ ზოგად ფორმებში ვლინდება, უკანასკნელს მნიშვნელოვანი განმასხვავებელი თავისებურებანი ახასიათებს, მაგრამ ეს ისეთი თავისებურებანია, რომელიც XI საუკუნიდან იკაფავს გზას და განუყოფლად არის დამახასიათებელი XII-XIII საუკუნის ქართული თაღედის არქიტექტურისათვის.

ასევე შეიძლება ითქვას კამარისა და კონქის ქუსლს ქვეშ გაეღებული პორტიკოსტაძვრი სარტყლის შესახებაც. რ. მეფისაშვილის მტკიცებით ეს მოტივი „უფრო გავრცელებულია XIII-XIV საუკუნეებში (ფიტიარეთის აფსიდა, ქობერი, საფარა, ზარზმა და ტულა“ (გვ. 97) და ამიტომაც შიდა სივრცის ამგვარი ხაზუღები „მხარს უჭერს მის (ტაძრის — ი. ს.) დათარიღებას XIII საუკუნით“ (იქვე). მაგრამ ასეთი რამ ხომ XI-XII საუკუნეთა ტაძრებისათვისაც არ არის უცხო? ამაზე ავტორიც მიუთითებს. მაშინ საკითხავია, რატომ მაინც მაინც ამ მოტივის ფართო გავრცელების ხანაში გადააქვს მას სხალთის ტაძრის აშენება, როდესაც ამ ვარაუდს დაუძლეველ წინააღმდეგობას უქმნის ისტორიული ვითარება. დაუქვრებულა ანა ვერ ხეარაზმელების საშინელი თარეშითა და შემდეგ მონღოლ-თათართა ბატონობით შეწყვეტულ ქვეყანაში აჭარის ერთსავეებს, და მასთანავე, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად დაუძღვრებულ აბუსერისძეებს, გამოეჩინათ ასეთი ტაძრის შენების ძალა და ხალხის.

ფართოდ გავრცელებულობის მოტივითაა გადაწყვეტილი და მართებული არ ჩანს აღმოსავლეთის ფსადის შუა სარკმლის საპირეს დათარიღების საკითხიც. „შუა სარკმლის საპირე, სადაც მომხარაზობელი ლილეები ნასკეებს ქმნიან, — წერს რ. მეფისაშვილი, — პარალელს ცალკეულ შემთხვევაში უკვე XII საუკუნეში პოულობს (ბეთანია — მცირე ტაძარი), მაგრამ იგი უფრო ფართოდ არის გავრცელებული XIII საუკუნიდან (ახტალა, ვაფთი, გუდალეთი, ქარზაშვილი და სხვ.)“ (გვ. 100, ხაზი ჩვენია — ი. ს.). ასევე ითქმის სამხრეთის ფსადის სარკმელების საპირეთა შესახებაც, რომლებიც უმთავრესად ინარჩუნებენ „XI-XII საუკუნეებში გამოიშვავებულ ნორმებს“ და „მხოლოდ ზოგიერთი ცალკეული თავისებურება და საპირეების შესრულების საერთო ხასიათი გვიჩვენებს, რომ ისინი შექმნილია არა უადრესა XIII საუკუნისა. სამხრეთის ფსადის ორივე სარკმლის თავისებურება — საპირის ჩაღრმავება კედლის სისქეში — XIII საუკუნეზე უფრო ადრე ამ საპირით არ გვხვდება, ხოლო XIII საუკუნიდან მოყოლებული იგი უფროდ ვრცელდება“. (გვ. 100-101. ხაზი ჩვენია — ი. ს.).

ტაძრის სარკმელთა საპირის ჩაღრმავება კედლის სისქეში რომ XIII საუკუნის უადრეს ვერ პოულობს პარალელს, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი რამ არ შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო მის წინამორბედ საუკუნის მეორე ნახევარში, ყოვლად წარმოუდგენელია ამ თა-



ვისებურების ცალკეული შემთხვევები XIII საუკუნემდე არ არსებულებოდა, ხოლო ამ საუკუნეშიდან მოყოლებული მას ერთბაშად ფართო გავრცელებისათვის მივლინება.

რ. მეფისაშვილის ნაშრომში სადაო და საყამათო ზოგი რამ შეუაძლებელია ესეც ვეფიქრობთ, საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ XIII საუკუნის სუბანებში სხალთის დათარღობა მართებული არ არის და რომ იგი შესწორებას მოითხოვს.

სხალთა ერთდროს კარგად მოხატული ტაძარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენამდე მოხლოდ ფრაგმენტებშია მოუღწევია. „შინით მთელი ეკლესია, — ამბობს თ. სახოკია, — მხატვრობით ყოფილა დაფარული, მაგრამ მტარეალურ ხელს არაფერი დარჩენია შეუვიწებელი და გაურყენელი: საცა ხელი მისწვდომიათ, მხატვრობანი ჩამოუფხეკათ. საცა მაღლა ყოფილა, ტყვიით დაუცხრილათ, ბოლოს, შიგ ცეცხლი დაენთათ და კვამლით სულ ერთიანად გაუმტრათ ეკლესიის ზემო ნაწილი“ (თ. სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 234).

მართალია, სხალთის ტაძარს ჩვენამდე სეროზული დაზიანებით მოუღწევია, მაგრამ ასეც როგორც გადაურჩა იგი ფანატრიკოს თურქებს, საოცარი და საკვირველია.

დასასრულ სხალთის ეტიმოლოგიის შესახებ, სხალთა „თა“-ნიანი მრავლობითი ნაწარმოები სახელთა სიტყვისაგან „მსხალი“, რომელსაც თანამოვანი თავმოყრის გამო „მ“-ანი დაუკარგავს. სინამდვილეს არ შეეფერება ხალხური გადმოცემა, რომელიც ამ სახელწოდების თავდაპირველ ფორმად თვლის „სხალთან“. თითქოს და, როდესაც თამარ მეფისათვის უკითხათ სად გვიბრძანებთ ტაძრის მშენებლობის დაწყებასო — გვიპასუხოსნის უბასუხნია — „მსხალთანო“, რომელიც თურმე იმ მოედანზე მდგარა, სადაც შემდეგ ეკლესია აუშენებიათ და სახელიც სხალთა (ე. ი. მსხალთან მდგარი) ვითომ აქედან მიიღია ტაძარს (თ. სახოკია, მოგზ., გვ. 236).

### ხიზაძირის სასოფლო საბჭო

1. ვერნები „ებ“ სუფიქსით ნაწარმოები სახელწოდებაა, სიტყვისაგან ვერანი-ვერანი, რაც დაქცეულ-გაპარტახებულსა და ოხერ ადვილს ნიშნავს. „ვერანი-ოხერი“ (საბა, ლექსიკონი, გვ. 119). 1896 წელს ეს სოფელი ინახულა თ. სახოკიამ, რომელიც ასე ავეციქურს ვერნებს: „სოფელში ექვსი-შვიდი კომლი მოსახლე იქნება. მთელი სოფელი ვიწროდ, ერთ დაქანებულ ფერდობზეა მიკრუნჩხული. სოფელში შესვლისთანავე თქვენს ყურადღებას ერთბაშად იპყრობს აჭურების დააველებული სახე. წამლად ერთს აღამიანს ფერი არა აქვს. ყველანი ჩაკვითლებულნი, უმეტესად ქოსანი არიან, თითქოს, ეს არის სამაირიდან ამოუღიათო, ძლივს დადიან, მიხვრა-მოხვრასა და ლაპარაკში სიცოცხლე აკლიათ. ათი კაცი ენახეთ და მათ შორის ოთხს უშველებელი ჩაკვი ჩამოკიდებოდა კისერზე ცხერის ღუმისავით... საინტერესოა გამოკვლევა სოფელთა ასეთი გადაშენების მიზეზისა... ამ სოფელს სრული ამოწყვეტა ან გადაშენება მოვიღის: ცხადია, ჰავა ან წყალი ხელს არ უწყობს მცხოვრებთა გამრავლებას, რასაც თვით მისი სახელი „ვერნებიც“ მოწმობს. საფიქრებელია, ოდესმე იმაზე მეტი უნდა ყოფილიყვნენ მოსახლენი აქ, ვიდრე დღეს არიან, მაგრამ შემდეგში აჭურობა ამოწყვეტილა, გავერანებულა“ (თ. სახოკია, მოგზ., გვ. 231).

ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ გამოხდა ხანი. აქარაშიც შემოაშუქა თავისი მაცოცხლებელი სიძეები ოტომანების მხეშ. ხალხის ჯანმრთელობის დაცვისა და კეთილდღეობისათვის ზრუნვა ახალი მშურ-გლეხური სახელმწიფოს თავი და თავი საგანი გახდა, საბჭოთა ეპოქაში ძველი გავრანებული სოფელი აღსდგა და წელში გასწორდა, გადაშენებები ბრძოლა გამოეცხადა ჩიყვსა და ყოველგვარ დაავადებას, გამრავლდა ვერანების მოსახლეობაც და თუ XIX საუკუნის მიწურულს იგი 6-7 კომლს ძლივსა ითვლიდა, დღეს ვერნების მოხარდი თაობა შეიღწილიან სკოლის კონტაგენტს აკმაყოფილებს. საბჭოთა პერიოდში სრულიად შეიცვალა ვერნების სახე, ეს ერთ დროს მიუვალი სოფელი ჩვენს დროში საბანქანო გზით დაუკავშირდა სხალთის ხეობის გზატკეცილს.

ვერნების ეკლესიის ნანგრევებში თ. სახოკია წააწყდა ერთ საყურადღებო ჩუქურთმიან და წარწერისან ქვას. „ამ ქვას განი ათი მტკაველი აქვს, — ამბობს იგი, — სიმაღლე ოთხი და



სისქეც — ერთი მტკაველი. ზედ გამოყვანილ ჩუქურთმების თანახმად, ეს ქვა ეკლესიის, შესავალ კარს ზემოთ უნდა ყოფილიყო ჩატანებული. მისი ხეცური წარწერა მეტად ძველებურია, უმეტესად წაშლილია და ძნელად იკითხება“. (იქვე). თ. სახოკიამ გადაიღო ეს წარწერა და გასამოყვარად ვადასცა ცნობილ ისტორიკოსს თ. ყორღანისას, რომელმაც იგი ასე წაკითხა: „ქე (ქრისტე) აღნ (აღიღენ) ეე ნი (ერისთავთ ერისთავნი) გრგოლ (გრგოლ) და აბს რი (და აბუსერი) და ვი (გვიორგი) და (ზე) შქენი (და ზემქენი).. (აქ ერთი სიტყვის გარჩევა ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა) ზ ქრ (ზაქარია)“ (იქვე, გვ. 232).

მიუხედავად იმისა, რომ თ. სახოკიას სიფრთხილედ და გულმოდგინეობა არ მიუვლია წარწერის გადაღებისათვის, მან მაინც ვერ შესძლო მისი ზუსტად გადმოღება, განსაკუთრებით ეს ითქმის წარწერის უკანასკნელ სტრიქონზე, რამაც განსაზღვრა თ. ყორღანისაველი წაკითხვის უზუსტობაც.

1933 წელს ეს წარწერა ადგილზე დააბუსტა პროფ. გ. ჩიტაიამ, რომელიც ასე კითხვლობს მას: „ქრისტე, აღიღენ (ერისთავთ-ერისთავნი გრიგოლ და (აბუსერი) და გვიორგი და) შეიღენ — მირიან, გრიგოლ, ქეთარ“. წაკითხვა გამოქვეყნებული აქვს აბუსერიძისეთა საგვარეულო ისტორიის მკვლევარს დოქ. ლ. მუსხელიშვილს აბუსერიძის ტბელის მის მიერ 1941 წელს გამოცემულ თხზულების შესავალ წერილში (გვ. 23, შენიშვნა 3) ლ. მუსხელიშვილის სიტყვით წარწერის „უკანასკნელი სამი სახელი მიხეცა-და-მიხეც სათუოა“ (იქვე).

ვინ არიან ან როდის ცხოვრობდნენ წარწერაში მოხსენებული აბუსერიძისე გვიორგიეველია. თ. სახოკიას თქმით „შეიღება, ეკრანების წარწერაში მოხსენებული აბუსერიძისე შემდეგი დროისანი იყვნენ (XIV-XV საუკ.), რომელთაც ჩვენი ისტორია არ იცნობს, და ანუ სულ უძველესი დროისანი (IX — XI საუკ.), რომელნიც ნაკლებად არიან ცნობილი“ (მოგზა, გვ. 232). მაგრამ წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი თ. სახოკიას არც პირველ ვარაუდს ამართლებს და არც მეორეს. ლ. მუსხელიშვილის მტკიცებით „პალეოგრაფიულად ეს მთავრულით შესრულებული წარწერა XII ან XIII ს-ით უნდა განისაზღვროს“ (იქვე), მაგრამ აბუსერიძისეთა გენეალოგიურ ტაბულაში, თუ რა ადგილი უნდა დაიკავონ წარწერაში მოხსენებულმა აბუსერიძისეებმა, ამას მკვლევარი ვერ წყვეტს და საკითხს ღიად ტოვებს.

2. მადიდობის სოფლის ცენტრს უწოდებენ, სადაც ერთი დიდი ურთხელი დგას. ამ ურთხელის შესახებ თ. სახოკია წერდა: „ამ ნაეკლესიარის მახლობლად (ვერანების ეკლესია — ი. ხ.), გზის პირას, ერთი უზარმაზარი ურთხელი დგას, ერთ საერთო ძირზე ორ ტანად ამოსული. სისხო თოხი კაცის ხელის შემოწვდობა აქვს. როგორც ვიცი, ეს ხე ძალიან წელა იზრდება, ასე რომ, ჩვენი ანგარიზით, სულ უკანასკნელი, ექვსი საუკუნისა მანაც უნდა იყოს, უნდა ვიფიქრო, რომ ეს ხე დარგულია ეკლესიის აშენებისთანავე, რაც მოწმობს ვერანების ეკლესიის სიძველეს და მის წარწერას ეთანხმება“ (თ. სახოკია, მოგზა, გვ. 232).

რამდენად სიმართლეს შეეფერება ვერანების მადის ასაკის ექვსი საუკუნით განსაზღვრა, ძნელი სათქმელია. ასევე ძნელი სათქმელია, თუ როდისაა იგი დარგული, ეკლესიის აშენებისთანავე, მანამდეც არსებობდა, თუ მერმინდელია. რა თქმა უნდა, ვერანების ეკლესიის ამ საეკლესიო გაანგარიშებებსა და ვარაუდებზე დამყარებული დათარიღება XIII საუკუნით, სარწმუნო არ ჩანს. ვერანები სხალთის ხეობის ერთ-ერთი ძველისძველი სოფელია, რასაც მოწმობს 1954 წელს აქ გზის საღვთაოებთან დაკავშირებით აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაშთები: ბრინჯაოს ცული, თიხის ქოთნები და სხვ. (ეს ძეგლები აღმოაჩინა ხასან სურმანიძემ და ინახება ხახაბირის საშუალო სკოლაში), ყოვლად წარმოუდგენელია ასეთი ხანგრძლივი ტრადიციების სოფელს თავისი სამლოცველო არ ჰქონოდა XIII საუკუნემდე.

მ. ციხიყვას სერზე მოღწეულია ორი ძეგლი. ერთი მთვანე, ყერძოდ ქვედა, რომელიც კალითისა და ბაკოსწყლის შესავარში მდებარეობს, ციხეა, რასაც გარდა აგებულიებისა სახელით ვარდციხე, ადასტრებს, ხოლო მეორე მთვანეზე (მდებარეობს იმავე სერზე) დამკვირვებელთა შორის აბრთა სხვადასხვაობაა. ზოგი მას ნაეკლესიარად მიიჩნევს, ზოგიერთი კი დედ ციხედ. ცნობილი გ. ყაზბეგი, რომელმაც ციხიყვას ნაშთები 1874 წელს აჭარაში მოგზაურობის დროს იწახულა, მას ნაეკლესიარად თვლის (გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, გვ. 25).

ყაზბეგის შემდეგ აღნიშნული ნაშთების შესახებ აბრთ გამოთქვა თ. სახოკიამ, რომელმაც ისინი 1896 წელს იწახულა. „ეს ადგილი ყელია მთელი ხეობისა, — წერს იგი, — და ზედ

ამენებულ ციხესაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მტრისაგან ამ ხეობის დაცვარის დროს. ციხე ორია: ერთია იმ ადგილას, სადაც კალთის-წყალი სხალთის წყალს ერთვის, მეორე მის ზერტულა. ორივე კარგად მოზრდილებია და ნახევრად დანგრეულებია. ციხის კედლებს დატანებული აქვთ ჩუქურთმებიანი თლილი ქვები, ყოველ ეკვს გარეშეა, რომ ეს ქვები იკლესიისაა, გარემოება ნებას გვაძლევს ვიფიქროთ: რომ ციხე თურქების ბატონობის დროს არის აშენებული, თორემ ქრისტიანები, მეტადრე იმ დროს, ეკლესიის ქვებს ციხეს არ მოახმარდნენ. შესაძლებელია, ეს ქვები ხიხამირის ეკლესიისა იყოს; ალბათ, თურქებს ტაძარი დაუნგრევიათ და მისი მასალა ციხისათვის მოუხმარნათ“ (მოგზ., გვ. 230).

სახოკა ციხეა, როდესაც ციხიყელას ძეგლებს თურქთა ბატონობის ხანით ათარიღებს. არავითარ იმის მსგავსს, რაზედაც მწერალი მიუთითებს; სინამდვილეში აქ ადგილი არ ჰქონია. ის ჩუქურთმებიანი თლილი ქვები, რომელიც ჩვენ აქ გვხვდება და, რომელიც სახოკიას მართებელი შენიშვნით „ყოველ ეკვს გარეშეა რომ ეკლესიისაა“, იმას კი არ ადასტურებს, რომ თურქებმა ააშენეს ეს ციხე და მასში ხიხამირის ეკლესიის ქვები გამოიყენეს, არამედ იმის უტყუარი მოწმობაა, რომ ზედა ნაშთში, რომლის კედლებშიც უფრო შეიმჩნევა ასეთი ქვები, ციხესთან ერთად ეკლესიაც ყოფილა. ქრისტიანული ხანის ციხეებში სამლოცველოს არსებობა ცნობილი ამბავია. ეს ფაქტიც ნათელიყოფს ამ ძეგლთა სახოკიასეული დათარიღების უმართებულობას. არც ვარდციხე და არც სხვა რომელიმე სიმაგრე არ აღშენებიათ თურქებს აქარაში, მათ გაამაგრეს მხოლოდ ზოგიერთი ისეთი ძველი ქართული ციხე, რომელიც ამ დროსაც იწარჩუნებდა თავის სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას.

ამ უკანასკნელ დროს ამ ნაშთებს შეეხო ხ. ახვლედიანი, რომელმაც ისინი „ფეოდალურ ციხე-კოშკებად“ მიიჩნია და XII-XIII საუკუნით დაათარიღა. „აღნიშნული ციხეების აშენების თარიღის დადგენა ძნელია, რადგან ხელთ არა გვაქვს რაიმე წერილობითი საბუთი და არც მოსახლობამ იციან რაიმე ამის შესახებ, — წერს ხ. ახვლედიანი, — მაგრამ შეიძლება დაახლოებით ითქვას, რომ აღნიშნული ციხეები XII-XIII საუკუნეებში უნდა იყოს აშენებული“. (ხიხამირის ციხისა და ეკლესიის ისტორიისათვის, „ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში“. 1955 წ., გვ. 48). თუ ამ ციხეთა აშენების შესახებ სრულიად არაფერი ვიცით, არც რაიმე წერილობითი ცნობა და არც ხალხმა იციან რაიმე, რა საფუძველზე მიიჩნეეს ავტორი-მათ XII-XIII საუკუნეების ძეგლებად? ვინც ოდნავ მაინც გონების თვალთ დუქიანდებს ციხეებელას ადგილმდებარეობას, იგი უმაღლეს დარწმუნდება, რომ ასეთ სტრატეგიულ ადგილას ციხე-სიმაგრეები გაცილებით ადრეიდან უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეს XII-XIII საუკუნეა. ამ მოსაზრების სისწორე-უსწორობას ცხადს გახდის ციხიყელას სიძველეთა სერიოზული არქეოლოგიურ-არქიტექტურული შესწავლა და ვიდრე ასეთი სამუშაოები არ ჩატარებულა, მინამ შეუძლებელია არის მათი ასაკის მეცნიერული სიზუსტით განსაზღვრა.

4. სოფელ კალთაში, ალი ყაიას-ქე აბაშიძის ეზოში შემონახულია საყდრის ჩრდილოეთი კედლის ნაშთი თავისი სარკმლებით. გარდა ადამიანისა და ჭერის გამოსახულებიანი ერთი პატარა ქვისა, რომელიც 1946 წელს ო. ხალვაშვი იპოვა და ამჟამად აჭარის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, ამ ეკლესიიდან არაფერია ცნობილი.

5. თხილანას ნაეკლესიარი დღეს მხოლოდ უწყესრიგოდ მიმოფანტული ქვების სახით არის წარმოდგენილი. აქედან წაღებულია და აჭარის სახელმწიფო მუზეუმში ინახება ძველი ქართული ხეროთომოძღვრების დიდებული სტილის ორნამენტით შემკული დიდი ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია 7-სტრიქონიანი შემდეგი წარწერა: „ქრისტე, წმიდაო იოვანე მახარობელი დაცავენ სულთა და ხორკითა ერისთავთერისთავი აბუსერი და დედოფალი ვანანი და ქე მათი ზაქარია და შეილი მათნი და ყოველი ერი მათი და მოხაიშნე ექვენ. დღეს ამისა სასჯელისა წე დასჯი ამინ“. წარწერა ამოკითხა და ქარაგმები გახსნა ავად. ნ. ბერძენიშვილმა (ხ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 50).

ხ. ახვლედიანის აზრით „ეს ქვა ეკლესიის შესავალ კარებზე დასადგმელი თალი უნდა იყოს“ (იქვე). თხილანის საყდარი იოვანე მახარობლის სახელზე ყოფილა აშენებული. წარწერაში მოხსენებული დედოფალი ვანანი ამ ეკლესიის აშენებელი ჩანს. ეს ვანანი უნდა იყოს მეორე საბუთის „ვანანი დოფალთ-დიოფალი, იოვანე მახარობლის ეკლესიის მამულები“ (თ. ყორღანი, ქრონიკები, ტ. II, გვ. 123). ერისთავთ-ერისთავი აბუსერი ხიხელის მუხლზე დედოფალი ვანანი, ცნობილი მემკვიდრე აბუსერისძე ტბელის და ყოფილა, ეტყობა ამ

ეკლესიის აშენება ჰქონდა მხედველობაში ტბელ მწერალს, როცა მისი დის შესახებ წერდა, რომ მან „...ეკლესიაჲ აღაშენა წმიდისა იოანე მახარობელისაჲ და ღმრთისმეტყველისაჲ, სამკვიდრებელი ჩუენი, და აღავსო საწყაული კეთილი“ (აბუსერიძე ტბელი, გვ. 68).

თხილვანს საყდრის სიახლოვეს იქნა აღმოჩენილი საფლავის ქვა შემდეგი ეპიტაფიით: „უფროსი სანატრლო და წმიდარი მხოხეყავ საწყალობელსა სულსა საღირსსა (სალარაძე) და ვინცა წაიკითხოთ შენდობას გთხოვთ“. ხ. ახვლედიანის ცნობით ეს წარწერა გაუშვირავთ საქართველოს სახელმწიფო მეზეუმის თანამშრომლებს ნ. შოშიტაიშვილს, და ვ. ცისკარიშვილს, ხოლო ძველის ადგილზე შესწავლით იგი დაუზუსტებია ი. მეგრელიძეს (ხ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 52, შენ. I), თუმცა იგი საბოლოოდ დაუზუსტებელი მაინც არ არის, კერძოდ წარწერის „საწყალობელსა სულსა საღირსსა“, უნდა იკითხებოდეს, „საწყალობლისა სულსა საღირსსა“. გარდა ამისა არც „საღირსს“ სალარაძედ გაგება ჩანს სწორი, თუ იგი მაინცაღამაინც გვაჩვენებს იყო, მაშინ იქნებოდა საღირსი და არა სალარაძე, რადგან ეპიტაფიაში მოხსენიებულია საღირსი და არა სალარა, რომელზეც ძეს დამატებით უნდა მიგველო გვაჩვენებს, მაგრამ „საღირსი“ ამ შემთხვევაში უფრო სახელი უნდა იყოს იმ კაცისა, რომლის სულის მოვლას და შენდობას თხოვლობს ეპიტაფია, ვიდრე გვარის.

6. ამ მთავრ მდებარეობს ერთ დროს მთელ შავშეთ-არტანუჯ-აქარის ერისთავთ-ერისთავთ აბუსერიძეთა სარეზიდენციო ციხე-ქალაქი, რომელიც ხირხათის სახელითაა ცნობილი. ხირხათის მთაზე ორი ბილიკი მიემართება, ერთი სამხრეთ აღმოსავლეთიდან, ხეე-ხეე სავალი და მიმე, რომლითაც ჩვენ მოვიხივებთ ციხე-ქალაქზე ასვლა და მეორე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან, ესეც ძნელად სავალია, მაგრამ შედარებით უკეთესი, რომლითაც უკან დავბრუნდებით.

დროთა განმავლობაში ხირხათს დიდი ცვლილება განუცდია. მთის ნგრევის პროცესი დღესაც მიმდინარეობს და ძლიერ შესამჩნევად. წამდაუწუმ გაიშის კლდეებზე მოწყვეტილი ქვების ჩხრალი, შშირად დიდი მასებიც მოწყდება ხოლმე და ჯაჭოხეთური გრიალით ენარცხებიან ხეში.

ციხე-ქალაქის ფართობი რამდენიმე ჰექტარს შეადგენს, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია მოვარებული, უმეტესი კი დამრეცი და ციკაბოა. ხირხათში მრავალი ნაგებობის ნაშთია მოღწეული, მთვან ზოგი ნაწილობრივ არის შემონახული, ზოგიერთი — კი სრულიად გასწორებულია მიწასთან.

1896 წელს ციხე-ქალაქი ხირხათი იხახულა თ. სახოკიამ, რომელიც ასე აღწერს მას: „თეთი ხირხათის ციხე ზღვის პირიდან 2.600 მეტრის სიმაღლეზეა და წარმოადგენს განმარტოებულ და წოწოლა კლდეს, სამივე კუთხე მახლობელ მთებიდან ხრამებით მოშორებულს და მიუწვას. ზედაპირი მთის სამი დღიური სიგრძისა იქნება და გარშემოვლებული აქვს ქვიციურის ვალეანი, რომელსაც ჩრდილოეთის მხრივ ნიადაგი გამოსცლია და ჩამოქცეულია. ალაგ-ალაგ გალავანს სარკმელები აქვს ჩატანებული. ერთმანეთზე მოშორებით ხუთი მაღალი კოშკიცა დგას, ხუთივე სანახევროდ დანგრეულები. ციხის შიგნით ნახევრად დანგრეული ეკლესიაცა...“ (მოგზ., გვ. 220).

ამჟამად ხირხათში ოთხი კოშკის ნაშთია შემონახული და არც ეტყობა, რომ ოდესმე ამაზე მეტი ყოფილიყო. გარდა სახოკისა, ვისაც ეს ციხე-ქალაქი მანამდე ან შემდეგ უნახავს, არავის მოეპოვება მსგავსი ცნობა. გ. ყაზბეგი, რომელიც ხირხათში იყო 1874 წელს, ოთხ კოშკს ასახელებს (გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 23).

განსაკუთრებით ძლიერი დაზიანებით არის მოღწეული ის კოშკი, რომელიც ციხე-ქალაქის ასავალთან მდებარეობს. შედარებით კარგად არის შემონახული ამ ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი, ხოლო ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლები სანახევროდ დანგრეულია. მათი უღრდესი ნაწილი დასავლეთის კედელთან ერთად ხევე ჩაქცეულია. ეს კოშკი დღეს თავისი იფონის პროცესშია, აღბათ, სულ მოკლე დროში, უფსკრულში ჩაიხრცება.

ამ კოშკის წინ, რამდენიმე ქვევრია მიწაში ჩაფლული. გ. ყაზბეგი ამ ქვევრებს ნაწილობ-

არ წყლის მოსაყავებლად გამოიხველ კურკლებად სვლის (იქვე). ასეთივე აზრისაა თ. სახოკიაც (იქვე). თურქთა ბატონობის ხანაში, როდესაც ლენის სმა გადაეარდა მამადის სკელის გამოისობით, ეს მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ წინათ, კერძოდ აბუსერისქეთა ერისთავობის პერიოდში, როდესაც არის, უთუოდ, ჩაყრილი ეს ქვევრები, მათი დანიშნულება, პირველყოვლისა, რა თქმა უნდა, ლენის მოკალება უნდა ყოფილიყო.

ჩვენი აზრით, ეს ადგილი, სადაც ჩვენ ხუთი ქვევრი დაუთვალეთ, ზოგი მთელი და ზოგიც დაზიანებით მოღწეული, ციხე-ქალაქის მარანს წარმოადგენს. შეიძლება აქ ქვევრები მეტიც იყოს ჩაფლული, მაგრამ ზედაპირზე ამის მეტი არ ჩანს. მარანი, როგორც ცნობილია, ძველად სპეციალურ შენობაში — საღვინე სახლში იყო მოთავსებული, ასეთ „საღვინე სახლს“ და არა „საეუქნაოს“, როგორც ამას ფიჭობს ხ. ახვლედიანი (ხიხინის ეკლესიისა და ციხის ისტორიისათვის, მე-37 გვერდის დამატება) უნდა წარმოადგენდეს სწორედ ის ნაგებობა, რომლის ნაშთებიც აქ არის შემორჩენილი. ეს არის სწორკუთხედის ფორმის შენობა, რომლის სიგრძე 12 მეტრამდე აღწევს, ხოლო სიგანე — 4,5 მეტრამდე. მისი ჩრდილოეთი კედელი მიწამდეა გასწორებული, ხოლო სამხრეთის კედელი მეტრამდე სიმაღლითაა შემონახული.

აღმოსავლეთის კოშკიდან 42 მეტრის დაცილებით აღმართულია მეორე მურყვამული ტიპის კოშკი. ეს ნაგებობა ამჟამად მხოლოდ ორი მაღალი კედლით (დასავლეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთის), არის წარმოდგენილი. დასავლეთის კედლის სიგანე 3,78 მეტრია, ჩრდილოეთისა კი — 4,5 მ. მეორე კოშკი, ისე როგორც პირველი, რამდენიმე სართულიანი ყოფილა. სამი სართული ახლაც კარგად შეინიშნება, კედლებში დატანებულია სარკმლები.

მეორე კოშკიდან ჩრდილოეთით მიემართება კედელი, რომლის სიგრძე 33,5 მეტრს უდრის, სისქე — 0,5 მეტრს, ხოლო სიმაღლე — 3 მეტრს. ამის პარალელურად სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიდის მეორე კედელი, რომლის სიმაღლე შედარებით კარგად დაცულ დედას 6 მეტრამდე აღწევს, ხოლო სიგრძე 77,5 მეტრამდე. პარალელური კედლებით მოზღუდულ ტერიტორიაზე რამდენიმე შენობის ნაშთია მოღწეული. პირველი მათგანი, რომელიც ძლიერ დაზიანებული სახით შემონახულია, ორგანყოფილებიანი ნაგებობა ჩანს. აქედან 3 მეტრის მანძილზე სამხრეთის კედელზე მაშენებული ყოფილა ნახევრად ოვალური მოყვანილობის ნაგებობა, რომელიც, აგრეთვე, ძლიერ არის დაზიანებული. ამ ნანგრევის წინ შემონახულია კა, რომლის სიმაღლე 5,5 მეტრს უდრის, დიამეტრი 1,5 მეტრს, თ. სახოკიას სიტყვით ეს ქვით ამოკირული ნაგებობა „დილეგია ტყვეთათვის“ (იქვე). ხ. ახვლედიანი კი მას „საიდუმლო საწყობს“ (sic) თვლის შესანახს“ უწოდებს (იქვე, გვ. 40).

აღნიშნული კედლის პირველი მინაშენიდან ხუთიოდ მეტრის დაშორებით შემონახულია მეორე შენობის ნაშთი, რომლის სიგანე 3,5 მეტრს უდრის, სიგრძე-კი 3,6 მეტრს, ამის მოსდევს უაზარმული ხასიათის ნაგებობა სიგრძით ექვსიოდ მეტრი: ჩრდილო-აღმოსავლეთით მისი სიგანე 2,5 მეტრს შეადგენს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით — 2 მეტრს. ამ შენობის ჩრდილოეთით შემონახულია მოზრდილი ნაგებობის ნაშთი, რომლის სიგრძე 7,5 მეტრია, სიგანე — 5,38 მეტრი, ხოლო სიმაღლე კედლებისა 1,5 მეტრამდე აღწევს. აქვე არის სხვა ნაგებობათა ნანგრევებიც.

კედლით მოზღუდული ტერიტორიის გარეთ რამდენიმე შენობის ნაშთია. ერთი მათგანი (სამხრეთით) კლდის ძირას მდებარეობს. მისი სიგანე — 3,53 მეტრს უდრის, სიგრძე — 3,7 მეტრს. ამ ნაგებობის სამხრეთის კედლის ნაშთის სიმაღლე 1,73 მეტრია. აქ კედლებში დატანებულია ბუხარი. ბუხრის პირის სიგანე 66 სმ უდრის, ხოლო სიმაღლე 78 სმ. ბუხრის სი-ახლოვეს (აღმოსავლეთ კუთხეში) გაკეთებულია პატარა თარიღები. ხ. ახვლედიანის აზრით ეს შენობა ფურნე უნდა ყოფილიყო (გვ. 44, 45), თუმცა მოღწეულ ნაშთზე დაკვირვება ამის დამაბტურებელ არავითარ საშუაოს არ იძლევა. ეს ნაგებობა, ჩვეულებრივ ბუხრიან საცხოვრებელ ბინას უფრო მიაგავს, ვიდრე პურის საცხობს.

სამხრეთ-დასავლეთის კედლის სიახლოვეს (სამხრეთ-დასავლეთით) მოღწეულია, აგრეთვე, ერთი საფუძვლებამდე დანგრეული შენობის ნაშთი. ამავე კედლის ჩრდილო-დასავლეთით ორი ნაგებობის ზოგიერთი დაზიანებული კედელია შემონახული. პირველი მათგანი, რომლის დანიშნულების გარკვევა უძრესი დაზიანების გამო არ ხერხდება, აგრეთვე, ორი განყოფილებისაგან შედგება. ამ ნაგებობის სიგრძე 8,32 მეტრს უდრის, სიგანე—9,32 მეტრს, შე-

დარბობით უკეთ არის მოღწეული მისი აღმოსავლეთის კედელი, რომლის სიმაღლე 3,5 მეტრს აღწევს (შიგნიდან). კარის სიგანე 92 სმ-ია, ხოლო სიმაღლე 1,5 მეტრს უდრის. ამ შენობის წინ, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ამ ნაგებობაზე მინაშენის ნაშთია შემონახული, რომლის აღმოსავლეთ კედელში ბუნებრივი დატანებული, აღნაშენული ნაგებობიდან 9 მეტრის დაცილებით ერთი საყურადღებო შენობის ნაშთია მოღწეული. მასშიც ორი განყოფილება შეინიშნება. შედარებით უკეთაა დაცული მისი აღმოსავლეთის კედელი, აქედან აქვს კარიც, ამ ადგილას კედლის სიმაღლე 3,5 მეტრს აღწევს.

ბ. ახვლედიანი ამ ნაშთს საყურადღებო დანიშნულებების ნაგებობად მიიჩნევს და 1233 წელს აშენებულად თვლის. „აბუსერისძე ტბელის თხზულების მიხედვით, ხიხანის ეკლესია, — წერს მკვლევარი, — აშენებულია 1233 წელს“ (გვ. 44). მისი მტკიცებით ეს ეკლესია ბოლოკაბასილის აშენებული ყოფილა (გვ. 84).

ავტორის განცხადებით ასეთ დასკვნამდე მიუყვანია აბუსერისძე ტბელის თხზულებას, მაგრამ, სამწუხაროდ, არავითარი საამისო ცნობა XIII საუკუნის ამ ცნობილ მწერალს არ მოეპოვება, მკვლევარი უფრო შორსაც მიდის, მისი აზრით XIII საუკუნის 30-იან წლებში ხირხათის მთაზე ეკლესიის აგების დროს ციხე ჯერ კიდევ არ არსებულა, იგი „უფრო გვიან უნდა იყოს აშენებული“ (გვ. 44). ნარკვევის დასასრულს ხირხათის ციხის აშენების საკითხი ასეა რეზიუმირებული: „Как свидетельствует Абусерядзе Тбелн в своем труде, по священном постройке этой крепости, написанном в 1233 году, Хиханская крепость была построена при нем“ (გვ. 83—84).

ჯერ ერთი, ტბელის ნაწარმოები მიძღვნილია არა ხირხათის ციხის მშენებლობისადმი, არამედ იგი, როგორც ლიტერატურულ-ჰაგიოგრაფიული თხზულება მიხნად ისახავს წმიდა გიორგის სასწაულოქმედებათა ჩვენებას და ამ ფონზეა გაშლილი. მეორეც, ტბელს არავითარი ცნობა არ მოეპოვება იმის დასამტკიცებლად, რომ თითქოს ხირხათის ციხე მის დროს იყო აშენებული. ნაგებობის არქიტექტურულ თავისებურებებს რომ თავი დაუკანებოთ, წერილობითი წყაროებიც ნათელს ხდიან ამგვარი შეხედულების უმართებულობას, ეკრძოდ „მატიანე ქართლისას“ ცნობაც შევძლებელს ზღის ხირხათის ციხის XI საუკუნის ნახევრის უკვიანესი ხანით დათარიღებას, აღნიშნულ წყაროში აბუსერ პირველი აბუსერისძე XI საუკუნის შესახებში უკვე იხსენიება, როგორც ხიხათა ციხის მფლობელი (ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიძის თეოდოსის რედაქციით, თბილისი, 1955 წ., გვ. 300). ვანა ამ ცნობის შემდეგ, სხვაე რომ არაფერი გვექონდეს, შესაძლებელია ხირხათის ციხის XIII საუკუნით დათარიღება? ერთ ადგილას ნარკვევში მისდაუჩვენებლად ავტორსაც აქვს ნათქვამი, რომ „ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა მმართველობის ხანაში X საუკუნის დამლევიდან აბუსერისძემ ცნობილი ხდება ხიხათა ციხის ერისთავებად“ (გვ. 46, ხაზი ჩვენია. ი. ს.). საინტერესოა, როგორ ათავსებს ავტორი ამ ორ ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრს; თუ აბუსერისძეები უკვე X საუკუნის დამლევიდან ცნობილი ხდება ხირხათის ციხის ერისთავებად, მაშინ როგორაა მოუვიდა მას აზრად იმის მტკიცება, რომ თითქოს იგი XIII საუკუნეში იყოს აშენებული? ფიქრობთ, ნათელია საქმის ვითარება, ახლა ისევ აღწერილობა განვავარძოთ, აღნიშნული ნაშთის შემდეგ ჩრდილოეთის კოშკთან მივდივართ. ეს ციხე-ქალაქის მესამე კოშკია, რომელიც მეორე კოშკიდან 180 მეტრით არის დაშორებული, ეს კოშკიც რამდენიმე საბრტყლიანი ოთხკუთხა ნაგებობაა, მისი დასავლეთისა და სამხრეთის კედლები შედარებით სრულად არის დაცული, ხოლო სამხრეთის კედელს ნაწილი ჩამონგრევიან, ასევე ითქმის აღმოსავლეთის კედლის შესახებაც, რომელსაც ერთი ყურეღა შერჩენია. უფრო სრულად არის . მოღწეული დასავლეთის კოშკი, რომელიც ჩრდილოეთის კოშკიდან დაშორებულია 133 მეტრით. ამ კოშკს სამი საბრტყლი ახლაც კარგად ეტყობა. მას შესასვლელი აქვს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. კარი გამოკვეთილია 2,85 მეტრის სიმაღლეზე, სადაც სპეციალური კიბის გარეშე არ აისვლებოდა. ეტყობა, ხის კიბით ფილოდენე კოშკში, ქვის კიბის კვალი აქ არსად შეინიშნება.

ხირხათის ნანგრევები ღირსია ღრმა მეცნიერული შესწავლისა. ამ საქმეს ყურადღება უნდა მიაქციონ ხელოვნებათმცოდნეობის დარგის სპეციალისტებმა.

### ოქტომბრის სასოფლო საბჭო

1. ამ სოფელს ძველად ვაშლოვანი ერქვა. თურქთა ბატონობის ხანაში იგი აღმდეგ გადაკეთდა (აღმე თურქულად ვაშლს ნიშნავს). აღმე ორ ნაწილად, ქვედა და ზედა აღმედ იყოფოდა. საბჭოთა პერიოდში აღმეს ოქტომბერი უწოდეს, ხოლო 1949 წელს სოფლის ერთ ნაწილს, კერძოდ ზედა აღმეს ძველი სახელწოდება აღუდგინეს და ვაშლოვნად იწოდება.

2. ცაღრებლის მბრძანებელი, ჭვეჭა-ჭუხილისა და ავდრის ღმერთი, ელია წინასწარმეტყველი, საქართველოში ძველად ძლიერ პოპულარული ღვთაება იყო. მისი სახელი ჩვენში არა ერთ გეოგრაფიულ სახელს შემორჩენია. ოქტომბერს გარდა ამავე სახელს ატარებს სათესი ადგილი შავაქეებში (დიდაჭარის სასოფლო საბჭო). ამავე სახელით ცნობილია ციხე ქობულეთის რაიონში და სხვ.

3. ჩაო ჩრდილის სინონიმი. ამ სოფელს (აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე) მზე მაინც აღამაინც არ უდგება და სახელიც ჩაო აქედან მიუღია.

### ხულოს სასოფლო საბჭო

1. ხულო წარმოსდგება სიტყვისაგან „ხულა“ (ასე უწოდებენ ადგილობრივი დღესაც), რაც ძველად საქონლის საწყობს სახლს აღნიშნავდა. „ხულა“ სახლი საეპროს სადები“ (საბა ორბელიანი, ლექსიკონი, გვ. 460).

ხეშო აჭარის აღმინისტრაციული ცენტრი—ხულო XIX საუკუნის 70-იან წლებში 100 კომლამდე მცხოვრებს ითვლიდა (დ. ბაქრაძე, არქ. მოგზ., გვ. 80), ომისა და მუხაჯირობის შემდეგ ეს რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა და 90-იანი წლებისათვის იგი ორმოცამდე დაეცა. (თ. სახოკია, მოგზ., გვ. 143).

სოფლის ცენტრში, იქ სადაც წინათ ქრისტიანული ეკლესია იყო აშენებული, XIX საუკუნის შეახანებაში ჭამე აუგიათ. ჭამესგან მოშორებით რამდენიმე ხის დუქანი იყო, ხოლო წინ — წყლის აუზი, რომლის ცოტა იქით შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის სახლი იდგა. ყველა ეს ერთად ადებული შეადგენდა ხულოს ავღლიდებს XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

2. თამარ მეფე ახისხას (ახალციხე) ბრძანებულებით, როდესაც ბერძენთა ხელშეწყობის ქარები შემოსეოდა. ბერძენთა მბრძანებელს მისი შერთვა სდომოდა ცოლად, მაგრამ გვირგვინისანი თანამემამულე ვაჟკაცზე ყოფილიყო გამიჯნურებული და ამიტომ უარი შეეთვალა ბიზანტიის მპყრობელისათვის. განარისხებული ხელმწიფე დიდძალი ქარით საქართველოს საქეთ-მპყრობელი ჭალს მისატაცებლად წამოსულიყო და ახისხას მდგარ დედოფალს დასცემოდა ქურდულად. თავისი მტერობისთვის, მაგრამ მედგარი ქარის წყალობით თამარი ხელიდან გასხტომოდა მდედარს და აჭარას შემოხიზნულა. ახისხადან ღვთაებულ გვირგვინისანს ხულოს მახლობლად, სოფელ დიაკონიძეებში შემოლამებოდა. დედოფალს აქ ძლიერ მოსწონებია ბევრშვილების სერა და მასზე სახელდახელოდ ციხის აგება უბრძანებია. ქარიც ენერგიულად შედგომია დანახაქმის ასრულებას, უჩხოვ წყლიდან სერამდე გამწკრივებულა და ხელიდან ხელში ჭებებს გადაცემის წესით აუხიდავს იქ საქირო მასალა და სულ მოკლე ხანში აუშენებია დედოფლის სადგომი ციხე-სიმაგრე. თუმცა აქ ყოფნა თამარს დიდხანს არ დასცლია, უცხო ხელმწიფის ქარების მოძალების გამო დილით თამარი იძულებული იყო გასცლოდა ბევრშვილების ციხეს და სხალთის ხეობით ხირხათისაკენ წასულიყო, სადაც მიუვალს შიამზე დიდს უკანწყვეტით აუგია ციხე-ქალაქი. მდედარ ხელმწიფეს ბევრი ელონა, მაგრამ ხირხათი ვერ აეღო და მიზანგატარებული თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო. ასე მოგვიტხრობს თქმულება.

ბევრშვილები დიაკონიძეებში (ხულოს სასოფლო საბჭო) შემავალი ბატარა სოფელია, რომელიც რაიონული ცენტრიდან ოთხიოდე კილომეტრითაა დაშორებული. სოფლის თავში, დუქაუების საზღვარზე არსებულ კლდოვან-ნაპრალოვან სერაზე, რომელსაც ადგილობრივი მისახლეობა დღეს ციხიყელას უწოდებს, მოღწეულია ციხე-სიმაგრის საყურადღებო ნაშთი. ტრადიციული დათარილება სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს, ისე როგორც მოტანილი თქმულება. ციხე-სიმაგრე ამ სტრატეგიულ ადგილას გაცილებით უფრო ადრეული ხანიდან არის საგულისხმებელი, ვიდრე ეს განეთარებული ფეოდალიზმის ზენიტია. ეს ციხე კეტავ-



და აჰარისწყლის ხეობის მთავარ მაგისტრალს და უზრუნველყოფდა, აგრეთვე, ციხისთავროში შემავალი სოფლების — დიაკონიძეების, ზეგოშვილების, დუაძეების, ოქრუაშვილების, გუდასაბოს, უჩხოს, კურცხლებისა და სხვათა უმისრობებს.

გალაწინით მოზღვდული ადგილის უდიდესი სიგანე ექვსიოდე მეტრს აღწევს, სიგრძე კი ოცდახუთიოდე მეტრს. შედარებით მაღალი კედლებით (ხუთ მეტრამდე) არის შემოიხარული ნაყოფიერი (ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში) და ფრიად დაზიანებული ჩრდილო-დასავლეთის ზღვდე-კედელი (4,4 — 5 მეტრი სიმაღლის), ციხე-გალაწინი რიყის ქვით არის ნაგები, შესამტკიცებელ შასალად კირია გამოყენებული. ეტყობა, სპეციალური საზიადართ (ჭორ-კარაული) უზიდავთ ეს ლოდები უჩხოს წყლიდან, თორემ ლეგენდაში აღწერილი ზერხით ყოვლად მწელი დასაწერებელია მდინარიდან ვეებერთელა ქვების ატანა.

ციხის მადამოგებს ხშირი ბუნქნარი დაუფლებია, ხოლო წყლის აუზი, ზარო-სადილეგო, ხორბალ-საყავი, იარაღ-საყავი და სხვა სათავსოები ეამთა სიბოლოს წარუხოცია. ვადმოცემით, ციხე უჩხოს წყლით საზრდოობდა, სადაც თითქოს სპეციალური გვირაბით ჩადიოდნენ, რაც საამისოდ აუტყლებელი მოწმობის ყოველგვარი ნაშთის არ არსებობისა და სიშორე-სიძნელის პირობებში საეჭვო ჩანს. ციხიყელას სიახლოვეს (სამხრეთით), სოფელ ზეგოშვილებში ჩამომდინარე რუ გვაფიქრებინებს, რომ ციხე სამხრეთ-დასავლეთიდან მიმდინარე წყლით მარავდებოდა. ადგილობრივი შემოწმება გარკვეულ საფუძველს უქმნის ამ ვარაუდს.

8. დარანს აჰარაში საზიზნარ ზერელს უწოდებენ. იგი არის თურქთა ძველი სისხლიანი თარგმის უტყუარი მოწმე. ასეთი ზერელები ყველგან გვხვდება აჰარასა და საერთოდ მიტაცებულ სამხრეთი საქართველოს ოქტებში, განსაკუთრებით ხშირია იგი მესხეთ-ჭავჭავთოში. მესხეთის მკვიდრი და მკვლევარი „ვიწმე მესხი“ ი. გვარამიაძე სტატიაში „რა არის დარანი?“, წერდა: „სოფელ-დაბებში და ნაოხარ ძველის-ძველ ნასოფლარ ადგილებს სახლებს ქვეშ ღრმად გაყვანილი ზერელებია, ამოყვანილი დიდრიანი ბალავარ-ლოდებით და ზეითვან დაბურვილი დიდრიანის ფიქლებითა, აქეთ-იქით შერობლისას მისასვლელად, ან შორს სადმე სიმაგრეში, ციხე-კოშკებზე ასასვლელად, ან ქვაბებში და ან ტყე-ღრეში დასამალავად მეტრძოდ მტრების შემოსევის დროს. აი ეს არის დარანი“ (ეურნ. „მოგზაური“, № 1, 1901 წ.).

თურქ ბარბაროსთა შემოსევებით გაწამებული მოსახლეობა თავის გადასარჩენად დარანს ზეუელებს მიმართავდა, მაგრამ დადარანება ყოველთვის როდი შველოდა საქმეს, მტერი ხშირად ახერხებდა ზერელის მიგნებას და მუსრს ავლებდა შივ შვიხნულ მოსახლეობას. (ილ. მასიტრაძე, დარანის ხეულებში, ვაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1946 წ., 7 სექტემბერი).

### დიდაჰარის სასოფლო საბუკო

1. „ბუღაური სვეტის თავი“ (საბა ორბელიანი, ლექსიკონი, გვ. 48). დერვალ დანიაშვილის განმარტებით ბუღაური „სვეტის თავზე მოთავსებული კედელია. სვეტის მსგავსი მოყვანილობისა, მაგრამ ვანიერი“. (იტრ. ივ. ჭავჭავაძე, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, წ. I, გვ. 97). ბუღაური უმთავრესად ხის ნაგებობაში ყოფილა გამოყენებული. აქად. ივ. ჭავჭავაძის სიტყვით „ბუღაურს შემდეგ მნიშვნელობა ეცვლება და ბუღაურად თითქოს თვით ის ჩუქურთმა და სახეები იწოდება, რომლებიც გამოყვანილია ხოლმე სვეტის თავის ზედა ნაწილზე... მაგრამ თავდაპირველად მას სხვანაირი მნიშვნელობა ჰქონდა; იგი „ბაბაის“ ქართული შესატყვისია“. (იქვე).

### ღორჯომის სასოფლო საბუკო

1. ხალხური ეტიმოლოგია ამ სახელწოდებას „ღორჯოგის“ ვაგებას აძლევს. წინათ, ქრისტიანობის დროს, აქ ბევრი ღორი ჰყოლიათ და სოფელსაც ამის გამო ეწოდა ღორჯომი. (თ. სახოკია, მრგზ., გვ. 135). ღორისაგან აჰარაში მრავალი გეოგრაფიული სახელია ნაწარმოები, მაგრამ ღორჯომი რომ ღორჯოგისაგან იყოს წარმომდგარი, საეჭვოა. ღორჯომი კომპოზიტური წარმოების სახელი კი არ არის, როგორც ამას ხალხური ასსნა მიიჩნევს, და მის მეორე ნაწილში „ჯოგი“ კი არ გამოიყოფა, არამედ „ომ“ სუფიქსით ნაწარმოებ ისეთ ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა რიცხეს მიეკუთვნება, როგორიცაა, ბორჯ-ომი, ბათ-ომი და სხვ.





2. აღიშნა სახელია კაცისა, რომელიც ოდესღაც ამ ადგილას გადმოსულ ზეაფს უმსხვერპლია და კაპანსაც ამის გამო აღიშნას სახელი შერჩენია.

3. ბურჰანა კაცის სახელია, ბურჰანასველა ანუ ბურჰანასოული.

4. ვანაძეების ნასაყდრალმა გასული საუკუნის 80-იან წლებში მიიქცია მკვლევართა ყურადღება, როდესაც აქ აღმოჩენილი წმ. გიორგის სპილენძის ხატი წარდგინეს უვაროვას, რომელიც 1888 წელს არქეოლოგიურ მოგზაურობას აწარმოებდა აჭარაში. უვაროვა ძლიერ დაინტერესდა ამ ძეგლით, ინახულა, აღწერა და გათხარა კიდევ.

უვაროვას აღწერილობით აღნიშნული ნაეკლესიარია ...Представляет вид продолговатого четвероугольника с закруглением углов с восточной стороны. Алтарная часть по компасу дала некоторое уклонение, что могло произойти от времени года, когда строилась церковь. Стены церкви сохранились на всем протяжении вышиной в три аршина; над всей постройкой высятся боковые алтарные стены, между тем как алтарный полукруг с окном вовсе не существует» (П. С. Уварова, Абхазия, Аджария, Шавшети, Покховский участок путевые записки, т. II, М.; 1891 г., стр. 224).

უვაროვას გათხრებს ვანაძეებში წარმატება ხედა, ბევრი საყურადღებო ნაშთი აღმოჩნდა (იქვე, გვ. 226-228). გათხრის დამთავრების შემდეგ მან გააჩნია მასალები, დანაშრია ისინი და გაგზავნა ბათუმს, საიდანაც რუსეთს წაიღეს. და განა მხოლოდ ამ ნასაყდრალის ძეგლები წაიღო საქართველოდან უვაროვამ? მრავალი სხვა ძეგრფასი და უნიკალური ძეგლი გაზოდა მან გურიიდან, აფხაზეთიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან. „სამწუხაროა, რომ ჩვენს ქვეყნიდან ეზივებიან ჩვენს ეროვნულს საუნჯესა, — წერდა გულისტკივილით თ. სახოკია 1896 წელს, — ვინ იცის სად მიაქვთ, საბოლოოდ გვწირავენ, და ჩვენს შორის კი არაფერს გამოჩნდა ისეთი, რომ ამჟამე ნივთებისათვის თავი ერთად მოუყარა და შთამომავლობისათვის უკლებლივ გადაეცა, მაგრამ სადაა ასეთი მადლიანი! სანამ ჩვენ გონს მოვიკრეფდეთ და საქმეს შევუდგებოდეთ, ხელიდან გამოგვაცლიან ყველაფერს“ (მოგზ., გვ. 138).

ასე იქნა წარტაცებული და საღდად გადაკარგული საქართველოს მრავალი შესანიშნავი ძეგლი, რომელიც ნათელს მოჰქენდა ჩვენი ქვეყნის წარსულის არა ერთ ბუნდოვან საკითხს და დაამწვინებდა აგრეთვე ჩვენს მუზეუმებს.

ეს ტაძარი არქეოლოგები ძველ ქართულ სიძველეებსაც ისეთი ხარბი თვალებით უცქერდნენ, როგორც თვით კოლონიურ საქართველოს. ნაღმებით შეიარაღებული არქეოლოგები ძეგრფასი ძეგლის მტრევე-ნგრევასაც არ დაგიდევდნენ თუკი აქ რაიმე საინტერესოს კი იპოვიდნენ. ასე მაგალითად, როდესაც მათ ვერ შეძლეს ამოტრის საფლავის ქვის ამოღება (ტბეთის ეკლესიაში), მაშინ, უბრძანეს ოსტატებს ნაღმით დაემტკვრიათ იგი, მაგრამ მათდა საოცრად მარმარალოს ეს დიდებული ქვა ისე მტკიცე აღმოჩნდა, რომ ევლარაფერი დააყდეს (თ. სახოკია, მოგზ., გვ. 139).

მიუხედავად იმისა, რომ ვანაძეების ნასაყდრალი გათხარა და აღიწერა, მისი აშენების დროის შესახებ მაინც არაფერი ვიცით.

თავის მასალებზე დაყრდნობით უვაროვას უდავოდ ექნებოდა შესაძლებლობა გარკვეული მოსახრება გამოეთქვა ამ საკითხზე, მაგრამ მას ამ ძეგლის დათარიღებისათვის თავი არ აუტკივებია. დღეს არაფერს უწყის სად ინახება ვანაძეების ეკლესიიდან წაღებული ნაშთები, რომ თანამედროვე მკვლევარს საშუალება ექნეს გაეცნოს მას და სცადოს ამ ეკლესიის დათარიღება. ხ. ახვლედიანი თუმცა ამბობს, რომ „ადგილობრივი გლეხობის რწმენით, აღნიშნული „ქილისა“ თამარ მეფის მიერ არის აგებული“ (ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, გვ. 146), მაგრამ ამას არაფერი ფასი აქვს ამ ეკლესიის აშენების დროის განსაზღვრისათვის, რადგან ხალხი ყოველ ძველ ქართულ ძეგლს თამარის აშენებულად აცხადებს. არც იმის მტკიცება არის მართალი, რომ თითქოს ეს ძეგლი იყოს ერთი „საგვარეულო ეკლესია ციხე-კოშკით“ (იქვე). არაერთი ციხე-კოშკის ნაშთი აქ არ აღინიშნება, იგი მხოლოდ და მხოლოდ ნასაყდრალია.

5. კუშტურში სიძველეთმცოდნეობის ყურადღებას იპყრობს ძველი ნასახლარები და საინტერესო მალარა-გამოქვამული.. ამ მალარას ხალხი ჯახ-ფერთა სხებურად მიიჩნევს და კაც-შეუვლად თვლის. ზოგიერთი მკვლევარი, რომელსაც ეს გამოქვამული უნახავს, მას პირველყოფილი ადამიანის ბელონურ სადგომად მიიჩნევს, ზოგის აზრით კი „ეს „მალარა“ არის მიწის ქვეშა სიყალიბურ, წარმოშობილი ეულკანური კედლის გადმონაგრებისაგან და ვაკეში ჩაწოლის შედეგად“ (ხ. ახვლედიანი, დსახ. ნაშრ., გვ. 159).

აგარის სასოფლო საბჭო

1. ჭყართანის ბორცვზე მოღწეულია ძველი ნაგებობის ნაშთი, რომლის შესახებ ხ. ახვლედიანი წერს: „სოფ. საციხურის თავზე არის ეკლესიის მსგავსი შენობის ნანგრევები, შენობა მორკმო და ოდნავ ოვალური, მარცხნივ და მარჯვნივ ჰქონია განჩინები. მიემზგავსება ეკლესიას“ (ხ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 146). შეიძლება უფრო გაბედულადაც ითქვას: ეს ნაშთი არა თუ მიემზგავსება, არამედ ნამდვილი ნაეკლესიარია. ვარდა მოღწეულ ნაშთზე დაკვირვებისა ამას ადასტურებს თვით ბორცვის სახელწოდება „ჭყართანი“.

2. ამ სერზე წინათ საყდარი მდგარა (მოღწეულია ნაშთიც) და ამიტომ უწოდებენ ასე.

დიოკნისის სასოფლო საბჭო

1. დიოკნისი მეორე ნაწილდაკარგული კომპოზიტური წარმოების სახელია, რომლის პირველ ნაწილში დიოკონი გამოიყოფა. „დიოკონი — მღლის მოსამსახურე“ (საბა, ლექსიკონი, გვ. 98).

2. ამ სახელწოდების პირველი სიტყვა „იგრი“ თურქულია და ნიშნავს მრუდეს, ხოლო მეორე — ქართული ვაყ. იგრივაც, ანუ მრუდე ვაყე. ასეთი თურქულ-ქართული კომპოზიტები ხშირია აქარის ტოპონიმიაში.

3. სახელწოდება ტაბახმელას პირველი ნაწილი ტბა, იგივე ქართული ტბაა. ტბა ქართულურ ენათა ძირეული სიტყვა ჩანს და მას არავითარი საერთო არა აქვს „თურქულ“ ტაფასთან, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობდა.

სიტყვა ტბა ქანურში იხმარება ვარიანტული ტობა-ა და ტიბა-ას სახით, მეგრულში — ტობა-ა და ტობა-ოს, ქართულში ტბა და ტაბა-ას, ხოლო სვანურში ტუბა-ას ფორმით.

აყად. არნ. ჩიქობავას გამოკვლევით ქანურში ამოსავალია ტობა; ხოფური ტბა ამ ტობა-სავანაა წარმომდგარი. მეგრული ტობა იმეორებს ქანურს. ეს ტობა ქართული ტაბა-ას კანონზომიერი შესატყვისია; ტაბა კი, რომელიც საფუძვლად უდევს ტბა-ს, შემონახულია გეოგრაფიულ სახელში ტაბა-ხმელა. (არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938 წ., გვ. 84).

ამავე ცნობილი ქართველი ენათმეცნიერისვე აზრით ტაბა-ას ბოლოკიდური ა იმგვარადვე ღირებულების სუფიქსი ჩანს, როგორც მბ-აში გვაქვს; ამ ბოლოკიდურ ა-ს მუშევრობით უნდა დაკარგულიყო ტაბა-აში ფუძისეული ა და ამ გზით მიგველო ტბა. ტაბა-ხმელაში კი ეს ა დღემდე შემოგვრჩა (იქვე). თუ რატომ მოხდა ასე, საკითხი ჭერჭერობით გაურკვეველია. სვანური ტუბი-ი ამავე ფუძის ზანური ვარიანტია (იქვე).

მნიშვნელობის მიხედვით ქანურში ამ სიტყვას სამი რაიმეს ვაღმოცემა უხდება. ეს არის: ტბა, ვუბურა და ღრმა, მეგრულში კი, ორისა: „ტბა“ და „ღრმა“. რაც შეეხება ქართულს, იქ იგი მხოლოდ „ტბას“-ს აღნიშნავს. ასევე უნდა ყოფილიყო ადრე ზანურშიც, რადგან, როგორც სამართლიანად შენიშნავს არნ. ჩიქობავა, თვისებების აღნიშვნას („ღრმა“) საგნის აღნიშვნა („ტბა“) უსწრებს წინ და ეს უკანასკნელი დაედო საფუძვლად ფუძეში ტბა — ტობა-ას (იქვე, გვ. 185).

ახლა ამ სახელწოდების მეორე ნაწილის შესახებ.

სიტყვა ხმელა, იგივე ხმელი, რაც ამ სახელწოდებაშია დაცული, ტბის უწყლობაზე მიუთითებს, ისე როგორც ხეზე დართული ეს სიტყვა, ხეხმელობას, მის უწყლობაზე აღნიშნავს. ტაბახმელა იგივეა, რაც უწყლო და მშრალი ტბა. ამ ვარაუბებსა ყურადღება მივაქცია აყადნ. ბერძენიშვილმა, რომლის სიტყვით: „თითქო ისე ჩანს, რომ „ტაბა“ შეიძლებადა ყოფილიყო, ხ მ ე ლ ი, ე. ი. უწყლო (ისევე როგორც ხ ე ე ხ მ ე ლ ი აწინდელი ხოვლეს მიდამოში). მაშ „ტაბა“ შეიძლებადა ყოფილიყო წყლიანიც და უწყლოც (ე. ი. ხმელი). გამოდის, რომ ტაბა არის გეოგრაფიული აღგების ვარკვეული ფორმა (მაგონდება აყად. აღ. ჭანელიძის პოპულარული წერილი ზღვების წარმოშობის შესახებ), და თუ ეს ასეა, რა კავშირშია ეს სიტყვა „თურქულ“ ტაფასთან? (ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიაიდან, მიომხიხილელი,

11, თბილისი, 1951 წ., გვ. 38). გარდა აჭარისა ტაბახმელა ისტორიული სოფელია თბილისის მახლობლად. როგორც ცნობილია ამ სოფლის ხშირი სტუმარი იყო ფეოდალური საქართველოს სახელოვანი ქალი გვირგვინოსანი თამარ მეფე, ტაბახმელას შვა მან თავისი ძე ლაშა გიორგი და აქვე ვარდიცყალა თამარი. ასეთივე სახელი, მაგრამ ახალი ფორმით („ახმელტა“) ჩვენ გვხვდება გოდერძის მიდამოებშიც.

ტბა მრავალ გეოგრაფიულ სახელს დადებია საფუძვლად საქართველოში. ასე მაგ., ტბეთა, ტბა, ტბანიერი, ტბისყური, ტბეთი, ტბახჩა, სხაღტბა და სხვ.

### რიყეთის სასოფლო საბჭო

1. რიყეთი ეთ სუფიქსით ნაწარმოები სახელია სიტყვისაგან რიყე „რიყე არს ქაქვიშა წყლის კიდურისა“ (საბა, ლექსიკონი, გვ. 367).
2. ზინი — ჰინკა, ეშმაკი.

### გოდერძის უღელტეხილი

1. აჭარის მაღალმთიანი ზონის ცნობილი კურორტი ბეშუმში გოდერძის უღელტეხილიდან შეიღი კილომეტრითაა დაშორებული. რეკონსტრუქციამდე ბეშუმში მხოლოდ საზღვსულო საძირკის წარმოადგენდა. საბჭოთა პერიოდში კი, ბეშუმში კურორტად იქცა. 1934 წლიდან ბეშუმში არსებობს პიონერთა ბანაკი, ხოლო 1947 წლიდან კეთილმოწყობილი სანატორიუმში მუშაობს.

ბეშუმში, რომელიც ზღვის დონედან 1.839 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, თავისი მშრალი ჰავით, ხშირი წიწვიანი ტყეებით, ზომიერი ტემპერატურითა და ულტრაიისფერი სხივების სიუხვით საუკეთესო კურორტად ითვლება. მისი ჰავა დადებით გავლენას ახდენს მშრალი პლევრიტით, ქრონიკული ბრონქიტით, ბრონქიალური ასთმით, ქრონიკული მაღარითა და ზოგიერთ სხვა ავადმყოფობით დაავადებულებზე.

2. ქედელეთის ტყეში ყურადღებას იპყრობს ძველი ნამოსახლარი, რომელსაც ხალხი ნაქალაქებს უწოდებს. ვ. ვ. ჰანტურბას აღწერილობით „ქედელეთის ნამოსახლარში დღემდე დაცულია ორი უბანი. ერთ უბანში აღმოჩნდა 24 შენობა, ხოლო მეორეში 29, სულ 53 შენობა. შენობები აგებულია ორიგინალური, რთული არქიტექტურით. შედარებით კარგად შენახულ შენობებში, აღმოსავლეთის მხარეზე, მიიმართება 3 მეტრის სიგრძის ქვის დერეფნები, რომელნიც დღეს გვირბებს მოგვაგონებს. ყოველი დერეფანი მთავრდება მრგვალი ოთახით. მრგვალი ოთახიდან გადის სამი კარი, რომლითაც ის უკავშირდება სამ ოთხუთხედ ოთახს, განლაგებულს მრგვალი ოთახის გარშემო. ამ ოთახების სახურავები ნაწილობრივ დაცულია...

ქედელეთის ნამოსახლარის მიდამოებში აღმოჩნდა 2 ქვის ჭვარი, რომელთა თავზე და მკლავებზე ჩუქურთმით გამოხატულია მზის დისკო.

აქვე ვიპოვეთ ორი კარგად დაცული და ერთი დაშლილი საცხოვრებელი ტიპის დრუმენი“ (ვ. ვ. ჰანტურბა, გოდერძის მიდამოებში ერთი, დღემდე უცნობი „ნაქალაქედა“ წოდებული, განსაკუთრებული ნამოსახლარის შესახებ, „საქ. სსრ კედაგოგოური ინსტიტუტების სტუდენტთა VI სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, ქუთაისი, 1954 წ., გვ. 48-49).

რაც შეეხება ამ ძეგლის დათარიღების საკითხს, სამეცნიერო ლიტერატურაში მის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ისტ. მეცნ. კანდ. გ. ლომთათიძე ქედელეთის ნამოსახლარს X-XII საუკუნეებს მიაკუთვნებს (იქვე, გვ. 49), ხოლო დოც. ვ. დ. ჰანტურბა წინაქრისტიანული ხანის ნაშთად თვლის (ვ. ჰანტურბა, განათლება აჭარაში, ბათუმი, 1956 წ., გვ. 8, რუსულ ენაზე).

ამ საკითხს საბოლოოდ გადაწყვეტს ქედელეთის მეცნიერულ-არქეოლოგიური შესწავლა.

### ქვემო მუშახელი

#### აქარისადმართის სასოფლო საბჭო

1. ამ კომპოზიტი „სკურ“ ფუძე სიტყვაა, ხოლო „ადილი“ მსახურელია, რომელიც ხშირად ერთის ხოლმე გეოგრაფიულ სახელეს. როგორც მაგალითად, ჰალადილი, მარადილი და სხვ. რას ნიშნავს „სკური“? საშუალოდ არც საბასა და არც სხვა ჩვენს ხელნაწილში ლექსიკონში ამ სიტყვის განმარტება არ იმოყვება. არც პ. ინგოროყვა, რომელიც ეწევა „სკურ“-ისაგან ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელეს, ამბობს რაიმეს ამის შესახებ (გერგი მერჩულე, გვ. 171). „სკურ“ ძირისაგან მრავალი გეოგრაფიული სახელია ნაწარმოები საქართველოში. ასეთია მაგ., სკური (სოფლის, ციხის და მდინარის სახელი წალენჯიხის რაიონში), სკურია (სოფელი ხობის რაიონში), სკურდი (სოფლები გვეჯკორისა და ცხაკიას რაიონებში) სკური (ღვლები სოფ. ჩელტასა და აგარაში, ბათუმის რაიონი) სინასკურა (ღვლე სოფ. ბობოყვათში, ქობულეთის რაიონი) და სხვ. სკური უმთავრესად მდინარეთა სახელებში გვხვდება. ეს გარემოება გვაფიქრებინებს ამ სიტყვის კავშირს წყალთან, ხევა-ღვლესთან. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ჩანს ვერიაში შემონახული ტერმინი — „სკურიეთი“. ასე იწოდება ღრმა ხევი, უფსკრული.

#### 2. ამბობენ „ცხემალასაც“.

ცხემლარა ცნობილია თავისი შესანიშნავი თალიანი ხაღით. ეს ხეობა ასეთი ხიდეებით განსაკუთრებით მდიდარი მხარეა. მართა ქვემო მაჭახელში ოთხამდე თალიანი ხიდი აღწუნსხეთ, ბევრი ყოფილა ზემო მაჭახელშიც.

3. სახელწოდებაში ბაღუ-ყუ-ეთი გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი ორი სუფიქსი — ყუა და ეთ — გამოიყოფა. „ეთ“ ცნობილი ქართული ფორმანტია, რომელზედაც არ შეეჩერდებით, მეგრამ ასე არ ითქმის ამ უკანასკნელ დროს ჩვენში დავისა და ცილობის საგნად ქცეულ „ყუას“-ს შესახებ. საღური ფორმანტია „ყუა“ და რას ნიშნავს იგი? გეოგრაფიულ სახელთა ყუა ბოლოკიდურს საქართველოს ტოპონიმიაში პირველად ყურადღება მიაქცია და მისი წარმომავლობის შესახებ აზრი გამოთქვა აკად. ს. ჯანაშიამ. ს. ჯანაშიას მტკიცებით „ყუა“... უდავოდ ჩერქეზული სიტყვაა, „ადილე“-ს, „ხევი“-ს, „ხეობა“-ს მნიშვნელობით, დამახასიათებელი ყაბარდოელი ენაკავისათვის, და ტოპონიმოცური მაწარმოებელი ელემენტი უპირატესად სწორედ ყაბარდოელების ტერიტორიაზე“ (ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადილეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიაში, გვ. 626). ამჟამად მოსაზრებას იცავს და ავითარებს პროფ. ქ. ლომთათიძეც. ახლანდ დაბეჭდილ წერილში „აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ“ ქ. ლომთათიძე ეკამათება რა პ. ინგოროყვას „ფსკ“-ს წარმომავლობის საკითხზე, დასძენს: „ამ აშკარად ჩერქეზული (ადილეური) სიტყვის (ფსკ. ი. ს.) დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი გავრცელება არ შეიძლებოდა ყოფილიყო შემთხვევითი. მართლაც, ს. ჯანაშიამ იმავე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურა სხვა ჩერქეზული წარმომავლობის ელემენტებიც ტოპონიმიაში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჩერქეზულიყუა-ყუა... რომელიც ცალკეც გვხვდება და მეტად გავრცელებულია ხევის, ღვლის, ხეობის გამოსახატავად გეოგრაფიულ სახელებში ჩერქეზეთში (ადილეში)“ („მნათობი“, № 12, 1956 წ., გვ. 135-136).

ყუას ჩერქეზულიდან მომდინარეობის აზრს არ იზიარებს აკად. გ. ახვლედიანი, რომელიც პ. ინგოროყვას გერგი მერჩულეს გამო დაბეჭდილ წერილში „აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმის ზოგიერთი საკითხისათვის“, წერს: „ყუა-ს პირვანდლურ სახელ უნდა ეყარაუდღოთ — ყუა (ან მსგავსი რამ), რომელიც საერთო უნდა ყოფილიყო ქართველურისა და ადილეური ენებისათვის. თუ რა ცვლილება განიცადა ამ ფუძემ ქართველურ ენათა ნიადაგზე, ამ ენათა ურთიერთ დამორების კვალობაზე, ამას ერთგვარად გვიჩვენებს ვა-ზე დაბოლოებული მეგრული გვარები (გოგავა, ფლავეა...); ვა-ს წინ დაკარგულად უნდა მივიჩნიოთ ლარინგალური ხშული (e), რასაც მოწმობს, მაგ., გუდაყუა — გუდავა-ს (როგორც ტოპონიმოცურისა, ისე გვარის სახელის) არსებობა. ამიტომ ქართველურ ენებში გეოგრაფიულ სახელთა და გვარების

— უვა დაბოლოება უნდა ჩაითვალოს გადმონაშთად და არა ჩერქეზულის ნაკვალევად საქართველოს ტერიტორიაზე. („მნათობი“, № 2, 1957 წ., გვ. 114. ხაზი ჩვენია — ი. ს.)

გ. ახელედინი ცდილობს დაგვარწმუნოს იმაში, რომ „უვა“ საერთოა ადიღეურისა და ზანურისათვის, და რომ იგი გადმონაშთია და არა ჩერქეზულის ნაკვალევი, მაგრამ ეს აზრი მინც არ ჩანს სარწმუნო, და პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ეს ელემენტი, ისე, როგორც „ფსა“, დღემდე ცოცხალი და უაღრესად გავრცელებულია ადიღე-ჩერქეზეთის ადგილთა სახელებსა და ენაში. და შემდეგ, მათი გამოყენება ჩვენს ტოპონიმიკაში, როგორც მართებულად აღნიშნავს პროფ. ქ. ლომთათიძე, „ჩერქეზელი ენისათვის დამახასიათებელი წესით არის წარმოდგენილი“ (იქვე, გვ. 137). და ბოლოს, რაც დიდი მნიშვნელობისაა აგრეთვე, ესაა ანტიკურ ავტორთა ცნობები კოლხეთის ეთნიკური შედგენილობის უაღრესი სიკრესის შესახებ. ეს ვარაუბები და ზოგიერთი სხვა, უძველესად საგულებელს ხდის უძველეს დროში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილო-აქვასიურ ტომთა ცალკეული ჯგუფების არსებობას. ეს მოვლენა აისახა სწორედ ტოპონიმიკაში. (დაწერილებით ამაზე მეორე წიგნში ვისაუბრებთ).

4. დაეთეთის ნაციხარი, რომელსაც სოფლის სახელწოდების გამო ჩხუტუნეთის ციხეს უწოდებენ, მდებარეობს მდ. მაქახლის მარცხენა ნაპირას. იგი ჰეცტავდა მაქახლის ხეობაში გაშავალ იმ დიდი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობის გზას, რომელიც ზღვისპირეთს შეეშეთთან, არტანუჯთან და სამხრეთ საქართველოს სხვა ოლქებთან აკავშირებდა.

ამ ციხის საშეღებით მაქახლის მამაი ქართველობა დიდხანს იგერიებდა თურქ დამპყრობლებს. ამ ბრძოლაში განიცადა მან მნიშვნელოვანი დაზიანებაც. როგორც ცნობილია, თურქები ანგრევდნენ და ცეცხლს აძლევდნენ ყოველივე იმას, რაც მიტაცებული მხარის ქართველობას შეეჭო დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოეყენებინა. უმთავრესად ამით აიხსნება, რომ ეს ციხე ჩვენამდე ძლიერ დაზიანებული სახით არის მოღწეული. მის დანგრევაში ჩიქუნეთლებსაც მიუღიათ მონაწილეობა. საქმე შემდეგში ყოფილა: თურქთა ბატონობის ხანაში ჩხუტუნეთის ნაციხარზე სინდიეთელ ბეგებს ყუდე (სასახლე) წამოუდგამთ. გასული საუკუნის მეორე ნახევარში აქ მჭადრა ბეგი სერდალოლი, რომელიც უაღრესად ჩაგრავდა მახლობელი სოფლების მცხოვრებთ. საქმარისი იყო საბუდარზე ჭათამს დაეკაცანა, რომ ცოტა ხნის შემდეგ კვერცხის წასაღებად სერდალოლის კაცი მოგდგომოდათ კარსო — გადმოგვემს ჩიქუნეთის მკვიდრი ასი წლის მოხუცი ჰაფიზ საღვარაძე. ამ ბეგის სიყვარულზე ბევრი გადმოცემა შემონახული მაქახლის ხეობაში. მათ შესახებ დაწერილებით სხვა ადგილას ვისაუბრებთ, აქ კი დაესქენთ მხოლოდ, რომ ტანჯვა-წამებით გამოპოტებულ ხალხს იგი „ფეხის ტყლაპად“ გაუხდია.

„ელესა ჩიქუნარებო“ — დასძახებდა ერთი ჩიქუნარი, „ელესა, ელესაო“ — შესძახებდნენ სხვები და ასე ანგრევდნენ თურქმე სერდალოლის სასახლეს, რომელთან ერთად ინგრეოდა და ნადგურდებოდა ციხის ნაშთიც.

ამ გადმოცემაში დაუჯერებელი არაფერია.

ჩხუტუნეთის ნაციხარის სიამაყესა და მთელ მის ავლადიდებას დღეს წარმოადგენს მისი დიდებული გვირაბი, რომელიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. ეს ნაგებობა ციხეს აკავშირებდა კოსტანეთის ლელესთან, საიდანაც მეციხოვნეებს წყალი ამოჰქონდათ. გარდა ამისა, საჭირო შემთხვევაში იგი სახიზნოდაც იქნებოდა გამოყენებული.

მნიშვნელოვანი დაზიანების გარეშე არც ეს საყურადღებო ძეგლი მოღწეულა დღემდე. იგი ციხის დასავლეთით გამოსული ზეაგის მსხვერპლი გამხდარა და ხევში ჩაქცეულა.

5. მაჭახლის ხეობის სახლვარგარეთულ ნაწილში, ანუ ზემო მაჭახელში შემდეგი სახეობები: ხერთვისი (უბნები: თევითი და ყულე), მინდეთი (უბნები: ირემეთი და აკრია), ქვაბითაი, ევფრათი (უბნები: ჩუგარეთი, დამირათი, ურწყული, ტრდაელი, სათელა, კანქალე) და ზედაეკე (უბნები: გოხინაი და ჭაფარეთი).

## ნ ი ბ ა ლ ი

### აქარისწყლის სასოფლო საბჭო

1. კოროხი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედამდინარეა. „...აწ ეიწყებთ კლარჯეთს. — ამბობს ვახუშტი, — და ამ ქვეყანასა შინა უდიდესი მდინარე არს კოროხი, რომელი გამოდის ირიჭლეს მთასა... და მიერთვის ბათომს ქვეით შავს ზღვას“ (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 133).

ეს მდინარე განსაკუთრებული მრავალსახელიანობით ხასიათდება; სხვადასხვა წყაროებში იგი ცნობილია პარპასოსის, აფსარის, ფაზისის, ბოასის, ვოპ||დომის, კაკამარის, აკამფსის, სპერის მდინარის და სხვა სახელებით.

განვიხილოთ თვითველი მთგანი. დაეწყოთ ამ უკანასკნელით.

ძველი ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი, როდესაც ალექსანდრე მაკედონელს ლაშქრობას აგვიწერს საქართველოში (აქ აღარაფერს ვიტყვით იმაზე იყო თუ არა ნამდვილად მაკედონელი ჩვენში), იმ ციხე-ქალაქებს შორის, რომელიც ამ დამპყრობელმა „ბოენა“ სამხრეთ-საქართველოში, ასახელებს თუხარისს „მდინარეა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვიან კოროხი“ (ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბილისი, 1955 წ., გვ. 17. ხაზი ჩვენია — ი. ს.).

სპერის მდინარე კოროხს ამ ძველი ქართული თემის ტერიტორიაზე მომდინარეობის გამო ეწოდებოდა. როგორც ცნობილია, კოროხის ზემო ღინების უდიდესი ნაწილი სწორედ სპერზე მოდის.

ვახუშტი ისპირის (resp. სპერის) მდინარეს კოროხის შემდინარედ თვლიდა. „ისპირის ზეობის მდინარე, — ამბობს ბატონიშვილი, — გამოდის, ბაიბურდს ზეით, ტრაპიზონის მთას. სიგრძით არს ტრაპიზონის მთიდან კოროხამდე“ (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 139).

ისპირი ქართული სპერის თურქიზირებული ფორმაა. როგორც ცნობილია თურქული სიტყვის დასაწყისში თანხმოვანთა თაემოყრას ვერ ითმენს და იჩენს ხმოვანს (მაგ., რიზე-ირიზე, სტამბოლი-ისტამბული და სხვ.).

უძველეს დროში სპერი წარმოადგენდა იმ ქართველი ტომების ძირითადი გავრცელების კერას, რომლებმაც შემდეგში წამყვანი როლი შეასრულეს აღმოსავლურ ქართული პოლიტიკური ორგანიზაციის (იბერიის) ჩამოყალიბებაში. ეს გარემოება იბერია-სპერის გენეტიკური კავშირითაც დასტურდება (სახელწოდება „იბერიის“ ისტორიის შესახებ იხ. ს. ჭანაშვი, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენციკლის მოამბე, 1, ტფ., 1937 წ., გვ. 185 — 245), ურარტუ (შრომები, 11, გვ. 8 და შემდ.) და უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსა ცხოვრების შესახებ (იჭვე, გვ. 57 და შემდ.).

გეოგრაფიული სახელწოდება სპერი იმ ძველი ქართული ტომის სახელისაგან მომდინარეობს, რომელიც აქ მოსახლეობდა. სპერის ტერიტორიაზე მოსახლე ტომების შესახებ უძველესი ცნობები დატული აქვს პეროდოტეს (ძვ. წ. V ს.). „ისტორიის მამა“ მათ სასპეგრების სახელით იხსენიებს და არა ერთ ადგილას.

შავ ზღვას და წითელ ზღვას (სპარსეთის ყურე) შორის არსებულ მიწა-წყალზე პეროდოტე ოთხ ძირითად ხალხს ასახელებს, ესენია კოლხები, სასპეგრები, მიდიელები და სპარსები. „სპარსები, — ამბობს ისტორიკოსი, — ცხოვრობენ ვიდრე სამხრეთის ზღვამდე, რომელიც წითლად იწოდება, მათ ზემოთ ჩრდილოეთისაკენ ცხოვრობენ მიდიელები; მიდიელების ზემოთ სასპეგრები, სასპეგრების ზემოთ — კოლხები ვიდრე ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც





ერთვის მდინარე ფაზისი. ეს ოთხი ხალხი ცხოვრობს ზღვიდან ზღვამდე" (პეროდოტეს, IV, 233-234, გვ. 37; ს. ჯანაშია, უძველესი ეროვნული ცნობა, შრომები, II, გვ. 51).

აქ მოხსენებული ჩრდილოეთის ზღვა და მდინარე ფაზისი, რომელიც მას ერთვის, შავი ზღვა და რიონია. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი სანაპირო მხარე კოლხენს უჭირავს, კოლხების შემდეგ მიდიელთა საზღვრებამდე სასაქვარებო მოსახლეობენ.

ამგვარივე ხასიათისაა პეროდოტეს სხვა ცნობებიც.

სასაქვარების შესახებ საყურადღებო ცნობები აქვთ დაცული, აგრეთვე ქსენოფონტეს, აბ. როდოსელს, სტრაბონს, სტეფანე ბიზანტიელს, ევსევი კესარიელს და სხვა ძველ ავტორს.

რაც შეეხება ამ მხარის გეოგრაფიულ სახელს, იგი პირველად „სენსპირიტ“-იდან ფორმით არის დაცული სტრაბონის გეოგრაფიაში, ევსევი კესარიელთან იგი სპერ (ია)-ს სახელს ატარებს, ქართულ და სომხურ წყაროებში კი სპერ-ად იწოდება. აქაღ. ს. ჯანაშიას აზრით ეს ფორმა წარმოსმობთ ქართული არ უნდა იყოს. იგი, ალბათ, ძველი ბერძნული ტრადიციისაგან მომდინარეობს და არაქართულსავე ენობრივ წრეში უნდა იყოს ჩამოყალიბებული მოცემული სახით" (იქვე, გვ. 60, შენიშვნა 1).

ყველა შემოხსენებული ფორმების მეცნიერული ანალიზის შედეგად აქაღ. ს. ჯანაშია ცხადყოფს „სპერ“-ის ვენეტურ კავშირს „თაბალ“-„თუბალ“-სა და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის მერმინდელ სახელთან—იბერ(ია), რომელიც სხვადასხვა უცხოური ქვეყნის მწერლობაში ასეთი ფრაზიტული ფორმებით არის დაცული: იბერ (ბერძნული წყაროები), ჰიბერ (რომაული მწერლობა), იებრ ან ივირ (გვიანდელი ბერძნული და ბიზანტიური მწერლობა), იევირ (ქ) (სომხური წყაროები) (იქვე, გვ. 61).

სპერის, ამ თუბალ-კანური (მგვრელ-ქანური) მხარის, ისტორიის საკითხები მეცნიერული მიუყრდნობლობით შემუშავებულ-შესწავილი არ არის, რის გამოც, და აგრეთვე ზოგიერთ მეცნიერთა ტენდენციურობის გამოც, სპერისა, და საერთოდ მესხეთის მხარეთა წარსულის გამუქების საქმეში, ქვეშარტების დამახინჯებებს აქვს ადგილი, და ეს განსაკუთრებით არმენისტთა შრომებში. ისტორიული სიმართლის პირველი ფაქტივიატორი ამ მხრივ იყო ფრანგი არმენისტი ანტუან-ჟან სენ მარტენი, რომლის გამოკვლევაც „Memoires historiques et ethnographiques sur l'Armenie" დაიბეჭდა პარიზში 1811 წელს.

ამ არმენისტის მცდარი შეხედულებით ქვემო ქართლის დიდი ნაწილი, და მტკერის ზემო წელის ქართული მხარეები და მთელი კორახის ხეობა სომხეთის ისტორიულ მიწა-წყლად არის გამოცხადებული, რომლებსაც თითქოს საქართველო სომხეთის სამეფოს დასუსტების შემდეგ დაუფლებია (დასახ. ნაშრ., I, გვ. 74 — 86).

სამხრეთ საქართველოს მკვიდრი პროვინციების სომხეთზე მიკუთვნების აზრმა ფართოდ გაიშალა ფესვები ევროპულ არმენისტკაში. სენ-მარტენისეული ყალბი კონცეპციის გავლენა ატყუია გამოჩენილი ევროპელი ორიენტალისტების ჰ. კიბერტის, ი. მარკვარტის, ჰ. ჰიუნშმანისა და სხვათა შრომებს. კერძოდ, ეს უკანასკნელი სომხეთის ფარგლებში აქცევს მთელს ქვემო ქართლს და მესხეთის უდიდეს ნაწილს: ჯავახეთს, არტაანს, კლარჯეთს, ტაოს, სპერს და სხვა ქართულ რაიონებს. სენ-მარტენისაგან განსხვავებით იგი საქართველოს აუფთვნებს მხოლოდ შავშეთს და ნივალს, რომელთაც ფრანგი არმენისტი სომხურ თემებად თვლიდა (H. Hübschman, Die Altarmenischen Ortschaften, Straßburg, 1904).

ჰ. ჰიუნშმანის მტკიცებით შემოხსენებული პროვინციები სომხეთის სამეფოს ფარგლებში გაერთიანდა ძვ. წ. მეორე საუკუნეში, როდესაც ეს სახელმწიფო ჩამოყალიბდა და სომხეთშივე დარჩა ახ. წ. მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრამდე, როდესაც თითქოს ქართველებმა ისარგებლეს სომხეთის დასუსტებით და შემოიერთეს ქვემო ქართლი, ჯავახეთი, არტაანი, და კლარჯეთი, ხოლო რაც შეეხება ტაოსა და სპერს, ეს მხარეები კიდევ უფრო გვიან შემოერთებია საქართველოს.

ისტორიულ სინამდვილეს ასეთი დამახინჯებით წარმოვიდგენენ არა მარტო ევროპელი არმენისტები, არამედ ზოგიერთი საბჭოთა მეცნიერიც, მაგალითად, ნ. ტოკარსკი, ვ. მიხანკოვა და სხვ., რომლებიც საფუძვლიანად არიან გაკრიტიკებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (ს. ჯანაშია, ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ, თბ., 1947 წ., რუს. ენაზე, პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1955 წ., გვ. 400—416).

სპერი, ჩვენნი ქვეყნის ეს ორგანული ნაწილი, ძველიდანვე საქართველოს მოწინავე მხარე XVI საუკუნის შუა წლებში ოსმალეთმა დაიპყრო და დღესაც მიმტაცებელს უჭირავს. თანამედროვე თურქული ადმინისტრაციული დანაწილებით სპერი ერთიანდება ისპირის, ვეღემისა და ბაიბურთის რაიონებში (პ. ინგოროყეა, გიორგი მერჩულე, გვ. 302).

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ კოროხის ერთ-ერთი სახელწოდება სპერის მდინარე, ახლა მის ზანურ სახელებს შევხვით.

დავიწყეთ აკამფსისი.

VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი აკამფსისის შესახებ ამბობს: „ქანეთის მთებიდან ჩამოდის მდინარე. სახელად ბოასი (იგივე კოროხი — ი. ს.)... როდესაც ის ზღვის მახლობლად მიდის, იცვლის ამ სახელს და იქიდან სხვა სახელწოდებას მიირქმევს: სახელს ის თავის მიმდევართაგან იქენს მას, სხვათაშორის ადგილობრივი მცხოვრებლები აკამფსის უწოდებენ იმის გამო, რომ მისი დამორჩილება ზღვასთან შეერთების ადგილას, შეტყობვით ხდება, ვინაიდან ისეთი სისწრაფითა და სიმწვავეთ უფროდება და ისეთი ღირი ხმარობით მოიწვევს წინ, რომ ზღვის კარგა მოშორებით მომდინარე შეტყობვებს ზღვაში შეტყობვას“ (პრ. კესარიელის ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი, საქართველოს მუზეუმის მოამბე, VII, ნაკვ. II, თბილისი, 1933 წ., გვ. 145. ხაზი ჩვენია—ი. ს.). კესარიელი მართალია, როდესაც აკამფსისის კოროხის ადგილობრივ სახელწოდებად მიიჩნევს, მაგრამ ცდება, როცა ჰგონია, რომ თითქოს სახელწოდება აკამფსისი მას სწრაფი მიმდინარეობისა და ბობოქრობის გამო მიეღოს.

პროკოპის ცნობას აკამფსისის ადგილობრივი წარმოშობილობის შესახებ ადასტურებს VII საუკუნის სომხური წყაროც, რომელიც მას მეგრულ სახელწოდებად თვლის (სომხური გეოგრაფია, ა. სურკის გამოც., 1881 წ., გვ. 35). აქვეა მოხსენებული, აგრეთვე ამ მდინარის ხალღური (ქანურა) სახელწოდება კაკამარიც.

ამ წყაროს ცნობებზე დაყრდნობით აკად. ს. ჯანაშია აცეთებდა შემდეგ დასკვნებს: „ა) ფორმა „აკამფსისი“, ე. ი. აკამფსისი (შეად. გუმსა (გუმფსა), ადგილობრივად რხმარებოდა; ბ) ფუძე ამ სახელწოდებისა სხვა გაფორმებითაც იყო მოცემული, ვინაიდან (კაკამ-ფსისი და კაკამარ ერთი და იგივე ფუძის წყარო უნდა იყოს“ (ჩერქეზული (ადღეური) ელემენტარული საქართველოს ტოპონიმიაში, გვ. 624).

კაკამარი სომხურ წყაროს გარდა არსად გვხვდება, ხოლო აკამფსისი ბევრი ბერძნულ-რომაული საისტორიო თხზულებით არის ცნობილი.

ჩვენამდე მოღწეულ წყაროებში ეს სახელწოდება პირველად გვხვდება პირველი საუკუნის რომაელი მწერლის პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორიაში“ (VI, 12). შემდეგ კი იგი არაერთ სხვა წყაროში იხსენიება.

ამ უკანასკნელ დროს აკამფსისის ახსნა სცადა პ. ინგოროყეამ. მისი აზრით ეს სახელწოდება ორნაწილიად სიტყვაა: აკამ-ფსისი. მეკლევარი თვალდაპირველად ყურადღებას აქცევს ამ მდინარის სახელის მეორე ნაწილს „ფსისი“ და მასში აღადგენს დაკარგულ ხმოვანს — ა; ფ(ა)სისი. ეს ოპერაცია საესებით ბუნებრივად გამოიყურება. „ფსა“ სიტყვა მოსიანს „პარფას-ოს“-შიც, რომელიც თ. მიქელაძის მოსაზრებით გადაშწვრთავან დამახინჯებული ქსენოფონტის „პარპასოს“-ის თვალდაპირველი სახე უნდა ყოფილიყო (თ. მიქელაძე, ფსიანების სადაურობისა და ადგილსამყოფელის გარკვევის საკითხისათვის, „მისალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, გვ. 31, შენიშვნა 3).

ამავე სახელწოდების დამახინჯებით, კერძოდ, მისი პირველი ნაწილის დაკარგვით უნდა იყოს მიღებული კოროხის სახელად ფაზისი, როგორც ეს ზოგიერთ ძველ მწერალთა თხზულებებში გვხვდება. ასე მაგ., უთუოდ კოროხს გულისხმობს სტრაბონის მიერ ეფფრატის მიდამოების მდინარეთა აღწერილობაში მოხსენებული ფაზისი. „ქვეყანაში ბევრი მდინარეა, — ამბობს ცნობილი ბერძენი გეოგრაფი, — განსაკუთრებით ცნობილია ფაზისი და ლიკოსი, რომლებიც პონტოს ზღვას ერთიან“ (სტრაბონის გეოგრაფია, თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი, თბილისი, 1957 წ., გვ. 190).

კოროხი რომ ფაზისის სახელითაც იყო ცნობილი ამას ადასტურებს სტრაბონის მეორე ცნობა, კოლხეთის ფაზისის სათავეს შესახებ სომხეთში. „...კოლხიდა მეტწილად ზღვასთან მდებარეობს: — წერს სტრაბონი, — მიმდინარეობს მასზე ფაზისი, დიდი მდინარე, რომელსაც სა-

თავე არმენიდან აქვს, რომელიც დებულობს გლავეკოსა და ჰიპოსს, მახლობელი მთებიდან გამომდინარეთ“ (იქვე, გვ. 123).

აქ რომ შეედგომა მისდის სახელოვან გეოგრაფს და რიონი იველისხმება და არა ჰოროხი, ეს ცხადია. ამ „არმენიდან“ გამომდინარე ფაზისსაც იგვევ გლავეკოსი და ჰიპოსი ერთის, რაც კოლხეთის ფაზისს. ჰიპოსი რომ ცხენისწყალი უნდა იყოს ეს დავის არ იწვევს. სახელიც მისი ამ გაიგივების სასარგებლოდ მტყუველებს. ჰიპოს ბერძნულად ცხენს ნიშნავს. ეტყობა, აღგლობრივი სახელწოდება ბერძნულში თარგმანის გზით არის შესული. ასეთი რამ უტყობ არ არის ბერძნულ-რომაული წყაროებისათვის. ამ გზითვე არის მიღებული ნიქალაქე-არქეოპოლისი, ვარდციხე-როდოპოლისი და სხვ. (ს. ყაუხჩიშვილი, პროკოპი კესარიელის ცნობების საქართველოს შესახებ, VI, გვ. 353, შენიშვნა). რაც შეეხება გლავეკოსს, მისი იდენტიფიკაცია საცილობელ საგნად არის ქცეული. ზოგიერთი მეცნიერი გლავეკოსს ყვირილასთან აიგივებს („ვესტნიკ დრევენი ისტორიი“, 1947 წ., № 4, გვ. 215), ზოგს კი სწორად არ მიაჩნია ასეთი გაიგივება და გლავეკო-რიონის იდენტობას ასკვნის (ს. ჯანაშია, ფასილი, შრომები, II, გვ. 280, შენიშვნა 39). ასეთი რამ გამომწვეულია იმით, რომ აქ სტრაბონს კოლხეთის ფაზისთან აერთია მეორე ფაზისი ჰოროხი. ეს რომ ასეა ამას ნათელჰყოფს მისი გეოგრაფიიდან ზემოთ ციტირებული ადგილი.

„ორი ფასიდის არსებობით აიხსნება, — აღნიშნავს აკად. ს. ჯანაშია, — ცნობილი შეედგომა სტრაბონის წყაროს ჩვენებაში ფასიდის (ეგრისის ფასიდის) სათავეს სომხეთში მდებარეობის შესახებ (თუ მივიღებთ რომ ჰოროხისათვის სათავეს ასეთ ლოკალიზაციას ერთგვარი საფუძველი შეიძლება მაინც ჰქონდეს), — ეს ცხადია, გეოგრაფიული კონტაქტისა, რომელიც ყველაზე მეტად გამოხატა აპოლონი როდოსელმა, დავეციტავა არამსთან ერთად კიდევ ერთი ყველაზე საცილობელი, სახელი ჰოროხისა — (ლევკე)“ (ს. ჯანაშია, ფასილი, შრომები II, 1950 წ., გვ. 272, ხაზი ჩვენია — ი. ს.).

მაგრამ გარდა რიონისა (ფაზისის სახელის მთავარი მატარებელი) და ჰოროხისა ფაზისის სახელით იხსენიება, აგრეთვე, არაქსი... ეს ვარაუდობა კი, როგორც მართებულად შენიშნავს ს. ჯანაშია „სათანალო ფუძეს (ფასი-ის) ზოგად მნიშვნელობას აძლევს“ (ჩერქეზული (ადილეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიაში, გვ. 627, ხაზი ჩვენია. ი. ს.).

ახლა კავკასიის პირველ ნაწილს მივხედოთ, რომელსაც აკად. ს. ჯანაშია მისი ვარიანტული კავამარის მიხედვით (კავამ-ად აღადგენდა (იქვე, გვ. 624), ასევე იქვეცა პ. ინგოროყვაი, თუმცა წინამორბედს არ ასახელებს და ამ გზით ვლბებულობთ: კავამფსისი, კავამ-ფასისი, ე. ი. კავამ-მდინარე, კავამ-წყალი (გიორგი მერჩულე, გვ. 184). ამავე დებულებას ავითარებს თ. მიქელაძეც. მაგ., „ფას ფუძიდან ნაწარმოები ბერძნული ფასის აშკარად ელინიზებული ფორმაა ადგილობრივი სახელწოდებისა — წერს იგი, — ამ სიტყვაში ის ბერძნულ სუფიქსად გამოიყენება, ხოლო სიტყვა „ფასისი“ ბერძნულის გზით ჩანს შემოსული ქართულში... არ არის გამოირიცხული სიტყვის პირველი ნაწილის ელინიზაცია. ის ფაქტი კი, რომ „ფასისი“ უპირატესად მდინარეებს აღნიშნავდა, ამავე დროს არაერთ მდინარეს, არამედ ბევრს (მაგ., არაქსს, ჰოროხს, რიონს), თავისთავად მოწმობს იმას, რომ ეს სიტყვა არ წარმოადგენდა საკუთარ სახელს და იგი უფრო ზოგად ცნებას, სავარაუდოა, წყლის ცნებას გამოხატავდა“ (თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 28, ხაზი ჩვენია — ი. ს.).

პ. ინგოროყვა თავისებურად განიხილავს კავამარსაც, რომელშიც იგი „არ“ ნაწილს გამოყოფს და სადაურობის მაწარმოებელ ქართული „ელი“-ს ბადალად აცხადებს. „ხალღური (ქანური) სახელწოდება კავამარი, — წერს პ. ინგოროყვა, — იგვევა, რაც კავამელი, კავამლა, ე. ი. კავამის მდინარე (შეადარეთ მდინარეთ ანალოგიური სახელები: ჩხერიმელა, წყუზამელა და სხვ. ქანურში დაბოლოება „არი“ აღნიშნავს იმასვე, რასაც „ელი“; შეადარეთ ოპიზარი ოპიზილი“ (იქვე).

ამ სახელწოდების „არ“ ნაწილსაც „ელი“-სთან გაიგივება მართებული არ ჩანს. ჩვენის აზრით უფრო სწორი იქნება მისი ქანური „წიარი“, „წარ“-ის ნაშთად („წყლის“ აზრით) მიჩნევა, როგორც ამას მართებულად ვარაუდობს აკად. ს. ჯანაშია (ჩერქეზული (ადილეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიაში, გვ. 624).

ამრიგად, კავამარის „კავამელი“ ან „კავამელ“-ად გაგება კი არ არის სწორი, არამედ მართებულად კავამარი აღნიშნავს კავამის წყალს, კავამის მდინარეს.

ახლა ბოასის შესახებ.

პროკოპი განსაკუთრებით ვრცელ ადგილს უთმობს ბოასს ბიზანტიელებსა და ირანელებს. შორის პეტრას გარშემო განვითარებულ საბრძოლო ოპერაციების აღწერილობაში, მაგრამ, ზამწუხაროდ, ცნობები ერთიმეორის საწინააღმდეგო და აბნეულია. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ კესარიელის ცნობები ერთ რომელიმე ბოასს კი არა, არამედ ორ სულ სხვადასხვა მდინარეს ეხება. მაგალითად, ერთი ბოასთაგანი, რომელიც „...სადაც უწინეთის საზღვრების მახლობლად არმენიელთა ადგილებში“ გამოდის (ს. ყაუხჩიშვილი, პროკოპი კესარიელის ცნობები საქართველოს შესახებ. საქ. მუზეუმის მოამბე, VII, გვ. 123), შეიძლება გაიგივებულ იქნას ჟოროხთან, როგორც ამას ადგილი აქვს სამეცნიერო ლიტერატურაში (ტომაშვილი, რეალენციკლოპედია, III) 575, პიბეშმანი, ძველსომხურ ადგილთა სახელები, 16,358). მაგრამ მის ქვემოთ მოცემული ბოასის დახასიათება, რომ იგი დასაწყისში „... ყარა მანძილზე მარჯვნივ მომდინარეობს, თხელია და არაერთარ სიძნელეს არ წარმოადგენს არაევისათვის თონში ვასასვლელად, ვიდრე იმ ადგილამდე, სადაც მარჯვნივ იბერთა საზღვრები არის, ხოლო პირისპირ კავკასიის მთა თვდება“ არ შეიძლება გავავრცელოთ ჟოროხზე. ეს რომ ასეა ამას ადასტურებს შემდეგი ცნობებიც: „აქ (ე. ი., იმ ქვეყანაში, სადაც ბოასი მიედინება ი. ხ.) ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს, მათ შორის ალანებიც და აბსაგებიც... აგრეთვე ზიქნიც და მათ შემდეგ ჰენებიც, რომელთაც სავირები ეწოდება. მის შემდეგ რაც ეს მდინარე მიალწვევს იმ ადგილს, სადაც კავკასიისა და იბერიის საზღვრებია, აქ, რადგან მას ბევრი სხვა წყალიც ემატება, ის იზრდება ძალიან და ნაცულად ბოასისა ამიერიდან ფასისად წოდებული განაგრძობს მდინარეობას... მის ორივე მხრივ ლაზიკე არის... ლაზთა სოფლები ზომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქითა ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველითავე აქ აუშენებიათ, მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლიც არის აქ და პიტინტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი იბერიის საზღვრებისავე“ (პროკოპი კესარიელის ცნობები... იქვე, გვ. 124-125), აშკარაა რომ ბოას-ფაზისი აქ ჟოროხს კი არა, როგორც ეს პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა გამოარკვია, რიონისა და მის გაგარელება ყვირილას გულისხმობს. სხვის რომ თავი დავანებოთ ამას მოწმობს ამ მდინარის მარჯვენა მხარეზე, რომელსაც პროკოპი „აქეთას“ უწოდებს (ალბათ, იმიტომ, რომ ასე იყო მის ზეით არსებულ დოკუმენტებში, რომლებიც ეგრისიდან იყო გაგზავნილი), დასახელებული ციხე-ქალაქი — არქეოპოლისი, (ნოქალაქევი), პიტინტი (ბიქვინთა) და სხვა, ხოლო იბერიის საზღვრებისავე — სკანდა და შორაპანი.

წინააღმდეგობა პროკოპის მონათხრობში ბოას-აქამფისისა და ბოას-ფასისის შესახებ ცნობების არევის შედეგადაა გაჩენილი.

სამხედრო ოპერაციების აღწერილობა და პეტრა-ქაფეთისავე მიმავალი ქარების მარშრუტის განხილვა იძლევა საფუძველს ფასისი გაგებულ იქნას რიონად, ხოლო ბოასი ყვირილად. (ს. ყაუხჩიშვილი, იქვე, გვ. 132, შენიშვნა). მართებული არ არის დიუბუას მოსაზრება, რომ თითქოს ბოასი იყოს ხანისწყალი (Voyage, II, 90-91).

ბოასი ადგილობრივი სახელწოდების ბერძნული თარგმანი ჩანს. „აქ ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი მაგალითი ადგილობრივი სახელის გადათარგმნისა. როგორც ცენისწყალი, ნოქალაქევი, ვარდიხე და სხვა გადათარგმნეს ბერძნებმა, ისე ყვირილა გადაუთარგმნიათ ბოა-სად (ზნნისაგან ბოაო-ყვირი“) — სამართლიანად შენიშნავს პროფ. ს. ყაუხჩიშვილი (იქვე).

ბოასი რომ ადგილობრივი წარმოების სახელია, ეს სომხური წყაროებთაც დასტურდება. ს. ჭანაშვიას გამოკვლევით: „სომხურ მწერლობაში, სადაც აქამფისი უცნობი არ არის... ბოასი ისეთი ფორმით არის მოცემული, რომ მისი ბერძნულიდან ლიტერატურულ გზით წარმოშავლობა გამოირიცხება: სომხურ ანონიმურ გეოგრაფიაში იგი ვომ ან ჯომად არის წოდებული (ს. ჭანაშვია, დასახ. ნაშრ., გვ. 273).

ჟოროხის ადგილობრივი სახელწოდებაა აფსარიც. ეს სახელი წყაროებში რამდენიმე ვარიანტული ფორმით არის ცნობილი. მაგალითად, აბსარი, აფსერტოს, აფსაროს, აფსარეა და ახვ. აფსარი, როგორც მდინარის სახელი შავი ზღვის აღმ. სანაპიროზე, თავდაპირველად იხსენ-

ნება ძვ. წ. IV საუკუნის მწერლის ფსევდო სკილაქს კარიანდელის „პერიპლ“-ში (ვ. ვ. ლატიშვილი, ძველი ბერძენი და ლათინი მწერლების ცნობები სკვითეთისა და კავკასიის შესახებ, ტ. I, სპბ, 1893 წ., გვ. 96. ქვემოთ, შემოკლებით — ვ. ლატიშვილი).

მღ. აფსარო ომონიშორი ციხით შესართავში პირველად მოხსენებულია პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია“-ში (VI, 12). „... ტრაპუნდიდან 140 ათასი ნაბიჯის მანძილზე მდინარე აფსარია და ამავე სახელის მქონე ციხე შესართავთან. ამ ადგილებში მთების გადაღმა პიბერიაა, ხოლო ნაპირის გასწვრივ მოსახლეობენ ამბრეიტები, პენიოხები, ლაზები, მოედინებთან მდინარეები: აჟამფსონი, იზისი, მოგროსი, ბათის...“ (ვ. ლატიშვილი, ტ. II, ნაკვ. 1, 1904 წ., გვ. 278).

იგივე გეოგრაფიული პუნქტები არის მოხსენებული არიანეს „პერიპლ“-ში, ბერძენი გეოგრაფი ჩვენთვის საინტერესო აფსარს ასახელებს არქაბედან 60 სტადიონის დაშორებით ჩრდილოეთისაკენ;

რამდენიმე სიტყვა აფსარის იდენტიფიკაციის შესახებ.

აფსარის გაიგება თანამედროვე მდინარეებთან ბევრმა მკვლევარმა სცადა. არიანეს „პერიპლ“-ის გამომცემელი და ცნობილი მკვლევარი კ. მიულერი თავდაპირველად შეცდომით არიანეს აფსარს (დასახლებული პუნქტი) ხოფისწყლის შესართავში ათავსებდა...

კ. მიულერს ასეთი გაიგებების საფუძველს უქმნიდა არიანეს მიერ ათინას და აფსარს შორის მოცემული მანძილების გაანგარიშება, რომელიც 226 სტადიონს იძლეოდა, ხოლო უფრო ზემოთ ამ მანძილის აღსანიშნავად ხმარებულ სიტყვას „პენტაკოსიოი“ (500) იგი ტექსტის მერმინდელ დამახინჯებად თვლიდა. არიანე ძირითადად სწორად მიუთითებს მანძილებს, მაგრამ ამ უბანზე ლაღატობს სინამდვილეს; თუ 226 სტადიონს ვიგულისხმებთ ათინასა და აფსარს შორის არსებულ მანძილად, მაშინ იგი მღ, ხოფამდე მოგვიყვანს და ასეც მოიქცა კ. მიულერი, ხოლო თუ 500 სტადიონს გაეყვებით, მაშინ აფსარს თანამედროვე გონიის მიდამოებში მოუწევს ლოკალიზება და მართებულად ჩანს. ეს რომ ასეა, ამას მოწმობს ბერძენი გეოგრაფის მომდევნო ცნობებიც. ასე, მაგალითად, არიანე აფსარის შემდეგ 15 სტადიონზე ასახელებს მღ. აჟამფსისს — „აჟამფსის პორამოს ნაუსიპოროს“ (ვ. ლატიშვილი, 1, გვ. 219).

ბერძენული და რომაული მეტროლოგიის მკვლევარის პ. ნისსენის გამოანგარიშებით ანტიკური სტადიონი 177,4 მეტრს უდრის.

ამის მიხედვით 15 სტადიონი დაახლოებით 2,7 კილომეტრს მოგვეცემს. მღ. ხოფის შემდეგ კი ასეთ მანძილზე და, საერთოდ, ჭოროხამდე არც ერთი მდინარე არ იპოვება, რომ საინაოსნოდ ვარგოდეს ან ვარგებელიყო ოდესმე. მაშასადამე, ეს აჟამფსისი, ყოველ ეჭვს გარეშე, ჭოროხია, რომლის სამხრეთითაც აღნიშნული მანძილის ფარგლებში საძიებელია პუნქტი აფსარო.

მასალების უფრო გულდასმით განხილვის შემდეგ კ. მიულერი დარწმუნდა ხოფის შესართავში აფსარის ლოკალიზების უსაფუძვლობაში და უარყო თავისი პირვანდელი შეხედულება. ანონიმი გეოგრაფის „პერეპლ“-ის კომენტარებში კ. მიულერი გერმანელი მკვლევარის კ. რიტტერის დამოწმებით აჟამფსისაც და აფსარსაც მღ. ჭოროხის ტოტებად თვლის.

მდინარეების აფსარისა და აჟამფსისის ამგვარი იდენტიფიკაცია აღიარებულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. მას ბევრი მეცნიერი იზიარებს, მათ შორის ვ. იაშვილიც; „მდინარეები აფსარო და აჟამფსისი ჭოროხის ორი ტოტია შესართავთან, ეს ჩანს ძველი მწერლების მითითებიდან... აჟამფსისი ჭოროხის მარჯვენა ტოტია. მანძილი ასფარიდან აჟამფსისამდე 15 სტადიონია, ცხადია, აქ ნაჩვენებია ჭოროხის მარცხენა ტოტი — აფსარო, რომელიც ჩაუვლიდა იმავე სახელწოდების ციხეს და ერთვოდა ზღვას“ (ვ. იაშვილი, გონიის ციხის ისტორიისათვის, „ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში“, ბათუმი, 1955 წ., გვ. 9. ხაზი ჩვენია — ო. ს.).

ავტორი აფსარ-აკამფისის იდენტიციებისას იმეორებს რიტერ-მიულერს, თემა არ იმოწმებს მათ და ცდილობს წინ წასწიოს საქმე, დაუახლოვოს მდ. აფსარი მის ომონიმურ ციხეს, რომლის ისტორიაც მისი კვლევის მთავარ ამოცანას წარმოადგენს. ვ. იაშვილის აზრით, მაშასადამე, უფრო სწორად, მისი მარცხენა ტოტი, რომელიც აფსარის სახელს ატარებდა, ძველად თურმე უფრო სამხრეთით ჩაედინებოდა, ვიდრე დღეს და ციხეს ჩაუვლიდა. ამჟამად უკრობი გონის ციხეს 2 კილომეტრით შორავს, გამოდის, რომ თითქოს მდინარეს თავისი ძველი სადინარი დაუტოვებია და აღნიშნულ მანძილზე ჩრდილოეთისაკენ გადმოუნაცვლებია.

უკრობის დატოვიანება და სადინარების ცვლა ცნობილი ფაქტია, მაგრამ ეს არა სამხრეთით, არამედ ჩრდილოეთით, რაც იმ მიდრეკილებით აიხსნება, რომელიც საერთოდ ჩრდილო ნახევარსფეროს მდინარეებს ახასიათებთ. უკრობის ერთი, და მთავარი, ტოტი ოდესღაც გაცილებით რომ ჩრდილოეთით, თანამედროვე ბათუმის მიდამოებში ჩამოედინებოდა, ვიდრე დღეს იგი მიედინება, ეს უდავოდ დასტურდება, მაგრამ უკრობის სამხრეთი ტოტის სადინარი რომ წინათ უფრო სამხრეთით, ციხის მიდამოებში ყოფილიყო, არ ჩანს. ციხის შესვლეთ კაცს შეიძლება უკრობის დინების ნაშთად, ნაუკრობახლად, მოეჩვენოს, ციხის სიახლოვეს ჩამომდინარე პატარა წყალი, რომელიც «ქუჩუკურობს»-ად იწოდება, მაგრამ დღეს «ფიზიკურ-გეოგრაფიული შესწავლით დასტურდება, რომ ის გონის გორებზე მონაწირეტი წყლით საზრდოობს და არავითარი კავშირი არა აქვს უკრობთან.

ნ. მარი ახსარს მიიჩნევდა აბხაზ-აბაზგთა ეროვნულ სახელწოდებას «აფსუა»-ს სახესხვაობად (ნ. მარი, კრებული «აფხაზთა ენისა და ისტორიის შესახებ», მოსკოვი — ლენინგრადი, 1938 წ., გვ. 179, რუსულ ენაზე). ამავე აზრს ავითარებდა აკად. ბ. კუფტინი (მასალები კოლხეთის არქეოლოგიისათვის, ტ. I, გვ. 101).

არსებითად მარისებურად იხილავდა ამ საკითხს აკად. ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ბერძნული «ოს» სუფიქსით ნაწარმოებ «აფსერტ-ოს»-ს აფხაზურიდან მომდინარე სახელად თვლიდა და მასში ამ ტერიტორიაზე აფხაზთა ოდინდელი ბინადრობის კვალს ხედავდა.

«თუ ამ სიტყვის ჩვეულებრივ ბერძნულ საკვეც «ოს» მოვაშორებთ, — წერდა ივ. ჯავახიშვილი, — დაგვრჩება «აფსერტა», ნიშნავს აფხაზთა ადგილს. მაშასადამე ეს საგეოგრაფიო სახელიც აფხაზთა წინანდელ ბინადრობის კვალად უნდა ჩაითვალოს». (ი. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წიგნი I, 1913 წ., გვ. 67).

აზრი აფხაზებისა და ზოგიერთ სხვა ჩრდილო-კავკასიური ტომის ოდინდელი ბინადრობის შესახებ დას. საქართველოს ტერიტორიაზე, მართებულია, მაგრამ გზა, რომლითაც ეს ტომები მოჰყავდათ და შემდეგ მიჰყავდათ აქედან ივ. ჯავახიშვილსა და მის წინამორბედ ნ. მარს, არ არის სწორი.

მათი აზრით აფხაზები, აფშილები და მათი სხვა ჩრდილო-კავკასიური მოდგმის ტომები, ისე როგორც ქართველები, მცირე აზიიდან უნდა ყოფილიყვნენ მოსული. «ქართველთა ტომები უძველეს დროს, — ამბობს ივ. ჯავახიშვილი, — მცირე აზიაში ცხოვრობდნენ», შემდეგ კი «ჩრდილოეთისაკენ წამოიწიეს და ამიერკავკასიის მიწა-წყალი დაიმკვიდრეს». (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 66).

ივ. ჯავახიშვილის სიტყვით «...კავკასიაში პირველად ის ქართველი ტომები უნდა მოსულიყვნენ, რომელნიც ისტორიულად კარგად ცნობილ დროში დანარჩენებზე ჩრდილოეთით ბინადრობდნენ». ამიტომ «ჯერ აფხაზები — აფშილები, სვანები და სხვა მთიელები» უნდა გადმოსახლებულიყვნენ, ხოლო, «შემდეგ კოლხები და კასები. ამისდა მიხედვით, რასაკვირველია, აფხაზთა, აფშილთა და დანარჩენ ზემოაღნიშნულ ტომთა მოსახლეობა კავკასიაშიც ეხლანდელზე უფრო სამხრეთით იქნებოდა. როცა სხვა ქართველი ტომები მეგრულ-ლაზები და ქართველი მტრებისაგან დევნილნი, მოაწევბორდნენ სამხრეთითგან, მაშინ ჩინიც იძულებული იქნებოდ-



ნენ, ჩრდილოეთისაკენ დაეხიათ. საქართველოს საგეოგრაფიო სახელებში აფხაზების და სხვათა წინანდელ ვრცელ მოსახლეობის კვალი, რასაკვირველია, უნდა შენახულ იყოს და ენც ამ საგანს გულდასმით შეისწავლის, ის უეჭველია საუბრადღებო მასალას შეაგროვებს». (კი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 66).

საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა უძველესი ისტორიის შემდგომმა დამუშავებამ, არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა საფუძვლიანად შესცვალეს ძველი შეხედულება ამ საკითხზე. ევროპულ „არქეოლოგიური მასალა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე აღგილობრივ, შორეული სამხრეთის რაიონებისაგან განსხვავებულ, განვითარების უწყვეტ ჯაჭვს ავლენს, ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას. ეს მასალა შეუძლებელს ხდის, შედარებით გვიანდელი ხანისათვის მიიწი, მაგალითად, II-I ათასწლეულისათვის ჩ. წ.-მდე სამხრეთიდან დიდ ძველადმოსკლავურ სახელმწიფოთა რაიონიდან — კავკასიონის იქითა მხარეს ხალხთა დიდი მასების გადასახლება დაეშვათ“. (გ. მელიქიშვილი, ურარტუ, თბილისი, გვ. 130-131). მაგრამ ეს, რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ აფხაზურ-ჩერქეზულ ტომთა გავრცელების არე მართოდენ ჩრდილო კავკასიით იფარგლებოდა. იმიერკავკასია, როგორც ცნობილია, ხშირად ისროდა კავკასიონის პირაქეთა მხარისაკენ ხალხთა დიდსა თუ მცირე ჯგუფებს. ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნიდან ჩრდილო-კავკასიელ ტომთა ასეთი გადმოსვლების მრავალ შემთხვევას ადასტურებენ წერილობითი წყაროები. ჩრდილო-კავკასიიდან მოსული ხალხთა მასები უდაოდ დასახლებოდნენ იმიერკავკასიისა და სამხრეთით მდებარე ქვეყნების მიწა-წყალზე, თუმცა პირდაპირი წერილობითი ცნობები არ მოგვეპოვება ამ ტომების საქართველოს ტერიტორიაზე დასახლების დამადასტურებლად, მაგრამ მეცნიერებანი. წ. „ჩრდილო-კავკასიური ტიპის“ ტომონიმიურ სახელებზე დაყრდნობით ამტკიცებენ ასეთი ფაქტის არსებობას ჩვენს მიწა-წყალზე, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში, სწადაც ასეთი სახელები ხშირად გვხვდება. ასეთი მკვლევარები იყვნენ აკადემიკოსები ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია. ამავე მოსაზრებას იზიარებს ბევრი თანამედროვე მეცნიერი, მათ შორის ლენინური პრემიის ლაურეატი, პროფ. გ. მელიქიშვილი. „უძველეს ხანებში, — წერს გ. მელიქიშვილი, — აფხაზურ-ჩერქეზულ-ადიღურთა ელემენტის არსებობა შვი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე ტერიტორიაზე თავს იჩენს ამ ადგილების ზოგი ძველი სახელწოდების ფონზე, დამახასიათებელია ამ მხრივ, მაგალითად, რომ ხეთების მეფე მერშილ II-ის ანალებში... იხსენიება ქალაქი Arpsa (არფსა), რომლის მიმართ სპეციალურად აღნიშნულია, რომ იგი ზღვის პირას მდებარეობდაო. ეს გარემოება შეიძლება უფლებას იძლევა ამ ქალაქის სახელწოდებაში ჩერქეზული — ფსა სუფიქსი დაინახოთ, რომელიც „წყალს“ აღნიშნავს. ამ ჩერქეზულ-ადიღურთა სუფიქსზე დაბოლოებული სახელები მდინარეებისა თუ მდინარეთა და ზღვის პირას მდებარე პუნქტებისა ბლომად გვხვდება, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის, ისე საქართველოს ტერიტორიაზეც (ევროპულ აფხაზეთში, გურიაში და სხვ.). (გ. მელიქიშვილი, ქაშეების ხალხის ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, მიმოხილველი, ტ. III, თბილისი, 1953 წ., გვ. 204).

ახლა საკუთრივ სახელწოდება კოროხის შესახებ.

აკად. ბ. ა. კუფტინის აზრით კოროხი წარმოსდგება სიტყვისაგან „ჩოტეხილ“-ი, რომელიც აკამფსისის („უდრეკი“) სომხური თარგმანია (მასალები კოლხეთის არქეოლოგიისათვის, ტ. 1, გვ. 101). ასეთი მოსაზრება მცდარია. „კოროხი“ წარმოშობით ქართული სიტყვაა და არაფერა აქვს საერთო აღნიშნულ სომხურ სიტყვასთან.

ძველ ქართულ წყაროებში ეს მდინარე „კოროხის“ ან მისი ვარიანტული „კორეხის“ სახელით იხსენიება (ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955 წ., გვ. 42, 333, 337 და სხვ.).

ქართულიდან ეს სახელწოდება სხვა ენებშიც შევიდა. ჯორჯ-ჯორჯის ფორმით იხსენიებს ჰოროხს, მავალითა, ცნობილი თურქი გეოგრაფი ევლია ჩელები (ს. ჯანაშია, ფასილი, შრომები, II, გვ. 272). ეს სახელწოდება შემდეგ სრულ გაბატონებას აღწევს.

ჰოროხი ძლიერ საინტერესო ტოპონიმიური სახელია, მაგრამ მისი მეცნიერული ახსნა, სამწუხაროდ, დღემდე არ მოგვეპოვება.

სიტყვა ჰოროხი გვხვდება საბა ორბელიანის ლექსიკონში. სახელოვანი ლექსიკოგრაფის განმარტებით ჰოროხი არის „მდინარისაგან ქვიშა შეყრილი“ (გვ. 448).

ამ მდინარის სახელწოდების ახსნა სცადა ვახუშტიმაც. მისი სიტყვით „...ჰოროხის მდინარე იწოდა ქვა-ყრილობით და რიყოვანობით მას შინა მყოფთასა“ (აღწერა..., გვ. 121).

გეოგრაფიულ მეცნ. კანდ., დოც. ნ. ნიყაძის აზრით სახელწოდება ჰოროხი ამ მდინარეს თავისი მღვრიე ფერისაგან უნდა მიეღო. აპარულში სიტყვა „ჰოროხა“ (მოღის, ალბათ, სიტყვისაგან „ჰოროლი“) აღნიშნავს მოთეთრო-რუხ ფერს. ჰოროხი თითქმის ყოველთვის ასეთი ფერისაა, მღვრიეა. ფერისაგან არა ერთი გეოგრაფიული სახელი წარმომდგარა. თეთრი ნილოსი, ცისფერი ნილოსი, წითელი, თეთრი და შავი ზღვები, ხუან-ხე (ყვითელი მდინარე) და სხვა. ამიტომ, მისი ვარაუდით, არ არის გამორიცხული, რომ ჰოროხიც ამ რიგის გეოგრაფიულ სახელწოდებებს ეკუთვნოდეს. (აზრი გამოთქმული იყო ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა XIX სამეცნიერო სესიაზე 1958 წლის 22 აპრილს ჩემი მოხსენების — „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიიდან (ჰოროხი)“ — გამო.

2. ამ მდინარეზე შემონახულია ძველი თაღიანი ხიდი.

### კირნათის სასოფლო საბჭო

1. გეარას ციხე მდებარეობს სოფელ გეარას დასაწყისში მეტად მოხერხებულ და სტრატეგიულ ადგილას, იქ სადაც მდ. მაქახელი ჰოროხს შეერთვის. კლდოვან-ნაპარლოვანი ბორცვი, რომელზედაც ციხეა დაშენებული, მდინარეთა დონიდან 150-ოდ მეტრის სიმაღლეზე იწინება; ეს მდინარეთა საყარი ადგილი იმავე დროს ძველი საქართველოს უაღრესად მნიშვნელოვან გზათსაყარს, გზაჯვარედინს წარმოადგენდა. ამ ციხესთან გაივლიდა შავშეთისა და კლარჯეთისაკენ მიმავალი გზები; ეს ციხე სივალისა და მაქახლის ვასალები იყო. იგი ჩვენამდე დღემდე დანაწევებული სახით არის მოღწეული, გაღვინის კედლები გადმონგრეული და ხევშია ჩაქცეული, ხოლო შიგნითა ნაგებობების უმეტესი ნაწილი საძირკვლებამდეა დანგრეული; ციხის არტუთ ისე ფართო ტერიტორიაზე რამდენიმე შენობის კვალი ჩანს, მაგრამ უაღრესი დანაწევების გამო, თითოეული მათგანის დანიშნულების გარკვევა არ ხერხდება. სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში შემონახულია კის მავარი ნაგებობა, რომლის სიღრმე დღეს 5 მეტრამდე აღწევს, დიამეტრი 1 მეტრს, ამოღესილია კირით. ჩანს, წინათ იგი ვაკილებით უფრო ღრმა უოფილა; ძველი გასარკვევია წყლის მოსაკავებლად ჰქონიათ გამოყენებული ეს ნაგებობა, სადილეგო იყო, თუ რომელიმე სხვა დანიშნულებისა, ვფიქრობთ, უფრო სადილეგო უნდა ყოფილიყო.

გადმოცემის მიხედვით ციხე მაქახლის წყლით მარაგდებოდა, ძველად მაქახელი ციხის ბორცვს უფრო ახლოს ჩამოედოდა, ვიდრე ამჟამად. სპეციალური გვირაბიც ყოფილა ამისათვის, თუმცა დღეს არავითარი კვალი ასეთი ნაგებობისა არ შეინიშნება. მაქახლისა და ნივალის წარსულის ეს ურუყარი მოწამე ახლაც იპყრობს მნახველთა ყურადღებას. ახალი-მახლო სკოლები ხშირად აწყობენ იქ ექსკურსიებს, როგორც გადმოგვეცეს, სიძველეთა მოყვარულ ერთ-ერთ მასწავლებელს ამ ცოტა ხნის წინათ მოსწავლეების ძალებით გათხრებიც კი უწარმოებია აქ, მაგრამ გარდა ერთი ჭვარიანი ქვისა. ვერაფერი უპოვნიათ და „არქეოლოგები“ იმედგაცრუებული დაბრუნებულან სკოლაში.

2. ამ სოფლის ძირიდან, მდინარე ჰოროხის მარცხენა სანაპიროზე დიდი ვაკე ძვეს, საიდანაც მიუღია კიდევ სოფელს სახელი მარადილი ანუ მერედილი. ჩვენს საზღვრებში ამ სოფლის მხოლოდ ერთი ნაწილი, ქვედა მარადილია წარმოდგენილი. მისი დიდი ნაწილი კი, ზედა მარა-

დიდი სახლგარეგანო და რაჩენილი და შედგება შემდეგი უბნებისაგან: ჭავჭავაძის, კიკელიძის, პანაიოტის, ჭლოღვიძლის, ბალანაძის, ბერძენის.

4. ძველად სკელე ცნობილი იყო თავისი ნაგებობებით. ქვედა მარადიდელი ოსტატები წარსულ საუკუნეში აქ მასიურად აკეთებდნენ კოროზზე ნაოსნობისათვის გამჭრულ ბრტყელსკერიან ნაგებობებს.

## გ რ ნ ი ა

### თხილნარის სასოფლო საბჭო

1. ყავეკართან, მახოს წყალზე, მოღწეულია ძველი თალიანი ხიდი, რომლის სიგრძე 17 მეტრს უდრის, სიგანე 2,12 მ., სისქე — 50 სმ.

2. აქ წინათ ღელეზე მოწყობილი ჰქონდათ ჩამურტი, რომელიც წყლის საშუალებით მუშაობდა და სახელწოდებაც, როგორც გავეიმარტეს, აქედან წარმომდგარა.

### გონიის სასოფლო საბჭო

1. სახელწოდება განთავსებულია ახალია. ასე ეწოდებოდა ახალსოფელთან გაერთიანებამდე ამ სოფლის კოლმეურნეობას. მანამდე კი „გონიის ქორთვებს“ ეწოდებდნენ, უფრო ძველი კი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების სწრაფი დენადობის გამო აღარ შემოგვენახა.

2. ასლი იმ ქალის სახელია, რომელსაც ეს ბაღი ეკუთვნოდა ამ რამდენიმე წლის წინათ.

3. ქუჩები კოროზს ეწოდებენ ციხის სიახლოვეს გონიის სერებზე მონაწირები წყლებისაგან შემდგარ მდინარეს, რომელიც ზმირი წვიმებისა და ზღვის მოქცევის დროს ძლიერ დიდდება და კოროზს ემსგავსება.

4. გონია ან გონიო ამ ციხის პირველი სახელწოდება არ ყოფილა. ანტიკური ხანის ავტორები მას აფსარის სახელით იხსენიებენ. აფსარი ანუ აფსარუტი მონათმფლობელური ეპოქის ციხე-ქალაქია.

თავდაპირველად ეს პუნქტი მოხსენებული აქვს პირველი საუკუნის რომაელ მწერალს პლინიუს უფროსს თავის „ბუნების ისტორიაში“ (VI, 12), მეორე საუკუნის 30-იან წლებში აფსარის პირადად უნახავს ფლ. არიანეს. მისი ცნობით აფსარში იმ დროს ხუთი რომაული კომპორტა მდგარა. საგულისხმოა, რომ არიანე აფსარს შორეულ წარსულის ციხე-ქალაქად მიიჩნევს და მის სახელწოდებას უკავშირებს აიას (მერმინდელი კოლხეთი) ეთნარქ აიეტის ვაჟის აფსირტეს სახელს. უკანასკნელი კი, მითიური გადმოცემის მიხედვით, ოჭროს საწმისისა და თავისი დის (მედეას) გამტაცებელ ბერძენ პირატებთან ბრძოლაში დაღუპულა აფსარის ადგილას.

დორითეოს ტვირელი (III ს.), ეპიფანე კვიპრელი (IV ს.) და სხვები ამ ციხე-ქალაქს „მარეზბოლუ აფსარუსის“ სახელწოდებით იხსენიებენ. პროკოპი კესარიელი (VI ს.) და აგათია შირინელი (VI ს.) — „აფსარუნტის“ სახელით, ხოლო VIII საუკუნის ქართველ მწერალ იოანე საბანისძეს „აფსარეა“-ას სახით აქვს მოხსენებული.

როდის ან ვის მიერ არის აგებული გონია-აფსარი?

ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია არის დამსული, მაგრამ დღემდე გადაუწყვეტილი არ არის და დავა-ცილობის საგანს წარმოადგენს.

აკად. თ. უსპენსკი, რომელმაც 1917 წელს ამ ციხეს სპეციალური ნარკვევი უძღვნა, მას რომაელების აგებულად თვლიდა, ხოლო აშენების თარიღად ჩვენს ერამდელი ხანის პირველი საუკუნის 60-იან წლებს დებდა, როდესაც რომაელები შემოვიდნენ საქართველოში გენი პომპეუსის სარდლობით (თ. უსპენსკი, ძველი ციხე კოროზის შესართავთან, „იზვესტია აკადემიი ნაუკ“, № 2, 1917 წ., გვ. 166).

აფსარის აშენების უსპენსკისეული ვარაუდი, რომელსაც სხვა არავითარი საბუთი არ ახლავს, გარდა იმისა, რომ პომპეუსი მრავალი ციხის აგებითაა ცნობილი, სამეცნიერო ლიტერატურაში უარყოფილია. „არსად არ არის ნაჩვენები, — როგორც სამართლიანად შენიშნავს

ე. იაშვილი, — რომ აფსარის გამაგრებული ქალაქი რომაელების მიერ იყოს აშენებული. საყურადღებოა ის ვარემოება, რომ თვითონ რომაელი მწერლების წარმოდგენით აფსარის ციხესიმაგრე ძველთაძველია... არიანე აფსარის დაარსებას... პრეტორიალ ხანას, არგონავტების ლაშქრობის ხანას, მიაკუთვნებს. ამასთან პომპეუსის ლაშქრობიდან არიანემდე მინცადამამდე ისეთი დიდი დრო არ გასულა, რომ პომპეუსის დროინდელი ამბებზე არიანეს მითითარ ხანისათვის მიუკუთვნებინა. არიანეს ჩვენება მხოლოდ იმას უნდა მოწმობდეს, რომ აფსარის ციხე-სიმაგრე რომაელებამდე იყო აგებული“. (ე. იაშვილი, გონიის ციხის ისტორიისათვის, ქართული კულტურის ძეგლები აპარაში, ბათუმი, 1955 წ., გვ. 12-13).

და ეს მართალიც ჩანს. აფსარი რომ პომპეუსს აეშენებინა ამის შესახებ იმ დროის წყაროებში რაიმე ხელშეხახები ცნობა იქნებოდა დაცული, ანდა არიანე, რომელიც განსაყუთრებულ ინტერესს იჩენს ამ ციხე-ქალაქის წარსულისადმი, ამაზე უდავოდ იტყოდა რამეს.

აფსარის ციხის საძირკვლების თავდაპირველი ჩამოყრდნობის მართლაც ადგილობრივი შევიდრნი უნდა ყოფილიყვენ, მაგრამ შემდეგ კი რომაელებს, რომლებიც პირველ საუკუნეში (ჩვ. ერამდე) შემოვიდნენ საქართველოში და თავისი სამხედრო გარნიზონები ჩააყენეს შავი ზღვის სანაპირო ციხე-ქალაქებსა და დაბებში, აფსარი, როგორც რომაელთა ერთერთი მნიშვნელოვანი პლაცდარში კოლხეთში, უნდა გაემაგრებინათ და გაემშენებინათ, ისე როგორც ბიზანტიელები პეტრა-ქაქეთს მოექცნენ VI საუკუნეში. მათვე იგი უძველესად დიდ ციხე-ქალაქად, რომელიც მრავალმცხოვრებიანიც იყო და თეატრიც და ჰიპოდრომიც აშკობდა. VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პრ. კესარიელის ცნობით „მას (ე. ი. აფსარტეტს — ი. ს.) გარშემო უყლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრითა და ჰიპოდრომით და მას მრავალი სხვა რამეც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სადიდის მომასწავებელია“ (ს. ყაუხჩიშვილი, პროკოპი კესარიელის ცნობებუ საქართველოს შესახებ, საქ. მუხ. მოამბე, ტ. VII, გვ. 146-147. ხაზი ჩვენია — ი. ს.).

მართალია, ცნობების უქონლობის გამო არ ხერხდება დადგენა იმისა, თუ კერძოდ რომელ საუკუნეში იქნა აშენებული ეს ციხე-ქალაქი, მაგრამ მისი ძველისძველობის ზოგადი დებულება რამდენადმე მაინც შეიძლება მოქცეულ იქნას კონკრეტულ-ისტორიულ ჩარჩოებში. რა თქმა უნდა, ციხე-ქალაქ აფსარის აშენების მითურ ხანაში ძიება, როგორც ამას ე. იაშვილი უშვებს, სწორი არ შეიძლება იყოს. მითი აფსიტეტს სიყვედილისა და საფლავის შესახებ ამ ციხე-ქალაქში, აფსარის დათარიღებისათვის ვერაფერს გვაძლევს, რადგან მითურ თუ ისტორიულ პირებთან ქალაქების დაკავშირება საერთო ტენდენცია იყო ბერძნულ-ბიზანტიური მწერლობისა (ს. ყაუხჩიშვილი, რიტორიული განათლების ცენტრი ძველ კოლხეთში, ასაქ. მუხუდუმის მოამბე, X — B, 1940 წ., გვ. 339).

აფსარის მსგავსადვე უკავშირებს კესარიელი, მავალითად, ლაზთა ათინას ამ მხარის ვინმე ოდინდელი მეპატრონე ქალის სახელს. „რიზეს მოსდევს მიწაწყალი ერთი ხალხისა, — ამბობს პროკოპი, — რომელიც რომაელებსა და ლაზებს შორის მოსახლეობს. იქ მდებარეობს ერთი სოფელი, სახელად ათენი, ეს ქვია მას არა იმიტომ, რომ ის ათინელთა ახალშენი იყოს, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, არამედ ერთი ქალი ყოფილა სახელად ათინურ, წინა ხანებში ამ ქვეყნის ბატონი, რომლის საფლავს იქ ახლაც აწვენებენ“ (ს. ყაუხჩიშვილი, პროკოპი კესარიელის ცნობებუ საქართველოს შესახებ, ასაქ. მუხუდუმის მოამბე, VII, 146).

ჩარჩოები, რომლითაც იფარგლება აფსარის ციხის აშენების საკითხი, ეს არის ჩვენს ერამდელი მეოთხე და ჩვენი ერის პირველი საუკუნეები. ფსევდო-სკილაქს კარიანდელთან აფსარის მართოდენ მდინარედ მოხსენიება გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ მეოთხე საუკუნეში (ჩვ. ერამდე) აღნიშნული მდინარის (აფსარ-ჰოროზი) შესართავში ომონიმური ციხე-სიმაგრე არ არსებობდა, ხოლო პირველ საუკუნეში (ჩვ. ერთი) აფსარის ციხის შესახებ უკვე ვკმეოტიანი ცნობა გვაქვს დაცული პლინიუსთან, შემდეგ კი არა ერთ სხვა მწერალთან.

მოგვიანო ხანაში ციხე-ქალაქი აფსარი გონიის სახელით იხსენიება. ჭერჭერობით ჩვენთვის ცნობილი წყაროებიდან ამ სახელწოდებას პირველად XIV საუკუნის ისტორიკოს მიხეილ პანარეტის „ტრაპეზუნდის ქრონიკაში“ ვხვდებით. ამის შემდეგ კი გონია არა ერთ ქართულსა თუ უცხოურ წყაროში არის მოხსენიებული.

1547 წელს გონია თურქებმა დაიპყრეს. მტერმა რეკონსტრუქცია უყო გონიის ციხეს, დანაშენებით თუ მინაშენებით გაამაგრა იგი და აქცია დასავლეთ საქართველოზე თავისი შემდ-

გომი ავრესიის პლადარმად. ცდება ვახუშტი ბაგრატიონი, როდესაც გონიის აშენებას თურქებს მიაწერს. „ბათომის პირისპირს, ჭოროხის სამხრეთის კიდეზე, არს გონია, მცირე ქალაქი და ციხე. უბრალოდ ოსმალთა, რომელიც აღაშენეს ქრისტესა ჩემს (1547), ქართულსა სულ (235 + 1312 = 1547“ (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 176).

ასეთივე ცნობას იძლევა „ქართლის ცხოვრების“ მეორე ვაგრაძელებაც, რომელზედაც დაყრდნობით გონიის თურქთაგან აშენების აზრს აეთარებდა აქად. მ. ბროსეც (მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. II, 1900 წ., გვ. 178). ასეთივე აზრის იყო ი. კალფოლიც (იხ. მისი, გონიის ციხის აშენების შესახებ, „იკორაგო“, ტ. II, № 3, გვ. 143, რუს. ენაზე). „გონიის ციხე აუშენებია სულთან სელიმს 1567 წელსო“, — წერდა 1944 წელს ხ. ახვლედიანიც (ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, ბათუმი, 1944 წ. გვ. 138). „გონიას აშენებლად იხსენიებენ სულთან სელიმსაც ე.წ. სულთან დიდ, ანუ იაქუზ სულთან სელიმს და სულთან სულიმანსაც. — ამბობს ხ. ახვლედიანი ქვემოთ, — მაგრამ უფრო სწორი უნდა იყოს სულთან სელიმი, რადგან გონიას ცოტა იქით არის მალაღი მთა, რომელსაც ეძახიან „სულთან სელიმს“, ამიტომ მეც ვფიქრობ, რომ გონიას ციხის აშენებელი უნდა იყოს სულთან სელიმი“ (იქვე, გვ. 140). სადმე ციხიდან მოშორებით მთას შეიძლება მართლაც სელიმი ერქვა, თუმცა იგი საეპიგრაფო და არც ტოპონიმოეპია აღინიშნება, მაგრამ ამის მიხედვით ციხის აშენებლად სელიმს გამოცხადება შეუძლებელია.

ხ. ახვლედიანი ეყრდნობა ი. კალფოლის თურქთაგან გონიის ციხის აშენების დათარიღებაში და ამბობს: „საერთოდ ცნობილია ყველა წყაროებში, რომ გონია თურქებს აუშენებიათ 1567 წელს, ხოლო კალფოლი კი ამტკიცებს, რომ 1549 წელსო. კალფოლის მოყვანილი თარიღი არ უნდა იყვეს მართალი“ (იქვე).

ასეთი შეხედულება მცდარია. გონია თურქებს კი არ აუშენებიათ, არამედ რეკონსტრუქცია უყვეს მხოლოდ და ისიც არა 1567 წელს, არამედ მისი დაპყრობის პირველსავე ხანებში.

ამ უყანასკნელ ხანებში ხ. ახვლედიანმა შეიცვალა თავისი აზრი გონიის აშენებელთა შესახებ. წიგნში „სახალხო განმთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“, რომელიც 1956 წელს დაიბეჭდა, ხ. ახვლედიანი, წერს: „ციხე-ქალაქი პეტრა და გონიას ქართველების მიერ არის აშენებული. უცხოელებს, ამ ადგილების დაპყრობის შემდეგ მოუხდენიათ მათი რეკონსტრუქცია“ (გვ. 5).

ახლა რამდენიმე სიტყვა სახელწოდება „გონიას“ შესახებ.

ამ სახელწოდების ახსნა არაერთ მკვლევარს უცდია. ზოგი ავტორი ამ სიტყვას ბერძნულ „გონიას“ უყავშირებს. ბერძნულში „გონიას“ სამი მნიშვნელობა აქვს. იგი აღნიშნავს კუთხეს, დურგლის გონიოს (სწორკუთხა სახაზავი — მკუთხავი) და ხიდის კუთხოვან ბურჯს, რომელსაც წყლის გასამლეად აკეთებენ.

გონიის ბერძნულიდან წარმომავლობის აზრი მართებული არ ჩანს და სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის უარყოფილი (ე. იაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 16).

ასევე ითქმის „გონიას“ „კონია“-დან მომდინარეობის ვერსიაზეც (იქვე).

ამ ციხის შესახებ არსებული ერთი თქმულების მიხედვით „გონია“ თითქოს წარმომდგარი უნდა იყოს თურქული სიტყვისაგან „გონ“ (გამოქნილი ტყავი). გადმოცემით, ვითომც ამ ციხის „აშენებელ“ ოსმალების ერთ-ერთ სულთანს, სელიმს, როცა სათანადო ფინანსები შემოკლებია, ტყავზე მოჭრილი ფულით დაუმთავრებია მისი აგება და ციხესაც თითქოს აქედან მიუღია ასეთი სახელწოდება (ხ. ახვლედიანი, ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, გვ. 138-139).

ამგვარი ეტიმოლოგია კრიტიკას ვერ უძლებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ თურქებმა ეს ციხე 1547 წელს დაიპყრეს. გონია კი ამაზე ბევრად ადრე იხსენიება მიხეილ პანარეტის „ტრაპუნდის ქრონიკა“-ში, რომელიც XIV საუკუნის თხზულებაა. თურქებს, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ ჭერ კიდე დაუპყრობელი ციხეების და სოფლებისათვის თავიანთი სახელები შეერქვათ. შიტაკების შემდეგაც კი ვერ აკეთებდნენ ამას, ადგილობრივ სახელებს ზოგჯერ თურქულად თარგმნიდნენ მხოლოდ ანდა იშვიათად თავისებური გააზრებით გადაჰქონდათ.

ე. იაშვილის მტკიცებით „გონია“ ნაწარმოები უნდა იყოს გენუასაგან (გვ. 17).

ეს მოსაზრება უსაფუძვლო არ ჩანს, თუმცა იგი ავტორს სათანადოდ შემავარგულ-დასაბუთებული ვერა აქვს. შავი ზღვის ქვეყნებთან გენუელთა სავაჭრო ურთიერთობის სერიოზული

შესწავლა მკვლევარს ამ მხრით უდავოდ საგულისხმო მისაღებს შესძენდა. მარტო ის რად-  
ღირს, რომ ის გზა, რომელიც კოროხის აუზში (ამ ციხის მახლობლად) გადიოდა გენუის გზის  
სახელით იყო ცნობილი.

გონიის ამგვარი ეტიმოლოგიის გვერდით ამ უკანასკნელ ხანებში წამოყენებული იქნა მე-  
ორე მოსაზრება, რომელიც გეოგრაფიულ სახელ „გონიას“ უკავშირებს ასეთივე ფონეტიკური  
აღნიგობის მეგრულ სიტყვას.

ე. კანტუროას განმარტებით „გონია“ მეგრულად „წყალდიდობის შედეგად აბობქრებულ  
ახეითებულ მდინარეს ნიშნავს“ (ციხე-ქალაქ გონიის ისტორიისათვის, რუსთაველის სახ. ბა-  
თუმის პედაგოგიკის სტუდენტთა შრომები, 1, გვ. 54). მისივე ვარაუდით „კოროხის აუზში  
მცხოვრებ მეგრულ-ქანებს უნდა შეერქვათ ასეთი სახელი კოროხის ხეობის ქვემო წელისათ-  
ვის“ (იქვე). ამის შემდეგ ავტორს საეჭვოდ აღარ მიაჩნია კოროხის შესართავში არსებულ ციხე-  
საც ამ მდინარისადვის მის მიერვე შერქმეული სახელი (გონია) მიეღო (იქვე).

აღვილობრივ ნიადაგზე გონიის ეტიმოლოგიის ეს პირველი ცდა ინტერესს იწვევს.  
მაგრამ იგი დამაყრებელი ვერ არის. როგორც ირკვევა, წყალმა რომ „გონია“ გააყე-  
თოს ამისათვის სრულიადაც აუცილებელია არ არის წყალდიდობა. იმ ტალღობრივ წრეს, რო-  
მელსაც მეგრულად „გონიას“ უწოდებენ, მდინარე ყოველი პატარა ჩაქების დროს აყვებენ.  
გარდა ამისა ესეც არ არის გონიას ერთადერთი მნიშვნელობა, გონია მეგრულში სხვა რამის  
აღსანიშნავადაც იხმარება. ასე მაგალითად, „იგი (გონია — ი. ს.) ნიშნავს მთის გორაკის, ბორც-  
ვის გავრქელებულ ზურგს“ (ს. ციხვილიას ცნობა).

სიტყვა გონია, როგორც სასტამბო იარაღი, განმარტებული აქვს საბა ორბელიანსაც (ქარ-  
თული ლექსიკონი, გვ. 71).

სახელწოდება გონიის ეტიმოლოგიით დღემდე მხოლოდ ამ ციხის მკვლევარები, უმთავრე-  
სად ისტორიკოსები, იჩენდნენ დაინტერესებას და ცდილობდნენ მის ახსნას, მაგრამ გონიის  
მეცნიერული ეტიმოლოგია, როგორც ჩანს, ამ საქმის არასპეციალისტ მკვლევართა ძალღონეს  
აღემატება, ამიტომ დრო არის მას ყურადღება მიაქციონ ენათმეცნიერებმა.

**5. პევეა ქალის სახელი (შდრ. ევა).**

**6. ბუჯალი რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება:** 1. ბუჯალი ეწოდება მცენარის იმ  
აღვილს, საიდანაც იწყება განტოტება. 2. ამავე სახელით აღინიშნება კუთხე (ოთახის, სოფ-  
ლის ან სხვ.), შდრ. ბუჯალი (ნ. მარი), ბოჯახა (ალ. ლლონტი), ბოჯაყი (ს. ვლენტი) (შ. ნიჭარა-  
ძე, ზემოაჭარლის თავისებურებანი, ბათუმი, 1957 წ., გვ. 136).

**შ ა ნ ე თ ი**

**სარჯის სასოფლო საბჭო**

1. ზ. ლიოზენის მტკიცებით სარჯი თურქული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს „ტალახიან  
აღვილს“ (ზ. ლიოზენი, რუსული ლაზისტანის სანაპირო, რუსეთის საიმპ. გეოგრ. საზოგადოე-  
ბის კავკასიის განყოფილების მოამბე, ტ. XVIII, ტფ., 1901 წ., გვ. 50). მისივე ცნობით  
სარჯი არ არის ამ სოფლის ძველი სახელი, წინათ მას აქვდა რქმეფია (იქვე). ასე უთქვამთ  
ლიოზენისათვის ადგილობრივ მცხოვრებლებს, რამდენად მართალია ასეთი რამ, ძნელი  
სათქმელია, რადგან წყაროებში ამაზე ვერაფერს წაიჭყყით და არც ხალხმა იცის დღეს  
მასზე რაიმე.

3. ინგოროყვა, რომელმაც პირველმა სცადა სახელწოდება სარჯის მეცნიერული ახსნა,  
მას აფსარის სახელწოდებას ფორმად მიიჩნევს, „თანამედროვე სახელწოდება სარჯი (∠ ფსა-  
რჯე, მრავლობითი რიცხვის ლაზური დაბოლოებით), — წერს იგი, — არის სახელწოდება  
ფორმა ძველი სახელწოდებისა აფსარი (მრავლობითი რიცხვის ლაზური დაბოლოებით  
აფსარეფი-აფსარები)“ (გეორგი მერჩულე, გვ. 204, შენიშვნა 2).

სარჯის აფსარიდან მომდინარეობის ინგოროყვასეული აზრი, რომელსაც სათანადო საბუ-  
თიანობა არ ახლავს, სარწმუნოდ არ გამოიყურება.

სახელწოდებაში სარჯი ფ თანხმოვანს აუტორი მრ. რიცხვის ნიშნად მიიჩნევს და უმაღლე-  
აფს-ად აღადგენს, ასევე აჩენს დაკარგულ ფუძისეულ „ფ“ და ღებულობს ფსარჯეს, ამის



შემდეგ „დაკარგულნი“ თავსართ „ა“-საც თავის ადგილს მიუჩვენეს და სარფის თავდაპირველ ფორმად აყალიბებენ აფსარეფს და ტოლოზის ნიშნით აფსარეზ-თან, ამთავრებს საქმეს.

მაგრამ ეს ასე არ არის. და იმიტომ, რომ სარ-ფ-ის „ფ“-ს თანხმონის მრ. რიცხვის ზანურ მანარმობლად მიჩნევა მართებული არ ჩანს, რადგან როგორც ცნობილია, ჰანურში „ეფ“ სუფიქსი კარგავს ე-ს და ფ-ს სახეს იღებს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხმოვანზე გათავებულ ფუძეს აწარმოებს, ხოლო ბოლოთანხმოვან ფუძეზე დართვის დროს იგი ყოველთვის სრულად გვაქვს დატული. (არნ. ჩიქობავა, ჰანური გრამატიკის ანალიზი, თბილისი, 1936 წ., გვ. 49).

ეს გარემოება ჰანურის მყარ გრამატიკულ თავისებურებას წარმოადგენს და ჩვენს მაგალითში არაერთარ გამოწყლის ადგილი არ შეიძლება ჰქონდეს.

რაც შეეხება თავსართი „ა“-ს და ფუძისეული „ფ“-ს ადგენის საკითხს, ესეც ავტორის ნებისმიერი კონსტრუქცია ჩანს, რომელიც დამყარებულია არა მეცნიერულ ანალიზზე, არამედ ახლანდელი სარფის მიდამოებში აფსარის ლოკალიზების მცდარ ვარაუდზე.

2. ბარდიშლალი (ჰენ.) — ზენის ლელე.

3. კელენდერ(რ)ე არის თურქული „კალენდერეს“ ჰანური დამუშავება და ნიშნავს „სისხლიან ლელეს“.

4. სახელწოდება „ცხემურლელის“ ფუძისიტყვა ჰანურია, ხოლო ლელი თურქული სუფიქსი, ნიშნავს ცხემლარს.

5. ამ 12-ოდე წლის წინათ აქ ხეშვილები (გამაჰმადიანებული სომხები) ესახლნენ და ამიტომ უწოდებენ ხეშვილულს.

6. ეს სახელწოდება წარმოდგება თურქული სიტყვებისაგან. „დევირმენდ(რ)ე“, რაც წისჭივილილელს ნიშნავს.

7. მონტრაცა (ჰან.) — ნაშვავები.

8. კერკეტა (ჰან.) — მაგარი, მოურდრეკელი.

9. ოჯალანე (ჰან.) — საკობორჩხლე.

10. ბურბუ (ჰან.) — ლამურა.

11. ასე უწოდებენ ამ ადგილს აქ მდგარი რამდენიმე ზეთის ხილის ხის გამო.

12. ქალმაზს უწოდებენ ნაპირის სიახლოვეს, ზღვაში არსებულ ლოდს.

13. ფუჭ (ჰან.) — ძროხა, ონჯერე (ჰან.) — საწოლი.

14. ამ ტყეში ერთ-ერთ წიფელზე ამოჭრილია წალდის (ჰანურად ბურქული) გამოსახულება და ამიტომ უწოდებენ ასე.

15. თხირეფუნა (ჰან.) — თხილნარი.

16. ქეაონჩამურე (ჰან.) — ქვისსაცხეველი ანუ ჩამური.

17. გენიალონი (ჰან.) — სასრიალო, სათრეილი.

18. კელიმყონა (ჰან.) — კაქლის ყანა.

19. ჰიტა (ჰან.) — პატარა, უმცროსი.

20. ნომეტებენი — ნასკოლარი („ნო“ ქართული „ნა“ პრეფიქსის ჰანური შესატყვისია, მეტეები კი სკოლას ნიშნავს თურქულად).

21. მსქიბუკალა (ჰან.) — წისქვილან. (მსქიბუ (ჰან.) — წისქვილი, „კალა“ (ჰან.) — თანდებელი „თან“).

22. მსქიბულაო წისქვილილელე (ამ ლელეზე გადის სახელმწიფო საზღვრის ხაზი).

23. ეს სახელწოდება ნაწარმოებია ზანურში გეოგრაფიულ სახელთა ჩვეულებრივი ბოლო-კიდურით „შო“, რაც ქართულ „ხო“ ფორმანტს უდრის. ჰანური ტიპაში ქართული ტბისას შესატყვისია („ტიბა“-ს ჰანურში იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც „ტობა“-ს მეგრულში), ასე უწოდებენ მსქიბულალს შესართავთან, რადგან იგი აქ ზღვის მოქცევის დროს ტბორდება და გუბეს ქმნის.

24. ნოლა ჰანურად საბაზრო ადგილს, ქალაქს ნიშნავს (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1, ტფ., 1913 წ., გვ. 47-48; არნ. ჩიქობავა, ჰანური გრამატიკის ანალიზი, თბილისი, 1936 წ., გვ. 50).

25. ყონამგერი (ჰან.) — ყანამგელი.

26. მცხულეფუნა (ჰან.) — მსხალნარი.

## ТОПОНИМИКА ЮГО-ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

(Аджарская АССР)

Топонимика является весьма важной вспомогательной отраслью исторической науки.

В грузинской историографии на топонимику обращали немалое внимание наши выдающиеся ученые (Вахушти Багратиони, И. А. Джавахишвили, С. Н. Джанашиа, Н. А. Бердзенишвили и др.), но все же она еще в достаточной степени не выдвинута.

Для расширения и углубления топонимических исследований прежде всего следует приступить к последовательному описанию названий местностей разных уголков Грузии.

В этой книге дана первая попытка такой работы. В ней изложена одна часть топонимики юго-западной Грузии. Остальная же часть будет представлена во второй книге, которая подготовлена к печати.

Юго-западная Грузия характеризуется многообразной и богатой топонимикой. Наряду с названиями местностей собственно грузинского происхождения в достаточном количестве встречаются и занские (мегрело-чанские) названия. Это вполне понятно. В древности данный край был населен мегрело-чацким (западные грузины) племенем, что и оставило отпечаток в топонимике. Отчасти встречаются и турецкие названия, как плод векового господства турок в этой части Грузии. Большинство подобных названий образовано путем перевода грузинских слов на турецкий язык.

Затрагивая вопрос топонимики, автор, разумеется, не мог обойти вопросы исторической географии. В книге дана попытка разработки вопросов исторической географии следующих частей юго-западной Грузии: исторической Аджарии (ущелье Аджарис-ихали), Мачахели (древнегрузинский Мичихиани), Нигали (Лигани, Ливана), Гонна (древний Апсар) и Чанети (Лазети).

### Die Toponimik des Südwestlichen Georgiens

(Adsharische ASSR)

Die Toponimik ist ein überaus wichtiges Hilfsgebiet der historischen Wissenschaft.

Der Toponimik in der georgischen Historiographie haben unsere hervorragenden Gelehrten (Wachushti Bagrationi, J. A. Dshawachischwili, S. N. Dshanaschia, N. A. Berdsenischwili u. a.) nicht wenig Aufmerksamkeit geschenkt, und doch ist sie nicht in genügendem Masse befördert worden.

Zwecks Erweiterung und Vertiefung der toponimischen Erforschungen muss man vor allem mit folgerichtiger Beschreibung der Ortschaftsbenennungen in den verschiedenen Winkeln Georgiens beginnen.

In diesem Buch wird der erste Versuch einer solchen Arbeit gegeben; in ihr ist ein Teil der Toponimik des Südwestlichen Georgiens dargelegt; der übrige Teil wird im zweiten, bereits zum Druck vorbereiteten Buch, dargestellt werden.

Charakteristisch für das Südwestliche Georgien ist seine mannigfaltige und reiche Toponimik Neben den Benennungen der Ortschaften eigenen, georgischen Ursprungs findet man zur Genüge sanische (megrelo-tschanische) Benennungen. Das ist vollkommen begreiflich. Dieses Land war in uralten Zeiten von megrelo-tschanischen (westlich-georgischen) Stämmen bevölkert gewesen, was sein Gepräge in der Toponimik gegeben hat. Zum Teil trifft man auch türkische Benennungen als Resultat der dreihundertjährigen Herrschaft der Türken in diesem Teil Georgiens. Diese Benennungen sind vorwiegend durch Übersetzungen aus dem Georgischen ins Türkische entstanden.

Bei Berührung der Frage der Toponimik konnte der Autor die Fragen der geschichtlichen Geographie natürlich, nicht umgehen. Im vorliegenden Buch ist ein Versuch der Ausarbeitung von Fragen über geschichtliche Geographie folgender Teile Südwestlichen Georgiens gegeben: des historischen Adshariens (Engpass Adsharis-Zchali), Matschacheli (das altgeorgische Mitschichiani), Nigali (Ligani, Liwana), Gonia (uraltes Apsar) und Tschaneti (Laseti).



ტოპონიმიკურ და გეოგრაფიულ  
სახელთა საქიეგელი

## ბ

- აბაზალოდლიკალო 50  
 აბანეა 135  
 აბანო 57, 61, 63, 65, 78, 83, 100, 126  
 აბანოახო 103  
 აბანოთაეი 79  
 აბანოპირი 57, 69, 124, 127  
 აბანოტიალი 95  
 აბანოფერტი 37, 95  
 აბანოქედი 132  
 აბანოდედე 56, 70, 84, 95, 100, 118  
 აბანოყელი 84, 99, 112, 116  
 აბანოშყარი 140  
 აბანოწყალი 139  
 აბანოხევი 94, 111, 120  
 აბაშა 182  
 აბდიასველი 60  
 აბნაეი 51  
 აბსარი 179  
 აბისლამიძეები 130  
 აბუქეთა 66  
 აგარა 37, 40, 53, 54, 67, 70, 98, 103, 119,  
 124, 138, 145, 163, 171, 173  
 აგარათაეი 171  
 აგარაკი 127  
 აგარანი 15  
 აგარაქეთი 97  
 აგარაწყალი 47, 150  
 აგარლებიახო 124  
 აგოთა 60  
 აგრიზაი 12  
 ადა 138, 140  
 ადაძეები 116  
 ადემეკალო 64  
 ადილე 17, 174  
 ავაზანათი 124  
 ავაზანი 65, 74, 122, 123  
 ავაზანქვეში 87  
 ავაზანუოლო 126  
 ავაზნები 72, 105  
 ავაზნიპირი 92, 93  
 ავაზნიტაბი 98  
 ავაზნიყანა 116  
 ავეია 139  
 ავეჯანდრა 130  
 აზრათი 94  
 ათენი 185  
 ათინა 180, 185  
 13 ი. სიხარულიძე. ტომონომიკა.  
 იია 22, 188  
 იირარატი 16  
 იყენა 120, 132  
 იყენეთა 57, 130, 131, 136  
 იკვანდრაპოლო 98  
 იყენეთაძ 99  
 იყენეთი 69  
 იყამუსისი 177, 178, 179, 180, 181, 182  
 იყამუსეონი 180  
 იყრია 175  
 ილაბური 70  
 ილაზანი 12  
 ილვატრი 117  
 ილილითენინარი 126  
 ილილიქედი 133  
 ილიბეგეიყე 129  
 ილოეიყე 108  
 ილიზნარები 99  
 ილიზნარი 80  
 ილიქოშვილები 37, 59, 60, 91  
 ილიშანაკაპანი 117  
 ილმე 168  
 ილმეკოხი 108  
 ილმეძეა 126  
 იმალეუბა 40, 100  
 იმალეუბიწყარო 112  
 იმბროლაური 18  
 იმიერკაეკასია 16, 152, 181, 182, 185  
 იმოხერტილი 80  
 იმოდინი 123  
 იმონაძიარევი 60  
 იმოსავალი 94  
 იმოსავალიკულა 114  
 იმომართი 68  
 იმუშატი 92  
 ინაყერთი 27, 154  
 ინატკემი 107  
 ინთაბატრა 122  
 ინწლანი 100  
 იმწნარი 108, 138  
 ინჯორიკები 132  
 არაგვი 9, 22  
 არაყეთი 35, 91  
 არაკლია 33  
 არაქსი 178  
 არგინეთი 110, 111  
 არდაპანდები 71  
 არდუქსირთი 139

- აბსრუმი 22, 29  
 აბთენი 27, 29, 30  
 აბიფოლისერი 114  
 აბიუსა 182  
 აბმენია 178  
 აბნატლი 114  
 აბსენატლი 58  
 აბსიანი 22  
 აბსიანიფერი 87  
 აბტანი 13, 17, 23, 28, 159, 161, 176  
 აბტანუჯი 9, 10, 24, 25, 26, 28, 147, 159, 165, 174  
 აბტაბე 180  
 აბტეპოლისი 178, 179  
 აბლაგოჲ 52  
 აბუისციხე 26  
 აბუიძირი 85  
 აბუნალი 35, 61, 90, 105  
 აბუნალიღლე 104  
 აბუნაძეგები 71  
 აბავალი 92, 124  
 აბავლიანი 121  
 აბალიეკე 99  
 აბამაძეგები 59  
 აბანაზიარევი 60  
 აბისტორნი 23  
 აბკანა 182  
 აბკილატრა 122  
 აბლიბალი 139  
 აბტენჩილი 93  
 აბმანი 47  
 აბობანა 135  
 აფსადგმური 117  
 აფსარეა 179, 186, 188  
 აფსარი 21, 23, 31, 32, 154, 175 179, 180, 181, 182, 184, 185, 191  
 აფსაროსი 179  
 აფსარუნტი 181, 188  
 აფსერტოს 179, 181  
 აფხაზეთი 17, 18, 24, 33, 95, 143, 170, 173, 182, 184, 185  
 აფხაზური 95  
 აფხაყეთა 79  
 აჭეთა კარაპეტი 90  
 აჭეთამთა 105  
 აჭუცა 57  
 აღღენა 121, 127  
 აღმართი 67  
 აღმართიძირი 64  
 აღმასაჭუთარი 138  
 აღმოსავლეთ სეპართელო 176  
 აჩიკბარდი 178  
 ანსოილა 129  
 აცანა 182  
 აწესი 53, 149  
 აკაბა 18, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 31, 35, 37, 38, 39, 40, 41, 45, 143, 144, 145, 146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 156, 157, 158, 159, 160, 161, 162, 164, 165, 169, 170, 171, 172, 181, 183, 185, 194, 196  
 აქარისაღმართი 128, 129, 133, 151, 152, 173  
 აქარისწყალი 20, 21, 29, 30, 41, 46, 134, 143, 144, 145, 146, 149, 153, 155, 158, 169, 175, 194  
 აკი 143  
 აკყვა 143  
 ახალაყე 93  
 ახალახო 112  
 ახალგზები 107  
 ახალდაბა 73, 107, 155  
 ახალეკე 101  
 ახალთა 129  
 ახალიზანი 116  
 ახალნაჯაფი 58  
 ახალსოფელი 139, 184  
 ახალყანა 96  
 ახალყოშლები  
 ახალშენები 84  
 ახალშენი 59, 65, 69, 78, 92, 94, 100, 118  
 ახალშენი 109  
 ახალციხე 27, 168  
 ახარატლა 51  
 ახეაყე 94  
 ახიავრდარი 94  
 ახიატრი 94, 96  
 ახიზა 9  
 ახისხა 168  
 ახო 60, 61, 62, 70, 84, 98, 101, 103, 105, 107, 110, 111, 112, 116, 118, 123, 124, 125, 138, 153  
 ახოზოლო 71, 122  
 ახოთავი 63, 78, 111, 118, 125, 128  
 ახოთი 57, 132  
 ახოთიეკე 132  
 ახოთიღლე 132  
 ახოთიხევი 91, 92  
 ახოთიკილდიზოლო 96  
 ახოშინდორი 62  
 ახოზა 47, 55  
 ახოხერი 60, 72, 73, 80  
 ახოფერი 114



ახოლელე 68, 103  
 ახოქალა 72, 84, 85, 94  
 ახტალა 161  
 ახუები 67, 70, 72, 80, 83, 84, 88, 90, 91,  
 94, 96

ახუებილელე 71, 73  
 ახნა-ყალა 30  
 აჯატრი 117  
 აჯარკელა 97  
 აჯაშპირი 59

## ბ

ბაბანატრი 78  
 ბაბანეური 157  
 ბაბანური 113  
 ბაბატრი 61  
 ბაბლეთები 96  
 ბაბლუცაყი 133  
 ბაგა 59, 64, 97  
 ბაგათილელე 79  
 ბაგები 35, 60  
 ბაგრატატლი 76  
 ბაღენატრები 65  
 ბაღუევეთი 130, 144, 173  
 ბაზალეთი 35, 68  
 ბაზიარაშვილები 91  
 ბაზიარეთი 131  
 ბათალები 106  
 ბათაძეები 35, 39, 111  
 ბათტს 180  
 ბათუში 10, 19, 21, 27, 28, 30, 32, 37, 38,  
 39, 40, 41, 152, 154, 157, 160,  
 162, 170, 172, 173, 175, 181,  
 183, 185, 186, 187  
 ბაიბურთი 32, 75, 124, 175, 177  
 ბაიძეები 67  
 ბაიჩალიძიბი 69  
 ბაყათი 88  
 ბაყანათი 57, 59, 61, 65  
 ბაყარახვეი 101  
 ბაყენა 103  
 ბაკო 35, 39, 106  
 ბაკოსწყალი 163  
 ბაკრატატლა 71  
 ბალათი 53  
 ბალატრი 83, 88, 100  
 ბალბანაქელი 65, 184  
 ბალგვერდი 37, 47, 48  
 ბალაძეები 72  
 ბალენა 53, 75, 118, 128  
 ბალენი 122  
 ბალენითავი 129  
 ბალთყანა 67, 79, 81, 83  
 ბალთუაყე 67  
 ბალღარა 61

ბაშბათი 135  
 ბანაღლელე 111  
 ბანკოყანა 67  
 ბანნარისერი 107  
 ბანჭარი 116, 118  
 ბაო 68, 91  
 ბარათატლი 36, 76, 152  
 ბარაშულა 69  
 ბარაქაძირები 93, 98  
 ბარაქები 94  
 ბარახტიახო 90  
 ბარაღლეაყე 131  
 ბარღნალა 61, 66, 72, 133, 136, 138  
 ბარღნალი 35, 47, 50, 54, 56, 69, 75,  
 88, 90, 91, 102, 104, 105, 111,  
 112, 123, 124, 125, 129  
 ბარღნალაჲ 52  
 ბარღნალიქელი 50  
 ბარღიშალაი 140, 188  
 ბარეები 35, 71  
 ბარეებილელე 71  
 ბარელატრი 35, 118  
 ბარი 55, 57, 66, 88, 89, 108, 132  
 ბარილელე 89  
 ბარიქოლო 103  
 ბარკალაშვილები 69  
 ბარტატრები 84  
 ბარცხანა 49  
 ბარცხნილელე 49  
 ბარჯიკალო 48  
 ბასილეთი 133  
 ბასილეთური 48, 53  
 ბატონიახო 115  
 ბაუჩაშვილები 70  
 ბაქეტლა 131  
 ბაღდადი 109  
 ბალი 118  
 ბალიბოლო 98  
 ბაღენარი 60, 61  
 ბაღნარი 59, 134, 136  
 ბაღჩა 100, 125  
 ბაყათატრი 71  
 ბაშატრი 115

- ბაჩატრები 109  
 ბაცელური 57  
 ბაძგარა 53  
 ბაძგარეაცე 47  
 ბაწნარა 49  
 ბაწყარო 62  
 ბახათები 78  
 ბახშარო 35, 101, 104  
 ბახტატრი 81  
 ბახჩა 80, 86, 94, 104, 122,  
 ბახჩიბოლო 138  
 ბახჩეები 91, 92, 95, 115  
 ბახუნტარატლი 124  
 ბახუნტარაძეები 117  
 ბაჯგათი 67  
 ბებერასვეი 51  
 ბებვერა 47, 49  
 ბეგეიყშლა 126  
 ბეგოშვილები 112, 168, 169  
 ბეთანია 161  
 ბეთლემი 55, 66, 150  
 ბელატევი 66  
 ბელტელა 64  
 ბელტული 52, 62, 88, 109  
 ბელტური 132  
 ბენდელიკალი 134  
 ბენჩატრა 123  
 ბეძუხიარი 133  
 ბერაძეები 48  
 ბერიაზო 109  
 ბერგუძოლა 59  
 ბერგული 124  
 ბერინასახლევი 86  
 ბერისარჩოზი 135  
 ბერიტყე 56  
 ბერიყანა 77, 94, 113, 121  
 ბერიწყარო 113, 121  
 ბერიჭალა 126  
 ზერკალი 113  
 ბესსელა 117  
 ბერქეთი 73  
 ბერშოეთი 24  
 ბერძენატლი 82  
 ბერძნევი 184  
 ბესანახლევი 135  
 ბესელაშვილები 79  
 ბეჭირალიძეები 68  
 ბელღატრი 108  
 ბელღაძირი 51  
 ბელღელთა 35, 68, 80, 87  
 ბელღელსუკიანა 70  
 ბელღელები 128  
 ბელღეთი 124  
 ბელღეთმეძლა 126  
 ბელღიკარი 137  
 ბეშლარიკარი 139  
 ბეშუმში 35, 127, 172  
 ბეშუმმეძლა 127  
 ბეშური 93  
 ბეშურითთავი 93  
 ბეჩიყანა 57  
 ბეჯანყიყანა 58  
 ბჰანა 52  
 ბჰანიღელე 50  
 ბჰეყალო 50, 67  
 ბჰიბი 12  
 ბჰიკატრი 110  
 ბჰიკარქალა 91  
 ბჰიკისკერი 71  
 ბჰუბჰუ 51, 149  
 ბიბაქეთი 88  
 ბიზაზიარი 110  
 ბიზანტია 24, 33  
 ბილალიძიყიშლა 73  
 ბილკორდი 139  
 ბილურთი 100  
 ბიშბილები 107  
 ბინდახევი 118  
 ბიტონიკი 139  
 ბირგეველა 83  
 ბირკანალა 94  
 ბირკატლი 122  
 ბირსინხევი 110, 111  
 ბირჰურები 74  
 ბიძაყანა 129  
 ბიწყე (ვიწყე) 32  
 ბიქეინთა 179  
 ბიჭობინა 124  
 ბლენეთიკილდე 85  
 ბლესინა 50, 54, 56, 58, 60, 61, 62, 124  
 ბლესინი 70, 135  
 ბლიანი 132  
 ბლისნახო 113  
 ბლობახჩა 95  
 ბლიძირა 66, 70  
 ბლიძირი 56, 63, 89, 110, 112  
 ბლიძირიშუღა 89  
 ბოას 175, 177, 179  
 ბობორტყა 50  
 ბობოყყათი 173  
 ბოგა 58, 117, 118  
 ბოგაღელე 102  
 ბოგახიდი 66

პოგილი 51, 54, 57, 60, 61, 64, 68, 74,  
75, 76, 78, 82, 86, 87, 90, 93,  
100, 102, 103, 104, 106, 108, 113,  
120, 123, 126

პოგილეუ 57, 97, 103

პოგილო 84, 95

პოგლები 106

პოგლული 52

პოგშეაძირი 75, 85

პოგშეაძირები 72, 110

პოდიში 117

პოერეთა 102

პოილაშიწა 130

პოკელა 107, 109, 115, 122, 123

პოკელათი 36, 89, 114, 116, 118, 121

პოკეერახო 96

პოლეთაი 59

პოლოენახი 99

პოლოდუზი 138

პოლოკილათები 87

პოლომწილა 50, 52, 53

პოლომწირა 131

პოლოწრილა 131

პოლოყო 139

პოლული 94

პონნარი 117

პოძა 53

პორგნალა 130

პოროსოქაქლული 138

პორღალეთი 154

პორყვატლი 57

პორციანი 112

პორჯომი 154, 170

პოსტანა 48, 62, 110, 129

პოსტანათი 65, 74, 77, 115

პოსტანი 80

პოსტნები 65, 80, 107

პოტიაძირები 98

პოღაზო 133

პოღვა 55

პოღიქალა 101

პოშტეფე 138

პოყვათი 63

პოძაპტრი 37, 124

პოძაპტრიძეძლა 126

პოძრიკიყიშლა 127

პოჯინაძირები 73

პეინავი 119

პრაგა 76, 80, 81, 85

პრაგები 97

პრანჯატლი 47

პრეეთი 136

პრილი 37, 74

პრინთა 35, 67

პტყელია 77

პტყელილდტყეში 37, 95

პუთური 74

პუთურატლი 99

პუმბულა 61, 64

პუმბულაკარი 33

პუმბულასერი 27

პუნგარი 69

პუნეღა 116

პურელი 110, 112, 113

პურელიები 112

პურიღლეუ 128

პურმაღლეუ 103, 107,

პურკენავი 136

პურული 106, 107, 125

პურულელიწყარო 106

პურქულიმეკაელი 140

პურქანასეღა 117, 170

პუქარაძირი 108

პუქატრი 133

პულაური 115, 120

პულარეთი 116

პულნარა 61

პუცეყატრი 127

პუჰე 89

პუჰია 55

პუჰუნატრი 98

პუჰალი 140, 191

პუჰვა 64

პლანეტლა 104

პლარჭატლი 104

პლუნარა 78

## ბ

გაბოსტანური 83

გაბოსტანურები 83

გაბრელავი 35, 91, 92

გაბრელატრი 90

გამბულწყარო 90

გაგაღია 91

გადაგადმო 48

გადაღეღლა 51

გადათხრილი 61

გადასაქციელი 129

- გაღალმე 106  
 გაღალმეყანა 81, 107  
 გაღალმითა 123  
 გაღალმითი 59, 85, 86  
 გაღალმისერი 98  
 გაეეთი 161  
 გაზელტერები 93  
 გათხრილი 133  
 გალანძელი 125  
 გამანათლვეი 35, 92  
 გაბართი 108, 113  
 გამზარატლა 51  
 გამბულაკილდიოვიდელუ 37, 104  
 გამოკაფული 117  
 გამოსახედავი 84  
 გამოღმა ტომამეთი 95  
 გამოღმაქალა 79  
 გამოღმა ჰარნალი 139  
 გამტკიცული 137  
 განაყოფთა 35, 88  
 განახლება 39, 110  
 განგზისკარი 119  
 განგზისკერი 127  
 განგზიქვეშა 130  
 განგური 95  
 განთიადი 38, 139, 184  
 განიგზა 106  
 განჩიანი 101  
 განძიყანა 59  
 გაპაწეული 89  
 გარეკენი 63  
 გაბეტყე 39, 61, 146  
 გასავალი 105, 106, 107  
 გასავალქალა 88  
 გასატრი 116  
 გასავარი 94, 109, 125  
 გასაყიდელა 121  
 გასახტომელა 50  
 გაფენილიწყალი 127  
 გაღმავახუები 104  
 გაღმავაყე 100, 139  
 გაღმავალო 57  
 გაღმა კახეთი 157  
 გაღმამერე 120  
 გაღმა ტომამეთი 95  
 გაღმატყე 60, 95  
 გაღმაყანა 58, 60, 104, 105, 129  
 გაღმაქალა 93, 103, 116  
 გაღმა ჰარნალი 139  
 გაღმდები 100  
 გაღმითა 112  
 გაღმითები 90  
 გაწიიჭრი 96  
 გაჭრილკაბანი 109  
 გაჭრილსერი 77  
 გაჭრილქელი 135  
 გიბელატრი 67  
 გიბელატრი 101  
 გიბელომდები 68  
 გილუვი 92  
 გივგეშური 123  
 გეშუეთი 136  
 გეშენე 137  
 გელატრა 119, 121  
 გელატრაჟ 123  
 გელეგური 121  
 გელიარჩვეთი 137  
 გელიხვეი 92  
 გემინაბამი 55  
 გენიალონი 140, 188  
 გენუა 191  
 გენჯელბახჩა 56  
 გეორგია 9  
 გერიკლიბოლო 88  
 გეფინერი 137  
 გეჩეგი 106  
 გეჩეგა 83  
 გეჩეგი 70, 79, 86, 95, 100, 101, 107  
 გეჩელულა 51  
 გელა 54, 113, 116  
 გელათები 98, 122  
 გელათი 94, 123  
 გვალაჟ 56  
 გვალქალა 106, 114, 126  
 გვალმინდორი 127  
 გვალტიალი 82  
 გვალყანა 129  
 გვალწყარვათი 62  
 გვალქალა 89  
 გვალქალები 95  
 გვალქალითავეი 103  
 გვანცა 72, 73  
 გვარა 28, 37, 134, 183  
 გვარამკალო 55, 56  
 გვარამული 35, 63  
 გვარიქელი 135  
 გვორგვეთი 132  
 გველეთი 83  
 გველიბუდე 112  
 გვერამული 122  
 გვერდა 59, 96, 116, 120, 122, 123  
 გვერდაბოლო 88, 104  
 გვერდაში 138  
 გვერდახო 91

- გვირდახუები 96  
 გვირდები 81, 82, 110, 111, 112  
 გვირდენი 94  
 გვირდენახი 115  
 გვირდი 83, 89, 93  
 გვირდიბოლო 83  
 გვირდითერნალი 122  
 გვირდისძირი 14  
 გვირდიღველე 90  
 გვირდული 100  
 გვირდულა 86, 88  
 გვინადირაფი 35, 51  
 გვიანეთი 129, 131  
 გვიშპირი 69  
 გვირაბი 64  
 გზაბაწარა 104  
 გზაქვეშა 63  
 გზაქვეში 113  
 გზაშეები 108  
 გზიპირი 79, 132  
 გზიპირები 96  
 გზიპირითენნარი 120, 121  
 გზიქვეშა 71, 128  
 გზიქვეშად 98  
 გვიტრი 79  
 გიდეველაღველე 74  
 გიდელა 34, 120  
 გიდელათი 65  
 გიდელაღველე 78  
 გიოლბაში 140  
 გიშისწყალი 12  
 გლაკოსი 178  
 გლეთური 112  
 გობა 87  
 გობაქალა 96  
 გობები 88  
 გობეტრა 62  
 გობელი 48  
 გობვაკე 100  
 გობთხევი 136  
 გობიკარი 121  
 გობიღველე 134  
 გობიწყარო 109  
 გობიქაღვგომი 51  
 გობრონეთი 35, 40, 68  
 გობჯიღღვე 72, 155  
 გოგანეთი 133  
 გოგატრი 117  
 გოგაძეები 84  
 გოგაწყარო 124  
 გოგვადანა 59  
 გოგიაშვილები 70  
 გოგეითსერი 96  
 გოგუტრიქვედი 56  
 გოგინატრი 39, 59  
 გოგინაძიარევი 73  
 გოგინიძეები  
 გოგირდიქვედი 131  
 გოგოწყარო 100  
 გოგლატრი 97  
 გოგნიბოლო 66  
 გოგოლატრი 58  
 გოგოლაქვედი 52  
 გოგოლაშა 108  
 გოგოლისერი 104  
 გოგოლიქვედი 134  
 გოგოლიშვილები 63  
 გოგოტრი 65  
 გოგოძეები 130  
 გოგრიქატლი 118  
 გოგუბიკალი 135  
 გოგუბიქალა 117  
 გოგური 109, 110  
 გოგიაფატრი 69  
 გოღვაძეები 111  
 გოდერძი 60, 126, 127, 172  
 გოდორატლი 52  
 გოდორძატლი 124  
 გოზანატრი 110  
 გოლაფერდი 66, 70  
 გოლიმინდორი 61  
 გომანატრი 86  
 გომანი 85  
 გომარდული 76  
 გომი 37, 49, 134, 147  
 გომიკარი 82  
 გომის შთა 147  
 გონატრი 75  
 გონია 21, 23, 30, 31, 32, 38, 41, 137,  
 139, 181, 184, 185, 186, 187, 189,  
 190  
 გონთი 82  
 გონთისერი 70  
